

ადამიანის უფლებათა  
ევროპული სასამართლოს  
გადაწყვეტილებების თემატური  
საძიებელი

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი

2022

**EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS**  
**CASE-LAW**  
**(Factsheets)**  
**THE THEMATIC DIRECTORY OF THE**  
**DECISIONS**

The Supreme Court Of Georgia  
Human Rights Center

Tbilisi  
2022



კრებულის რედაქტორი

**მარინა კვაჭაძე**

სამართლის დოქტორი, პროფესორი  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

კრებული თარგმნეს და დაამუშავეს

**გულიკო მჭედლიშვილმა**

ადამიანის უფლებათა ცენტრის

მთავარი კონსულტანტი

**ნატა ვარაზაშვილმა**

ადამიანის უფლებათა ცენტრის

კონსულტანტი

კრებულის თარგმნაში მონაწილეობდნენ

**ზურაბ ზერეკიძე, ელგუჯა შუბლაძე და თამარ ყიფიანი**

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

**მარიკა მაღალაშვილი**



EDITED BY:

The Head of the Analytical Department

**Prof. Dr. Marina Kvachadze**

THE COLLECTION WAS TRANSLATED AND ELABORATED BY

Chief Consultant of Human Rights Centre,

Analytical Department of the Supreme Court of Georgia

**Guliko Mchedlishvili**

Consultant of Human Rights Centre,

Analytical Department of the Supreme Court of Georgia

**Nata Varazashvili**

In the compilation of the collection participated

**Zurab Zerekidze, Elgudja Shubladze and Tamar Khipiani**

GRAPHICS EDITOR AND DESIGN

**Marika Maghalashvili**

## წინასიტყვაობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის ფარგლებში, ტრადიციულად მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა და განჩინებათა კრებული, სადაც თავმოყრილია სტრასბურგის მიერ განხილული განსაკუთრებული სამართლებრივი ინტერესის მქონე საკითხები.

წინამდებარე კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ახალი მიდგომები და პრეცედენტული სამართლის განვითარება. მოგეხსენებათ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ვითარდება ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არსებული ვითარების შესაბამისად. აღნიშნულ კრებულში განხილული საქმეები ცხადყოფს, რომ ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს ახალი გამოწვევების კვალდაკვალ და განაგრძობს ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის უახლესი მაგალითები დიდ მნიშვნელობას იძებს, რადგან ის განმარტავს, აზუსტებს და ნათელს ჰფენს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

კრებულში შესული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საინტერესო იქნება მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისთვის, პროკურორებისთვის, ფართო პროფილის იურისტებისთვის, უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისა და ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

**მარინე კვაჭაძე**

სამართლის დოქტორი,

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

## **Preface**

The Human Right Centre of the Analytical Department at the Supreme Court of Georgia traditionally prepared the compilation of the significant judgments and decisions adopted by the European Court of Human Rights, with respect to the rights and freedoms guaranteed in the Convention and its Protocols.

The aim of the aforementioned compilation is to introduce the practice of the European Court of Human Rights, new approaches, and the case law of the Court. The Convention is a living instrument and has to be interpreted in light of present-day conditions and developments in International Human Rights Law. The example of cases contained in this collection shows the willingness of the European Court of Human Rights to meet new challenges and set standards in terms of Human Rights Law. Consequently, the latest examples of the Strasbourg Court's case law are of paramount importance, as it explains and clarifies the rights and freedoms enshrined in the Convention.

Case law of the European Court of Human Rights included in this compilation will be of particular interest not only for judges and persons practicing in the legal system per se but for academics, students and up and coming lawyers, as well as the general public interested in these issues.

**Dr. Marina Kvachadze**

The Head of Analytical Department

# სარჩევი

<b>COVID-19 ჯანმრთელობის კრიზისი.....</b>	<b>10</b>
მსხვერპლის სტატუსი და დასაშვებობის კრიტერიუმები.....	10
სიცოცხლის და წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის უფლება..	12
თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.....	13
აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.....	14
შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.....	15
საკუთრების დაცვა.....	15
დროებითი ღონისძიებები სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მიხედვით .....	16
<b>თვალთვალი სამუშაო ადგილზე.....</b>	<b>17</b>
ტელეფონისა და ინტერნეტის გამოყენების მონიტორინგი.....	17
სამუშაო კომპიუტერზე შენახული პერსონალური ფაილების გახსნა.....	19
ვიდეო თვალთვალი .....	20
<b>ჟურნალისტური წყაროების დაცვა.....</b>	<b>23</b>
ჟურნალისტები, რომლებიც ვალდებულნი არიან გაამჟღავნონ ჟურნალისტური წყაროები/ჟურნალისტური წყაროების დაცვის სავარაუდო წარუმატებლობა .....	23
ჟურნალისტების სახლის ან სამუშაო ადგილის ჩხრეკა, ტელეფონზე წვდომა ან/და ჟურნალისტური მასალის ამოღება .....	29
<b>ხმის მიცემის უფლება.....</b>	<b>34</b>
ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა, როგორც სისხლისსამართლებრივი გამოძიების ნაწილი .....	34
ცალკეული ჯგუფებისა და პირების მიერ საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის შეუძლებლობა	35
ქმედუნარიანობისა და ხმის მიცემის უფლების მოხსნა/შეზღუდვა .....	36
ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა ბინადრობის კრიტერიუმზე დაყრდნობით და არარეზიდენტი მოქალაქეების მიერ ხმის მიცემის უფლების განხორციელება.....	38
საარჩევნო უფლების შეჩერება გაკოტრების შესახებ სამართალწარმოების დროს.....	41
<b>გადასახადები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია .....</b>	<b>42</b>
საკუთრების დაცვის უფლება (კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი).....	42
სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი).....	52
არავითარი სასჯელი კანონის გარეშე (კონვენციის მე-7 მუხლი) .....	59
პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი) .....	60
რელიგიის თავისუფლება .....	64
გამონათვის თავისუფლება.....	66
ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება .....	66

ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება .....	67
დისკრიმინაციის აკრძალვა .....	68
გადაადგილების თავისუფლება.....	71
ხელშეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა .....	72
მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა.....	76
დამოუკიდებლობა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.....	76
დამოუკიდებლობის კრიტერიუმები.....	78
კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო .....	78
სტაბილური კანონმდებლობა .....	83
საკანონმდებლო დამოუკიდებლობა.....	83
ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები.....	83
გარედან მომდინარე გავლენის არ არსებობა.....	86
მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებული ობიექტური გარანტიები .....	91
გარეგნული მხარის დოქტრინა.....	96
დამოუკიდებლობის შთაბეჭდილება.....	96
თანმხვედრი სასამართლო ფუნქციები იმავე საქმეში.....	98
კონვენციის სხვა უფლებებთან კავშირი.....	105
მიუკერძოებლობის პრინციპი .....	105
პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება.....	107
რელიგიის თავისუფლება .....	109
გამონათკის თავისუფლება.....	110
შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების დასაშვები შეზღუდვები.....	114
<b>ევროკავშირთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი.....</b>	<b>115</b>
ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ დადგენილი პრინციპები.....	115
იმ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომელიც ორ ხელშეკრულებას თანმიმდევრულად აწერს ხელს.....	115
ევროპული თანამეგობრობის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების დაუშვებლობა.....	115
ევროკავშირის სამართლის შესაბამისად, ეროვნული დონისძიებების განხორციელების გამო სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივრის შეტანის შესაძლებლობა.....	116
ვარაუდი, რომ ევროპული თანამეგობრობა უზრუნველყოფს ფუნდამენტური უფლებების დაცვას კონვენციით გათვალისწინებულ დონეზე.....	116
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპები .....	117
საჩივრის წარდგენა იმ ეროვნული დონისძიებების გამო, რომლის საფუძველზე სახელმწიფო აღასრულებს ევროპული თანამეგობრობის კანონმდებლობას .....	117



სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმ ხელშეკრულებიდან მომდინარე შედეგებზე, რომლის მიღებაშიც ის ჩართული იყო.....	117
ექვივალენტური დაცვა.....	118
დუბლინის რეგულაცია .....	120
დასაშვებობის კრიტერიუმები .....	123
წინასწარი გადაწყვეტილება.....	124
ევროპული დაკავების ორდერი.....	128
ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობების კონფიდენციალურობა .....	131
გამოხატვის თავისუფლება და ელექტრონული ვაჭრობა.....	132
გარემო.....	132
თარჯიმნის და თარგმნის უფლება სისხლის სამართლის პროცესში .....	134
საკრედიტო ხელშეკრულებები და მომხმარებლის დაცვა.....	134
<b>მშობლის უფლებები.....</b>	<b>136</b>
შვილად აყვანა.....	136
დაბადების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა.....	143
ახალშობილი ბავშვის საავადმყოფოდან გაუჩინარება .....	144
ფილიაცია .....	145
მშობლის უფლებამოსილება, ბავშვზე მეურვეობა და ურთიერთობის უფლებით სარგებლობა.....	155
ბავშვების სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ განთავსება.....	169

## COVID-19 ჯანმრთელობის კრიზისი

Covid-19 ჯანმრთელობის კრიზისთან დაკავშირებული საჩივრები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ბადებს კითხვებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რიგ დებულებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სიცოცხლის უფლების, წამების აკრძალვისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების, სამართლიანი სასამართლოს უფლების, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების, რელიგიის თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების, გაერთიანების თავისუფლების, საკუთრების დაცვისა და გადაადგილების თავისუფლების კუთხით.

### მსხვერპლის სტატუსი და დასაშვებობის კრიტერიუმები

#### ლე მილოუ საფრანგეთის წინააღმდეგ

#### **Le Mailloux v. France**

მოცემული საქმე ეხება მომჩივნის პრეტენზიას საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ Covid-19-ის კრიზისთან გამკლავებასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლზე (სიცოცხლის უფლება), მე-3 მუხლზე (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მე-8 მუხლსა (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და მე-10 მუხლზე (გამოხატვის თავისუფლება) დაყრდნობით მომჩივანი დავობდა სახელმწიფოს მარცხზე, შეესრულებინა მისი პოზიტიური ვალდებულება და დაეცვა ადამიანთა სიცოცხლე და მათი ფიზიკური განვითარება კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, იგი დავობდა დიაგნოსტიკური ტესტის ხელმისაწვდომობაზე, პრევენციულ ზომებსა და კონკრეტული ტიპის მკურნალობაზე, ასევე იმ პირთა პირად ცხოვრებაში ჩარევაზე, რომლებიც ილუპებოდნენ ვირუსის გამო.

პირველ რიგში, სასამართლომ იმსჯელა, რომ მართალია ჯანმრთელობის უფლება არ იყო იმ უფლებებს შორის, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მისი ოქმებით, თუმცა სახელმწიფოებს აკისრიათ პოზიტიური ვალდებულება, გადადგან შესაფერისი ნაბიჯები მათი იურისდიქციის ქვეშ არსებულ სიცოცხლეთა დასაცავად და დაიცვან მათი ფიზიკური მთლიანობა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს ჩათვლით. თუმცა, მოცემულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ მას არ უნდა განესაზღვრა, სახელმწიფომ დაარღვია თუ არა პოზიტიური ვალდებულება, შესაბამისად, ამ ნაწილში საჩივარი დაუშვებელი იყო. მართლაც, სასამართლომ შენიშნა, რომ მომჩივანი დავობდა საფრანგეთის მთლიან მოსახლეობაში Covid-19-ის გავრცელების აღკვეთასთან დაკავშირებით საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ გატარებულ ზომებზე, თუმცა არ მიუთითებდა იმას თუ როგორ დააზარალა ამ ფაქტმა იგი. მან გაიმეორა, რომ იგი არ ცნობს *actio popularis*: რაც გულისხმობს, რომ მომჩივნებს არ შეუძლიათ იდავონ ეროვნული კანონმდებლობის დებულებაზე, ეროვნულ პრაქტიკაზე ან უბრალოდ საჯარო აქტებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან ევროპულ კონვენციას. იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ იქნეს კონვენციის დარღვევის მსხვერპლად, 34-ე მუხლის შესაბამისად (ინდივიდუალური საჩივარი), დაინტერესებულმა პირმა უნდა შეძლოს მიუთითოს, რომ მას მიაღვა „პირდაპირი ზიანი“ ხსენებული გატარებული ზომების გამო და მან უნდა წარადგინოს შესაფერისი და დამარწმუნებელი მტკიცებულებები

იმისა, რომ სავარაუდოა პირადად მის მიმართ ზიანის არსებობა. მოცემულ საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი აბსტრაქტულად დავობდა იმ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც მიიღო საფრანგეთის მთავრობამ, Covid-19-ის ვირუსთან გასამკლავებლად. გარდა იმ ფაქტისა, რომ მან წარადგინა ეს საჩივრები მხოლოდ სასწრაფო საჩივრების მხარდასაჭერად საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს წინაშე, მას ასევე არ წარმოუდგენია რაიმე ინფორმაცია საკუთარ მდგომარეობაზე და ვერ განმარტა თუ როგორ შეიძლებოდა ეროვნული ხელისუფლების სავარაუდო ხარვეზებს უარყოფითი გავლენა მოეხდინათ მის ჯანმრთელობასა და პირად ცხოვრებაზე. უფრო მეტიც, სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ ოდესმე მომჩივანს უარს ეტყოდნენ დახმარებასა და ზრუნვაზე ზოგადად ჯანმრთელობის ზომების კონტექსტში, რასთან დაკავშირებითაც იგი დავობდა, მას ექნებოდა შესაძლებლობა კონვენციის ასეთ დარღვევაზე ედავა ეროვნულ სასამართლოებში. საქმის ამ გარემოებებში სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივარი შეიცავდა *actio popularis*, ამიტომ მომჩივანი ვერ იქნება მიჩნეული მსხვერპლად კონვენციის 34-ე მუხლის გაგებით.

### **ზამბრანო საფრანგეთის წინააღმდეგ Zambrano v. France**

მოცემული საქმე ეხება უნივერსიტეტის ლექტორს, რომელიც დავობდა საფრანგეთში 2021 წელს შემოღებულ „ჯანმრთელობის საშუალება“ და რომელმაც შექმნა საპროტესტო მოძრაობა მის წინააღმდეგ. საკუთარ ვებ-გვერდზე იგი სთავაზობდა ვიზიტორებს, რომ შეეცნოთ წინასწარ შევსებული ფორმა, რათა გაეზარდათ ევროპულ სასამართლოში საჩივართა რაოდენობა და ამდენად შეეტანათ კოლექტიური საჩივარი, ამასთან, საკმაოდ ცალსახად და ხაზგასმით მიუთითა, რომ მისი მიზანი იყო სასამართლოს „გადატვირთვა“ და მისი „საქმიანობის პარალიზების“ გამოწვევა „თუნდაც სასამართლოს შესასვლელი კარის იძულებით გაღებით“, რათა მომხდარიყო სისტემის მწყობრიდან გამოყვანა. მომჩივანი დავობდა N2021-689 და N2021-1040<sup>1</sup> კანონების შესახებ, რომლებიც, მისი აზრით, არსებითად მიზნად ისახავდა პირის იძულებით ვაქცინაციას. მან ასევე პრეტენზია გამოთქვა, რომ ჯანმრთელობის საშუალების სისტემის შექმნის მეშვეობით აღნიშნული კანონები შეიცავდნენ დისკრიმინაციულ ჩარევას პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.

სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო რამდენიმე მიზეზის გამო, კერძოდ შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების არამოწურვისა და იმ ფაქტების გამო, რომლებიც გულისხმობენ ინდივიდუალური საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებას კონვენციის 35-ე § 1-ლი და მე-3 პუნქტის (დასაშვებობის კრიტერიუმები), შესაბამისად. კერძოდ, სასამართლომ

---

<sup>1</sup> 2021 წლის 31 მაისის No.2021-689 კანონი საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო მდგომარეობიდან გამოსვლის გარდამავალი რეჟიმის შესახებ; იგი ძალაში იყო 2021 წლის 30 სექტემბრამდე სანამ პრემიერ მინისტრმა სხვა ზომებთან ერთად, შეზღუდა მგზავრობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა (მაგალითად, სახის ნიღბების ტარების მოთხოვნა) ან მაღაზიებში დამცავი ზომების დაწესება. მან ასევე შემოიღო „ჯანმრთელობის საშუალება“, რომელიც ძალაში იყო 2021 წლის 30 სექტემბრამდე, საფრანგეთში ჩამოსულ ან საფრანგეთიდან წამსვლელ საერთაშორისო მოგზაურთათვის და იმ ადგილებისთვის, რომლებსაც სტუმრობს დიდი რაოდენობით ხალხი (კინოები, თეატრები, მუზეუმები და ა.შ.) ან სავაჭრო ბაზრობები და მსგავსი ღონისძიებები.

2021 წლის 5 აგვისტოს მიღებული კანონით No.2021-1040 2021 წლის 15 ნოემბრამდე გახანგრძლივდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო მდგომარეობიდან გამოსვლის რეჟიმი და ასევე გახანგრძლივდა „ჯანმრთელობის საშუალების“ გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების სხვა სფეროებზე, სულ მცირე, 2021 წლის 15 ნოემბრამდე.

აღნიშნა, რომ მომჩივანს არ დაუყენებია ადმინისტრაციული სასამართლოების წინაშე საკითხი, შეესაბამება თუ არა 2021 წლის 5 აგვისტოს კანონი კონვენციის იმ დებულებებს, რომლებსაც იგი ეყრდნობოდა სასამართლოს წინაშე. მან აღნიშნა, რომ მომჩივანი, რომელმაც მიმართა საფრანგეთის უზენაეს სასამართლოს კანონის აღსრულების ან მისი გაუქმების შესახებ სასამართლო განხილვისთვის, შესაძლოა გამონაკლისის სახით ამტკიცებდეს, რომ კანონი შეუთავსებელი იყო კონვენციასთან თავისი არგუმენტების გასამყარებლად მისი გაუქმების შესახებ. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მომჩივნის მიდგომა აშკარად ეწინააღმდეგებოდა ინდივიდუალური შუამდგომლობის მიზანს. მან ასევე დაადგინა, რომ მისი მიდგომა მიმართული იყო კონვენციის სისტემისა და სასამართლოს ფუნქციონირების შელახვისაკენ, ვინაიდან ის ნაწილი, რომელსაც იგი აღწერდა როგორც „სამართლებრივ სტრატეგიას“, რეალურად კონვენციის სულისკვეთებისა და დასახული მიზნების საწინააღმდეგო იყო. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თითქმის 18,000 სტანდარტიზირებული საჩირავი, რომელიც შეტანილი იქნა მომჩივნის მიდგომის შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებდა 47-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის (ინდივიდუალური საჩივრის შინაარსი) სასამართლო წესების მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ წარმომადგენელს მიენიჭა დამატებითი დრო შესაბამისი მოთხოვნების შესასრულებლად. შესაბამისად, ისინი ვერ იქნებოდა განიხილული სასამართლოს მიერ.

სიცოცხლის და წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის უფლება

### **ფეილაზუ მალტას წინააღმდეგ Feilazoo v. Malta**

მოცემული საქმე ეხება, *inter alia*, ნიგერიელი მოქალაქის საიმიგრაციო პატიმრობის პირობებს, *დე ფაქტო* იზოლაციაში გატარებული დროისა და იმ პერიოდის ჩათვლით, როდესაც მომჩივანი იმყოფებოდა Covid-19-ის კარანტინში ახლადჩამოსულებთან ერთად.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევას მომჩივნის მიმართ არაადეკვატური პირობებისა და დაკავების საფუძველზე. კერძოდ, სასამართლო შეშფოთებული იყო მომჩივნის მტკიცებით, რომელიც არ უარყო მალტას მთავრობამ, რომ შემდგომი იზოლაციის პერიოდში იგი გადაყვანილ იქნა იგივე საცხოვრებელში სადაც ახლადჩამოსულები იმყოფებოდნენ Covid-19-ის კარანტინში. არ არსებობდა რაიმე ცნობა იმის შესახებ, რომ მომჩივანს ესაჭიროებოდა მსგავსი კარანტინი - კერძოდ იზოლაციის პერიოდის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა თითქმის შვიდი კვირა. ამდენად, გატარებული ზომა, რომლიდან გამომდინარე იგი რამდენიმე კვირა იმყოფებოდა კარანტინში ისეთ ადამიანებთან ერთად რომელთაც შეეძლოთ საფრთხე შეექმნათ მისი ჯანმრთელობისათვის, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძირეულ სანიტარულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ ღონისძიებად.

### **უნსალი და ტიმტიკი თურქეთის წინააღმდეგ**

#### **Ünsal da Timtik v. Turkey**

მოცემული საქმე ეხებოდა პატიმრობის პირობების შესაბამისობას იმ დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, რომელიც შიმშილობდა Covid-19-ის პანდემიის დროს და ასევე ეხება ხელისუფლების მიერ სიტუაციის მართვას.

სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. შესაბამისი ფაქტების საერთო შეფასებით, მანამდე წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მან დაასკვნა, რომ არსებული სიტუაცია არ იყო ისეთი, როდესაც დაკავებულთა საჭირო სამედიცინო დახმარება ან მკურნალობა საჭიროებდა სხვა ზომებს, გარდა მიღებული ზომებისა.

### **თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება**

### **ფენეჩი მალტას წინააღმდეგ**

#### **Fenech v. Malta**

2019 წლის ნოემბერში მომჩივანი დააკავეს და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს მკვლელობაში მონაწილეობის ეჭვის საფუძველზე. Covid-19 ვირუსის გავრცელების გამო, შემოღებულ იქნა ეროვნული ღონისძიებები, რამაც გამოიწვია სისხლის სამართლის პროცესის შეჩერება და ძალაში დარჩა კომპეტენტური ორგანოს ბრძანების გაუქმებამდე. ეროვნულმა სასამართლოებმა შეინარჩუნეს გადაუდებელი საქმეების ან მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის დისკრეცია. პროცესი განახლდა სამი თვის შემდეგ. მომჩივანმა გირაოს თაობაზე რამდენიმე წარუმატებელი განცხადება შეიტანა.

სასამართლომ მომჩივნების საჩივრები კონვენციის მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) საფუძველზე დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, იმოქმედა თუ არა ხელისუფლებამ სათანადო გულმოდგინებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი არ მიუთითებდა რაიმე ხარვეზზე, დაგვიანებაზე ან უმოქმედობაზე ხელისუფლების მხრიდან, გარდა იმ დროისა, როდესაც სამართალწარმოება შეჩერებული იყო გადაუდებელი ზომების გამო. ეს დროებითი შეჩერება კი გამოწვეული იყო გლობალური პანდემიის გარშემო არსებული გამონაკლისი გარემოებებიდან, რომლებიც, როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, ამართლებდა ასეთ კანონიერ ზომებს, რამდენადაც ისინი გამომდინარეობდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან. შესაბამისად, შეუძლებელია ითქვას, რომ განსაკუთრებული გულმოდგინების მოვალეობა არ იყო დაცული.

### **თერჰესი რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **Terheş v. Romania**

2019 წელს ევროპარლამენტის წევრად არჩეული მომჩივანი მიმდინარე მოვლენების დროს რუმინეთში იმყოფებოდა. საქმე ეხებოდა რუმინეთის მთავრობის მიერ მკაცრი იზოლაციის შესახებ ბრძანებას, 2020 წლის 24 მარტიდან 14 მაისამდე Covid-19 პანდემიასთან ბრძოლისათვის, რომელიც მოიცავდა შეზღუდვებს სახლიდან გასვლის შესახებ. მომჩივანი

ამტკიცებდა, რომ რუმინეთში დაწესებული მკაცრი იზოლაცია, რომელიც მისთვისაც სავალდებულო იყო, უტოლდებოდა თავისუფლების აღკვეთას.

სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო და დაადგინა, რომ იგი შეუთავსებელი იყო კონვენციის დებულებებთან, მან მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ზომა ვერ გაუტოლდებოდა შინაპატიმრობას. უფრო მეტიც, მომჩივნის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის დონე არ იყო ისეთი, რომ ხელისუფლების მიერ ნაბრძანები საყოველთაო მკაცრი იზოლაცია ჩაითვალოს თავისუფლების აღკვეთად. სასამართლოს აზრით, არ შეიძლება ითქვას, რომ მომჩივანს თავისუფლების უფლება ჩამოერთვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) მნიშვნელობით. მოცემულ საქმეში სასამართლომ ასევე მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ მომჩივანს არ განუმარტავს კონკრეტულად რა გავლენა მოახდინა გასაჩივრებულმა ზომებმა მის პირად მდგომარეობაზე. მას არ დაუმტკიცებია, რომ საგანგებო მდგომარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში იგი შენობაში იყო ჩაკეტილი. უფრო ზოგადად კი, სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანმა სასამართლოს არ მიაწოდა რაიმე კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც აღწერდა მისი ჩაკეტვის რეალურ გამოცდილებას.

### **ბაჰი ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **Bah v. Netherlands**

მოცემული საქმე ეხებოდა მომჩივნის, გვინეის მოქალაქის, პირადად ან ტელე ან ვიდეო კონფერენციით მისი საიმპერაციო სარჩელის განხილვის შეუძლებლობას, Covid-19 პანდემიით გამოწვეული თავდაპირველი ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო.

სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი და დაადგინა, რომ მომჩივანს ჰქონდა სამართალწარმოების უფლება კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის (დაკავების კანონიერების შესახებ სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უფლება) შესაბამისად და რომ წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით სამართალწარმოება აკმაყოფილებდა ამ დებულების მოთხოვნებს. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ რთული და გაუთვალისწინებელი პრაქტიკული პრობლემების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც იყო სახელმწიფო Covid-19 პანდემიის პირველი კვირების განმავლობაში, ის ფაქტი, რომ მომჩივანმა ისარგებლა შეჯიბრებითი სამართალწარმოებით რომლის დროსაც მას წარმოადგენდნენ და რომელსაც მოუსმინა სასამართლომ მისი ადვოკატის მეშვეობით, რომელიც ესწრებოდა სხდომას ტელეფონით და რომელთანაც მას ჰქონდა რეგულარული კონტაქტი, მომჩივნის სხვა შესაბამისი ძირითადი უფლებების მნიშვნელობა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზოგადი ინტერესი, დაკავების ორდერის შემოწმება სხდომაზე მისი დასწრების გარეშე პირადად ან ვიდეოკონფერენციით არ იყო შეუთავსებელი მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

### **სპინუ რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **Spînu v. Romania**

წინამდებარე საქმე ეხება მომჩივნის, პატიმრის, მეშვიდე დღის ადვენტისტთა ეკლესიის წევრის მიმართ რუმინეთის მთავრობის უარს, წასულიყო ბუქარესტის ეკლესიაში შაბათის ღვთისმსახურების ჩასატარებლად. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი

მოთხოვნა იმ მოტივით, რომ Covid-19-ის ეპიდემიის გამო ციხის გარეთ მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელი აქტივობების განხორციელება შეიძლებოდა და პატიმართა მორალური და რელიგიური დახმარება შეწყვეტილი იყო.

სასამართლომ საჩივრის შესახებ აცნობა რუმინეთის მთავრობას და მხარეებს დაუსვა კითხვები კონვენციის მე-9 მუხლის (რელიგიის თავისუფლება) საფუძველზე.

**მართლმადიდებლური საეკლესიო მორჩილების ასოციაცია საბერძნეთის წინააღმდეგ  
Association of orthodox ecclesiastical obedience v. Greece**

წინამდებარე საქმე ეხება კოლექტიური ღვთისმსახურების აკრძალვას Covid-19-ის პირობებში

სასამართლომ აცნობა საბერძნეთის მთავრობას საჩივრის შესახებ და მხარეებს დაუსვა კითხვები კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-9 მუხლის (რელიგიის თავისუფლება) საფუძველზე.

**მაგდიჩი ხორვატიის წინააღმდეგ**

**Magdić v. Croatia**

წინამდებარე საქმე ეხება ხორვატიის ხელისუფლების მიერ მიღებულ ზომებს Covid-19 ვირუსის გავრცელების პრევენციისათვის. მომჩივანი ამტკიცებს, რომ აღნიშნული ზომები არღვევდა მის უფლებას რელიგიის თავისუფლებაზე, შეკრების თავისუფლებასა და გადაადგილების თავისუფლებაზე.

სასამართლომ საჩივრის შესახებ შეატყობინა ხორვატიის მთავრობას და მხარეებს დაუსვა კითხვები კონვენციის მე-9 (რელიგიის თავისუფლება) და მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) ასევე კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლის (გადაადგილების თავისუფლება) შესაბამისად.

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

**COMMUNAUTE GENEVOISE D’ACTION SYNDICALE (CGAS) შვეიცარიის წინააღმდეგ  
Communauté genevoise d’action syndicale (CGAS) v. Switzerland**

წინამდებარე საქმე ეხება აქციების აკრძალვას Covid-19-ის პანდემიისას.

სტრასბურგის სასამართლომ საჩივრის შესახებ შეატყობინა შვეიცარიის მთავრობას და მხარეებს დაუსვა კითხვები კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრების თავისუფლება) შესაბამისად, წინასწარი კითხვებით მსხვერპლის სტატუსთან და შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით.

საკუთრების დაცვა

**ტორომაგ ს.რ.ო. სლოვაკეთის წინააღმდეგ და სხვა ოთხი საჩივარი  
Toromag, s.r.o. v. Slovakia and four other applications**

მომჩივნები არიან ფიტნეს ცენტრების მფლობელები, რომლებიც დაიხურა სლოვაკეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოს მიერ 2020 წლის მარტიდან ივნისამდე

მიღებული ზომების საფუძველზე, Covid-19 ვირუსის გავრცელების პრევენციისათვის. კერძოდ, ისინი დავობდნენ სავარაუდო მატერიალური ზიანის და სამომავლო შემოსავლის დაკარგვის, ისევე როგორც კლიენტურის დაკარგვის გამო.

სასამართლომ საჩივრების შესახებ აცნობა სლოვაკეთის მთავრობას და მხარეებს დაუსვა კითხვები კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) ფარგლებში, წინასწარი შეკითხვით შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით.

## დროებითი ღონისძიებები<sup>2</sup> სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მიხედვით

სასამართლომ მიიღო დაახლოებით 370 დროებითი ღონისძიების მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებულია Covid-19-ის ჯანმრთელობის კრიზისთან, ძირითადად, ციხეში მყოფი პირებისაგან ან თავშესაფრის მძიებლებისა და მიგრანტების მიმღებ ან/და დაკავების ცენტრებში მყოფი პირებისაგან, რომლებიც შეტანილ იქნა, კერძოდ, საბერძნეთის, იტალიის, საფრანგეთისა და თურქეთის წინააღმდეგ და ასევე სხვა ისეთი ქვეყნების წინააღმდეგ როგორებიცაა გაერთიანებული სამეფო და ესპანეთი. აღნიშნული მოთხოვნები ძალიან მრავალფეროვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის მოთხოვნები, როგორც წესი, ეხება დეპორტაციას ან ექსტრადიციას, 2020 წლის მარტის შუა რიცხვებიდან მიღებული მოთხოვნები ძირითადად ისეთი მომჩივნებისგანაა, რომლებიც სასამართლოსგან ითხოვენ დროებითი ღონისძიებების გატარებას მათი დაკავების ადგილიდან გამოსაშვებად ან.და ზომების მიღებას მათი ჯანმრთელობის Covid-19-ით ინფიცირების რისკისაგან დასაცავად.

უმეტეს შემთხვევაში, ეს არის ინდივიდუალური განაცხადები. ბევრ მათგანს უარი ეთქვა. რიგ სხვა საქმეებში სასამართლომ გადადო გადაწყვეტილების მიღება და ინფორმაცია მოითხოვა შესაბამისი მთავრობისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში, 39-ე წესი გამოყენებული იქნა ჩვეულებრივი კრიტერიუმების შესაბამისად, ძალიან მოწყვლადი პირების შემთხვევაში (მიუსაფარ არასრულწლოვანთა ან მძიმე სამედიცინო პირობების მქონე პირთა, განსაკუთრებით კი ორსული ქალების შემთხვევაში).

ზოგადი ზომების შესახებ მოთხოვნების მხოლოდ მცირე რაოდენობამ მიაღწია სასამართლოს (მაგალითად: გარკვეულ ქალაქებში მკაცრი იზოლაციის აღსრულება). ეს მოთხოვნები უარყოფილია.

---

<sup>2</sup> ეს არის ზომები, რომლებიც მიღებულ იქნა როგორც სამართალწარმოების პროცედურის ნაწილი, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, მხარის ან სხვა დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით, მხარეთა ან სხვათა ინტერესების გათვალისწინებით, სამართალწარმოების სწორად წარმართვისათვის. იხილეთ, ასევე საინფორმაციო ფურცელი „დროებითი ღონისძიებების“ შესახებ.



## თვალთვალი სამუშაო ადგილზე

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ითვალისწინებს, რომ:

*„1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.*

*2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“*

იმისათვის, რომ დადგინდეს, საჭირო იყო თუ არა ჩარევა ხელისუფლების მხრიდან მომჩივნების პირად ცხოვრებაში ან მიმოწერაში, დემოკრატიულ საზოგადოებაში და დამყარებული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი სხვადასხვა ინტერესებს შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს, იყო თუ არა ჩარევა კანონთან შესაბამისობაში, მისდევდა თუ არა იგი ლეგიტიმურ მიზანს ან მიზნებს და იყო თუ არა ამ მიზნის (მიზნების) პროპორციული.

ტელეფონისა და ინტერნეტის გამოყენების მონიტორინგი

### ჰალფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

#### **Halford v. the United Kingdom**

მომჩივანმა, რომელიც იყო უმაღლესი რანგის პოლიციელი ქალი გაერთიანებულ სამეფოში, დაიწყო დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმისწარმოება, მას მერე, რაც შვიდი წლის შემდეგ უარი ეთქვა დაწინაურებულიყო უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე იგი ამტკიცებდა, რომ მისი ოფისისა და სახლის სატელეფონო ზარები ისმინებოდა იმ მიზნით, რომ მასზე მიეღოთ ისეთი ინფორმაცია, რომელსაც მის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ სამართალწარმოების დროს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, მომჩივნის ოფისის ტელეფონებზე განხორციელებული ზარების მოსმენასთან დაკავშირებით. მან, პირველ რიგში, დაადგინა, რომ საუბრები რომელსაც მომჩივანი ახორციელებდა ოფისის ტელეფონის მეშვეობით, ექცეოდა „პირადი ცხოვრებისა“ და „კორესპონდენციის“ ცნებებში და შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლი გამოყენებადი იყო საჩივრის ამ ნაწილზე. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ არსებობდა გონივრული ვარაუდი იმისა, რომ მომჩივნის მიერ ოფისიდან განხორციელებული ზარების მოსმენას ახორციელებდა პოლიცია, რომლის მთავარი მიზანი იყო მასალების შეგროვება მათ წინააღმდეგ აღძრული სქესობრივი დისკრიმინაციის საქმისწარმოებისთვის. აღნიშნული მოსმენა წარმოადგენდა საჯარო ხელისუფლების მიერ მომჩივნის პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის პატივისცემის უფლების განხორციელებაში ჩარევას. და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ 1985 წლის

კომუნიკაციების მოსმენის აქტი არ ვრცელდებოდა შიდა საკომუნიკაციო სისტემებზე, რომელსაც საჯარო ხელისუფლება მართავს და რომ შიდა კანონმდებლობაში სხვა დებულება არ არსებობდა, რომელიც ასეთ სისტემებზე განხორციელებული სატელეფონო ზარების მოსმენას არეგულირებდა. შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩარევა იყო „კანონის შესაბამისი“, ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობა არ უზრუნველყოფდა პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის პატივისცემის უფლებაში პოლიციის ჩარევისაგან მომჩივნის ადეკვატურ დაცვას. წინამდებარე საქმეში სასამართლომ ასევე დაადგინა, კონვენციის მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) დარღვევა და აღნიშნა, რომ მომჩივანს არ შეეძლო მოეთხოვა დახმარება ეროვნულ დონეზე მის საჩივართან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საოფისე ტელეფონებს, მეორე მხრივ სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლები მომჩივნის სახლიდან განხორციელებულ ზარებთან მიმართებაში, ვინაიდან, მან ვერ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ჩარევას, კომუნიკაციებთან დაკავშირებით.

### კოპლანდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

#### Copland v. the United Kingdom

მომჩივანი დასაქმებული იყო კარმარზენშირის კოლეჯში, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ მართულ იურიდიულ პირს. 1995 წელს იგი გახდა კოლეჯის დირექტორის პირადი ასისტენტი და მოეთხოვებოდა ახლო თანამშრობლობა ახლად დანიშნულ მოადგილესთან. იგი სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ კოლეჯში მისი დასაქმების პერიოდში ხორციელდებოდა მისი ტელეფონის, ელექტრონული ფოსტისა და ინტერნეტის გამოყენების მონიტორინგი დირექტორის მოადგილის წაქეზებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა, რომ მისი პრეცედენტული სამართლის თანახმად, სამუშაო ადგილის შენობიდან სატელეფონო ზარები *prima facie* ექცევა „პირადი ცხოვრებისა“ და „კორესპონდენციის“ ცნებებში. ლოგიკურად, სამსახურიდან გამოგზავნილი ელ. ფოსტაც დაცული უნდა იყოს ანალოგიურად, ისევე როგორც ინფორმაცია რომელიც მიღებულია პირადი ინტერნეტის მოხმარების მონიტორინგის შედეგად. რაც შეეხება მომჩივანს, მას არ მიუღია გაფრთხილება, რომ ხორციელდებოდა მისი ზარების მონიტორინგი და შესაბამისად, ჰქონდა გონივრული მოლოდინი, რომ სამუშაო ტელეფონიდან განხორციელებული ზარები კონფიდენციალური იყო. იგივე მოლოდინი ჰქონდა ელექტრონულ ფოსტასა და ინტერნეტის გამოყენებაზე. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ კოლეჯმა შესაძლოა ლეგიტიმურად მოიპოვა ხსენებული მონაცემები, სატელეფონო გადასახადების სახით, არ აბრკოლებდა ჩარევის არსებობას. არც ის ფაქტი იყო რელევანტური, რომ ის არ გაუმჟღავნებიათ მესამე პირისათვის ან არ გამოუყენებიათ მომჩივნის წინააღმდეგ დისციპლინურ ან სხვა სამართალწარმოებაში. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიერ ტელეფონის, ელ. ფოსტისა და ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის შეგროვება და შენახვა, ამის ცოდნის გარეშე, უტოლდებოდა მის პირად ცხოვრებასა და პატივისცემის უფლებაში ჩარევას. წინამდებარე საქმეში, სანამ ღიად ვტოვებთ იმ კითხვას, შეიძლება თუ არა თანამშრომლის მიერ სამუშაო ადგილზე ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტის გამოყენების მონიტორინგი, გარკვეულ შემთხვევებში,

ჩათვალოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლომ დაასკვნა, რომ რაიმე შიდასახელმწიფოებრივი კანონის არარსებობის გამო, რომელიც არეგულირებს მონიტორინგს, იმ დროისათვის ჩარევა არ იყო „კანონის შესაბამისი“. კონვენციის მე-8 მუხლზე გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა ამ საქმეში განეხილა მომჩივნის საჩივარი მე-13 მუხლთან (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) დაკავშირებით.

### **ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **Bărbulescu v. Romania**

წინამდებარე საქმე ეხებოდა კერძო კომპანიის გადაწყვეტილებას თანამშრომლის - მომჩივნის - გათავისუფლების შესახებ, მისი ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგისა და მათ შინაარსზე წვდომის შემდეგ. მომჩივანი დავობდა, რომ მისი დამსაქმებლის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მისი პირადი ცხოვრების დარღვევას და რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაიცვეს მისი პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის პატივისცემის უფლება.

დიდმა პალატამ თერთმეტი ხმით ექვსის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას და დაადგინა, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ ადეკვატურად ვერ დაიცვა მომჩივნის პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის პატივისცემის უფლება. შესაბამისად, მათ ვერ დაამყარეს სამართლიანი ბალანსი სასწორზე მყოფ ინტერესებს შორის. კერძოდ, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს, მიიღო თუ არა მომჩივანმა დამსაქმებლისაგან წინასწარ ინფორმაცია კომუნიკაციების შესაძლო მონიტორინგის შესახებ; მათ არ გაითვალისწინეს არც ის ფაქტი, რომ იგი ინფორმირებული არ იყო მონიტორინგის ხასიათის ან მასშტაბის შესახებ, ან მის პირად ცხოვრებასა და მიმოწერაში შეჭრის ხარისხის შესახებ. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს, უპირველესად, კონკრეტული მიზეზები, რომლებიც ამართლებდნენ მონიტორინგის ღონისძიებებს; მეორეც, შეეძლო თუ არა დამსაქმებელს გამოეყენებინა ზომები, რომლებიც მოიცავდა მომჩივნის პირად ცხოვრებასა და მიმოწერაში ნაკლებ ჩარევას; და მესამე, შეიძლებოდა თუ არა კომუნიკაციებზე წვდომა მისი ინფორმირებულობის გარეშე.

სამუშაო კომპიუტერზე შენახული პერსონალური ფაილების გახსნა

### **ლიბერთი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Libert v. France**

წინამდებარე საქმე ეხებოდა SNCF-ის (საფრანგეთის ეროვნული რკინიგზის კომპანიის) თანამშრომლის გათავისუფლებას მას შემდეგ, რაც მისი სამუშაო კომპიუტერის ჩამორთმევის შედეგად აღმოაჩინეს, რომ შენახული ჰქონდა პორნოგრაფიული მასალები და მესამე პირებისათვის ამზადებდა ყალბ სერთიფიკატებს. კერძოდ, მომჩივანი დავობდა, რომ დამსაქმებელმა მისი სამუშაო კომპიუტერის მყარ დისკზე შენახული პერსონალური მასალები გახსნა მისი არყოფნის დროს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას და რომ საფრანგეთის მთავრობას არ გადაუღალახავს მათთვის ხელმისაწვდომი შეფასების ზღვარი. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის დამსაქმებლის ქმედებას გააჩნდა ლეგიტიმური

მიზანი იმ დამსაქმებლის უფლებების დასაცავად, რომელსაც შესაძლოა კანონიერად სურდეს იმის უზრუნველყოფა, რომ მათი თანამშრომლები იყენებდნენ კომპიუტერულ აღჭურვილობას, რომელსაც ისინი განკარგავდნენ მათი სახელშეკრულებო ვალდებულებებისა და მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა მოიცავდა კონფიდენციალურობის დაცვის მექანიზმს, რომელიც დამსაქმებლებს საშუალებას აძლევს გახსნან საბუთო ფაილები, თუმცა მათ არ შეეძლოთ გაეხსნათ მასალები, რომლებიც იდენტიფიცირებულია პირად მასალებად. მათ შეეძლოთ ამ უკანასკნელი ტიპის მასალების გახსნა მხოლოდ თანამშრომლის თანდასწრებით. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ აღნიშნული მექანიზმი ხელს არ შეუშლიდა დამსაქმებელს სადავო მასალების გახსნაში, ვინაიდან ისინი სათანადოდ არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც კერძო მასალები. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ შეაფასეს მომჩივნის ბრალდება მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შესახებ და რომ სასამართლოების გადაწყვეტილებები იყო რელევანტური და საფუძლიანი.

ვიდეო თვალთვალი

### **კოფკე გერმანიის წინააღმდეგ Köpke v. Germany**

მომჩივანი, სუპერმარკეტის მოლარე, გაფრთხილების გარეშე გაათავისუფლეს სამსახურიდან ქურდობის გამო, მას შემდეგ რაც მისმა დამსაქმებელმა კერძო დეტექტიური სააგენტოს დახმარებით განახორციელა ფარული ვიდეოთვალთვალი. მან წარუმატებლად გაასაჩივრა სამსახურიდან გათავისუფლება შრომითი დავების სასამართლოში. ასევე არ დაკმაყოფილდა მისი კონსტიტუციური სარჩელი.

სასამართლომ დაუშვებლად გამოაცხადა მომჩივნის საჩივარი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებაში და დაადგინა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ დაამყარა სამართლიანი ბალანსი, დასაქმებულის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას - რომ დაცული ყოფილიყო მისი საკუთრება და საჯარო ინტერესებს შორის, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებისას. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ღონისძიება იყო დროში შეზღუდული (ორი კვირა) და მოიცავდა მხოლოდ სალაროს მიმდებარე ტერიტორიას და ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისათვის. მიღებული ვიზუალური მონაცემები დამუშავებული იყო დეტექტივის სააგენტოში მომუშავე შეზღუდული რაოდენობის პირებისა და დამსაქმებლის პერსონალის მიერ. ისინი გამოიყენებოდა მხოლოდ მისი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან კავშირში და სასამართლოს წინაშე საქმის განხილვისას. აქედან გამომდინარე, მან დაასკვნა, რომ მომჩივნის პირად ცხოვრებაში ჩარევა შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რაც აუცილებელი იყო ვიდეო თვალთვალის მიზნების მისაღწევად. თუმცა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმეში კონკურენტ ინტერესებს შესაძლოა განსხვავებული წონა მიენიჭოს მომავალში, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შესაძლებელი გახდება პირად ცხოვრებაში შეჭრა ახალი და მეტად დახვეწილი ტექნოლოგიებით.

## **ანტოვიჩი და მირკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ**

### **Antović and Mirković v. Montenegro**

წინამდებარე საქმე ეხებოდა მონტენეგროს უნივერსიტეტის მათემატიკის სკოლის ორი პროფესორის მიერ წარდგენილ საჩივარს, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც დაიწყო ვიდუოთვალთვალი იმ ადგილებში სადაც ისინი ასწავლიდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ ეფექტური კონტროლი შეგროვებულ ინფორმაციაზე და რომ თვალთვალი უკანონო იყო. ადგილობრივმა სასამართლოებმა უარყვეს კომპენსაციის მოთხოვნა, თუმცა დაადგინეს, რომ პირადი ცხოვრების საკითხი არ იყო სადავო, ვინაიდან ის აუდიტორიები სადაც მომჩივნები ასწავლიდნენ იყო საჯარო ადგილები.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას და დაადგინა, რომ კამერით თვალთვალი არ იყო კანონის შესაბამისი. პირველ რიგში, მან უარყო მთავრობის არგუმენტი, რომ საქმე დაუშვებელი იყო, პირადი ცხოვრების საკითხის საფრთხის ქვეშ არყოფნის გამო, რადგან საბუშო ტერიტორია, რომელზეც ვრცელდებოდა მეთვალყურეობა იყო საჯარო. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მის მიერ ადრე დადგენილი იქნა, რომ პირადი ცხოვრება შეიძლება მოიცავდეს პროფესიულ საქმიანობას და ასე იყო მომჩივნის შემთხვევაშიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა მე-8 მუხლი. საქმის არსებითად განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ კამერით თვალთვალი იყო მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა და რომ მტკიცებულებები აჩვენებდა, რომ თვალთვალი არღვევდა ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს. მართლაც, ეროვნული სასამართლოები არასდროს განიხილავდნენ თვალთვალის რაიმე სამართლებრივ გამართლებას, ვინაიდან ადგილი არ ჰქონია კონფიდენციალურობის ხელყოფას.

## **ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ**

### **López Ribalda and Others v. Spain**

აღნიშნული საქმე ეხებოდა თანამშრომლების ფარულ ვიდუოთვალთვალს, რასაც მათი სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვა. მომჩივნები დავობდნენ ფარული ვიდუოთვალთვალის და ესპანეთის სასამართლოების მიერ მოპოვებული მონაცემების გამოყენებაზე იმის დასადგენად, რომ მათი გათავისუფლება სამართლიანი იყო. მომჩივნები რომლებმაც ხელი მოაწერეს მორიგების ხელშეკრულებებს, ასევე დავობდნენ, რომ შეთანხმებები ვიდუო თვალთვალის შესახებ გაფორმდა იძულებით და არ უნდა მიეღოთ იმის მტკიცებულებად, რომ გათავისუფლება იყო სამართლიანი.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ხუთ მომჩივანთან მიმართებაში ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. კერძოდ, მან დაადგინა, რომ ესპანეთის სასამართლოებმა გულდასმით დააბალანსეს მომჩივნების - ქურდობაში ეჭვმიტანილი სუპერმარკეტის თანამშრომლების - და დამსაქმებლების უფლებები და საფუძვლიანად გამოიკვლიეს ვიდუოთვალთვალის გამართლება. მომჩივნების მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ მათ არ მიეცათ წინასწარი შეტყობინება მეთვალყურეობის შესახებ, მიუხედავად ასეთი სამართლებრივი მოთხოვნისა, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა ასეთი ღონისძიებების მკაფიო დასაბუთება, სერიოზული გადაცდომისა და გონივრული ეჭვის გამო, ზარალზე, ღონისძიებების მასშტაბებისა და შედეგების გათვალისწინებით. მგვარად, წინამდებარე საქმეში ეროვნულ სასამართლოებს

არ გადაუჭარბებიათ თავიანთი დისკრეციის უფლებამოსილებისათვის (თავისუფალი შეფასების ფარგლები), როდესაც მონიტორინგი მიიჩნეის პროპორციულად და ლეგიტიმურად. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევას, კერძოდ, დაადგინა, რომ ვიდეო მასალის მტკიცებულებად გამოყენებას არ შეურყევეია სასამართლო საქმისწარმოების სამართლიანობა.

## ჟურნალისტური წყაროების დაცვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ ინფორმაციისა და იდეების შინაარსს, არამედ მათი გავრცელების გზებსაც. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში პრესას ენიჭება დაცვის ყველაზე ფართო მასშტაბი და მათ შორის, ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალურობის დაცვას.

„ჟურნალისტის ინფორმაციის წყაროს დაცვა პრესის თავისუფლების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. ამგვარი დაცვის გარეშე, ჟურნალისტთა წყაროებს შეიძლება ხელი შეეშალოს, დაეხმარონ პრესას საზოგადოების ინფორმირებაში საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე. შედეგად, პრესის, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის როლი შეიძლება დაკნინდეს და ხელყოფილ იქნეს პრესის უნარი, უზრუნველყოს ზუსტი და სანდო ინფორმაცია. გადაწყვეტილება ჟურნალისტის წყაროს გამჟღავნების შესახებ ვერ იქნება კონვენციის მე-10 მუხლთან თავსებადი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესების მოთხოვნით.“ (გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1996 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, §39)

ჟურნალისტის ვალდებულება, გაამჟღავნოს ჟურნალისტური წყაროები/ჟურნალისტური წყაროების დაცვის სავარაუდო წარუმატებლობა.

ჟურნალისტები, რომლებიც ვალდებულნი არიან გაამჟღავნონ ჟურნალისტური წყაროები/ჟურნალისტური წყაროების დაცვის სავარაუდო წარუმატებლობა

### გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

#### **Goodwin v. the United Kingdom**

მოცემული საქმე შეეხებოდა ჟურნალისტის (რომელიც მუშაობდა გაზეთ *The Engineer*-სთვის) მიმართ გაცემულ ბრძანებას, რომლის საფუძველზეც მისგან მოითხოვდნენ, გაემჟღავნებინა კომპანიის კონფიდენციალური კორპორატიული გეგმის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი წყაროს ვინაობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით არ არსებობდა პროპორციულობის გონივრული კავშირი ლეგიტიმურ მიზანსა (რომელიც მიიღწეოდა გამჟღავნების ბრძანებით) და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის. მომჩივნისთვის როგორც იმის დავალდებულება, რომ გაემხილა ინფორმაციის წყარო და ასევე ამ ვალდებულებაზე უარის თქმისათვის დაწესებული ჯარიმა არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლებას.

### **Nordisk Film & TV A/S დანიის წინააღმდეგ**

#### **Nordisk Film & TV A/S v Denmark**

მოცემული საქმე ეხებოდა, ჟურნალისტის მიერ მოპოვებული მასალების გამჟღავნების ბრძანებას, რომელიც დანიაში პედოფილიის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღებისას ფარულად გაწვერიანდა პედოფილითა გაერთიანებაში.

სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო, როგორც ამკარად დაუსაბუთებელი. კერძოდ, მან დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების ბრძანება იყო ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებაში პროპორციული ჩარევა, რაც გამართლებული იყო დანაშაულის პრევენციისათვის, განსაკუთრებით ბავშვზე ძალადობის სერიოზულ საქმესთან დაკავშირებით.

### **ვოსკუილი ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **Voskuil v. the Netherlands**

მომჩივანს, ჟურნალისტს, შეეზღუდა უფლება არ გაემჟღავნებინა საკუთარი ორი სტატიის წყარო, რომლებიც მან დაბეჭდა გაზეთში იარაღით ვაჭრობის ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიებასთან დაკავშირებით და ასევე იგი დააკავებელი იყო ორ კვირაზე მეტი ხნით, რათა ასე მოქცევა ეძულეებინათ.

სასამართლომ დაადგინა, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა, ვინაიდან, ნიდერლანდების ხელისუფლების ინტერესი, რომ გაეგო მომჩივნის წყაროს ვინაობა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ გადაეფარა მომჩივნის წყაროს დამალვის ინტერესი. მან ასევე, მომჩივნის საქმეში, დაადგინა კონვენციის 5§1 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დარღვევა.

### **შპს Financial Times და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**

#### **Financial Times Ltd and Others v. United Kingdom**

წინამდებარი საქმე ეხებოდა ოთხი ბრიტანული გაზეთის და ახალი ამბების სააგენტოს მიერ წარდგენილ საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ დაევალებათ გადაეცათ დოკუმენტები *Interbrew*-სთვის, ბელგიური ლულის კომპანიისათვის. ასეთ მოქმედებას კი შესაძლოა გამოეწვია ჟურნალისტური წყაროების იდენტიფიკაცია, საიდანაც შესყიდვის შეთავაზების შესახებ ინფორმაციამ პრესაში გაჟონა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. ხოლო განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა მსუსხავი ეფექტი, რომელიც წარმოიქმნა მაშინ, როდესაც ჟურნალისტებმა გაწიეს დახმარება წყაროს იდენტიფიკაციაში. მან დაადგინა, რომ სამომავლოდ კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებით გამოწვეული ზიანის პრევენციის ინტერესები და წარსულში ნდობის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების ინტერესები, თუნდაც ისინი კუმულატიურად იყოს განხილული არაა საკმარისი, რათა გადაწონოს ჟურნალისტური წყაროს დაცვის საზოგადოებრივი ინტერესი.

### **სანომა უიტგევერს ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **Sanoma Uitgevers B.V v. the Netherlands**

წინამდებარე საქმე ეხებოდა ფოტოებს, რომლებიც გამოიყენებოდა უკანონო ავტორბოლის შესახებ სტატიისათვის და რომელიც ჰოლანდიური ჟურნალის გამომცემელმა კომპანიამ იძულებით გადასცა პოლიციას (რომელიც იძიებდა სხვა დანაშაულს), მიუხედავად



ჟურნალისტების მტკიცე წინააღმდეგობისა, არ გაემჟღავნებინათ მასალა რომელსაც შეეძლო კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირება.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი კომპანიის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო „კანონით დადგენილი“, ვინაიდან არ არსებობდა მომჩივანი კომპანიისათვის ხელმისაწვდომი პროცედურა ადეკვატური სამართლებრივი გარანტიებით, რათა დამოუკიდებლად შეეფასებინა აჭარბებს თუ არა სისხლის სამართლის გამოძიების ინტერესი ჟურნალისტური წყაროების დაცვის საზოგადოებრივ ინტერესს. ამდენად, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

### **Telegraaf Media Nederland Landelijke Media B.V. and Others და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **Telegraaf Media Nederland Landelijke Media B.V. and Others v. the Netherlands**

მომჩივანი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დარეგისტრირებულია ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად, მასობრივი ტირაჟის ყოველდღიური გაზეთის *De Telegraaf*-ის გამომცემელი და ორი ჟურნალისტი - დავობდნენ დოკუმენტების გადაცემის ბრძანებაზე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იყო ჟურნალისტური წყაროების იდენტიფიცირება და ასევე დავობდნენ სახელმწიფოს მიერ სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებაზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-10 მუხლის დარღვევა ორ ჟურნალისტთან მიმართებაში, კერძოდ, განაცხადა, რომ ნიდერლანდების შესაბამისი კანონი არ ითვალისწინებდა სათანადო გარანტიებს მათ წინააღმდეგ გამოყენებული თვალთვალის უფლებამოსილების მიმართ, მათი ჟურნალისტური წყაროების აღმოჩენის მიზნით. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას საგამომცემლო კომპანიისათვის დოკუმენტების გადაცემის ბრძანების ნაწილში. კერძოდ, მან აღნიშნა ჟურნალისტური წყაროების პრესის თავისუფლების დაცვის მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ეფექტი, რაც შეიძლება ჰქონდეს წყაროს გამჟღავნების ბრძანებას ამ თავისუფლების განხორციელებაზე და დაადგინა, რომ დოკუმენტების გადაცემის ბრძანება არ გაამართლა იმის საჭიროებამ, რომ იმ საიდუმლო სამსახურის თანამდებობის პირების იდენტიფიცირება მოეხდინათ, რომლებმაც საიდუმლო დოკუმენტები მიაწოდეს მომჩივანს.

### **ბეკერი ნორვეგიის წინააღმდეგ**

#### **Becker v. Norway**

მოცემული საქმე ეხებოდა ჟურნალისტს, რომელსაც უბრძანეს ჩვენების მიცემა სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც აღძრული იყო მისი ერთ-ერთი წყაროს, ბატონი X-ის წინააღმდეგ ბაზრის მანიპულაციისათვის. ბატონმა X-მა დაუდასტურა პოლიციას, რომ იგი მართლაც იყო ჟურნალისტის სტატიის წყარო, რომელიც დაიწერა 2007 წელს ნორვეგიის ნავთობკომპანიის სავარაუდო მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე. შემდგომში მას ბრალი წაუყენეს მომჩივნის გამოყენებისთვის ფინანსური ბაზრით მანიპულირების მიზნით. მომჩივანმა უარი განაცხადა პროცესის ნებისმიერ ეტაპზე ბატონი X-ის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, ამდენად სასამართლომ უბრძანა მას ჩვენება მიეცა მისი და X-ის ურთიერთობის შესახებ, რადგან აღარ

არსებობდა დასაცავი წყარო, რამდენადაც იგი უკვე გამჟღავნებული იყო. მათ ასევე მიიჩნიეს, რომ მისი ჩვენება მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა სასამართლოებს საქმის გამორკვევაში. თუმცა, ბატონი X მიჩნეული იქნა დამნაშავედ მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ მომჩივნის მიერ ჩვენების მიცემის ვალდებულებასთან დაკავშირებით. მომჩივანი დავობდა გადაწყვეტილების თაობაზე, რომელიც მას ავალდებულებდა საკუთარ წყაროზე მიეცა ჩვენება, იმის მტკიცებით, რომ შედეგად ასევე სხვა წყაროების იდენტიფიცირების დიდი შანსი არსებობდა. იგი ასევე დავობდა იმაზე, რომ მოცემულ საქმეში არ არსებობდა მისი წყაროს წინააღმდეგ მისთვის ჩვენების ჩამორთმევის აუცილებლობა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. მან განაცხადა, რომ მისი შეფასება, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობოდა იმას იყო თუ არა საჭირო მომჩივნის მტკიცებულებები სისხლის სამართლის გამოძიებისა და მისი წყაროს წინააღმდეგ მიმდინარე შემდგომი სასამართლო პროცესის დროს. მან ასევე აღნიშნა, რომ წყაროს (წყაროების) გამჟღავნებაზე მის უარს არც ერთ ეტაპზე არ შეუფერხებია გამოძიება ან სამართალწარმოება ბატონი X-ის წინააღმდეგ. მართლაც, პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც ბატონი X გაასამართლა, პროკურორმა აცნობა, რომ არ დაუყენებიათ შუამდგომლობა განხგრძლივების თაობაზე (ჩვენების მიცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინში), რადგან საქმე საკმარისად იყო გამჟღავნებული ქ-ნი ბეკერის განცხადების გარეშე. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა ისიც, რომ მომჩივნის ჟურნალისტური მეთოდები არასდროს დაუყენებიათ კითხვის ნიშნის ქვეშ და რომ იგი არასდროს დაუდანაშაულებიათ არაკანონიერ ქმედებაში. ასევე, შეუძლებელია მისი უფლება წყაროს კონფიდენციალურად შენახვის შესახებ ჩამოერთვას მას წყაროს ქცევის გამო ან იმიტომ, რომ წყაროს ვინაობა ცნობილი გახდა. ამიტომ სასამართლო დარწმუნებული არ იყო, რომ წინამდებარე საქმეში არსებული გარემოებები და მოყვანილი მიზეზები ამართლებდნენ მომჩივნის ჩვენების მიცემას.

### **ჯეკერი შვეიცარიის წინააღმდეგ**

#### **Jecker v. Switzerland**

მოცემულ საქმეში მომჩივანმა, ჟურნალისტმა, განაცხადა, რომ იგი იძულებული იყო ჩვენება მიეცა ნარკოტიკებით ვაჭრობის საქმის სისხლისსამართლებრივი გამოძიებისას და რომ მას ხელისუფლება ავალბდა გაემჟღავნებინა წყაროს ვინაობა, მას შემდეგ, რაც გაზეთში გამოქვეყნდა მისი სტატია მსუბუქი ნარკოტიკებით მოვაჭრეზე, რომელმაც მას ინფორმაცია მიაწოდა. იგი დავობდა მის უფლებაში, რომ არ გაემხილა წყაროები, გაუმართლებელ ჩარევაზე. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა მომჩივანთან მიმართებაში. მან აღნიშნა, რომ შვეიცარიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს არ შეეძლო უფლებაზე დაყრდნობა ჩვენებაზე უარის თქმის მიზნით, ვინაიდან მსუბუქი ნარკოტიკებით ვაჭრობა იყო მძიმე დანაშაული. საპირწონე ინტერესებს შორის კანონმდებლობით დადგენილი ბალანსის დაცვაზე მითითებით, ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნარკოდანაშაულის დამამძიმებელ დანაშაულთან მიმართებაში საზოგადოების ინტერესი აღემატება წყაროს დაცვის ინტერესს. ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტური წყაროების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით პრესის თავისუფლების დაცვისათვის მოთხოვნის

წყენება, რომ გაამჟღავნოს ჟურნალისტური წყაროები არ შეიძლება ყოფილიყო კონვენციის მე-10 მუხლთან თავსებადი მანამ, სანამ იგი გამართლებული არ იქნებოდა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. მოცემულ საქმეში ჩარევის დაწესება საკმარისი არ იყო, ვინაიდან აღნიშნული დანაშაული მიეკუთვნებოდა კონკრეტულ კატეგორიას ან ჩადენილი იყო ზოგადი თვალსაზრისით ჩამოყალიბებული სამართლებრივი წესით; სამაგიეროდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს აუცილებელი იყო კონკრეტული გარემოებების გამო. თუმცა, ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ საქმე გადაწყვიტა საკანონმდებლო ორგანოს მიერ ზოგადი და აბსტრაქტული თვალსაზრისით დადგენილ გაწონასწორების მექანიზმზე დაყრდნობით. ამდენად, მის დადგენილებას არ შეიძლება მივყავდეთ იმ დასკვნამდე, რომ მოძიებისთვის ჩვენების მიცემის ბრძანება აკმაყოფილებდა საჯარო ინტერესის ძირითად მოთხოვნას. შესაბამისად, ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ვერ წარმოადგინა საკმარისი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული ღონისძიება შეესაბამებოდა მწვავე სოციალურ საჭიროებას და რომ მოძიების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

### **Big Brother Watch და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ Big Brother Watch and Others v. The United Kingdom**

მოცემული საჩივრები სასამართლოში შეტანილ იქნა მას შემდეგ რაც ელვარდ სნოუდენმა გაამჟღავნა ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული სათვალთვალო და უშიშროების პროგრამებით ინფორმაციის გაზიარების ფაქტები. მოცემული საქმე შეიცავდა ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების საჩივრებს სამ განსხვავებულ სათვალთვალო რეჟიმთან მიმართებით: (1) კომუნიკაციებში ჩარევა; (2) უცხოური მთავრობებისა და სადაზვერვო უწყებების სასაზღვრო მასალის მიღება; (3) საკომუნიკაციო მონაცემების მიღება საკომუნიკაციო სერვისების პროვაიდერებისგან.

დიდმა პალატამ ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა მასობრივი მოსმენის რეჟიმთან მიმართებით; ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა საკომუნიკაციო მომსახურების მომწოდებლებისაგან საკომუნიკაციო მონაცემების მიღების რეჟიმთან მიმართებაში; 12 ხმით ხუთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი გაერთიანებული სამეფოს რეჟიმთან მიმართებაში უცხოური მთავრობებისა და სადაზვერვო უწყებების სასაზღვრო მასალის მიღების შესახებ; ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა, როგორც მასობრივი მოსმენის რეჟიმთან ისე საკომუნიკაციო მომსახურების მომწოდებლებისაგან საკომუნიკაციო მონაცემების მიღების რეჟიმთან მიმართებაში; და 12 ხმით ხუთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი უცხოური მთავრობებისა და სადაზვერვო უწყებებისგან მოსმენილი მასალის მოთხოვნის რეჟიმთან მიმართებაში. კერძოდ, მოცემულ საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მრავალი საფრთხის გამო, რომლებსაც სახელმწიფოები აწყდებიან თანამედროვე საზოგადოებაში, მასობრივი მოსმენის რეჟიმი თავისთავად არ არღვევდა კონვენციას. თუმცა, ასეთი რეჟიმი უნდა დაექვემდებაროს „თავიდან ბოლომდე გარანტიებს“, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ დონეზე პროცესის თითოეულ ეტაპზე უნდა შეფასდეს განხორციელებული ღონისძიებების აუცილებლობა და პროპორციულობა; რომ მასობრივი მოსმენა თავიდანვე უნდა

დაექვემდებაროს დამოუკიდებელ ავტორიზაციას, როდესაც განისაზღვრება ოპერაციის ობიექტი და ფარგლები; და რომ ოპერაცია უნდა დაექვემდებაროს ზედამხედველობას და დამოუკიდებელ *ex post facto* განხილვას. გაერთიანებულ სამეფოში განხორციელებული მასობრივი მოსმენის რეჟიმის გათვალისწინებით სასამართლომ გამოყო შემდეგი ხარვეზები: მასობრივი მოსმენა ავტორიზებული იყო სახელმწიფო მდივნის მიერ და არა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს მიერ; საძიებო ტერმინების კატეგორია, რომლებიც განსაზღვრავენ ისეთი კომუნიკაციის ტიპებს, რომელიც გამოიყენებოდა ექსპერტიზაზე არ იყო შეტანილი ბრძანების განცხადებაში; და პირთან დაკავშირებული საძიებო ტერმინები (კონკრეტული იდენტიფიკატორები, ისეთი როგორცაა, ელექტრონული ფოსტის მისამართი) არ ექვემდებარებოდა წინასწარ შიდა ავტორიზაციას. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მასობრივი მოსმენის რეჟიმს არ ჰქონდა ჟურნალისტური კონფიდენციალური მასალების საკმარისი დაცვა. საკომუნიკაციო მომსახურების მომწოდებლებისაგან საკომუნიკაციო მონაცემების მიღების რეჟიმი ასევე არ იყო კანონთან შესაბამისობაში. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ რეჟიმს, რომლითაც გაერთიანებულ სამეფოს უცხოური მთავრობებისა და სადაზვერვო უწყებებისგან მოსმენილი მასალის მოთხოვნა შეეძლო, გააჩნდა ბოროტად გამოყენებისაგან საკმარისი დაცვის გარანტიები და უზრუნველყოფილი იყო, რომ გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება ასეთ მოთხოვნებს არ გამოიყენებდა, როგორც ეროვნული კანონმდებლობითა და კონვენციით გათვალისწინებული მოვალეობების გვერდის ავლის საშუალებას.

### **Standard Verlagsgesellschaft mbH ავსტრიის წინააღმდეგ (No. 3)**

#### **Standard Verlagsgesellschaft mbH v. Austria (No. 3)**

მოცემული საქმე შეეხებოდა სასამართლოს მიერ მომჩივან მედია-კომპანიაზე გაცემულ ბრძანებას, რომ გაემჟღავნებინა იმ რეგისტრირებულ მომხმარებელთა სარეგისტრაციო ინფორმაცია, რომლებმაც გააკეთეს კომენტარი მათ ვებ-გვერდზე - *Der Standard*. ამას მოჰყვა კომენტარები პოლიტიკოსების სავარაუდო კავშირზე კორუფციასა და ნეონაციზმთან, რაც მომჩივანმა კომპანიამ წაშალა, თუმცა უარი თქვა კომენტარის დამწერთა ვინაობის გამჟღავნებაზე.

მოცემულ საქმეში, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა, ვინაიდან სასამართლოს ზემოაღნიშნული განსაზღვრული ბრძანებები არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მომხმარებელთა მონაცემები არ იყო დაცული „ჟურნალისტური წყაროებით“ და არ არსებობდა ონლაინ ანონიმურობის აბსოლუტური უფლება. თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა არც კი დააბალანსეს მოსარჩელეთა და მომჩივანი კომპანიის ინტერესები. ამ უკანასკნელის ინტერესი იყო შეენარჩუნებინათ მომხმარებელთა ანონიმურობა, რათა ხელი შეეწყობოთ იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლისათვის, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-10 მუხლით.

ჟურნალისტების სახლის ან სამუშაო ადგილის ჩხრეკა, ტელეფონზე წვდომა ან/და ჟურნალისტური მასალის ამოღება

ქვემოთ მოცემულ ორივე საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას უნდა დაედგინა, რომ ჟურნალისტის სახლის ან სამუშაო ადგილის ჩხრეკისა და მასალების ამოღებისა და დაყადაღების გარდა სხვა ზომები, როგორცაა შესაბამისი თანამდებობის პირების დაკითხვა, არ იქნებოდა ეფექტური არეულობის ან დანაშაულის პრევენციისათვის.

### **როემენი და შმიტი ლუქსემბურგის წინააღმდეგ**

#### **Roemen and Schmitt v. Luxembourg**

მოცემულ საქმეში მომჩივნები იყვნენ ჟურნალისტი და მისი ადვოკატი ეროვნულ სამართალწარმოებაში. საქმე ეხებოდა პოლიციის მიერ დარბევას პირველი მომჩივნის სახლში განხორციელებულ შეუტყობინებელ დარბევასა და ჩხრეკას, მინისტრის მიერ საგადასახადო თაღლითობის შესახებ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ. ჩხრეკის ორდერით აღჭურვილმა გამომძიებლებმა ვრცელი საგამომძიებო მოქმედებები ჩაატარეს. მოსამართლემ ასევე გასცა პირველი მომჩივნის ადვოკატის ოფისის ჩხრეკის ნებართვა.

იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობამ ვერ აჩვენა, რომ დაცული იყო ბალანსი ინტერესებს შორის, კერძოდ, ერთი მხრივ წყაროების დაცვასა და მეორე მხრივ დანაშაულის პრევენციასა და დასჯას შორის, სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველი ზომები იყო არაპროპორციული და არღვევდა პირველი მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებას. ამდენად, პირველ მომჩივანთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ პირველი მომჩივნის ადვოკატის ოფისში ჩატარებულმა ჩხრეკამ გავლენა მოახდინა პირველი მომჩივნის კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებებზე. ვინაიდან, მომჩივნის ოფისის შემდგომი ჩხრეკა იყო დასახული მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალება, განსაკუთრებით იმ სისწრაფის გათვალისწინებით, როგორც ის განხორციელდა მეორე მომჩივანთან მიმართებაში. სასამართლომ შესაბამისად დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (სახლის პატივისცემის უფლება) დარღვევა.

### **ერნესტი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ**

#### **Ernst and Others v. Belgium**

მოცემულ საქმეში მომჩივნები იყვნენ ოთხი ჟურნალისტი. საქმე შეეხებოდა ბელგიური გაზეთის ოფისებისა და ოთხი ჟურნალისტის სახლების ჩხრეკას “*სერიოზულ დანაშაულთა ჯგუფის*” მიერ, ლიეჟის სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო იურიდიული სამსახურის წევრების სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით რომელიც დაიწყო უალრესად მგრძნობიარე სისხლის სამართლის საქმეებიდან ინფორმაციის გაჟონვის გამო, კონფიდენციალურობის დარღვევის საფუძველზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. კერძოდ, მან დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მოყვანილი არგუმენტები არ იყო საკმარისი ამხელა მასშტაბის ჩხრეკისა და ამოღების გასამართლებლად. მოცემულ საქმეში სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა და

ასევე ის, რომ არ დარღვეულა კონვენციის 6§1 მუხლი (სამართლიანი მოსმენის უფლება), არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) 6§1 მუხლთან მიმართებაში და არ დარღვეულა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლიანი დაცვის ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი საშუალება).

### **ტილაკი ბელგიის წინააღმდეგ**

#### **Tillack v. Belgium**

მოძივანი, გერმანული ყოველკვირეული ჟურნალი *Stern*-ის ჟურნალისტი, დავობდა მისი სახლისა და სამუშაო ადგილის ჩხრეკასა და ამოღებაზე, რაც მოჰყვა მისი სტატიის გამოქვეყნებას, რომელიც ეხებოდა გადაცდომებს ევროპულ ინსტიტუტებში და ასევე კონფიდენციალური დოკუმენტებიდან ამოღებული ინფორმაციის გასაჯაროებას, რომელიც მოპოვებული იქნა ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურიდან.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა, რომ ჟურნალისტის უფლება, არ გაამჟღავნოს მისი წყაროები შეიძლება ჩაითვალოს არა უბრალო პრივილეგიად რომელიც მას შეიძლება მიენიჭოს იმის მიხედვით წყაროები კანონიერია თუ უკანონო არამედ იგი უფლების განუყოფელი ნაწილია. მან დაადგინა, რომ ბელგიური სასამართლოების არგუმენტები ჩხრეკის გასამართლებლად არ იყო საკმარისი.

### **მარტინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Martin and Others v. France**

წინამდებარე საქმე ეხებოდა მოსამართლის მიერ გაცემულ ბრძანებას ყოველდღიური გაზეთის *Midi Libre*-ს შენობის ჩხრეკაზე, იმის დასადგენად თუ რა ვითარებაში და პირობებში მიიღეს ჟურნალისტებმა რეგიონული აუდიტის სამსახურის ანგარიშის კონფიდენციალური პროექტის ასლი, რომელიც ეხება ლანგედოკ-რუსილიონის რეგიონის მართვას.

სასამართლომ დაადგინა, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. კერძოდ, საფრანგეთის მთავრობამ ვერ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ მოქიშპე ინტერესები - კერძოდ, ჟურნალისტური წყაროების დაცვა და დანაშაულის პრევენცია და რეპრესია - შესაფერისად იყო დაბალანსებული. ჩხრეკის გასამართლებლად ხელისუფლების მიერ მოყვანილი არგუმენტები შეიძლება მიჩნეულ იქნეს მნიშვნელოვნად, მაგრამ არა საკმარისად. შესაბამისად ჩხრეკა იყო არაპროპორციული.

### **რეზოტ და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Ressiot and Others v France**

მოცემული საქმე შეეხებოდა გაზეთების გამომცემლობების *L'Équipe*-ისა და *Le Point*-ის შენობასა და სასამართლო გამოძიების კონფიდენციალურობის დარღვევაში ბრალდებული ჟურნალისტების სახლებში განხორციელებულ საგამოძიებო მოქმედებებს. ხელისუფლებას სურდა დაედგინა ველორბოლაში შესაძლო დოპინგის მიღების შესახებ გამოძიებისას გაჟონილი ინფორმაციის წყარო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. კერძოდ, მან დაადგინა, რომ საფრანგეთის მთავრობამ ვერ მოახერხა საქმეში ჩართულ განსხვავებულ ინტერესებს შორის ბალანსის დამყარება. გატარებული ზომები არ იყო ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად

გონივრულად პროპორციული საშუალება, დემოკრატიული საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებითა და პრესის თავისუფლების შენარჩუნებით.

### **სან-პოლ ლუქსემბურგ ს.ა. ლუქსემბურგის წინააღმდეგ**

#### **Saint-Paul Luxembourg S.A. ლუქსემბურგის წინააღმდეგ**

მოცემული საქმე ეხებოდა ჩხრეკასა და ამოღების შესახებ ბრძანებას, რომელიც გაცემული იყო გამომძიებელი მოსამართლის მიერ გაზეთის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნა სტატია რაც სასამართლო განხილვის საგანი გახდა, მას შემდეგ, რაც სტატიაში ნახსენებმა პირმა და მისმა დამსაქმებელმა სარჩელი შეიტანეს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-10 მუხლის დარღვევა. კერძოდ, მან დაადგინა, რომ ჩხრეკისა და ამოღების ბრძანება არ იყო გონივრულად პროპორციული მიზნის მიმართ, კერძოდ, გადაემოწმებინათ ჟურნალისტის ვინაობა რომელმაც დაწერა სტატია და რომ ის არასაკმარისად იყო შეზღუდული, რათა თავიდან აეცილებინა გამომძიებლის მხრიდან შესაძლო ძალადობა, მაგალითად, ჟურნალისტის წყაროების იდენტიფიცირების მცდელობის სახით.

### **ნაგლა ლატვიის წინააღმდეგ**

#### **Nagla v. Latvia**

მოცემული საქმე ეხებოდა ცნობილი ჟურნალისტის სახლის ჩხრეკას პოლიციის მიერ და მეხსიერების შესანახი მოწყობილობების ამოღებას. მისი სახლი გაჩხრიკეს 2010 წლის თებერვალში, მის მიერ გადაცემის გაშვების შემდეგ, რომელიც საზოგადოებას ატყობინებდა სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის გაჟონვის შესახებ. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჟურნალისტის უფლება, არ გაამჟღავნოს საკუთარი წყარო შეიძლება ჩაითვალოს არა უბრალო პრივილეგიად, რომელიც მას შეიძლება მიენიჭოს იმის მიხედვით წყაროები კანონიერია თუ უკანონო, არამედ, იგი უფლების განუყოფელი ნაწილია რომელსაც უნდა მოეპყრონ მაქსიმალური სიფრთხილით. მოცემულ საქმეში, ხელისუფლებამ შესაფერისად ვერ დააბალანსა ერთი მხრივ, გამომძიებლის ინტერესი, კერძოდ, მტკიცებულებების უზრუნველყოფა და მეორე მხრივ საზოგადოების ინტერესი - ჟურნალისტის გამომხატვის თავისუფლების დაცვა.

### **Stichting Oostade Blade ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **Stichting Oostade Blade v. the Netherlands**

მოცემული საქმე შეეხებოდა ჟურნალისტის ოფისების ჩხრეკას პრესრელიზის შემდეგ, რომელშიც მან განაცხადა, რომ ორგანიზაციისაგან მიიღო წერილი იმის თაობაზე, რომ იგი პასუხისმგებლობას იღებდა არნემში ტერაქტების სერიაზე. კერძოდ, ჟურნალისტის გამომცემელი დავობდა იმაზე, რომ ჩხრეკა გაუტოლდა მისი უფლების დარღვევას, დაცული ყოფილიყო მისი ჟურნალისტური წყაროები.

სასამართლომ საჩივარი დაუმკებლად ცნო, როგორც ამკარად დაუსაბუთებელი. მან დაასკვნა, რომ ამ შემთხვევაში „წყაროს დაცვა“ არ იყო სადავო, ვინაიდან ჟურნალისტის ინფორმატორი, რომელიც პრესის საშუალებით ცდილობდა თავდასხმების გასაჯაროებას არ იყო დაცული ამ

უფლებით როგორც ჩვეულებრივი „წყარო“. ჩხრეკა, რომელიც ჩატარდა სერიოზული დანაშაულის გამოძიებისა და მომდევნო თავდასხმების პრევენციის მიზნით და შესაბამისად აკმაყოფილებდა კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნებს, განსაკუთრებით აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში დანაშაულის პრევენციისათვის.

### **გორმუსი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ**

#### **Görmüş and Others v. Turkey**

2007 წლის აპრილში ყოველკვირეულმა ჟურნალმა *Nokta*-მ გამოაქვეყნა სტატია შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის „კონფიდენციალურად“ გამოცხადებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით. მომჩივნები - ყოველკვირეული ჟურნალის იმ დროისთვის გამომცემლობის დირექტორი და მთავარი რედაქტორები ასევე გამომძიებელი ჟურნალისტები, რომლებიც მუშაობდნენ გამომცემლობაში - დავობდნენ, რომ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ზომები, კერძოდ კი, მათი პროფესიული ოფისების ჩხრეკა და დოკუმენტების ამოღება, მიზნად ისახავდა მათი ინფორმაციის წყაროების იდენტიფიცირებას და არღვევდა მათი გამოხატვის თავისუფლებას, კერძოდ, მათ უფლებას მიეღოთ და გაეკრცელებინათ ინფორმაცია როგორც ჟურნალისტებს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. კერძოდ, დადგინდა, რომ ყოველკვირეული გაზეთის *Nokta*-ს მიერ „კონფიდენციალური“ სამხედრო დოკუმენტების საფუძველზე გამოცემულ სტატიას მედიის კლასიფიკაციის შესახებ, იმის მიხედვით, იყვნენ თუ არა ისინი „ხელსაყრელი“ ან „არახელსაყრელი“ შეიარაღებული ძალებისათვის, შეეძლო წვლილი შეეტანა საჯარო დებატებში. ხაზი გაესვა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან დაკავშირებით და ჟურნალისტური წყაროების დაცვის საჭიროებას, იმის ჩათვლით, როდესაც აღნიშნული წყაროები იყვნენ სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ არადამაკმაყოფილებელ პრაქტიკას სამუშაო ადგილზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, განსაკუთრებით კი მათი ინფორმაციის გავრცელების უფლებაში, არ იყო დასახული მიზნის პროპორციული, არ აკმაყოფილებდა მწვავე სოციალურ მოთხოვნილებას და ამდენად არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში; ჩარევა მოიცავდა ჟურნალის ყველა კომპიუტერული მონაცემის ამოღებას, მოძიებასა და შენახვას, მათ შორის, იმ მონაცემებისა რომლებიც კავშირში არ იყვნენ სტატიასთან, საჯარო სექტორის მამხილებელთა იდენტიფიცირების მიზნით. და ბოლოს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ღონისძიებამ ხელი შეუშალა პოტენციურ წყაროებს დახმარებოდნენ პრესას საზოგადოების ინფორმირებაში საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე, მათ შორის, როდესაც ისინი ეხებოდა შეიარაღებულ ძალებს.

### **სედლეცკა უკრაინის წინააღმდეგ**

#### **Sedletska v. Ukraine**

წინამდებარე საქმე ეხებოდა სასამართლოს მიერ საგამომიებო ორგანოებზე გაცემულ ნებართვას მომჩივნის (რადიო-თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების გამომძიებელი ჟურნალისტი) სატელეფონო მონაცემებზე წვდომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნა ჟურნალისტური



წყაროების დაცვას. მომჩივანი დავობდა, ჟურნალისტური რესურსების დაცვის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა მომჩივანთან მიმართებაში. საქმეში მისი დასკვნების გათვალისწინებით, იგი არ იყო დარწმუნებული, რომ სასამართლოების მიერ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ნებართვის გაცემა გამართლებული იყო „საზოგადოებრივი ინტერესის ძირითადი მოთხოვნით“ და შესაბამისად საჭირო იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

## ხმის მიცემის უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი (თავისუფალი არჩევნების უფლება):

*“მაღალი ხელშეკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვას”.*

კონვენციის მე-3 მუხლით ევროპის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები.

მაშინაც კი როდესაც საკანონმდებლო დონეზე შეზღუდულია არჩევნების უფლება, თავისუფალი არჩევნების უფლების ევროპული დაცვა დიდი მნიშვნელობის მატარებელია. კონვენციის პრეამბულის მიხედვით, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები შენარჩუნებულია ‘ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიათ’. ვინაიდან კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ასახავს დემოკრატის მახასიათებელ პრინციპს კონვენციის სისტემაში, შესაბამისად უპირველესი მნიშვნელობისაა კონვენციის სისტემაში. » (Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium, 1987 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, § 47).

სასამართლო განასხვავებს „აქტიურ“ და „პასიურ“ საარჩევნო უფლებას, შესაბამისად არჩევნებში ამომრჩევლად მონაწილეობის უფლებას და არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლებას. ასეთ „პასიურ“ საარჩევნო უფლებას ახასიათებს დაცვის უფრო დაბალი ხარისხი ვიდრე „აქტიურ“ საარჩევნო უფლებას.

ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა, როგორც სისხლისსამართლებრივი გამოძიების ნაწილი

### ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ

#### **Labita v. Italy**

მომჩივანი დაკავებული იქნა 1992 წლის აპრილში მის წინააღმდეგ არსებული ეჭვის საფუძველზე, რომ იგი მაფიის წევრი იყო, რის შესახებაც დაუდასტურებელი ცნობები მიაწოდა მაფიოზმა რომელმაც მთავრობასთან თანამშრომლობა გადაწყვიტა. საქმის განხილვის განმავლობაში იგი იმყოფებოდა პატიმრობაში დაახლოებით ორი წლისა და შვიდი თვის მანძილზე. მის მიმართ გამოყენებული იქნა პრევენციული ზომები და მას შეეზღუდა საარჩევნო უფლებები. სხვა საკითხებთან ერთად, იგი დავობდა ჯარიმის, როგორც პრევენციული ზომის შედეგად მისი საარჩევნო უფლების დაკარგვის შესახებ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მომჩივანმა როგორც პირმა, რომლის მიმართაც დაწესდა სპეციალური პოლიციის ზედამხედველობა მაფიის წევრობაში ეჭვმიტანილობის გამო, ავტომატურად დაკარგა სამოქალაქო უფლებები და ამოირიცხა საარჩევნო სიიდან. სასამართლო არ დავობს იმის შესახებ, რომ პირისათვის რომლის წინააღმდეგ არსებობდა მაფიის წევრობის მტკიცებულება, ხმის მიცემის უფლების დროებითი შეჩერება ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა, მან

შენიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმეში სასამართლო განხივლის დროს მომჩივნის მიმართ დაწესებული იყო სპეციალური პოლიციის ზედამხედველობის ღონისძიება, იგი არ იქნა გამოყენებული სასამართლო პროცესის დასრულებამდე და მომჩივანი გამართლდა იმ საფუძველით, რომ “მას არ ჩაუდენია დანაშაული”, მომჩივნის ბრალეულობის სერიოზული მტკიცებულება სასამართლო პროცესის დროს გაქარწყლდა. მომჩივნის დამნაშავეობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მტკიცებულება უარყოფილი იქნა სასამართლო პროცესის დროს. ამიტომ, როდესაც მისი სახელი ამოიშალა საარჩევნო რეგისტრატურიდან, ამ დროს არ არსებობდა რაიმე კონკრეტული მტკიცებულება, რაც იძლეოდა ეჭვის საფუძველს, რომ მომჩივანი იყო მაფიის წევრი. სასამართლომ გატარებული ზომა არ მიიჩნია პროპორციულად.

### **ვიტო სანტე სანტორო იტალიის წინააღმდეგ**

#### **Vito Sante Santoro v Italy**

1994 წელს რაიონულმა სასამართლომ ბრძანა, რომ მომჩივანი მოეთავსებინათ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და დაქვემდებარებულიყო პრევენციული ღონისძიებების რეჟიმს ერთი წლის განმავლობაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ შეტანილი იქნა არაერთი სისხლისსამართლებრივი საჩივარი. 1995 წლის 10 იანვრიდან 1995 წლის 28 ივლისამდე მომჩივანი ამოირიცხა საარჩევნო რეგისტრატურიდან სპეციალური ზომების შედეგად და 1995 წლის დეკემბერში პოლიციის გადაწყვეტილებით იგი კვლავ ამოირიცხა ამ სიიდან ერთი წლით, რათა გაგრძელებულიყო სპეციალური ზედამხედველობა. 1996 წლის დეკემბერში საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნის მიმართ სპეციალური ზედამხედველობა შეწყდა 1 წლის შემდეგ 1995 წლის მაისში, რამდენადაც მის მიმართ გატარდა ეს ღონისძიება. სპეციალური ზომების შედეგად, მას შეეზღუდა შესაძლებლობა ხმა მიეცა რეგიონული საბჭოს (Consiglio Regionale) არჩევნებში 1995 წლის აპრილში და ეროვნულ საპარლამენტო არჩევნებში 1996 წლის აპრილში.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ცხრა თვეზე მეტი იყო გასული იმ თარიღს შორის, როდესაც პრევენციული ზომების დაწესების შესახებ ბრძანება გადაეგზავნა პრევენციულ და იმ თარიღს, როდესაც მომჩივანს უფლება ჩამოერთვა. სასამართლოს აზრით, ასეთი შეფერხება გადაჭარბებული იყო. უფლების ჩამორთმევა დროულად და დადგენილი ერთი წლის ვადაში რომ გამოეყენებინათ, აღნიშნული ღონისძიება დასრულდებოდა რეგიონულ არჩევნებამდე და საპარლამენტო არჩევნებამდე საკმაოდ ადრე.

ცალკეული ჯგუფებისა და პირების მიერ საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის შეუძლებლობა

### **აზიზი კვიპროსის წინააღმდეგ**

#### **Aziz v. Cyprus**

მომჩივანი დავობდა, რომ ვინაიდან იგი გახლდათ თურქულ-კვიპროსული საზოგადოების წევრი, მას უარი ეთქვა საარჩევნო სიაში რეგისტრაციის მოთხოვნაზე იმისათვის, რომ ხმა მიეცა 2001 წლის 27 მაისის საპარლამენტო არჩევნებში. მას მოთხოვნაზე უარი ეთქვა კონსტიტუციის 63-

ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად თურქულ-კვიპროსული საზოგადოების წევრებს არ შეუძლიათ ბერძნულ-კვიპროსულ არჩევნებში რეგისტრირება.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა. იმის გათვალისწინებით, რომ კვიპროსში 1963 წლიდან არეული სიტუაცია და საკანონმდებლო ვაკუუმი, მომჩივანს, როგორც კვიპროსის რესპუბლიკაში მცხოვრებ თურქულ-კვიპროსული საზოგადოების წევრს, სრულიად ჩამოერთვა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა წარმომადგენლობითი პალატის არჩევისას. ამდენად, დაირღვა მომჩივნის ხმის მიცემის უფლების არსი. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან ერთად დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), ვინაიდან დადგინდა ცალსახა უთანასწორობა უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით, თურქულ-კვიპროსული საზოგადოების წევრებსა და ბერძნულ-კვიპროსული საზოგადოების წევრებს შორის. სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ დიდი თავისუფლება საპარლამენტო არჩევნების წესების დასადგენად, თუმცა ასეთი წესები უნდა ემყარებოდეს გონივრულ და ობიექტურ საფუძვლებს. განსხვავებული მოპყრობა, რომელთან დაკავშირებითაც დავობდა მომჩივანი იმიტომ, რომ იგი იყო თურქი კვიპროსელი, არ შეიძლებოდა გამართლებულიყო გონივრული და ობიექტური საფუძვლებით, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კვიპროსელ თურქებს, რომლებიც მომჩივნის სიტუაციაში იყვნენ, აკრძალათ ხმის მიცემა ნებისმიერ საპარლამენტო არჩევნებზე.

**ქმედუნარიანობისა და ხმის მიცემის უფლების მოხსნა/შეზღუდვა**

**ალაიოს კისი უნგრეთის წინააღმდეგ**

**Alajos Kiss v. Hungary**

მომჩივანმა დაკარგა ხმის მიცემის უფლება იმის გამო, რომ ის იმყოფებოდა დაცვის ქვეშ ფსიქიკური მდგომარეობის გამო. უნგრეთის კონსტიტუცია ადგენს დაცვის ქვეშ მყოფი პირის ხმის მიცემის უფლების ავტომატურ შეზღუდვას.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა. მას შემდეგ რაც დაეთანხმა, რომ ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა ლეგიტიმურ მიზანს ატარებდა, კერძოდ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც შეუძლიათ შეაფასონ თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგები, შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმეებში, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მას არ შეუძლია ხმის მიცემის უფლების აბსოლუტური შეზღუდვა დაცვის ქვეშ მყოფი ყველა პირის მიმართ, მიუხედავად მათი რეალური გონებრივი შესაძლებლობებისა.

**სტრობი და როსენლინდი დანიის წინააღმდეგ**

**Strøbye and Rosenlind v. Denmark<sup>3</sup>**

წინამდებარე საქმე ეხება მომჩივნებისთვის 1984 და 2009 წლებში საარჩევნო უფლების ჩამორთმევას ქმედუნარიანობის შეწყვეტის გამო. ორივე მომჩივანი, რომლებმაც დაიბრუნეს

<sup>3</sup> აღნიშნული გადაწყვეტილება იქნება საბოლოო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44 § 2 მუხლით (საბოლოო გადაწყვეტილება) დადგენილი გარემოებებით.

2019 წლის საყოველთაო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება, დავობდნენ, რომ მათ ეს უფლება არაკანონიერად ჩამოერთვათ.

სასამართლომ განაცხადა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი. მან დაადგინა, რომ მომჩივნებისთვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა იყო კანონიერი, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, უზრუნველყოფდა, რომ საყოველთაო არჩევნებზე ამომრჩევლებს გააჩნდათ გონებრივი უნარ-ჩვევების შესაბამისი დონე და იყო მისალწვევი მიზნის პროპორციული. მან აღნიშნა, რომ დანიის ხელისუფლებამ შესაშური ძალისხმევა გამოიჩინა, რათა შეეფასებინა და განევითარებინა მომჩივნების მსგავს სიტუაციებზე სამართლებრივი პასუხი. მან ასევე მიიჩნია, რომ სახელმწიფო მოქმედებდა კონვენციით გათვალისწინებულ დისკრეციის ფარგლებში, კერძოდ ეროვნული სასამართლოს მიერ ამ საკითხის განხილვის ხარისხის გათვალისწინებით. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან ერთიანობაში, ვინაიდან მომჩივანთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს და არსებობდა გონივრული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის.

#### **კამანო ვალე ესპანეთის წინააღმდეგ Caamaño Valle v. Spain<sup>4</sup>**

აღნიშნული საქმე ეხება მომჩივნის ქალიშვილისთვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევას, რომელიც გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იყო. მომჩივანი დავობდა, რომ მისი ქალიშვილის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა იყო მისი უფლებების დარღვევა და წარმოადგენდა დისკრიმინაციას.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი. მან ასევე დაადგინა, რომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) ასევე არ დარღვეულა კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა). სასამართლომ დაადგინა, რომ „იმის უზრუნველყოფა, რომ მხოლოდ იმ მოქალაქეებს მიეღოთ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი გადაწყვეტილებების შედეგების შეფასება და გააზრებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღება“ იყო ლეგიტიმური მიზანი რომლის საფუძველზეც ეროვნულმა სასამართლოებმა მიიღეს გადაწყვეტილება მომჩივანის ქალიშვილთან დაკავშირებით. მან ასევე მიიჩნია, რომ უფლების ჩამორთმევა იყო ინდივიდუალური და პროპორციული საშუალება მიზნის მისაღწევად. საბოლოოდ დადგინდა, რომ უფლების ჩამორთმევას არ შეუღალავს „ადამიანის თავისუფალი აზრის გამოხატვა“. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო მომჩივნის ქალიშვილის განსაკუთრებული სტატუსი და ადგილი არ ჰქონია მის მიმართ დისკრიმინაციას.

<sup>4</sup> აღნიშნული გადაწყვეტილება იქნება საბოლოო კონვენციის 44 § 2 მუხლით დადგენილი გარემოებებით.

ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა ბინადრობის კრიტერიუმზე დაყრდნობით და არარეზიდენტი მოქალაქეების მიერ ხმის მიცემის უფლების განხორციელება

### **პი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Py v. France**

აღნიშნულ საქმეში მომჩივანი არის ფრანგი ეროვნების, რომელსაც შეეზღუდა ხმის მიცემის უფლება ახალი კალედონიის კონგრესის არჩევნებზე, იმ მიწაზე, რომლის ტერიტორიაზეც მან ვერ დაამტკიცა მინიმუმ 10 წლიანი ბინადრობის ფაქტი.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი. კერძოდ, მან მიუთითა, რომ საფრანგეთის მთავრობის თქმით, პირობითი საცხოვრებლის შემოღების მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ კონსულტაციების შედეგად „დაინტერესებულ“ პირთა ნება ყოფილიყო ასახული და რომ ახლად ჩამოსულთა მასობრივ მონაწილეობას ხმის მიცემის პროცესში, რომელთაც არ ჰქონდათ იმ ტერიტორიასთან მყარი კავშირი, არ შეეცვალა შედეგები. ასევე, ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა იყო კალედონიის მოქალაქეობის დადგენის პირდაპირი და აუცილებელი შედეგი. შესაძლოა, ახალ კალედონიასთან მომჩივანს ჰქონდა რაიმე კავშირი, თუმცა კანონი ვერ გაითვალისწინებდა თითოეულ ცალკეულ შემთხვევას. საბოლოოდ ბინადრობის მოთხოვნა შეფასდა როგორც ლეგიტიმური მიზანი. ახალი კალედონიის ისტორია და სტატუსი – გარდამავალი ეტაპი სრული სუვერენიტეტის მოპოვებამდე და თვითგამორკვევის პროცესის ნაწილი – იყო იმგვარი, რომ იგი შესაძლოა მიჩნეული იქნეს როგორც „ადგილობრივი მოთხოვნები“, რაც ამართლებს ისეთ მნიშვნელოვან შეზღუდვას როგორც არის ათწლიანი ბინადრობის მოთხოვნა, პირობა რომელიც მნიშვნელოვანი იყო სისხლიანი კონფლიქტის შესამსუბუქებლად.

### **სიტაროპოულოსი და გიაკოუმოპოულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ**

#### **Sitaropoulos and Giakoumopoulos v. Greece**

მომჩივნები დავობდნენ, რომ რეგულაციის არქონის პირობებში მათ არ შეეძლოთ ხმის მიცემის უფლების განხორციელება ისეთ ქვეყანაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ როგორც ექსპატრიატები (საფრანგეთი) მიუხედავად იმისა, რომ იმ ქვეყნის კონსტიტუცია საიდანაც ისინი წარმოშობით იყვნენ (საბერძნეთი) შეიცავდა ამის შესაძლებლობას.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი, ვინაიდან მომჩივანთა ფინანსური, ოჯახური და პროფესიული ცხოვრების დარღვევა, რომელსაც გამოიწვევდა მათი საბერძნეთში გამგზავრება, არ იქნებოდა ისეთი არაპროპორციული, რომ შეელახა ხმის მიცემის უფლება, სასამართლომ აღნიშნა, რომ რელევანტური საერთაშორისო და რეგიონულ სამართლის მონაწილე სახელმწიფოების პრაქტიკიდან არ იკვეთება ვალდებულება ან კონსესუსი, რომლითაც სახელმწიფოს მოეთხოვება იმ მოქალაქეთა მიერ ხმის მიცემის უფლების განხორციელების ხელშეწყობა, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ.

## **შინდლერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**

### **Shindler v. The United Kingdom**

აღნიშნული საქმე ეხება საკითხს საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ, კერძოდ, ირღვეოდა თუ არა 1982 წლიდან ბრიტანელი არარეზიდენტი მოქალაქის ხმის მიცემის უფლება, საარჩევნო კანონმდებლობით რომლის მიხედვითაც გაერთიანებული სამეფოს გარეთ 15 წელზე მეტი ხნით მცხოვრებ პირებს არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი. მანევრირების სივრცის („თავისუფალი შეფასების ფარგლები“) გათვალისწინებით, რომელიც უნდა დაეტოვებინა გაერთიანებული სამეფოს მთავრობას საპარლამენტო არჩევნების რეგულირებისას, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული საარჩევნო კანონი გადაჭარბებულად არ ზღუდავდა მომჩივნის თავისუფალი არჩევნების უფლებას. ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპაში არსებობდა მიგრაციით გამოწვეული პრობლემების არსებობის შესახებ მზარდი ცნობიერების დონე, კერძოდ, წარმოშობის ქვეყნებში პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით. თუმცა, შესწავლილი მასალა არ ქმნიდა იმ დასკვნის საფუძველს, რომ კანონის თანახმად, თითქოს სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ არარეზიდენტებისათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე მიენიჭებინათ შეუზღუდავი წვდომა. მიუხედავად იმისა, რომ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებობდა ცალსახა ტენდენცია, რომ არარეზიდენტებისათვის მიენიჭებინათ ხმის მიცემის უფლება და სახელმწიფოთა უმრავლესობა მხარს უჭერდა ხელმისაწვდომობის შეუზღუდავ უფლებას, ეს მაინც არ იყო საკმარისი იმის დასადგენად, რომ არსებობდა საერთო მიდგომა ან კონსესუსი არარეზიდენტებისთვის შეუზღუდავი ხმის მიცემის უფლებასთან დაკავშირებით.

## **ორანი თურქეთის წინააღმდეგ**

### **Oran v. Turkey**

აღნიშნული საქმე ეხება უნივერსიტეტის ლექტორის მიერ შეტანილ საჩივარს, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში წამოაყენა დამოუკიდებელი კანდიდატურა ისე, რომ არც ერთ პარტიას არ მიეკუთვნებოდა. იგი დავობდა იმ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, რომ თურქეთის მოქალაქეები, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ 6 თვეზე მეტი ხნით, საბაჟო პუნქტებში მოწყობილ საარჩევნო უბნებში ხმის მიცემას შეძლებდნენ მხოლოდ პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი სიებით და არა დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ცალკე თუ კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიმართებაში. რაც შეეხება არარეზიდენტ ამომრჩეველთა უუნარობას, რომ ხმა მისცენ დამოუკიდებელ კანდიდატებს საბაჟო პუნქტებზე არსებულ საარჩევნო უბნებზე, დადგინდა, რომ თურქეთის მიერ საპარლამენტო არჩევნების დროს გამოყენებულ ზომებს არ შეუღალავს ხალხის აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება ან მომჩივნის არჩევნებში კენჭისყრის უფლება. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშემკვრელი მხარეების ეროვნული პრაქტიკა არ იყო ერთგვაროვანი ექსპატრიატთა ხმის მიცემის უფლებასთან და ამ უფლებათა განხორციელებასთან დაკავშირებით. ზოგადად, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ ავალდებს ხელშემკვრელ მხარეებს, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეებს მისცენ ხმის მიცემის უფლების გამოყენების საშუალება. ამასთან ერთად,

ვენეციის კომისიის მუშაობიდან ცალსახა ხდება, რომ საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებისათვის ხმის მიცემის უფლებაზე უარის თქმა ან ამ უფლებაზე შეზღუდვის დაწესება არ მიიჩნევა საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპის შეზღუდვად. აუცილებელია სხვადასხვა ინტერესების დაბალანსება, მაგალითად როგორცაა სახელმწიფოს არჩევანი, მიანიჭოს ემიგრანტ მოქალაქეებს ხმის მიცემის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ასევე პრაქტიკული და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებები, როლებიც დაკავშირებულია ამ უფლების განხორციელებასთან და მისი მიღწევის ტექნიკური საშუალებებთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

### **რიცა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ**

#### **Riza and Others v Bulgaria**

წინამდებარე საქმეში მომჩივნები არიან ბულგარული პოლიტიკური პარტია, ამ პარტიის წევრი და 101 თურქული წარმოშობის ან/და მუსლიმური აღმასარებლობის ბულგარეთის მოქალაქეები, რომლებმაც ისარგებლეს თავიანთი ხმის მიცემის უფლებით თურქეთის საბაჟო პუნქტზე, რომელზეც ბულგარეთის საყოველთაო არჩევნების შედეგები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით 2009 წელს შემდგომ ბათილად და არარად გამოცხადდა. 101-მა მომჩივანმა გამოთქვა პრეტენზია, რომ მათი ბიულეტენების ანულირება წარმოადგენდა მათი აქტიური საარჩევნო უფლებების დარღვევას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი 101 მომჩივნის ხმის მიცემის უფლებასთან მიმართებაში და მიუთითა, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და ახალი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობების არარსებობის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს სადავო გადაწყვეტილებამ, რომელიც ეყრდნობოდა წმინდა ფორმალურ არგუმენტებს, საკანონმდებლო არჩევნებში გამოიწვია ამომრჩეველთა უფლებების დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მას მხედველობიდან არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ სხვა სუვერენულ სახელმწიფოებში, ახალი არჩევნების ორგანიზებამ, თუნდაც, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის საარჩევნო უბნებში, შეიძლება შექმნას მნიშვნელოვანი დიპლომატიური და ორგანიზაციული დაბრკოლებები, რასაც მოჰყვება დამატებითი ხარჯები. თუმცა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ახალი არჩევნების ჩატარება, საბაჟო პუნქტზე, სადაც არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესში საარჩევნო კოლეგიის მხრიდან სერიოზული გადაცდომები დაფიქსირდა, შესაბამისობაში მოიყვანდა არჩევნების შედეგების გაუქმებით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს, რასაც წარმოადგენდა საარჩევნო პროცესის კანონიერების დაცვა, ხმის მიმცემთა და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა უფლებების დაცვა.



საარჩევნო უფლების შეჩერება გაკოტრების შესახებ სამართალწარმოების დროს

### **ალბანესი იტალიის წინააღმდეგ**

#### **Albanese v. Italy**

1998 წლის ივნისში რეესტრისთვის გადაცემულ გადაწყვეტილებაში მომჩივანი და სამი კომპანია, რომლის პარტნიორიც იყო იგი, გამოცხადდნენ გაკოტრებულად. შედეგად, მომჩივნის სახელი შეყვანილი იქნა გაკოტრების შესახებ რეესტრში. გაკოტრების კომპლექსური პროცესი, რომელიც ამ ფაქტს მოჰყვა, გაგრძელდა 2004 წლის ოქტომბრამდე. იმ დროინდელი იტალიური კანონმდებლობით, პირადი გაკოტრების გამოცხადებას გარკვეული შედეგები მოჰყვებოდა, კერძოდ კი საარჩევნო უფლებების შეჩერება გაკოტრების პროცედურის დროს, რაც გრძელდებოდა ხუთი წლის ვადით გაკოტრების შესახებ დადგენილების გამოცემიდან. მომჩივანი, სხვა საკითხებთან ერთად, დავობდა ხმის მიცემის უფლების დაკარგვაზე რაც გამოიწვია მისმა გაკოტრებამ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა. მან მიუთითა, რომ გაკოტრების პროცედურის დროს მომჩივნის საარჩევნო უფლებების შეჩერება წარმოადგენდა აშკარა ჩარევას მის უფლებებში, რომელიც დაცულია კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით. ასეთი ჩარევა დადგენილი იყო კანონით. თუმცა, ეს ღონისძიება მიზნად არაფერს ისახავდა გარდა იმ პირის დაკნინებისა, რომელიც გაკოტრებულად გამოცხადდა, ეს იყო უბრალოდ საყვედური გადახდისუუნარობის გამო, განურჩევლად იმისა ჩაიდინა თუ არა მან დანაშაული. ამდენად, იგი არ ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. ასევე, სასამართლომ მიუთითა, რომ გარდა პრივილეგიისა, ხმის მიცემა არის კონვენციით დაცული უფლება.

## გადასახადები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მომჩივანთა ნაწილი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას რათა გაასაჩივროს კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოების წესები და პროცედურები გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებზე, და ასევე საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელთა მიერ გამოყენებული მეთოდები. ეს საჩივრები ეფუძნება კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს (საკუთრების დაცვა), რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ „ისეთი კანონების მიღებას, როგორცა იგი საჭიროდ მიიჩნევა... რათა უზრუნველყოს გადასახადებისა და სხვა მოსაკრებლების გადახდა“, და კონვენციის მე-6 მუხლს (სამართლიანი სასამართლოს უფლება). თუმცა, ასევე გამოყენებულია კონვენციის სხვა დებულებებიც.

საკუთრების დაცვის უფლება (კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი)

### სპორონგი და ლონროზი შვედეთის წინააღმდეგ

#### **Sporrong and Lönnroth v. Sweden**

აღნიშნული ორი სარჩელი ეხებოდა მომჩივნებზე, როგორც ქონების მესაკუთრეებზე, გრძელვადიანი ექსპროპრიაციის ნებართვების ზეგავლენას, რასაც თან ახლავს მშენებლობის აკრძალვები და რაც გავლენას ახდენს მათ საკუთრებაზე. მომჩივანთა აზრით, ეს უტოლდებოდა მათ მიერ საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის უფლების უკანონო დარღვევას. მომჩივნებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათი საჩივრები ექსპროპრიაციის ნებართვებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენდა მათ საკუთრებაზე, არ იყო განხილული შვედეთის სასამართლოების მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა დაადგინა. საქმის ყველა ფაქტის გათვალისწინებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების შერჩეულ მსხვერპლს, მომჩივანს ეკისრებოდა ინდივიდუალური და გადაჭარბებული ტვირთი, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მიჩნეული კანონიერად თუ მათ ექნებოდათ ექსპროპრიაციის ვადის შემცირების ან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის (სამართლიანი სასამართლოს უფლების) დარღვევა, ვინაიდან მომჩივანთა საქმე არ განუხილავს კომპეტენტურ სასამართლო ორგანოს, რათა დადგენილიყო საქმის ყველა გარემოება.

ადამიანის უფლებათა სასამართლომ, საკუთარ 1984 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დაადგინა, რომ შვედეთს პირველი მომჩივნისთვის, ზიანის ასანაზღაურებლად უნდა გადაეხადა 800,000 შვედური კრონა, ხოლო მეორე მომჩივნისთვის - 200,000 კრონა.

### ჰენტრიხი საფრანგეთის წინააღმდეგ

#### **Hentrich v. France**

1979 წლის მაისში მომჩივანმა და მისმა ქმარმა შეიძინეს 6,766 კვადრატული მეტრი არასამშენებლო მიწა. მიწის შესყიდვა გაფორმდა პრეცედენტული პირობით, რომ “სეიფერი“ (SAFER - რეგიონალური განვითარებისა და სასოფლო დასახლების კორპორაცია) არ

გამოიყენებდა ამ მიწის უპირატესი შესყიდვის უფლებას ორი თვის განმავლობაში. მთავარმა საგადასახადო სამსახურმა დაარეგისტრირა გაყიდვა და იგი ძალაში შევიდა როდესაც „სეიფერმა“ არ გამოიყენა უპირატესი შესყიდვის უფლება განსაზღვრულ ვადაში. 1980 წლის თებერვალში მომჩივნებს მანდატურმა შეატყობინა უპირატესი შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება წარმოადგენდა გაუმართლებელ ჩარევას მის საკუთრების უფლებაში. იგი ასევე დავობდა, რომ საშემოსავლო სამსახურმა და სასამართლომ არ უზრუნველყვეს საქმის სამართლიანი განხილვა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვის უფლების) დარღვევა. საქმის ყველა გარემოებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი განდა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შერჩეული მსხვერპლი, მომჩივანი აღმოჩნდა გადაჭარბებული ტვირთის ქვეშ, რაც მხოლოდ მაშინ იქნებოდა მიჩნეული კანონიერად, თუ მომჩივანს ექნებოდა შესაძლებლობა - რომელიც მას არ მიეცა - ეფექტიანად გაესაჩივრებინა მის მიმართ მიღებული ზომები; შესაბამისად, დაირღვა ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც უნდა იქნეს დამყარებული საკუთრების უფლების დაცვასა და საერთო ინტერესს შორის. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (სამართლიანი სასამართლოს უფლების) დარღვევა, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ საქმეში, სამართალწარმოების პროცესის მიმდინარეობისას მომჩივანს არ მიეცა გონივრული შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, ისეთ პირობებში, რომლებიც არ აყენებდნენ მას მნიშვნელოვნად არათანაბარ მდგომარეობაში მეორე მხარესთან მიმართებით. სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა საქმისწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებითაც დაადგინა.

1995 წლის 3 ივლისს, სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით სამართლიანი დაკმაყოფილება მიაკუთვნა მომჩივანს და საფრანგეთს დაავალა მომჩივნის სასარგებლოდ 800,000 ფრანგული ფრანკის გადახდა მატერიალური ზიანისთვის.

### **Gasus Dossier- und Fördertechnik GmbH ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **Gasus Dossier- und Fördertechnik GmbH v. the Netherlands**

1980 წლის ივნისში, მომჩივანმა კომპანიამ ჰოლანდიურ კომპანიას მიჰყიდა ბეტონის შემრევი და დამხმარე აღჭურვილობა იმ პირობით, რომ ფასის სრულად გადახდამდე ყველაფერი დარჩებოდა მის საკუთრებაში. ერთი თვის შემდეგ საგადასახადო აღმასრულებელმა ჰოლანდიური კომპანიის ტერიტორიაზე არსებული ყველა მოძრავი ქონება დააყადაღა იძულებით გაყიდვის მიზნით, გადასახადების მომკრებლის მიერ გაცემული სამი სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე. მომჩივანი კომპანია ასაჩივრებდა ბეტონის შემრევის ჩამორთმევას საშემოსავლო სამსახურის მიერ და შემდგომ საშემოსავლო სამსახურის თანამონაწილეობითვე მის გაყიდვას.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა და აღნიშნა, რომ გამოყენებულ ზომებსა და მიზანს შორის პროპორციულობის დაცვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ჩარევა განხორციელდა კანონიერად და საშემოსავლო ორგანოს ქმედებები ემყარებოდა გადასახადების აკრეფის აქტს (1985 Tax Collection Act (Invorderingswet)). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ

მოცემული საქმე ეხებოდა სახელმწიფოთა უფლებას - გადასახადების აკრეფის უზრუნველსაყოფად მიიღონ ისეთი კანონები, როგორც ისინი თვლიან საჭიროდ და ამ ნაწილში კანონმდებლობას უნდა ჰქონდეს ფართო შეფასების ზღვარი, განსაკუთრებით იმ საკითხთა დაკავშირებით (ასეთ შემთხვევაში, რა დონემდე) უნდა იყვნენ თუ არა საშემოსავლო საკითხებზე პასუხისმგებელი ორგანოები უკეთეს პოზიციაში გადასახადების იძულების გზით მოკრების კუთხით ჩვეულებრივ კრედიტორებთან შედარებით, რომელთა საქმეც კომერციული ვალების ამოღებაა. სასამართლო პატივს სცემს კანონმდებელთა შეფასებებს ასეთი საკითხების მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი მოკლებულია გონივრულ საფუძველს.

**ეროვნული და პროვინციული სამშენებლო საზოგადოება, ლიდსის მუდმივი სამშენებლო საზოგადოება და იორკშირის სამშენებლო საზოგადოება გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ  
National and Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society v. the United Kingdom**

წინამდებარე საქმე შეეხებოდა კანონიერ მოთხოვნებს რესტიტუციაზე იმ ფულთან დაკავშირებით, რომელიც გადახდილი იყო გაუქმებული საგადასახადო დებულებების თანახმად და რომელიც გაუქმდა რეტროსპექტიული კანონმდებლობის<sup>5</sup> შედეგად (1991-ის საფინანსო აქტის 53-ე სექცია და 1992-ის საფინანსო აქტის (მე-2 აქტი) 64-ე სექცია). მომჩივნები, სამშენებლო საზოგადოებები<sup>6</sup>, კერძოდ, მიუთითებდნენ საკუთრების უფლების დარღვევაზე.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა. თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, რომლებიც ხელშემკერველ სახელმწიფოებს გააჩნიათ საშემოსავლო სექტორში პოლიტიკის შემუშავებასა და მიღებაში, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ გარემოებებში, პარლამენტის მიერ მიღებული რეტროსპექტიული ზომები, თუნდაც მათ ჰქონოდათ მომჩივანთა სამართლიანი მოთხოვნის ჩანაშობის ეფექტი, არ არღვევდა ბალანსს რესტიტუციის უფლებასა და გადასახადების მოკრების უზრუნველყოფის საზოგადოებრივ ინტერესს შორის. სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, მისი აზრით, არსებულ გარემოებებში, მომჩივნების საჩივარი არ იყო სამართლიანი იმასთან დაკავშირებით, რომ მათ შეეზღუდათ სასამართლოზე წვდომა მათი უფლებების სასამართლოს გზით განსასაზღვრად. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში დარღვევას და ასევე არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

<sup>5</sup> რეტროსპექტიული კანონმდებლობა - რომელიც ეხება მის მიღებამდე მომხდარ მოვლენებს, მაგ. ისეთი ქმედებისთვის დაჯარიმებით, რომელიც მისი ჩადენისას კანონიერად ითვლებოდა.

<sup>6</sup> ინგლისური კანონმდებლობის თანახმად, სამშენებლო საზოგადოებები მოქმედებენ ორმხრივი საზოგადოების სტატუსით, რომელიც საპირისპიროა იმ სტატუსისა, რომლითაც სარგებლობენ კომპანიები კომპანიათა სამართლის მიხედვით. სამშენებლო საზოგადოების წევრებს წარმოადგენენ მისი ინვესტორები, რომლებსაც შეაქვთ დანაზოგები და სანაცვლოდ იღებენ საპროცენტო განაკვეთს ან დივიდენდებს, და მის მსესხებლებს, რომლებსაც ეკისრებათ პროცენტი სესხებზე. დიდწილად, მსესხებლები სესხს იღებენ კერძო საცხოვრებელი ფართის შესაძენად.

## ს.ა. დანგევილი საფრანგეთის წინააღმდეგ

### S.A. Dangeville v. France

მომჩივნმა კომპანიამ, სადაზღვევო ბროკერების ფირმამ რომლის კომერციულ ტრანზაქციებზეც ვრცელდებოდა დამატებითი ღირებულების გადასახადი (VAT), დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით გადაიხადა 292,816 ფრანკი საკუთარი ოპერაციებისთვის 1978 წელს. „ევროპული საზოგადოებების საბჭოს მეექვსე დირექტივის“ (Sixth Council Directive of the European Communities) დებულებები, რომლებიც ძალაში უნდა შესულიყო 1978 წლის 1-ლი იანვრიდან, დამატებითი ღირებულების გადასახადებისგან ათავისუფლებდნენ „სადაზღვევო და გადაზღვევის ტრანზაქციებს, მათ შორის, სხვა რელევანტურ სერვისებს, რომლებიც შესრულებული იყო სადაზღვევო ბროკერებისა და სადაზღვევო აგენტების მიერ“. თუმცა, საფრანგეთს განესაზღვრა დამატებითი დრო ამ დირექტივის იმპლემენტაციისთვის. მომჩივანი კომპანია ითხოვდა იმ თანხის ანაზღაურებას, რაც მან დამატებითი ღირებულების სახით გადაიხადა, ამ მოთხოვნის წარუმატებლობის შემთხვევაში კი იმ ოდენობას, რომელიც შეესაბამებოდა 1978 წლის 1-ლი იანვრიდან დირექტივის ძალაში შესვლის თარიღს. სახელმწიფოს საბჭომ (The Conseil d'État) არ დააკმაყოფილა საჩივარი. მომჩივანმა საჩივრები ასევე შეიტანა საშემოსავლო ორგანოებში და ითხოვა მისი მდგომარეობის გადახედვას. ეს პროცესებიც შეაჩერა და არ დააკმაყოფილა სახელმწიფოს საბჭომ, რომელმაც დაადგინა, რომ გადასახადის დაბრუნებასთან დაკავშირებულ საჩივართან მიმართებით უკვე არსებობდა საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება. თუმცა, სახელმწიფო საბჭომ იმავე დღეს მიიღო გადაწყვეტილება სხვა კომპანიის სარჩელთან დაკავშირებით, რომლის კომერციული აქტივობები და მოთხოვნები მომჩივნის იდენტური იყო. აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ გადაუხვია მის სასამართლო პრაქტიკას და დაეთანხმა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა ზედმეტად გადახდილი გადასახადების ანაზღაურების ვალდებულება. მომჩივანი ამტკიცებდა საკუთრების უფლების დარღვევას, ვინაიდან მან ჩათვალა, რომ საბოლოოდ ჩამოერთვა სახელმწიფოს მიერ მისთვის მართებული თანხა სახელმწიფო საბჭოს იმ გადაწყვეტილების შედეგად, რომლითაც საბჭომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა.

სასამართლომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა დაადგინა და აღნიშნა, რომ მომჩივანი სახელმწიფოს კრედიტორს წარმოადგენდა იმ დამატებითი ღირებულების გადასახადის გამო, რომელიც 1978 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის პერიოდისთვის გადაიხადა და ნებისმიერ შემთხვევაში, მას მინიმუმ ლეგიტიმური მოლოდინი მაინც უნდა ჰქონოდა იმისა, რომ თანხა დაუბრუნდებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის საკუთრებაში ჩარევა ვერ აკმაყოფილებდა ზოგადი ინტერესის საჭიროებებს და მომჩივნის მიერ თავისი საკუთრების თავისუფლად გამოყენების უფლებაში ჩარევა იყო არაპროპორციული, ვინაიდან მას არ ჰქონდა საშუალება მოეთხოვა სახელმწიფოსგან ანაზღაურება და ეროვნული სამართალწარმოების არარსებობა, რომელიც უზრუნველყოფს საკმარის საშუალებებს მისი საკუთრებით სარგებლობის დასაცავად, არღვევს სამართლიან ბალანსს საზოგადოების ზოგადი ინტერესების მოთხოვნებსა და პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის.

სამართლიანი დაკმაყოფილება - სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საფრანგეთს მომჩივნისთვის უნდა გადაეხადა 21,734.49 ევრო მატერიალური ზიანისთვის.

### **ლიკვიდირებული შპს ბუფალო იტალიის წინააღმდეგ**

#### **Buffalo Srl in liquidation v. Italy**

მომჩივნმა შპს-მ ვაჭრობა შეწყვიტა 1994 წელს და კომპანიათა რეესტრში დააფიქსირა ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია. 1985 და 1992 წლებს შორის, მან გადაიხადა თანხები კორპორაციული გადასახადის ანგარიშზე, იმ თანხებზე მეტი, ვიდრე სახელმწიფოს ვალი ჰქონდა. შესაბამისად, მას ერგებოდა საშემოსავლო შეღავათები, რომლის გადახდაც საშემოსავლო ორგანოებმა 1997 წელს დაიწყეს. ამ პერიოდში მომჩივანი იძულებული იყო დაფინანსება მიეღო ბანკებისგან და კერძო პირებისგან. ამ ყველაფრის შედეგად გაწეული ხარჯებისთვის მას უწევდა იმაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის გადახდა, ვიდრე ის იღებდა სახელმწიფოსგან შეღავათების ფარგლებში. მომჩივანი დავობდა, რომ საშემოსავლო ორგანოების მიერ თანხის ანაზღაურების გაჭიანურებამ დაარღვია მისი საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა. სასამართლომ დაადგინა, რომ ზედმეტი საშემოსავლო გადასახადისთვის ანაზღაურების გაჭიანურებამ გამოიწვია მომჩივნის გაურკვევლობა არაგონივრული დროით და მომჩივანს არ შეეძლო რაიმე მოემოქმედებინა მისი მდგომარეობის გამოსასწორებლად. მომჩივნის საკუთრების უფლებაში ჩარევა იყო არაპროპორციული, დროის გაჭიანურებების შედეგად ფინანსური გავლენა, მოვლენათა დაჩქარების ეფექტიანი საშუალების არარსებობა და გაურკვევლობა თუ როდის გადაუხდიდა კომპანიას სახელმწიფო თანხას, არღვევდა სამართლიან ბალანსს საზოგადოების ზოგად ინტერესსა და საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის უფლების დაცვის საჭიროებებს შორის.

სამართლიანი დაკმაყოფილება - სასამართლომ მის 2004 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით დამატებით დაადგინა, რომ იტალიას მომჩივნისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად უნდა გადაეხადა 75,000 ევრო.

### **ეკო-ელდა ავეე საბერძნეთის წინააღმდეგ**

#### **Eko-Elda AVEE v. Greece**

1988 წლის ივნისში მომჩივანმა, რომელიც წარმოადგენდა ნავთობ-პროდუქტებში სპეციალიზირებულ შპს-ს, მიმართა ეროვნულ საშემოსავლო ორგანოს 123,387,306 დრაკმის (დაახლოებით 362,105 ევრო) ანაზღაურების მოთხოვნით, რაც მან არასწორად გადაიხადა საშემოსავლო გადასახადის სახით. საშემოსავლო ორგანოსგან უარის შემდეგ, მომჩივნმა საჩივარი ათენის ადმინისტრაციულ სასამართლოში შეიტანა თანხისა და დამატებითი პროცენტის მისაღებად. 1993 წლის ნოემბერში, როდესაც საქმე განხილვის პროცესში იყო, სახელმწიფომ მომჩივანს გადაუხადა 362,105 ევრო. ადმინისტრაციულ სასამართლოში მომჩივანმა შეამცირა საკუთარი მოთხოვნა კანონით განსაზღვრულ პროცენტამდე, მისთვის ანაზღაურების გაჭიანურების გამო. ადმინისტრაციულმა სასამართლომ მოთხოვნა დაუშვებლად ცნო ხოლო სააპელაციო სასამართლომ კომპანიის სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებლად

ჩათვალა, ვინაიდან საქმის განხილვის დროისთვის საგადასახადო კოდექსი არ შეიცავდა დებულებას, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ პროცენტის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. 2000 წლის ნოემბერში, უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის საკასაციო საჩივარი. მომჩივანი დავობდა საგადასახადო ორგანოების უართან დაკავშირებით, მისთვის პროცენტის კომპენსაციის მიზნით საგადასახადო კრედიტის გადახდის დაგვიანების გამო, რომელზეც მას ჰქონდა უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა. სასამართლომ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ არასწორად გადახდილი გადასახადის ანაზღაურება მოხდა კომპანიის მიერ მოთხოვნის დაყენებიდან დაახლოებით 5 წლისა და 5 თვის შემდეგ. სასამართლომ ჩათვალა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ დეფოლტის გადაუხდელობით დაირღვა სამართლიანი ბალანსი ზოგად და კერძო ინტერესებს შორის.

სამართლიანი დაკმაყოფილება - სასამართლომ საბერძნეთს დააკისრა მომჩივანი კომპანიისთვის 120,000 ევროს ანაზღაურება მატერიალური ზიანისთვის.

### **ინტერსპლავი უკრაინის წინააღმდეგ**

#### **Intersplav v. Ukraine**

1998 წლიდან მომჩივანი, “უკრაინულ-ესპანური ერთობლივი საწარმო“, წარუმატებლად დავობდა ლუგანსკის რეგიონულ საშემოსავლო ადმინისტრაციასა და სახელმწიფოს საშემოსავლო ადმინისტრაციაში, სვერდლოვსკის საშემოსავლო ადმინისტრაციის მიერ დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნებაზე მოწმობის დროულად გაუცემლობასთან დაკავშირებით. მართალია სახელმწიფო ორგანოებმა აღიარეს მომჩივნისადმი სახელმწიფოს ვალი, თუმცა მათ არ დაადგინეს საშემოსავლო ადმინისტრაციის გადაცდომები. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ 2004 წლის 18 ივნისს, სასამართლო გადაწყვეტილებებით დადასტურებული სახელმწიფოს ვალი კომპანიის მიმართ წარმოადგენდა 26,363,200 გრივნას (დაახლოებით 4,119,250 ევრო). მომჩივანი დავობდა სახელმწიფოს ქმედებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მის მიმართ არსებული საშემოსავლო გადასახადის დაბრუნების უფლების აღიარებაზე უსაფუძვლოდ უარის თქმასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია მომჩივნის მიერ საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის უფლება და რის შედეგადაც კომპანიის საქმიანობა მნიშვნელოვნად დაზიანდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა და დაადგინა, რომ მომჩივნის საკუთრების უფლებაში ჩარევა იყო არაპროპორციული. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნებისა და კომპენსაციის გაჭიანურებაზე, ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმის არარსებობასთან ერთად, რომელიც შეწყვეტდა და მოახდენდა ასეთი ადმინისტრაციული პრაქტიკის პრევენციას, ასევე გაურკვევლობის მდგომარეობაზე თანხების დაბრუნების დროსთან დაკავშირებით. ამ ყველაფერმა გამოიწვია სამართლიანი ბალანსის დარღვევა საჯარო ინტერესსა და საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის უფლების დაცვის ინტერესს შორის. სასამართლოს აზრით, მომჩივანს დაეკისრა განვრძობადი ინდივიდუალური და გადაჭარბებული ტვირთი.

სამართლიანი დაკმაყოფილება - სასამართლომ უკრაინას დაავალა 25,000 ევროს გადახდა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

## **იმბერტ დე ტრემიოლესი საფრანგეთის წინააღმდეგ**

### **Imbert de Trémiolles v. France**

1997 და 2002 წლებში მომჩივანთა ქონება დაექვემდებარა სიმდიდრის გადასახადს, რაც გათვალისწინებული იყო ზოგად საგადასახადო კოდექსში. მომჩივნებმა წარუმატებლად გაასაჩივრეს იმ მეთოდების კანონიერება, რომლებმაც ისინი სიმდიდრის გადასახადის სუბიექტები გახადა.

სტრასბურგის სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო აშკარად დაუსაბუთებლობის საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სიმდიდრის გადასახადი, რომელიც გათვალისწინებული იყო საფინანსო აქტით, გადახდადი იყო იმ პირების მიერ, რომელთა საერთო დასაბეგრი ქონება აჭარბებდა გარკვეულ ოდენობას და შეიქმნა როგორც სოლიდარობის გადასახადი, რათა მოხმარებოდა საჯარო ინტერესს, არსებობასა და კეთილდღეობისთვის საჭირო მინიმალური სარგებლის დაფინანსების გზით. თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, რომელიც სახელმწიფოებს გააჩნიათ ამ სფეროში, სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველ საქმეში არსებულ გადასახადს მომჩივნის ფინანსური მდგომარეობა იმდენად მნიშვნელოვნად არ დაუზიანებია, რომ გამოყენებული ზომები არაპროპორციულად ჩათვლილიყო ან მიჩნეულიყო სახელმწიფოს მიერ საკუთარი უფლებების ბოროტად გამოყენებად, რაც გათვალისწინებულია კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით, რათა მოხდეს გადასახადებისა და სხვა მოსაკრებლების გადახდის უზრუნველყოფა.

## **Bulves AD ბულგარეთის წინააღმდეგ**

### **Bulves AD v. Bulgaria**

მომჩივანი, სააქციო საზოგადოება, დავობდა, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ ჩამოართვა მას უფლება გამოეკეთოს მიმწოდებლისთვის გადახდილი დღგ, რომელმაც დააგვიანა საკუთარი დღგ-ის ანგარიშების ვალდებულებების შესრულება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა. სასამართლომ გაითვალისწინა მომჩივნის მიერ საკუთარი ვალდებულებების (დღგ-სთან დაკავშირებული) დროული და სრულად შესრულება, მისთვის შეუძლებლობა მიმწოდებლის დათანხმებისა და მის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა და ფაქტი, რომ ადგილი არ ჰქონია თაღლითობას, რომელთან დაკავშირებითაც ცოდნა ჰქონდა მომჩივანს ან ჰქონდა შესაძლებლობა ასეთი ინფორმაციის მოპოვებისა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს არ უნდა დაკისრებოდა სრული პასუხისმგებლობა მისი მიმწოდებლის გადაცდომების გამო, რაც დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშის დროული მიწოდების განუხორციელებლობაში გამოიხატა, ამით მომჩივანს დაეკისრა გადაჭარბებული ინდივიდუალური ტვირთი.

სამართლიანი დაკმაყოფილება - სტრასბურგის სასამართლომ ჩათვალა, რომ თავად მომჩივნის უფლებათა დარღვევის დადგენა წარმოადგენდა სამართლიან დაკმაყოფილებას ნებისმიერი მისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანისთვის და ბულგარეთს მისთვის უნდა გადაეხადა 1,953 ევრო მატერიალური ზიანისთვის.



## **დი ბელმონტე იტალიის წინააღმდეგ**

### **Di Belmonte v. Italy**

მოძრავი გარდაიცვალა 2004 წლის ივნისში და მისმა ბიძაშვილმა განაგრძო საქმე სასამართლოში. ისპიკას მუნიციპალიტეტმა (იტალია), მოახდინა მოძრავის მიწის ექსპროპრიაცია, რომელიც უნდა გამოეყენებინა იაფი ქირით საცხოვრებლის ასაშენებლად, სანაცვლოდ კი მოძრავს უნდა მიეღო კომპენსაცია. მოძრავმა გაასაჩივრა ხელისუფლების გადაწყვეტილება მისთვის მიწის სანაცვლოდ მიცემული კომპენსაციის 20 პროცენტის რეტროაქტიულად დაბეგრასთან დაკავშირებით.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა. სასამართლომ, პირველ რიგში, ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელმწიფოებს აქვთ ფართო დისკრეტია, გადაწყვიტონ თუ რომელი ტიპის გადასახადები და შენატანები უნდა იყოს გადასახდელი. მხოლოდ სახელმწიფო იყო კომპეტენტური, შეეფასებინა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები რომლებიც ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაეთვალისწინებინათ. 1991 წლის საგადასახადო კანონმდებლობა, რომელსაც ეს საქმე უკავშირდება, ექცეოდა ასეთ საკითხებზე სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ 1991 წლის კანონმდებლობა ძალაში შევიდა მოძრავისთვის გადასახდელი კომპენსაციის საბოლოო შეფასებასა და გადასახდელ გადასახადებს შორის. სასამართლოს დაკვირვებით, თავად კანონმდებლობის რეტროაქტიულ გამოყენებას არ გამოუწვევია პრობლემა კონვენციასთან მიმართებით, ვინაიდან 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი არ კრძალავს საგადასახადო კანონმდებლობის რეტროსპექტიულ გამოყენებას. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ამ საქმეში მნიშვნელოვანია ის საკითხი 1991 წლის კანონმდებლობის გამოყენებას ხომ არ დაუკისრებია მოძრავისთვის გადაჭარბებული ტვირთი. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა ძალაში შევიდა კატანიას სააპელაციო სასამართლოს მიერ ექსპროპრიაციისთვის კომპენსაციის ოდენობის საბოლოო შეფასებიდან შვიდ თვეზე მეტი ხნის შემდეგ. შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოების მიერ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების აღუსრულებლობას ჰქონდა გადამწყვეტი გავლენა ახალი საგადასახადო სისტემის გამოყენებაზე, ვინაიდან მოძრავისთვის გადასახდელი კომპენსაცია არ დაბეგრებოდა ახალი კანონმდებლობის მიხედვით თუ სასამართლოს გადაწყვეტილება დროულად და პუნქტუალურად აღსრულდებოდა.

სამართლიანი დაკმაყოფილება - სასამართლომ მოძრავის მემკვიდრეს მიაკუთვნა 1,100,000 ევრო მიყენებული მატერიალური ზიანისთვის და 3,000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

## **ОАО Neftyanaya Kompaniya YUKOS რუსეთის წინააღმდეგ**

### **ОАО Neftyanaya Kompaniya YUKOS v. Russia**

წინამდებარე საქმე ეხება საგადასახადო და აღსრულების პროცესებს მოძრავი ნავთობი კომპანიის მიმართ - რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს და წარმატებულ ბიზნესს, რომელიც სრულად სახელმწიფო მფლობელობაში იყო 1995-96 წლებამდე, შემდეგ კი მოხდა მისი პრივატიზება - რამაც გამოიწვია მისი ლიკვიდაცია. კერძოდ, მოძრავი დავობდა იმ დარღვევებზე, რომელიც მის 2000 წლის საგადასახადო ვალდებულებებს შეეხებოდა და ასევე უკანონობასა და

პროპორციულობის ნაკლებობაზე 2000-2003 წლების საგადასახადო შეფასებებსა და შემდგომ აღსრულებებზე. მომჩივანი მიუთითებდა, რომ მისი საგადასახადო ვალდებულებების აღსრულება განზრახ იყო იმგვარად განაწილებული, რომ ხელი შეშლოდა ვალების გადახდაში; კერძოდ, მისი აქტივების დაყადაღებამ ხელი შეუშალა მას ვალის დაფარვაში. მომჩივანი ასევე დავობდა 7% აღსრულების საფასურთან; 2000-2003 წლების საგადასახადო შეფასებებთან ნებაყოფლობითი შესრულების მოკლე ვადასთან; და, OAO Yuganskneftegaz-ის იძულებითი გაყიდვასთან დაკავშირებით. მომჩივანი ასევე დავობდა სასამართლოს მიერ რელევანტური კანონმდებლობის შერჩევითად ინტერპრეტაციას, ვინაიდან სხვა რუსული კომპანიებიც იყენებდნენ ეროვნულ შეღავათიან დაბეგვრას. კომპანიამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლები ითმენდნენ და მხარსაც უჭერდნენ მის „საგადასახადო ოპტიმიზაციის ტექნიკას“, რომელსაც იგი იყენებდა. მომჩივანმა ასევე დაამატა, რომ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო მას ასეთი ტექნიკის გამოყენების საშუალებას აძლევდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (საკუთრების დაცვა) 2000-2001 წლების საგადასახადო გადასახადების დარიცხვის შესახებ ჯარიმების დაკისრებასა და გამოანგარიშებასთან დაკავშირებით, ორი მიზეზის გამო - კანონმდებლობით მოქმედი ვადის შესახებ წესების რეტროაქტიული ცვლილება და 2001 საგადასახადო წლისთვის გადასახდელი ჯარიმების გაორმაგება. თუმცა, ვინაიდან დანარჩენი 2000-2003 წლის საგადასახადო შეფასებები იყო კანონიერი, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს (გადასახადების გადახდა/მიღების უზრუნველყოფა) და წარმოადგენდა პროპორციულ ზომას, სასამართლომ ვერ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა დანარჩენი 2000-2003 წლის საგადასახადო შეფასებების ნაწილში. რაც შეეხება აღსრულების ნაწილს, სააღსრულებლო წარმოების ტემპის გათვალისწინებით, სააღსრულებლო საფასურის სრულად გადახდევინება და სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ მათი ქმედებათა შედეგების სათანადოდ გათვალისწინებლობა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ დაადგინა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ლეგიტიმურ მიზანსა და მის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის სამართლიანი ბალანსის დაუცველობა, რაც წინააღმდეგობაში მოდის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლთან. ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევა (სამართლიანი სასამართლოს უფლება) 2000 წლის საგადასახადო შეფასებების საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, იმ საფუძველზე, რომ მომჩივანს არ ჰქონდა პირველ ინსტანციაში საკმარისი დრო საქმის მასალების შესასწავლად (ჰქონდა 4 დღე 43,000-ზე მეტი გვერდისთვის) ან წარდგინებებისთვის და, უფრო ზოგადად, სააპელაციო განხილვის მოსამზადებლად. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში, არსებულ საგადასახადო ღონისძიებათა საკმაო კომპლექსურობის გათვალისწინებით, მომჩივანი არ იყო სხვა კომპანიასთან რელევანტურად მსგავს მდგომარეობაში. და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-18 მუხლის (უფლებათა შეზღუდვის ლიმიტაცია) დარღვევას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან მომჩივანმა ვერ შეძლო მისი მოთხოვნების დასაბუთება,

რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებს სურდათ მისი განადგურება და მისი ქონების დაუფლება და არა გადასახადებისგან თავის არიდების საწინააღმდეგოდ ლეგიტიმურად მოქმედება.

სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებაში სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, 2014 წლის 31 ივლისს დაადგინა, რომ რუსეთმა მომჩივანი კომპანიის აქციონერებს უნდა გადაუხადოს ისე, როგორც მათ ეკუთვნოდათ კომპანიის ლიკვიდაციის დროს და თუ ეს შესაძლებელია, მათ უფლებამონაცვლებსა და მემკვიდრეებს 1,866,104,634 ევრო მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და ასევე, რუსეთს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან ერთად უნდა შეემუშვებინა სამართლიანი დაკმაყოფილებით გათვალისწინებული გადასახადის გადანაწილების ყოვლისმომცველი გეგმა; სასამართლოს თქმით, მოცემულ შემთხვევაში თავად უფლებათა დარღვევის დადგენა წარმოადგენდა სამართლიან დაკმაყოფილებას არამატერიალური ზიანისთვის.

### **ნ.კ.მ. უნგრეთის წინააღმდეგ**

#### **N.K.M. v. Hungary**

მომჩივანი წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რომელიც ასაჩივრებდა მის გათავისუფლებასთან დაკავშირებული კომპენსაციის 98 პროცენტით დაბეგვრას იმ კანონმდებლობით, რომელიც ძალაში შევიდა მის გათავისუფლებამდე 10 კვირით ადრე და წარმოადგენდა ქონების დაუსაბუთებელ ჩამორთმევას.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა. მიუხედავად გადასახადების საკითხებში სახელმწიფოს ფართო დისკრეციისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოყენებული საშუალებები იყო არაპროპორციული ლეგიტიმური მიზნის, რასაც წარმოადგენდა მთავრობის მიერ საგადასახადო ან სხვა საშუალებებით მოზიდული თანხების დაცვა, ზედმეტი განთავისუფლების კომპენსაციების გადახდისგან. მომჩივანს ასევე არ მიეცა გარდამავალი პერიოდი, რათა მორგებოდა ახალ ანაზღაურების გეგმას დასაქმების შეწყვეტისას კომპენსაციასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, მომჩივნისთვის შეძენილი უფლების ჩამორთმევით, რომელიც შრომითი ბაზრის რეინტეგრაციის განსაკუთრებულ სოციალურ ინტერესს ემსახურებოდა, უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მომჩივანი დააყენეს გადაჭარბებული ინდივიდუალური ტვირთის ქვეშ.

### **კაჩიატო იტალიის წინააღმდეგ და გუისო და კონსიგლიო იტალიის წინააღმდეგ**

#### **Cacciato v. Italy and Guiso and Consiglio v. Italy**

მომჩივნები დავობდნენ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ექსპროპრიაციას მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მიერ, კონკრეტულად 20% გადასახადს, რომელიც მათ უნდა გადაეხადათ მიწის ჩამორთმევასთან დაკავშირებით მიღებული კომპენსაციისთვის. მომჩივანთა თქმით, მათ მიწისთვის მიიღეს საბაზრო ფასზე ნაკლები ანაზღაურება.

სასამართლომ გადასახადთან დაკავშირებული საჩივრები დაუშვებლად ცნო აშკარად დაუსაბუთებლობის გამო. სასამართლოს აზრით, გადასახადით არ დარღვეულა ბალანსი, რომელიც უნდა ყოფილიყო დაცული მომჩივნის უფლებებსა და გადასახადების აგროვების საჯარო ინტერესს შორის, განსაკუთრებით იმ მანევრირების ადგილიდან (თავისუფალი

შეფასების ფარგლებიდან) გამოდინარე, რომელიც სახელმწიფოებს ჰქონდათ გადასახადების შემგროვებელ პოლიტიკაში. გადასახადი, მათ შორის, განაკვეთი და არშესრულების საშუალებები, ექცეოდა იტალიის კანონმდებლობის დისკრეციული გადაწყვეტილების არეალში. 20 პროცენტის დონე არ იყო აკრძალული. უფრო მეტიც, გადასახადის დაკისრებას არ გამოუწვევია კომპენსაციის გაუქმება ან მომჩივნებისთვის ზედმეტი ფინანსური გასაჭირი.

### **პოპი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **Pop and Others v. Romania**

სამივე მომჩივანმა შეიძინა მეორეული მანქანები ევროკავშირის ტერიტორიაზე, ისინი დავობდნენ დაბინძურების გადასახადთან დაკავშირებით, რომელიც საჭირო იყო რუმინეთში ავტომობილის დასარეგისტრირებლად, საგანგებო განკარგულების გამოყენებისას (OUG no.50/2008), რომელიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ცნობილი იყო ევროკავშირის სამართალთან შეუთავსებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჩივრები დაუშვებლად ცნო, რადგან მომჩივნებს არ ამოუწურავთ ყველა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი მექანიზმი. ორი მომჩივნის შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნა, რომ სხვა საგანგებო განკარგულება (OUG no. 52/2017), შემოთავაზებული უფლებათა დაცვის საშუალება, რომელიც ძალაში იყო 2017 წლის 7 აგვისტოდან, აძლევდათ მათ საშუალებას მიეღოთ დაბინძურების გადასახადისა და შესაბამისი განაკვეთის ანაზღაურება. ეს განკარგულება ასევე აწესებდა ნათელ და განჭვრეტად პროცედურებს, მბოჭავი ვადებითა და ეფექტური სასამართლო განხილვის შესაძლებლობით. შესაბამისად, უფლებათა დაცვის OUG no. 52/2017 განკარგულებით წარმოდგენილი საშუალება იყო ეფექტიანი კონვენციის 35-ე მუხლის (დასაშვებობის კრიტერიუმები) მიზნებისთვის. მესამე მომჩივანთან დაკავშირებით, მან აღიარა, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არ განუხორციელებია რაიმე ქმედება იმ პროცენტის მისაღებად, რომელსაც იგი ითხოვდა (დაბინძურების გადასახადი და პროცენტის ნაწილი დაბრუნებულ იქნა ეროვნული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით) და მას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი, რომლითაც იგი დაადასტურებდა ასეთი მიდგომის არაეფექტიანობას.

სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი)

### **ბენდენუნი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Bendenoun v. France**

წინამდებარე საქმეში მომჩივანი იყო მონეტებით მოვაჭრე, რომელმაც ძველი მონეტებით, ხელოვნების ნივთებითა და ძვირფასი ქვებით ვაჭრობის მიზნით, საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად 1973 წელს დააფუძნა შპს. იგი ფლობდა შპს-ს კაპიტალის უმეტეს წილს და ასრულებდა თავმჯდომარისა და მმართველი დირექტორის მოვალეობებს. მისი ქმედებების შედეგად, მის წინააღმდეგ აღიძრა სამი - საბაჟო, საგადასახადო და სისხლისსამართლებრივი - საქმე, რომლებიც მეტნაკლებად ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა. მომჩივანი დავობდა საკუთარი სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ, მასზე დაკისრებული საგადასახადო დანამატებისთვის.

იმ დროს, როდესაც საშემოსავლო ორგანომ ფრთხილად და ცალმხრივად შეარჩია მომჩივნის ბრალდების ხელშემწყობი დოკუმენტები და წარუდგინა ადმინისტრაციულ სასამართლოს, თავად მომჩივანს არ ჰქონდა სრულად წვდომა საბაჟოს მიერ შედგენილ საქმის მასალებზე, რომლებიც მოიცავდნენ არა მხოლოდ ანგარიშებს, არამედ იმ ინფორმაციას, რომლებსაც ისინი ეფუძნებოდნენ.

სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი (სამართლიანი სასამართლოს უფლება) გამოყენებადი იყო მოცემული საქმეში. პირველ რიგში, ის სამართალდარღვევები, რომლებიც მომჩივანს ბრალდებოდა ეფუძნებოდნენ ზოგადი საგადასახადო კოდექსის 1729-ე მუხლის 1-ელ ნაწილს. აღნიშნული დებულება მოიაზრებდა ყველა მოქალაქეს მათი გადასახადის გადამხდელის სტატუსის ფარგლებში და არა სხვა რაიმე კონკრეტული სტატუსის მქონე ჯგუფებს. მოცემული დებულება აწესებდა გარკვეულ დათქმებს, რომელთა დარღვევაც იწვევდა შესაბამის ჯარიმებს. მეორე, გადასახადებზე დანამატები გამიზნული იყო არა როგორც ზიანისთვის კომპენსაცია, არამედ როგორც სასჯელი სამართალდარღვევის შემდგომში გამეორების პრევენციის მიზნით. მესამე, ისინი დაწესებული იყო ზოგადი წესის მიხედვით, რომლის დანიშნულებაც იყო როგორც სადამსჯელო ასევე შემაკავებელი ხასიათის. და ბოლოს, მოცემულ საქმეში დამატებითი გადასახადი იყო საკმაოდ დიდი ოდენობის თანხა - 422,534 ფრანგული ფრანკი პირადად მომჩივანთან და 570,398 ფრანკი მის კომპანიასთან მიმართებით; გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მისი ციხეში ჩასმა. საქმის სხვადასხვა გარემოებებისა და ასპექტების შეფასების შემდეგ, სასამართლომ აღნიშნა სისხლისსამართლებრივი კონოტაციის მქონეთა სიჭარბე. არც ერთ მათგანს ცალკე აღებულს არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუმცა ერთად აღებული, ბრალდებას აძლევდნენ სისხლისსამართლებრივ ელფერს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით.

მოცემულ საქმეში, სასამართლოს ხელთ არსებული ინფორმაციით არ ჩანდა, რომ დოკუმენტების წარმოუდგენლობა არღვევდა დაცვის უფლებებს ან მხარეთა თანასწორობის პრინციპს.

### **ა.პ., მ.პ. და ტ.პ. შვეიცარიის წინააღმდეგ**

#### **A.P. M.P. and T.P. v. Switzerland**

წინამდებარე საქმეში მომჩივნები იყვნენ სამშენებლო კომპანიის, 1984 წელს გარდაცვლილი, ერთადერთი წილის მფლობელის ქვრივი და ვაჟები. ისინი იყვნენ მისი ერთადერთი მემკვიდრეები. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მათ შეეძლოთ უარი ეთქვათ მემკვიდრეობაზე, ამოიწურა 1984 წლის მაისში. შემდგომში დადგინდა, რომ გარდაცვლილი თავს არიდებდა გარკვეული გადასახადების გადახდას და საგადასახადო ორგანოებმა დაიწყეს საქმისწარმოება მომჩივანთა წინააღმდეგ. 1990 წელს, ფედერალურმა საგადასახადო დეპარტამენტმა დააჯარიმა ისინი და მოსთხოვა გარდაცვლილის მიერ გადაუხდელი გადასახადების გადახდა. მომჩივნები დავობდნენ, რომ ყოველგვარი პერსონალური დანაშაულის გარეშე, ისინი გაასამართლეს სხვის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის (უდანაშაულობის პრეზუმფცია) დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნებისგან

გადაუხდელი გადასახადების ამოღების საკითხი არ იყო და არც იქნებოდა პრობლემური. სტრასბურგის სასამართლომ ნორმალურად მიიჩნია, რომ გარდაცვლილის სხვა ვალდებულებების მსგავსად, საგადასახადო ვალდებულებებიც უნდა გადახდილიყო დატოვებული ქონებიდან. თუმცა, ცოცხალ პირებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება გარდაცვლილი პირის ქმედებათა გამო განსხვავებულ საკითხს წარმოადგენდა. მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა გარდაცვლილი დამნაშავე, მომჩივნები დაჯარიმდნენ გადასახადებისთვის თავის არიდების გამო, რომელიც სავარაუდოდ გარდაცვლილმა ჩაიდინა. თუმცა, სისხლის სამართლის ფუნდამენტური წესია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ იარსებებს მისი ჩამდენის მიღმა და მისი გარდაცვალების შემთხვევაში - დამოუკიდებლად. ამ ფუნდამენტურ წესს ითვალისწინებს შვეიცარიის ზოგადი სისხლის სამართალი. სასამართლოს აზრით, ასეთივე წესს საჭიროებს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაც გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით. გარდაცვლილი პირის ბრალის მემკვიდრეობა შეუთავსებელია კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ საზოგადოებაში არსებული სისხლის სამართლის სტანდარტებთან.

### **ჯ.ჯ. ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **J.J. v. the Netherlands**

1989 წლის დეკემბერში, შტატგარეშე გადასახადების კონსულტანტმა, მიიღო შეფასება დამატებითი შემოსავლის გადასახადთან დაკავშირებით და შეტყობინება საგადასახადო ჯარიმით გადასახადის 100%-ით 38,656 ჰოლანდიურ გილდერამდე გაზრდის თაობაზე. მან საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს საგადასახადო პალატას, რომელმაც საჩივარი დაუშვებლად ცნო სასამართლო ბაჟის გადაუხდელობის საფუძვლით. მან ასევე არაკანონიერების საფუძვლით წარუმატებლად გაასაჩივრა საქმე უზენაეს სასამართლოში. იგი დავობდა, რომ შეეზღუდა სამართლიანი სასამართლოს უფლება იმის გამო, რომ არ მიეცა საშუალება ეპასუხა გენერალური ადვოკატის მიერ უზენაესი სასამართლოსთვის წარდგენილი საკონსულტაციო დასკვნისთვის.

სასამართლომ დაადგინა, რომ უზენაესი სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების შედეგმა დაადგინა მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ბრალდება. იმის გათვალისწინებით, თუ რა იდო სასწორზე მომჩივნისთვის ამ სამართალწარმოების დროს და გენერალური ადვოკატის საკონსულტაციო დასკვნის ბუნების გათვალისწინებით, ის ფაქტი, რომ მომჩივნისთვის შეუძლებელი იყო მასზე პასუხის გაცემა უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, არღვევდა მის უფლებას შიჯიბრებითი სამართალწარმოების შესახებ, რაც პრინციპში, გულისხმობს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო პროცესის მხარეთა შესაძლებლობას, რომ იცოდნენ და კომენტარი გააკეთონ ყველა წარდგენილ მტკიცებულებაზე ან ეროვნული იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელი წევრის მიერ შეტანილ დაკვირვებებზეც კი, რომელთა მიზანია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა. აღნიშნული უფლება გულისხმობს პროცესის მონაწილე მხარეთათვის სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეებზე წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და გაკეთებულ განცხადებებზე, მათ შორის, ეროვნული იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელი წევრის მიერ, ცოდნასა და პასუხის გაცემის შესაძლებლობას, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენის

მიზნით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა.

### **ჯ.ბ. შვეიცარიის წინააღმდეგ**

#### **J.B. v. Switzerland**

მოძივანს, რომლის მიმართაც აღძრული იყო საქმე გადასახადებისგან თავის არიდებასთან დაკავშირებით, რამდენჯერმე მოსთხოვეს ყველა დოკუმენტის წარმოდგენა იმ კომპანიებთან დაკავშირებით, რომლებშიც მას დაბანდებული ჰქონდა ფული. მან არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტები და შედეგად 4-ჯერ დაჯარიმდა. მოძივანი თვლიდა, რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოება იყო უსამართლო და არღვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ვინაიდან მისგან ითხოვდნენ ისეთი დოკუმენტების წარდგენას, რომლებიც ხელს შეუწყობდა მის ინკრიმინირებას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ დუმილის უფლება და თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება წარმოადგენდნენ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი პროცესის გულში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. მოცემული საქმის გარემოებებიდან ჩანს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ მოძივანის იძულებას წარმოედგინა დოკუმენტები, რომლებიც შეიცავდნენ ინფორმაციას მის შემოსავალზე, მისი გადასახადების შეფასებისთვის. მოძივანს არ შეეძლო იმის გამორიცხვა, რომ ამ დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია დამატებით შემოსავალზე დაუბეგრავი წყაროებიდან, არ შეუწყობდა ხელს მის ბრალდებას გადასახადებისგან თავის არიდებაზე.

### **ფერაზინი იტალიის წინააღმდეგ**

#### **Ferrazzini v. Italy**

კომპანიამ, რომლის წარმომადგენელიც იყო მოძივანი, მიმართა საგადასახადო ორგანოებს, მასზე დაკისრებულ ზოგიერთ გადასახადზე არსებული განაკვეთის შემცირებასთან დაკავშირებით. საგადასახადო ორგანოებმა კომპანიის მიმართ ჩაატარეს დამატებითი საგადასახადო შეფასება. მოძივანმა გაასაჩივრა შემდგომ საგადასახადო საქმისწარმოებათა ხანგრძლივობა.

მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლო ვალდებული იყო განეხილა, საზოგადოებაში არსებული შეცვლილი დამოკიდებულების ფონზე, იმ სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით რომელიც კერძო პირს გააჩნია სახელმწიფოსთან ურთიერთობისას, უნდა გავრცელდეს თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის არსებულ დავებზე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მიღებულ საგადასახადო ორგანოთა გადაწყვეტილებების კანონიერებასთან დაკავშირებით. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ურთიერთობა პირსა და სახელმწიფოს შორის ცალსახად განვითარდა მრავალ სფეროში კონვენციის მიღებიდან გასული 50 წლის განმავლობაში, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო რეგულირების მზარდი ჩარევით. მიუხედავად დემოკრატიულ საზოგადოებებში არსებულ საგადასახადო სფეროში განვითარებული მოვლენებისა, არ შეცვლილა კომპანიათა და კერძო პირთა მიერ გადასახადის გადახდის ვალდებულების

ფუნდამენტური ბუნება. კონვენციის მიღებისას არსებულ პოზიციასთან შედარებით, ამ მოვლენებს არ მოჰყოლია სახელმწიფოს მხრიდან პირის ცხოვრების „სამოქალაქო“ სფეროში შემდგომი ჩარევა. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ საგადასახადო საკითხები კვლავ წარმოადგენდნენ საჯარო ხელისუფლების პრეროგატივათა ნაწილს, სადაც საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის ურთიერთობის საჯარო ბუნება კვლავ გაბატონებულია. სასამართლომ დაადგინა, რომ საგადასახადო დავები ექცეოდა სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების გარეთ მიუხედავად მატერიალური ეფექტისა, რომელიც მათ აუცილებლად გააჩნიათ გადასახადის გადამხდელის მიმართ, და დაადგინა, რომ მოცემულ საქმეს არ მიესადაგებოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

### **ჯუსილა ფინეთის წინააღმდეგ**

#### **Jussila v. Finland**

საგადასახადო ორგანომ მომჩივანს დააკისრა დამატებითი გადასახადი, რომელიც შეადგენდა მისი საგადასახადო ვალდებულებების ხელახალი შეფასების 10 პროცენტს. დამატებითი გადასახადი იმ დროისთვის შეადგენდა 1,836 ფინურ მარკას (დაახლოებით 300 ევრო) და ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ მისი 1994-1995 წლის დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაციები იყო არასრული. მომჩივანმა მიმართა პირველი ინსტანციის ადმინისტრაციულ სასამართლოს და ითხოვა ზეპირი მოსმენა, სადაც საგადასახადო ინსპექტორი და ექსპერტი იქნებოდნენ წარმოდგენილები მოწმის სახით. ადმინისტრაციულმა სასამართლომ მოიწვია ინსპექტორი და ექსპერტი და შესთავაზა მათი მოსაზრებების წერილობით წარმოდგენა, რის შედეგადაც მან ჩათვალა, რომ ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა საჭირო აღარ იყო, ვინაიდან ყველა საჭირო ინფორმაცია მხარეებმა უკვე წარადგინეს წერილობით. მომჩივანს არ მიეცა გასაჩივრების უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მან განაცხადა, რომ ვერ ისარგებლა სამართლიანი განხილვის უფლებით, რომლის ფარგლებშიც დაწესდა დამატებითი გადასახადი, რადგან არ ყოფილა ზეპირი მოსმენა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა დამატებითი გადასახადები იყო საგადასახადო რეჟიმის ნაწილი ისინი დაკისრებული იყო ისეთი წესით, რომლის დანიშნულება იყო სადამსჯელო და შემაკავებელი. შესაბამისად, კანონდარღვევა იყო სისხლისსამართლებრივი ბუნების კონვენციის მე-6 მუხლის შინაარსით და სტრასბურგის სასამართლომ ჩათვალა, რომ მე-6 მუხლი ვრცელდებოდა მომჩივნის საქმეზე. თუმცა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს მიეცა მრავალი შესაძლებლობა მისი პოზიციის წერილობით წარმოდგენისა და საგადასახადო ორგანოს მოსაზრებებზე აზრის დაფიქსირებისთვის. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაცული იყო სამართლიანობის მოთხოვნები და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ისინი არ საჭიროებდნენ ზეპირ განხილვას. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის საქმეში ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.



**სეგამ ს.ა. საფრანგეთის წინააღმდეგ**  
**Segame S.A. v. France**

მოცემული საქმე ეხებოდა შპს-ს, რომელიც მართავდა ხელოვნების გალერეას რომელიც გახდა ხელახალი საგადასახადო შეფასების სუბიექტი. ხელახალი შეფასება, სხვა საკითხებთან ერთად, ეხებოდა დამატებით გადასახადებს ძვირფასი მეტალის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალზე, სამკაულებზე, ხელოვნების ნივთებზე, საკოლექციო ნივთებსა და ანტიკვარიატზე (გადასახადი ხელოვნების ნიმუშებზე). მომჩივანი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე დავობდა მასზე დაწესებულ ჯარიმასთან დაკავშირებით. მომჩივნის განცხადებით, ზოგადი საგადასახადო კოდექსის შესაბამისი დებულება არ ანიჭებდა საგადასახადო სასამართლოს სრულ იურისდიქციას, რომლითაც იგი შეძლებდა ჯარიმის ოდენობის განსაზღვრას გადასახადების გადამხდელის მიმართ არსებული ბრალდებების სიმძიმის პროპორციულად.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივან კომპანიას ჰქონდა შესაძლებლობა ადგილობრივ ადმინისტრაციულ სასამართლოებში წარმოედგინა ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტი, რომელსაც იგი საკუთარი მოთხოვნის დასადასტურებლად თვლიდა საჭიროდ. კერძოდ, სასამართლომ განიხილა გადასახადის სავარაუდო შეუსაბამობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან და დეტალურად განიხილა საგადასახადო შეფასების გაანგარიშებისას გამოყენებული ბაზა, რომელიც, უფრო მეტიც, სააპელაციო ადმინისტრაციულმა სასამართლომ შეამცირა. იმის გათვალისწინებით, რომ ჯარიმა წარმოადგენდა გადაუხდელი გადასახადის პროცენტს, ასევე, საგადასახადო დავების განსაკუთრებული ბუნებისა და ჯარიმის განაკვეთის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

**იანოსევიჩი შვედეთის წინააღმდეგ და ვასტბერგა ტაქსი აკტიებოლაგი და ვულიჩი შვედეთის წინააღმდეგ**

**Janosevic v. Sweden and Västberga Taxi Aktiebolag and Vulic v. Sweden**

პირველ საქმეში, მომჩივანი იყო ტაქსის მფლობელი კომპანია. მეორე საქმეზე მომჩივნებს წარმოადგენდნენ ტაქსის კომპანია და მისი ყოფილი დირექტორი. 1994-95 წლებში ტაქსის ოპერატორების მიმართ განხორციელებული ფართომასშტაბიანი გამოძიების ნაწილში, საგადასახადო ორგანოებმა ჩაატარეს ორი ტაქსის კომპანიის აუდიტი. ვინაიდან მათი საგადასახადო დეკლარაციები იყო არასწორი, საგადასახადო ორგანომ გადაამოწმა მათი ანგარიში და გაზარდა მათი გადასახადი. მომჩივანთა მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების გამო, მათ დაეკისრათ დამატებითი გადასახადი: პირველ საქმეზე მომჩივანს 160,000 შვედური კრონა, და მეორე საქმის პირველ მომჩივანს 35,000 კრონა. მეორე საქმის პირველ მომჩივანზე გადასახადის დაწესების შედეგად, მისი ყოფილი დირექტორის საგადასახადო დეკლარაციები გადაამოწმდა და მას დაეკისრა დაახლოებით 58,000 კრონას გადახდა. მომჩივნების აზრით, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით მათი ბრალეულობის დადგენამდე საშემოსავლო ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულება წინააღმდეგობაში მოდიოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. მათი აზრით, საგადასახადო საქმისწარმოება არ დასრულდა გონივრულ ვადაში და მათ შეეზღუდათ კანონის მიხედვით დამნაშავედ ცნობამდე უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დამატებით გადასახადთან დაკავშირებულ სამართლებრივ დებულებათა ზოგადი ხასიათი და ჯარიმების მიზანი რომელიც იყვნენ სადამსჯელო და შემაკავებელი ხასიათის, მიუთითებდნენ იმაზე, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის მომჩივნებს ბრალად ედებოდათ სისხლის სამართლის დანაშაული. დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ხასიათი დამატებით დადასტურებული იყო სიმძიმის პოტენციალითა და ფაქტობრივად დაკისრებული ჯარიმით. ორივე შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა მომჩივანთა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებასთან მიმართებით. სასამართლომ პირველ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მომჩივნის მიმართ გატარდა სააღსრულებლო ღონისძიებები და მას უარი ეთქვა აღსრულების შეჩერებაზე. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებებს გადასახადებთან და დამატებით გადასახადებთან დაკავშირებით ჰქონდათ მნიშვნელოვანი შედეგები მომჩივნისთვის, რომლებიც შესაძლოა უფრო გასერიოზულებულიყო პროცესის მიმდინარეობასთან ერთად და რთული იქნებოდა, მომჩივნის წარმატების შემთხვევაში გადაწყვეტილების შეცვლასთან დაკავშირებით, ამ შედეგების შეფასება და გამოსწორება. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო მისთვის ჰქონოდა ეფექტიანი ხელმისაწვდომობა ისეთ სასამართლოზე, რომელიც მის მიერ წამოწყებულ პროცესებს დაუყოვნებლივ გამართავდა. სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა ის, რომ შეფასებათა გადახედვის თაობაზე მომჩივნების მოთხოვნებზე გადაწყვეტილების მისაღებად თითქმის 3 წელი დასჭირდა საგადასახადო ორგანოს, რითაც მან არ იმოქმედა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე საჭირო სისწრაფით და შესაბამისად ზედმეტად შეანელა სასამართლოს მიერ მთავარ საკითხთა გადაწყვეტა, რომელიც დამატებითი გადასახადებისა და გადასახადებზე ჯარიმების დაკისრებას ეხებოდა. მეორე საქმეში, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა საგადასახადო ორგანოსა და ადგილობრივი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე საჭირო სისწრაფით უმოქმედობა და შესაბამისად, სასამართლოს მიერ საქმის მთავარი პრობლემების - დამატებითი გადასახადებისა და გადასახადებზე ჯარიმების საკითხების გადაწყვეტის ზედმეტად დროში გაჭიანურება. პირველ მომჩივანთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მომავალში მიღების შემთხვევაშიც, ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად ხანგრძლივი დრო ნიშნავდა, რომ შემდგომში მიღებული სასამართლოს ხელმისაწვდომობა ვერ ჩაითვლებოდა ეფექტიანად. ორივე საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა სამართალწარმოების ხანგრძლივობის გამო. და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ არც ერთ საქმეში დარღვეულა მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

### **მელო ტადეუ პორტუგალიის წინააღმდეგ**

#### **Melo Tadeu v. Portugal**

წინამდებარე საქმე ეხებოდა საგადასახადო აღსრულების პროცესის დაწყებას მომჩივნის მიმართ იმ კომპანიის საგადასახადო ვალის გამო, რომლის დე ფაქტო მენეჯერადაც იგი ითვლებოდა. პროცედურა გაგრძელდა იმის მიუხედავად, რომ მის მიმართ საგადასახადო თაღლითობასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება მისი გამართლებით დასრულდა და გამოიწვია მის მფლობელობაში არსებული სხვა კომპანიის აქციათა წილის კრედიტორის

სასარგებლოდ გაყიდვა. მომჩივნის განცხადებით, გადასახადის აღსრულების პროცესში მას მოექცნენ როგორც დამნაშავეს იმ სამართლდარღვევისთვის, რომელთან დაკავშირებითაც იგი გამართლდა. მან დამატებით განაცხადა, რომ მის მფლობელობაში არსებული სხვა კომპანიის აქციათა წილის კრედიტორის სასარგებლოდ გაყიდვა წარმოადგენდა მისი საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო ორგანოებმა და საქმის განმხილველმა ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა უგულებელყვეს მომჩივნის სისხლისსამართლებრივ დავაში გამართლება, რითაც ეჭვქვეშ დააყენეს მისი გამართლების საფუძვლიანობა ისე, რომ ეს შეუსაბამო იყო მის უდანაშაულობის პრეზუმეციის უფლებასთან. სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა, სასამართლოს აზრით, მომჩივნის მფლობელობაში არსებული სხვა კომპანიის აქციათა წილის კრედიტორის სასარგებლოდ გაყიდვით, მისი სისხლისსამართლებრივ დავაში გამართლების მიუხედავად, პორტუგალიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაარღვიეს სამართლიანი ბალანსი ზოგად საჯარო ინტერესსა და მომჩივნის მიერ საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის უფლების დაცვას შორის.

არავითარი სასჯელი კანონის გარეშე (კონვენციის მე-7 მუხლი)

### **კომპანია Oxygène Plus საფრანგეთის წინააღმდეგ Société Oxygène Plus v. France**

მომჩივანს წარმოადგენდა ქონებით მოვაჭრე კომპანია, რომელიც ქონების გადაფორმებასთან დაკავშირებით სარგებლობდა ხელსაყრელი საგადასახადო პირობებით. 2002 წელს საგადასახადო ორგანოს დაკვირვებით მომჩივანმა კომპანიამ არ დააკმაყოფილა ნორმატიული მოთხოვნები ასეთი რეჟიმისთვის და ჩათვალა, რომ ანომალიების სერიოზულობა საკმარისი იყო კომპანიისთვის არსებული ხელსაყრელი პირობების გასაუქმებლად. შედეგად, მომჩივან კომპანიას დაეკისრა 213,915 ევროს გადახდა, რომელიც შეესაბამებოდა ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციებისთვის ჩვეულებრივი გადასახადის ღირებულებას, რაც მოიცავდა 43,353 ევროს ოდენობით ნაგულისხმევ პროცენტს. მომჩივანმა კომპანიამ გაასაჩივრა ხელახალი შეფასება. საქმისწარმოების პროცესში, ახალმა კანონმდებლობამ ჩაანაცვლა ხელსაყრელი პირობების ჩამორთმევის ღონისძიება საგადასახადო ჯარიმების სისტემით. შედეგად, გაუქმდა რეესტრის შენახვის ვალდებულებაც. მომჩივანმა კომპანიამ გამართლებულად ჩათვალა დაყრდნობოდა უფრო მსუბუქი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის გამოყენების პრინციპს.

ადამიანის უფლებათა სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო. სასამართლოს განმარტებით, ხელსაყრელი პირობების ჩამორთმევა მოცემულ საქმეში არ წარმოადგენდა სასჯელს კონვენციის მე-7 მუხლის (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) შინაარსით. სამართალდარღვევის ბუნებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი საგადასახადო კოდექსის შესაბამისი დებულება უშვებდა კანონიდან გადახვევის შესაძლებლობას და ზოგადად დადგენილი გადასახადიდან გათავისუფლების შესაძლებლობას ქონების შესყიდვებთან დაკავშირებით, გარკვეული ფორმალუბების დაცვის შემთხვევაში. შესაბამისად, ლოგიკური იყო შეღავათიანი

პირობებით მოსარგებლე ქონებით მოვაჭრისთვის ასეთი შეღავათების გაუქმება მაშინ, როდესაც იგი აღარ აკმაყოფილებდა დაწესებულ მოთხოვნებს, რომელთა დაცვაც იყო საფუძველი შეღავათების დაწესებისა და შედეგად, ჩვეულებრივ საგადასახადო რეჟიმზე გადაყვანა და გადასახადების იმგვარად გადახდევინება, რომელსაც იგი შეღავათების გარეშე დაექვემდებარებოდა. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ შეღავათიანი პირობების გაუქმება დაფუძნებული იყო წესზე, რომლის მიზანიც იყო სადამსჯელო და შემაკავებელი. ამის გარდა, მართალია რომ მომჩივან კომპანიას დაეკისრა მნიშვნელოვანი გადასახადი. თუმცა, იგი შედეგობა მხოლოდ გადასახადის გადაფასებისა და ნაგულისხმევი პროცენტისგან. მომჩივან კომპანიას არ დაკისრებია არცერთი ჯარიმა და მის კეთილსინდისიერებაზე საგადასახადო ორგანო არ ღაწობს.

პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი)

### **კესლასი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Keslassy v. France**

მოცემული საქმე ეხებოდა საცხოვრებელი ფართების ჩხრეკას კომპანიების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი საგადასახადო თაღლითობის გამოძიებისას. მომჩივანი, რომელიც სხვადასხვა კომპანიაში ფლობდა საკონტროლო წილს, რომელთა ტერიტორიაზეც სასამართლო დადგენილებით ჩატარდა ჩხრეკა, დავობდა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელშიც გაიცა ამ ჩხრეკების, კერძოდ კი მისი სახლის ჩხრეკის ბრძანება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო სარჩელი აშკარად დაუსაბუთებლობის საფუძველით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ჩხრეკის ჩატარებასთან დაკავშირებული მკაცრი ეროვნული კანონმდებლობა და ის ფაქტი, რომ ეს წესები დაცული იყო საქმესთან დაკავშირებული ჩხრეკების ჩატარებისას. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევა იყო ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება, კერძოდ, სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვა და დანაშაულის პრევენცია და შესაბამისად, - დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი, რაც ექცეოდა კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში.

### **ანდრე და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **André and Other v. France**

მომჩივნებს წარმოადგენდნენ იურისტი და იურიდიული კომპანია. საქმე ეხებოდა 2001 წლის ივნისს მათი ოფისის ჩხრეკას საგადასახადო ინსპექტორთა მიერ, მომჩივნის კლიენტი კომპანიის მიმართ მტკიცებულების მოსაპოვებლად, რომელიც ეჭვმიტანილი იყო გადასახადებისგან თავის არიდებაში. ჩხრეკა ჩატარდა პირველი მომჩივნის, მარსელის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისა და უფროსი პოლიციის ოფიცრის თანდასწრებით და ამოღებულ იქნა 66 დოკუმენტი. მომჩივნები დავობდნენ ჩხრეკისა და ამოღების კანონიერებასთან დაკავშირებით და შეიტანეს საკასაციო საჩივარი, რომელიც არ დააკმაყოფილა საკასაციო სასამართლომ. მომჩივნები ასაჩივრებდნენ მათი დაცვის უფლებებში და პროფესიულ კონფიდენციალურობაში ჩარევას.

მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო იურისტების ოფისის ჩხრეკისას განსაკუთრებული დაცვის საშუალებების გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანი იყო მკაცრი მარეგულირებელი ჩარჩოს უზრუნველყოფა ასეთი ზომებისთვის. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივთა საქმესთან მიმართებით არსებობდა განსაკუთრებული დაცვის საშუალებები, ვინაიდან ჩხრეკას ესწრებოდა მარსელის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე. სხვა მხრივ, გარდა იმ ფაქტისა, რომ ჩხრეკას არ ესწრებოდა განჩინების გამცემი მოსამართლე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის დასწრება და მისი პროტესტები არ იყო საკმარისად ადეკვატური ყველა დოკუმენტის ეფექტური გამომჟღავნების პრევენციისთვის არც ჩხრეკისას და არც მათი ამოღებისას. ამასთან, საგადასახადო ინსპექტორებსა და პოლიციის უფროს ოფიცერს ჰქონდათ ფართო უფლებამოსილებები, რომელთაც მათ ჩხრეკის შესახებ განჩინება ანიჭებდა. და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანთა კლიენტი კომპანიის საგადასახადო ინსპექტირების კონტექსტში, საგადასახადო ინსპექციამ მომჩივნები მხოლოდ იმ მიზეზით გაჩხრიკა, რომ მათ უჭირდათ სხვა საჭირო ღონისძიებების ჩატარება და სჭირდებოდათ ისეთი დოკუმენტების პოვნა, რომელიც დაადასტურებდა მათ ეჭვს მომჩივანთა კლიენტი კომპანიის მიერ გადასახადისთვის თავის არიდების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მომჩივნები არც ერთხელ არ დაუდანაშაულებიათ სამართალდარღვევის ჩადენაში ან მათი კლიენტის მიერ ჩადენილ თაღლითობაში მონაწილეობაში. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ჩხრეკა და ამოღება არ იყო მიზნის პროპორციული, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევა, ეფექტური სასამართლო ზედამხედველობის არარსებობისთვის.

### **Bernh Larsen Holding AS და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ**

#### **Bernh Larsen Holding AS and Others v. Norway**

მოცემული საქმე ეხებოდა სამი ნორვეგიული კომპანიის საჩივარს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ამ ორგანომ მოითხოვა სამივე კომპანიის საერთო კომპიუტერულ სერვერზე არსებული სრული ინფორმაციის ასლის გადაცემა საგადასახადო აუდიტორთათვის. მომჩივანთა მტკიცებით ამ გადაწყვეტილებამ შეზღუდა მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის და პირადი მიმოწერის დაცულობის უფლება. კერძოდ, მომჩივნები მიუთითებდნენ მიღებული ზომების თვითნებურ გამოყენებაზე.

სტრასბურგის სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად წინასწარი სასამართლო ნებართვის საჭიროების არარსებობისა, არსებობდა უფლებათა ბოროტად გამოყენებისგან დაცვის ეფექტური და ადეკვატური საშუალებები. შესაბამისად, სამართლიანი ბალანსი იყო დაცული, ერთი მხრივ მომჩივან კომპანიათა პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება და მათთვის მომუშავე პირთა კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესი და მეორე მხრივ, საგადასახადო შეფასების მიზნებისთვის ეფექტიანი ინსპექტირების უზრუნველყოფის საჯარო ინტერესის დაცვა. მოცემულ საქმეში, სასამართლო დაეთანხმა ნორვეგიული სასამართლოს დასაბუთებას, რომ ეფექტიანობის მიზნებისთვის, საგადასახადო ორგანოების შესაძლებლობები, რომ იმოქმედონ, არ უნდა

შეიზღუდოს იმ საფუძველით, რომ გადასახადების გადამხდელი იყენებს „შერეულ არქივს“, თუნდაც ეს არქივი შეიცავდეს სხვა გადასახადების გადამხდელთა კუთვნილ მონაცემებს.

### **გ.ს.ბ. შვეიცარიის წინააღმდეგ**

#### **G.S.B. v. Switzerland**

წინამდებარე საქმე ეხებოდა აშშ-ის საგადასახადო ორგანოებისთვის მომჩივნის საბანკო ანგარიშის დეტალების გადაცემას, რომელიც ეფუძნებოდა აშშ-სა და შვეიცარიას შორის ადმინისტრაციული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. 2008 წელს აშშ-ის საგადასახადო ორგანოებმა აღმოაჩინეს, რომ “UBS SA” ბანკი საშუალებას აძლევდა აშშ-ის გადასახადების გადამხდელებს დაემაღლათ საკუთარი აქტივები და შემოსავალი მათგან და კონსულტაციებს უწევდა იმ კლიენტებს, რომლებსაც ამ ორგანოებში არ გაუკეთებიათ მათი ანგარიშების დეკლარირება. შეთანხმების თანახმად, რომელიც პროტოკოლის ფორმით იქნა კონსოლიდირებული და იწოდებოდა „კონვენცია 10-ად“, შვეიცარიულმა ფედერალურმა სახელმწიფო ორგანომ ბრძანება გასცა და “UBS” ბანკს დაავალა სახელისუფლებო ორგანოთა თანამშრომლობის ფარგლებში აშშ-ის ეროვნული საშემოსავლო სამსახურისთვის გადაეცა მომჩივნის მასალები. მომჩივანი დავობდა, რომ მისი საბანკო დეტალების გამჟღავნება უტოლდებოდა მისი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევას. ასევე, იგი საკუთარ თავს თვლიდა დიკრიმინაციის მსხვერპლად, როგორც “UBS” ბანკის კლიენტი აშშ-ის გადასახადების გადამხდელის სტატუსით, სხვა ბანკების კლიენტებთან შედარებით, რომლებსაც თავის დროზე არ შეხებიათ საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული თანამშრომლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. მან გაითვალისწინა შვეიცარიის მაღალი ინტერესი - გაეთვალისწინებინა აშშ-ის მოთხოვნა ადმინისტრაციულ თანამშრომლობაზე, რათა აშშ-ის ორგანოებისთვის მიეცა შესაძლებლობა გამოეკვლინათ ნებისმიერი აქტივი, რომელიც შეიძლებოდა შვეიცარიაში ყოფილიყო გადამალული. პროცედურულ დონეზე, სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მომჩივანს ჰქონდა წვდომა რამდენიმე ეფექტიან და რეალურ პროცედურული დაცვის საშუალებაზე, რათა ედავა მისი საბანკო დეტალების გადაცემასთან დაკავშირებით და მოეპოვებინა დაცვა შვეიცარიასა და აშშ-ის შორის არსებული შეთანხმებების თვითნებური იმპლემენტაციისგან. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას კონვენციის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან მომჩივნის მიმართ არ განხორციელებულა დისკრიმინაციული მოპყრობა.

### **კ.ს. და მ.ს. გერმანიის წინააღმდეგ**

#### **K.S. and M.S. v. Germany**

საქმე ეხებოდა წყვილის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკას, ვინაიდან არსებობდა მათ მიერ გადასახადებისთვის თავის არიდების ეჭვი. მომჩივანთა მიმართ საქმისწარმოება დაიწყო მაშინ, როდესაც მათი აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ლიხტენშტეინის ბანკში ინახებოდა, უკანონოდ გადაწერა ბანკის თანამშრომელმა და მიჰყვოდა გერმანიის საიდუმლო სამსახურს. კერძოდ, მომჩივნები დავობდნენ მათი სახლის ჩხრეკასთან დაკავშირებით იმ განჩინების

საფუძველზე, რომელიც ეფუძნებოდა იმ მტკიცებულებას რომელიც მოპოვებული იყო ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ ხაზი გაუსვა ჩხრეკის კანონის დაცვით ჩატარებას. მან დამატებით აღნიშნა გერმანული ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომლის თანახმადაც არ არსებობდა აბსოლუტური წესი და არ შეიძლებოდა პროცესუალური დარღვევებით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოებისას. ეს ნიშნავდა იმას, რომ წყვილს შეეძლო განჭვრეტა - საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი რჩევის დახმარებით - რომ სახელმწიფო ორგანოებს ჩხრეკის ნებართვის მოსაპოვებლად შეიძლებოდა გამოეყენებინათ ლიხტენშტეინის ბანკში არსებული მონაცემები, მიუხედავად ფაქტისა, რომ ისინი შეიძლებოდა კანონდარღვევით ყოფილიყო მოპოვებული. უფრო მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ ჩხრეკა იყო პროპორციული: პირველ რიგში, გერმანული კანონმდებლობა და იურისპრუდენცია ჩხრეკასთან დაკავშირებით უზრუნველყოფდა ადეკვატურ და ეფექტიან დაცვის საშუალებებს ზოგადად უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან და ასეც იყო მოცემული საქმის გარემოებებში; მეორე, ვინაიდან გადასახადებისთვის თავის არიდება მიჩნეული იყო სერიოზულ სამართალდარღვევად; მესამე, რადგან არაფერი მიუთითებდა გერმანული სახელმწიფო ორგანოების მიერ განზრახ და სისტემურად ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაზე, რათა მოეპოვებინათ ინფორმაცია საგადასახადო დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნისთვის; მეოთხე, განჩინება იყო მკაფიო და დეტალური, ვინაიდან ითვალისწინებდა იმ სამართალდარღვევას რომელზედაც მიმდინარეობდა გამოძიება და ეხებოდა იმ ნივთებს რომლებსაც ეძებდნენ მტკიცებულებად გამოსაყენებლად; და ბოლოს, ვინაიდან წყვილს არ განუცხადებია, რომ მათი საცხოვრებლის ჩხრეკამ გამოიწვია მათი პერსონალური რეპუტაციის დაზიანება.

### **გოე საფრანგეთის წინააღმდეგ და სამი სხვა საჩივარი**

#### **Gohe v. France and three other applications**

მოცემული საქმე ეხებოდა საცხოვრებელი სახლების ჩხრეკასა და ამოღებას, რომლებიც მესამე პირთა სახლებში ჩატარდა იმ საფუძველით, რომ მომჩივნებმა ცალ-ცალკე გაიარეს საგადასახადო შეფასებები, რამაც ზოგ შემთხვევაში გამოიწვია საგადასახადო შეფასებათა წარმოება და ერთ შემთხვევაში პირის მსჯავრდება საგადასახადო თაღლითობისთვის. მომჩივნები დავობდნენ მათი წარდგინებების დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებით სამართალწარმოების ყოველ ეტაპზე და მათ მიერ სახლების ჩხრეკებისა და ამოღებების კანონიერებათა გასაჩივრების შეუძლებლობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოცემული საჩივრები დაუშვებლად ცნო აშკარად დაუსაბუთებლობის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩხრეკა ან ამოღება არ ჩატარებულა მომჩივნის სახლში ან სხვა უძრავ ქონებაზე, ის ვერ შეძლებდა იმის მტკიცებას, რომ დაირღვა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ეროვნული საქმისწარმოება მთლიანობაში იყო სამართლიანი. მომჩივნებს ჰყავდათ წარმომადგენელი ადვოკატები მთელი სამართალწარმოების

განმავლობაში და შესაბამისად, ჰქონდათ შესაძლებლობა გაესაჩივრებინათ საპროცესო მოქმედებათა კანონიერება და წარედგინათ საკუთარი დაცვის არგუმენტები. ეროვნულმა სასამართლოებმა ცალხად შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვით განიხილეს შესაბამისობის საკითხი და გამოიციხეს რაიმე დარღვევა.

### **ბრაზი იტალიის წინააღმდეგ**

#### **Brazzi v. Italy**

წინამდებარე საქმე ეხებოდა იტალიური საგადასახადო ორგანოს მიერ იმ სახლის ჩხრეკას, რომელსაც მომჩივანი 2009 წლიდან ფლობდა და სადაც მისი მეუღლე და შვილები ცხოვრობდნენ სკოლის წლებში. კერძოდ, მომჩივანი დავობდა მისი საცხოვრისის პატივისცემის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მომჩივნის საცხოვრისის პატივისცემის უფლების შეზღუდვა განხორციელდა უკანონოდ, კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსით, ვინაიდან მას არ ჰქონდა ეფექტიანი ზედამხედველობის სარგებელი რაც საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობისთვის. არც ერთ მოსამართლეს შეუძლოა მისი სახლის ჩხრეკის ნებართვის კანონიერება და საჭიროება, არც ჩხრეკამდე და არც ჩხრეკის შემდეგ. იტალიური კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ძალის ბოროტად გამოყენებისა და თვითნებობისგან დაცვის საკმარის საშუალებებს.

რელიგიის თავისუფლება (კონვენციის მე-9 მუხლი)

### **იეჰოვას მოწმეთა ასოციაცია საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Association Les Témoins de Jéhovah v. France**

1995 წლის საპარლამენტო ანგარიშში „საფრანგეთში არსებული სექტების შესახებ“, იეჰოვას მოწმეები სექტად იყვნენ კლასიფიცირებულნი. მომჩივანი ასოციაცია დავობდა, რომ მრავალი ნაბიჯი გადაიდგა მისი ანგარიშის შესაბამისად მარგინალიზებისთვის. კონკრეტულად, ასოციაციას დაეკისრა დამატებითი გადასახადი ათეულობით მილიონი ევროს ოდენობით, რომელიც უკავშირდებოდა მიმდევართა მიერ შემოწირულობებს. მართალია, ასეთი შემოწირულობები და დონაციები არ არიან გადასახადის სუბიექტები, ლიტურგიული ასოციაციების შემთხვევაში მთავრობის წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ მომჩივანი ასოციაცია არ ეკუთვნოდა ამ კატეგორიას. მომჩივანმა მოუთითა, რომ მის წინააღმდეგ საგადასახადო წარმოებამ შეზღუდა მისი რელიგიის თავისუფლების უფლება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მან უკვე რამდენიმე საქმეში დაადგინა, რომ კონვენციის მე-9 მუხლი (აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლება), იცავდა იეჰოვას მოწმეების მიერ რელიგიის თავისუფლების უფლებით თავისუფლად სარგებლობას. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში მოცემული დამატებითი საგადასახადო შეფასება, მოიცავდა მომჩივნის მიერ მთლიანად მიღებულ საჩუქრებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმოადგენდნენ მისი დაფინანსების მთავარ წყაროს. შესაბამისად, მას შეუწყდა ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსების მიწოდება, აღარ შეეძლო საკუთარი მიმდევრებისთვის რელიგიის თავისუფლების უფლებით პრაქტიკულ პირობებში თავისუფლად სარგებლობის გარანტირება. შესაბამისად,



დაირღვა მომჩივანი ასოციაციის რელიგიის თავისუფლების უფლება. ასეთი ჩარევა მისაღები რომ იყოს, პირველ რიგში, იგი გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით და კანონი უნდა იყოს ნათელი და განჭვრეტადი. ამ შემთხვევაში, მომჩივნის მიერ მიღებულ საჩუქრებზე ავტომატურად წესდებოდა გადასახადი ზოგადი საგადასახადო კოდექსის 757 მუხლით, რომლის საფუძველზეც, საგადასახადო ორგანოსთვის ცნობილი საჩუქრები ექვემდებარებოდა გადასახადის დაწესებას. სასამართლომ დაადგინა ორი მიზეზი, რომლის გამოც ხსენებული საგადასახადო კოდექსის მუხლი არ იყო მომჩივნისთვის საკმარისად განჭვრეტადი: პირველი, სადავო მუხლი არ იძლეოდა საკმარის განმარტებებს მის სუბიექტებთან დაკავშირებით და შეუძლებელი იყო იმის დადგენა, ვრცელდებოდა თუ არა იგი იურიდიულ პირებზე და შესაბამისად - მომჩივან ასოციაციაზე; მეორე, 757-ე მუხლის მნიშვნელობით საჩუქრების „გამჟღავნების“ კონცეფციასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმე იყო პირველი სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ის, რომ საჭირო სააღრიცხვო ჩანაწერების წარდგენა გადასახადის აუდიტის კონტექსტში იყო „გამჟღავნების“ ტოლფასი. ვინაიდან სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ მომჩივანს შეეძლო გონივრულობის ფარგლებში იმის განჭვრეტა, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა მის მიერ შემოწირულობების მიღებასა და მისი ბუღალტრული აღრიცხვის საგადასახადო ორგანოსთვის გაზიარებას, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებაში ჩარევა არ იყო კანონით გათვალისწინებული და ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას.

სტრასბურგის სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებაში სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, სასამართლომ საფრანგეთს დააკისრა მომჩივნისთვის 4,590,595 ევროს გადახდა მატერიალური ზიანისთვის, რაც შეესაბამებოდა ასოციაციის მიერ ზედმეტად გადახდილ რაოდენობას და არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო ზომები, მათ შორის, ჯარიმები და გადახდის დაგვიანებისთვის დამატებითი პროცენტი, კვლავ ძალაში იყო მომჩივნის მიმართ. სასამართლომ კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილებათა მბოჭავი ძალა და აღსრულება) შესაბამისად მიიჩნია, რომ ამ თანხების ამოღების შეწყვეტა იქნებოდა რეპარაციის სათანადო ზომა, რომელიც დადგენილ დარღვევას აღმოფხვრიდა. თუმცა, მიუხედავად ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მონიტორინგისა, საფრანგეთს ჰქონდა თავისუფლება აერჩია კონვენციის 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ვალდებულებებისგან სხვაგვარი საშუალებით გათავისუფლება.

### **კლეინი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ**

#### **Klein and Others v. Germany**

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, ზოგიერთი ეკლესია და რელიგიური საზოგადოება უფლებამოსილია დააწესოს გადასახადი მის წევრებზე (მრევლი, მიმღევრები). ხუთი მომჩივანი დავობდა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ასეთი გადასახადები გამოითვლებოდა მომჩივანთა და მათი მეუღლეების საერთო შემოსავლიდან და ასეთი მიდგომა არღვევდა მათი რელიგიის თავისუფლების უფლებას. კონკრეტულად, ისინი სხვადასხვანაირად ასაჩივრებდნენ მეუღლეებზე დაკისრებულ სპეციალურ გადასახადებს მაშინ, როდესაც ისინი საერთოდ არ იყვნენ ამ ეკლესიის წევრები და მიმღევრები; მომჩივანთა აზრით, მათ მეუღლეებზე დამოკიდებულობის

იძულება საკუთარი რელიგიის თავისუფლებისთვის არღვევდა მათ უფლებებს; და ის ფაქტიც, რომ მათ უწევდათ უსამართლოდ მაღალი გადასახადის გადახდა, ვინაიდან იგი გამოითვლებოდა საერთო შემოსავლიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, საჩივრებით გათვალისწინებულ საკითხთა დიდი ნაწილი იყო დაუშვებელი კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით. ეს ყველაფერი გამომდინარე იქიდან, რომ გადასახადები არ იყო დაწესებული სახელმწიფოს მიერ, არამედ იმ ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების მიერ, რომელთა მრევლსაც მომჩივნები წარმოადგენდნენ და გერმანული კანონმდებლობის მიხედვით ჰქონდათ წევრობიდან გამოსვლის უფლება. შესაბამისად, საქმეთა უმეტეს ნაწილში გადასახადების დაკისრება და გამოთვლა იყო ეკლესიათა ავტონომიური მოქმედება და ვერ მივაწერდით სახელმწიფოს. თუმცა, ერთ-ერთ საქმეზე მომჩივანი არ წარმოადგენდა რელიგიური ეკლესიის მრევლს, თუმცა, მისთვის სპეციალური გადასახადის დაწესებაში სახელმწიფოც მონაწილეობდა. ეს მოხდა იმგვარად, რომ გადასახადი, რომელიც მომჩივნის მეუღლეს დაეკისრა, ოფსეტის გზით ჩამოიჭრა მომჩივნის მიერ სახელმწიფოსთვის ზედმეტად გადახდილი გადასახადისთვის დასაბრუნებელი თანხიდან - შესაბამისად, მომჩივანი დაექვემდებარა მეუღლის, ეკლესიასთან ფინანსურ ვალდებულებას. თუმცა, ეს ოფსეტი წარმოიშვა წყვილის მიერ საშემოსავლო დეკლარაციის ერთობლივი შევსებიდან და მომჩივანს შეეძლო მისი თავიდან არიდება ანგარიშსწორების შეტყობინებით. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ოფსეტი წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ პროპორციულ ქმედებას წყვილის საგადასახადო ვალდებულებათა რაციონალიზებისთვის, რაც არ წარმოადგენდა კონვენციის დარღვევას.

გამოხატვის თავისუფლება

ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება

### **სატაკუნან მარკინაპორსი ოი და სატამედია ოი ფინეთის წინააღმდეგ**

#### **Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland**

მას შემდეგ, რაც ორმა კომპანიამ გაავრცელა 1.2 მილიონი ადამიანის პერსონალური საშემოსავლო ინფორმაცია, სახელმწიფო ორგანოებმა გადაწყვიტეს, რომ პერსონალური მონაცემების ასეთი მასიური გასაჯაროება იყო არაკანონიერი პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად და აუკრძალეს მათ მომავალში პერსონალური მონაცემების ასეთი გავრცელება. მომჩივნები ასაჩივრებდნენ ასეთ აკრძალვას და მიიჩნევდნენ, რომ ეს არღვევდა მათი გამოხატვის თავისუფლებას.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ 15–2 ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) არ დარღვეულა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა წარმოადგენდა მომჩივანთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. თუმცა, სახელმწიფოს არ დაურღვევია კონვენციის მე-10 მუხლი, ვინაიდან ასეთი ჩარევა კანონით იყო გათვალისწინებული, ემსახურებოდა კერძო პირთა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს და დაცული იყო სამართლიანი ბალანსი კონფიდენციალურობის უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. დიდი პალატა დაეთანხმა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებას, რომ

საგადასახადო ინფორმაციის მასიური შეგროვება და გავრცელება არ ემსახურებოდა მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს და არ გამოძინარეობდა მხოლოდ ჟურნალისტური მიზნებიდან.

ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება

### **ფაჩიო იტალიის წინააღმდეგ**

#### **Faccio v. Italy**

1999 წლის დეკემბერში მომჩივანმა მიმართა საზოგადოებრივი მაუწყებლის სააბონენტო ოფისს და ითხოვა მისთვის საზოგადოებრივი ტელევიზიის სერვისის გაუქმება. 2003 წლის აგვისტოს, საგადასახადო პოლიციამ ნეილონის პარკებში შეფუთვით დალუქა მომჩივნის ტელევიზორი, რათა არ მომხდარიყო მისი გამოყენება. მომჩივანი დავობდა ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, ასევე მისი საკუთრების უფლების დარღვევასა და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით. მომჩივნის მტკიცებით, მისი ტელევიზორის გამოუსადეგრად ქცევა იყო არაპროპორციული ზომა, ვინაიდან ეს მას კერძო არხების ყურაბაშიც ხელს უშლიდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო აშკარად დაუსაბუთებლობის საფუძველით. სასამართლოს განცხადებით, დავის საგანს არ წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მომჩივნის ტელევიზორის დალუქვა მისთვის ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლების, საკუთრების უფლებისა და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევა იყო. თუმცა, კანონით გათვალისწინებული ეს ღონისძიება ეწეოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ პირებისთვის გადასახადების გადაუხდელობისთვის ხელის შეშლა ან მათი გადარწმუნება საზოგადოებრივი მაუწყებლის სერვისის გაუქმებასთან დაკავშირებით. ევროპულმა სასამართლომ, იტალიის ხელისუფლების მსგავსად მიიჩნია, რომ გამოყენებული ზომის პროპორციულობა უნდა გაანალიზებულიყო სამაუწყებლო ლიცენზიის საგადასახადო ბუნების კრილში. სალიცენზიო მოსაკრებელი წარმოადგენდა იმ გადასახადს, რომელიც გამიზნული იყო საზოგადოებრივი სამაუწყებლო სერვისის დასაფინანსებლად. სტრასბურგის სასამართლოს აზრით, და რაც ასევე ნათელია რელევანტური კანონმდებლობის ფორმულირებიდან, ტელევიზორის ფლობის ფაქტიც საკმარისი იყო სადავო გადასახადის დაკისრებისთვის მომჩივნის სურვილისგან დამოუკიდებლად, სურდა თუ არა მას ეყურებინა საზოგადოებრივი სამაუწყებლო არხის გადაცემებისთვის. თუნდაც იმის დაშვება, რომ ტექნიკურად შესაძლებელი იყო იმ სისტემის დაყენება რომელიც შესაძლებელს ხდის მხოლოდ კერძო არხების ყურებას სალიცენზიო გადასახადის გადახდის გარეშე, ეს იქნებოდა გადასახადის არსის, კერძოდ, საზოგადოებრივ სამსახურში წვლილის ჩამორთმევის ტოლფასი და არა იმ ფასის, რომელსაც პირი იხდის მოცემული არხის მიღების სანაცვლოდ. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო საკითხები მიეკუთვნება სახელმწიფო ორგანოთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრეროგატივას და გადასახადების გადამხდელსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის საჯარო ბუნება კვლავ გაბატონებული იყო. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით და სადავო გადასახადის ოდენობის (107,50 ევრო 2009 წლისთვის) გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ტელევიზორის დალუქვა წარმოადგენდა პროპორციულ ზომას სახელმწიფოს მიზნის მისაღწევად.

დისკრიმინაციის აკრძალვა (კონვენციის მე-14 მუხლი)

### სპამპინატო იტალიის წინააღმდეგ

#### **Spampinato v. Italy**

მომჩივანი მუშაობდა სტაჟიორ იურისტად. მან საშემოსავლო გადასახადის რვა მეათასედი<sup>7</sup> მიაკუთვნა სახელმწიფოს. სტრასბურგის სასამართლოში მომჩივანი დავობდა, რომ იგი დაავალდებულეს საკუთარი რელიგიური მრწამსის მანიფესტაციაში. იგი ასევე დავობდა, რომ მას ეკისრებოდა ისეთი გადასახადი, რომელიც არ ემსახურებოდა საზოგადოების საერთო ინტერესს, ვინაიდან მხოლოდ კონკრეტული მიმღებნი სარგებლობდნენ რელევანტური ოდენობით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო აშკარად დაუსაბუთებლობის საფუძველით. სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ იგი ვერ გაითვალისწინებდა მომჩივნის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი გადასახადის ნაწილის კონკრეტული სუბიექტისთვის მიკუთვნების არჩევანი მას აიძულებდა რელიგიური კუთვნილების დაფიქსირებას. რელევანტური კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადების გადამხდელს შეეძლო საერთოდ არ გაეკეთებინა არჩევანი მისი გადასახადის რვა მეათასედის ვინმესთვის მიკუთვნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სადავო დებულება არ აწესებდა საკუთარი რელიგიური მრწამსის გამოვლენის ვალდებულებას იმ მხრივ, რაც შეიძლებოდა წინააღმდეგობაში მოსულიყო კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლებთან, რომლებსაც მომჩივანი ეყრდნობოდა. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სადავო კანონმდებლობა არ აწესებდა დამატებით გადასახადს ჩვეულებრივ საშემოსავლო გადასახადზე, არამედ გადასახადის ნაწილის სპეციალური ალოკაციის შესაძლებლობას იძლეოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, კანონმდებლობა ექცეოდა სახელმწიფოს შეფასების ფარგლებში და ვერ შეფასდებოდა როგორც თვითნებური ქმედება. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ სადავო კანონმდებლობა მომჩივანს უწესებდა გადაჭარბებულ ტვირთს, რაც შეიძლება გამხდარიყო საზოგადოების საერთო ინტერესსა და კერძო პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ინტერესს შორის სამართლიანი ბალანსის დარღვევის საფუძველს.

---

<sup>7</sup> შესაბამისი კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ეს პროპორცია უნდა გადაეცეს სახელმწიფოს, კათოლიკურ ეკლესიას ან სხვა ხუთი რელიგიის წარმომადგენელ ერთ-ერთ ინსტიტუტს, რომელიც დათანხმდა ამ შენატანის მიღებას. გადასახადის გადამხდელები ვალდებული არიან მიუთითონ თავიანთი არჩევანი საგადასახადო დეკლარაციის შევსებისას. თუ არჩევანი არ არის მითითებული, შესაბამისი თანხა ერიცხება სახელმწიფოს, კათოლიკურ ეკლესიას და სხვა ხუთი რელიგიის წარმომადგენელ ინსტიტუტებს, ყველა გადასახადის გადამხდელის მიერ გაკეთებული არჩევანის პროპორციულად. სახელმწიფოს მიერ მიღებული საშემოსავლო გადასახადის ნაწილი განკუთვნილია სოციალური მიზნის მქონე საქმიანობისთვის. თუმცა, ამ ნაწილის ჯამური ოდენობა ყოველწლიურად მცირდება 80,000,000 ევროთი - თანხა, რომელიც სასახელმწიფოს უფლება აქვს თავისუფლად გამოიყენოს თავისი საჭიროების შესაბამისად.

## ბურდენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

### **Burden v. The United Kingdom**

მომჩივნებს წარმოადგენდნენ მოხუცები, დასაოჯახებელი დები, რომლებიც მთელი ცხოვრება ერთად ცხოვრობდნენ, ბოლო 30 წლის განმავლობაში იმ სახლში, რომელსაც ერთობლივად ფლობდნენ და აშენებული იყო მათი მშობლებისგან მემკვიდრეობით გადაცემულ მიწაზე. ორივე მათგანს ჰქონდა ანდერძი, რომლითაც მთელ თავის ქონებას თავის დას უტოვებდა. ისინი ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ როდესაც რომელიმე მათგანი გარდაიცვლებოდა, ცოცხლად დარჩენილს დაეკისრებოდა მძიმე სამემკვიდრეო გადასახადის ტვირთი, რაც განსხვავდებოდა ქორწინებაში ან სამოქალაქო კავშირში მყოფი წყვილების შემთხვევისგან.<sup>8</sup>

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნები, როგორც თანამცხოვრები დები, ვერ შეედრებოდნენ დაქორწინებულ ან სამოქალაქო კავშირში მყოფ წყვილს კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიზნებისთვის და შესაბამისად ადგილი არ ჰქონდა დარღვევას კონვენციის მე-14 მუხლის კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან (საკუთრების დაცულობის უფლება) ერთობლიობაში. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მომჩივნებს შორის სამართლებრივად მხოლოდ ხელშეკრულების არარსებობა, მიუხედავად მათი ხანგრძლივი თანაცხოვრებისა, ფუნდამენტურად განსხვავდებოდა.

დაქორწინებული ან სამოქალაქო კავშირში მყოფი წყვილისგან. ამ მოსაზრებაზე გავლენა არ ჰქონია იმ ფაქტს, რომ ევროპის საბჭოს 47 წევრ ქვეყანას ჰქონდათ განსხვავებული წესები მემკვიდრეობასთან დაკავშირებით დაქორწინებულ ან სამოქალაქო პარტნიორობაში მყოფი წყვილისა და სხვა ახლო ოჯახური კავშირის მქონე პირების შემთხვევებზე და შესაბამისად, ჰქონდათ განსხვავებული პოლიტიკა მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საგადასახადო გამონაკლისებზე; სახელმწიფოებს ჰქონდათ თავისუფლება, თავად განესაზღვრათ განსხვავებული წესები საგადასახადო პოლიტიკის სფეროში.

## გლორი შვეიცარიის წინააღმდეგ

### **Glor v. Switzerland**

წინამდებარე საქმეში მომჩივანი იყო დიაბეტით დაავადებული და სამხედრო ექიმის მიერ ცნობილი იქნა სამხედრო სამსახურისთვის შეუთავსებლად, ამის მიუხედავად, მაინც იყო ვალდებული გადაეხადა გადასახადი სამხედრო სამსახურის შეუსრულებლობის გამო. მომჩივანმა ეს დისკრიმინაციად მიიჩნია და ამტკიცებდა, რომ მას სურდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა, მაგრამ ამაში ხელი შეეშალა, თუმცა, იმ კომპეტენტურმა ორგანოებმა რომლებიც მის შეზღუდულ შესაძლებლობებს მსუბუქად თვლიდნენ, მაინც აიძულეს გადაეხადა გადასახადი. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების ზღვარის (40 %

<sup>8</sup> 1984 წლის მემკვიდრეობის გადასახადის კანონის მიხედვით, მემკვიდრეობის გადასახადი დაერიცხა პირის ქონების ღირებულების 40%-ს. ეს განაკვეთი ვრცელდებოდა ნებისმიერ თანხაზე, რომელიც აღემატებოდა 285,000 ფუნტ სტერლინგს (GBP) (420,844) გადარიცხვებისთვის 2006-2007 საგადასახადო წლებში და 300.000 GBP (442,994 ევრო) 2007-2008 წლებში. ქონება, რომელიც გარდაცვლილისგან გადადიოდა მის მეუღლეზე ან „სამოქალაქო პარტნიორზე“ (2004 წლის სამოქალაქო პარტნიორობის კანონით შემოღებული კატეგორია ერთსქესიანი წყვილებისთვის, რომელიც არ მოიცავს ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს) გათავისუფლებული იყო გადასახადისგან.

ფიზიკური ან მენტალური ნაკლი) კრიტერიუმის გამოყენება სადავო გადასახადისგან გასათავისუფლებლად არ იყო სამართლებრივი საფუძვლის მქონე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ არსებობდა ევროპული და მსოფლიო კონსენსუსი შშმ პირების დისკრიმინაციული მოპყრობისგან დაცვასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ერთობლიობაში და დაადგინა, რომ შვეიცარიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ დაიცვეს სამართლიანი ბალანსი საზოგადოების ინტერესის დაცვასა და მომჩივანთა უფლებებსა და თავისუფლებებს შორის. სადავო გადასახადის მიზნისა და ეფექტის გათვალისწინებით, ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დისკრიმინაციის ობიექტური გამართლება, განსაკუთრებით იმ პირებს შორის, რომლებიც შეუსაბამონი იყვნენ სამხედრო სამსახურისთვის და არ ეკისრებოდათ სადავო გადასახადი და პირებს რომლებიც შეუსაბამონი იყვნენ სამხედრო სამსახურისთვის, თუმცა მაინც ეკისრებოდათ გადასახადი, არ ჩანდა გონივრული დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებულ პრინციპებთან მიმართებით.

### **იესო ქრისტეს სახელობის უახლეს წმინდანთა ეკლესია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ The Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v. the United Kingdom**

მოცემული საქმე ეხებოდა მომჩივნის საჩივარს (რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც რეგისტრირებული იყო ინგლისში, როგორც კერძო შეუზღუდავი პასუხისმგებლობის კომპანია და მორმონთა ეკლესიის ნაწილი) მისთვის ქონების ადგილობრივი გადასახადებისგან განთავისუფლებაზე უარის თქმისთვის. 2001 წელს ეკლესიამ ითხოვა პრესტონში, ლანკაშირში არსებული ტაძრის ამოღება იმ ტერიტორიათა სიდიდან, რომლებზეც ვრცელდებოდა ბიზნესის გადასახადი იმ საფუძვლით, რომ იგი წარმოადგენდა „საზოგადოებრივ რელიგიური თავყვანისცემის ადგილს“ და რომელზეც ვრცელდებოდა გადასახადისგან გათავისუფლების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა ეკლესიის მოთხოვნა, ეს გადაწყვეტილება 2005 წელს გაუქმდა. 2008 წლის ივლისის საბოლოო გადაწყვეტილებაში, ლორდთა პალატამ არ დააკმაყოფილა ეკლესიის საჩივარი და დაადგინა, რომ ტაძარი ვერ ჩაითვლებოდა „საზოგადოებრივი რელიგიური თავყვანისცემის ადგილად“, ვინაიდან ტაძარში დაიშვებოდნენ მხოლოდ გარკვეული ჯგუფები, რომლებსაც წარმოადგენდნენ ყველაზე მორწმუნე მიმდევრები და ჰქონდათ განსაკუთრებული ავტორიზაცია.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-9 მუხლთან ერთობლიობაში (რელიგიის თავისუფლება) დარღვევა. სტრასბურგის სასამართლოს აზრით, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების მიმართ მოპყრობის საკითხში არსებულ ყველა განსხვავებას მსგავს სიტუაციებში ჰქონდა გონივრული და ობიექტური გამართლება. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გადასახადებისგან გათავისუფლების პოლიტიკა რომელიც ემსახურებოდა საზოგადოების სარგებლის გაზრდასა და მათ მიერ რელიგიური სერვისების მიღებისა და შენობების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, ხასიათდებოდა ზოგად სოციალურ სტრატეგიად, რომელთან დაკავშირებითაც, სახელმწიფო

ორგანოებს გააჩნდათ დისკრეციის ფართო ზღვარი. უფრო მეტიც, გადასახადებისგან გათავისუფლებაზე უარის შედეგები არ იყო არაპროპორციული მოცემულ საქმეში: მომჩივნის ყველა თავყვანისცემის ადგილი, რომელიც ღია იყო საზოგადოებისთვის (მაგ. სამლოცველოები) გადასახადებისგან სრულად იყო თავისუფალი; ხოლო ტაძარი, რომელიც არ იყო ღია საზოგადოებისთვის სრულად არ გათავისუფლდა გადასახადისგან, თუმცა, ჰქონდა 80%-ით დაბალი განაკვეთი, მისი საქველმოქმედო მიზნებისთვის გამოყენებიდან გამომდინარე; კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს სადავო ღონისძიებას, არ ეხება მორმონთა ეკლესიის რწმენის ლეგიტიმურობას, არამედ არის ნეიტრალური და ერთნაირად მოქმედებს ყველა რელიგიურ ჯგუფზე და რამდენადაც საქმე კერძო სამლოცველოებს შეეხება, ზუსტად ანალოგიური ნეგატიური გავლენა აქვს ოფიციალურად დაარსებულ ინგლისის ქრისტიანული ეკლესიისთვის (ინგლისის ეკლესია); და ბოლოს, განაკვეთების მიმართ დარჩენილი ვალდებულება ფულადი თვალსაზრისით შედარებით დაბალი იყო.

გადაადგილების თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი)

### **რეინერი ბულგარეთის წინააღმდეგ Riener v. Bulgaria**

მომჩივანი იყო ავსტრიისა და ბულგარეთის მოქალაქე. მას ბულგარეთში ჰქონდა ბიზნეს ინტერესები და იქ ატარებდა მისი დროის უმეტეს ნაწილს. მომჩივანს დიდი ოდენობით დაუგროვდა საგადასახადო ვალი, რომელსაც არ იხდიდა. 1995 წლის მარტში, საგადასახადო ორგანოს მოთხოვნით, საპასპორტო ორგანომ მომჩივანს აუკრძალა მგზავრობა საზღვარგარეთ სამგზავრო პასპორტის კანონის შესაბამისად. ერთი თვის შემდეგ, მომჩივანს საზღვარზე ჩამოერთვა ავსტრიული პასპორტი, როდესაც იგი ცდილობდა საბერძნეთში გადასვლას და მას, მოკავშირეების შესახებ კანონის თანახმად, აუკრძალა მგზავრობა. მგზავრობის აკრძალვა გაუქმდა 2004 წლის აგვისტოს, როდესაც მომჩივნის ვალეებს გაუვიდათ ხანდაზმულობის ვადა. მომჩივანი დავობდა აკრძალვასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, მას ეკრძალებოდა ბულგარეთის დატოვება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა, ვინაიდან შესაბამისი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა თვითნებობისგან საკმარის პროცედურული დაცვის საშუალებებს. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაუხდელი გადასახადების მოცემულ საქმეში არსებული ოდენობის ამოღების საჯარო ინტერესს შეეძლო მომჩივნის მიმართ გამოეწვია შესაბამისი შეზღუდვების დაწესება. სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული შეფასების ზღვარი, რათა საკუთარი შეზღუდვებისამებრ განსაზღვრონ და წარმართონ საგადასახადო პოლიტიკა და უზრუნველყონ გადასახადების გადახდა. თუმცა, პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, პირისთვის საკუთარი ქვეყნის დატოვების უფლების შეზღუდვა გადაუხდელი ვალის გამო შეიძლება გამართლდეს მაშინ, როდესაც იგი ემსახურება ვალის ამოღების მიზანს. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი შეზღუდვა არ უნდა გაუტოლდეს ვალის გადახდის უუნარობისთვის დე ფაქტო სასჯელს. დამატებით, სახელმწიფო ორგანოებს არ აქვთ უფლება ხანგრძლივად შეზღუდონ პირის გადაადგილების თავისუფლება ამ შეზღუდვის საჭიროების პერიოდული გადამოწმების გარეშე, რა დროსაც უნდა გადამოწმდეს შეზღუდვის გამამართლებელი ფაქტორები, გაიღეს თუ არა ფისკალურმა

ორგანოებმა გონივრული ძალისხმევა ვალის სხვა საშუალებებით ამოსაღებად და რამდენად შეუძლია მეგალის მიერ ქვეყნის ტერიტორიის დატოვებას ფულის ამოღების შანსების შემცირება. ევროპული სასამართლოს შეხედულებით, მომჩივნის საქმეში, სახელმწიფო ორგანოებს სათანადოდ არ გაუთვალისწინებიათ პროპორციულობის პრინციპი თავიანთ გადაწყვეტილებებში და მომჩივნის მიმართ დაწესებული მოგზაურობის აკრძალვა იყო ავტომატური ბუნებისა და განუსაზღვრელი ხანგრძლივობის. სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა კანონმდებლობის ბუნდოვანებას ზოგიერთი სადავო საკითხის მიმართ. მან დამატებით აღნიშნა, რომ სადავო ზომა გამოიყენებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და იყო მისალწვევი მიზნის არაპროპორციული, მაგ. საგადასახადო ვალის ამოსაღებად. მოცემულ საქმეში, სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში და კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის დარღვევა მე-2 მუხლთან ერთობლიობაში, მომჩივნისთვის მოგზაურობის აკრძალვასთან დაკავშირებით.

ხელმოწერულ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა (კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი)

### **როტსალაინენი ფინეთის წინააღმდეგ**

#### **Ruotsalainen v. Finland**

მომჩივანი საკუთარ ფურგონს დამატებითი გადასახადის გადახდის გარეშე ამუშავებდა იმ საწვავზე, რომელიც შედარებით უფრო ღირებულად იბეგრებოდა, ვიდრე დიზელის საწვავი, რომელიც მას უნდა გამოეყენებინა. იგი დააჯარიმეს დაახლოებით 120 ევროს ოდენობით წვრილმანი საგადასახადო თაღლითობისთვის, შემაჯამებელი საჯარიმო ორდერის საფუძველზე. შემდგომი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მას დაეკისრა 15,000 ევროს გადახდა, რაც შეადგენდა მის მიერ გადახდილ გადასახადსა და გადასახდელ გადასახადს შორის განსხვავების 3-ზე ნამრავლს, რადგან მან ამის შესახებ არ აცნობა კომპეტენტურ ორგანოებს. მომჩივანმა უშედეგოდ გაასაჩივრა გადაწყვეტილება. მომჩივანი დავობდა, რომ იგი ორჯერ დაისჯა ერთი და იგივე ავტომობილის საწვავის გადასახადის სამართალდარღვევისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა. სტრასბურგის სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა რომ მომჩივნის მიმართ დაწესებული ორივე სანქცია იყო სისხლისსამართლებრივი ბუნების: სამართალწარმოების პირველი ჯგუფი იყო სისხლისსამართლებრივი ფინეთის სამართლებრივი კლასიფიკაციის შესაბამისად; და შემდგომი სამართალწარმოება, მიუხედავად იმისა, რომ კლასიფიცირებულია, როგორც საგადასახადო რეჟიმის ნაწილი და შესაბამისად ადმინისტრაციული ხასიათისაა, არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ კომპენსაციურად იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო გადასახადის სხვაობა გაორმაგდა, როგორც ხელახალი დანაშაულის დასჯისა და აღკვეთის საშუალება, რაც სისხლისსამართლებრივი სასჯელის დამახასიათებელი ნიშნები იყო. უფრო მეტიც, მომჩივნის მიმართ ორივე სამართალწარმოებაში არსებული ფაქტები იყო არსებითად იგივე: ორივე ეხებოდა დიზელის საწვავზე უფრო ღირებულად დაბეგრადი საწვავის გამოყენებას. ერთადერთ განსხვავებას წარმოადგენდა განზრახვის ცნება პირველი სამართალწარმოების შემთხვევაში. ჯამში, მეორე სანქცია წარმოიშვა იგივე ფაქტებიდან რომელიც პირველში იყო და შესაბამისად, მოხდა



სამართალწარმოებათა გაორმაგება. მეორე სამართალწარმოება არ შეიცავდა რაიმე გამონაკლისს, როგორცაა ახალი მტკიცებულება ან ფაქტები ან წინა სამართალწარმოების ფუნდამენტური დეფექტი რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე, როგორც გათვალისწინებულია კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით.

### **შიბენდრა დევი შვედეთის წინააღმდეგ Shibendra Dev v. Sweden**

მოცემულ საქმეში მომჩივანს დაეკისრა დამატებითი გადასახადი მანამ, სანამ მოხდებოდა მისი მსჯავრდება, *inter alia*, საგადასახადო დანაშაულისთვის. მან საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სადაც დავობდა 2010 წლის 21 იანვარს მის მიმართ კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით. განსახილველი საკითხია, იყო თუ არა მომჩივანი ვალდებული ეროვნულ დონეზე ამოეწურა უფლებათა დაცვის ის საშუალებები რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა შვედეთის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის გადაწყვეტილებით.<sup>9</sup>

სტრასბურგის სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო, ვინაიდან ეროვნულ დონეზე უფლებათა დაცვის შესაძლებლობები არ იყო ამოწურული. შვედეთის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით დამდგარი ახალი სამართლებრივი პოზიციის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ შვედეთში არსებობდა ხელმისაწვდომი და ეფექტიანი უფლებათა დაცვის საშუალება რომელიც იძლეოდა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის სავარაუდო დარღვევათა გამოსწორების შესაძლებლობას და რომელიც გამოიყენებოდა რეტროაქტიულად. შესაბამისად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხებოდა საგადასახადო დეკლარაციაში ასახული ერთი და იგივე ინფორმაციის საფუძველზე დამატებით გადასახადებსა და საგადასახადო დანაშაულებს და სასამართლოს მიერ ეს საქმე განხილული იყო სამართალწარმოებათა მეორე კომპლექტში 2009 წლის 10 თებერვალს ან მას შემდეგ, პოტენციური მომჩივნის მიმართ შესაძლოა არსებულიყო მოლოდინი რომ იგი, პირველ რიგში, გამოიყენებდა ხელმისაწვდომ საშუალებებს ეროვნულ დონეზე, რათა ხელახლა დაწყებულიყო მისი საქმის განხილვა, გაუქმებულიყო ან შემცირებულიყო მის მიმართ დაწესებული სანქცია ან მიეღო კომპენსაცია სავარაუდო ზიანი ანაზღაურებისთვის.

<sup>9</sup> 2013 წლის 11 ივნისის ამ პლენარულ გადაწყვეტილებაში შვედეთის უზენაესმა სასამართლომ, თავისი წინა პრეცედენტული სამართლისგან განსხვავებით, დაადგინა, რომ არსებობდა საკმარისი მხარდაჭერა იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ შვედური სისტემა რომელიც საშუალებას იძლეოდა საგადასახადო სამართალდარღვევებში დამნაშავე პირების როგორც სისხლისსამართლებრივ დევნას და ასევე მათთვის გადასახადების დაწესებას, რაც შეუთავსებელი იყო კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლთან. შემდგომი გადაწყვეტილებების სერიაში, როგორც მან, ისე უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინეს, რომ მსჯავრდებულები ან პირები რომლებსაც დაეკისრათ გადასახადები მე-7 მუხლის მე-4 მუხლთან შეუთავსებელი წესით, გარკვეულ სიტუაციებში შეეძლოთ საქმისწარმოების განახლება. ეს რეტროსპექტიული ეფექტით მოქმედებდა 2009 წლის 10 თებერვლიდან, ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან საქმეზე Sergey Zolotukhin v. Russia.

## **ლაქი დევი შვედეთის წინააღმდეგ**

### **Lucky Dev v. Sweden**

2004 წლის ივნისში შვედეთის საგადასახადო ორგანომ დაიწყო საქმისწარმოება მომჩივნის მიმართ მისი 2002 წლის საშემოსავლო გადასახადსა და დამატებითი ღირებულების გადასახადთან დაკავშირებით და დააკისრა მას დამატებითი გადასახადები. მომჩივანმა სასამართლოში გაასაჩივრა საგადასახადო ორგანოს აღნიშნული გადაწყვეტილება. მომჩივანი ასევე გასამართლდა ბუღალტრული აღრიცხვის წესის დარღვევისა და საგადასახადო დანაშაულებისთვის, რომლებიც იგივე საგადასახადო ვალდებულებებიდან გამომდინარეობდა. მართალია მოხდა მომჩივნის ბუღალტრული აღრიცხვის წესის დარღვევისთვის მსჯავრდება, თუმცა, იგი გამართლდა საგადასახადო დანაშაულების ნაწილში. საგადასახადო წარმოება გრძელდებოდა კიდევ ცხრა-ნახევარი თვე მას შემდეგ, რაც იგი საბოლოოდ გამართლდა. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი გასამართლებისა და საგადასახადო ჯარიმების დაკისრების შედეგად ერთი და იგივე მოვლენების გამო, იგი ორჯერ გასამართლდა და დაისჯა ერთი სამართალდარღვევისთვის.

საჩივრის დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმისწარმოება დასრულდა 2009 წლის 8 იანვარს, ანუ 2009 წლის 10 თებერვლამდე, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ მან არ ამოწურა შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო მისთვის (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე *Shibendra Dev v. Sweden*). რაც შეეხება საქმის არსებით მხარეს, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა. სასამართლოს აზრით, ადგილი ჰქონდა მომჩივნის განმეორებით გასამართლებას საგადასახადო დანაშაულისთვის, რომლისთვისაც იგი უკვე იყო საბოლოოდ გამართლებული, თუმცა მის მიმართ მაინც არ შემწყდარა საგადასახადო საქმისწარმოება და საგადასახადო ჯარიმები არ გაუქმებულა მაშინაც კი, როდესაც მის მიმართ სადავო გადასახადთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება დასრულდა.

## **ა. და ბ. ნორვეგიის წინააღმდეგ**

### **A. and B. v. Norway**

საქმე ეხებოდა ორ გადასახადების გადამხდელ პირს, რომლებიც დავობდნენ მათ ორჯერ გასამართლებასა და დასჯასთან დაკავშირებით - ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პროცესში - ერთი და იგივე სამართალდარღვევისთვის. კერძოდ, მომჩივნები დავობდნენ, რომ ისინი გამოიკითხნენ პროკურორის მიერ, როგორც ბალდებული პირები და შემდეგ მათ წაუყენეს ბრალი და საგადასახადო ორგანოებმა დააკისრეს ჯარიმა - რომელიც მათ გადაიხადეს და შემდეგ გაასამართლეს სისხლის სამართლის საქმეზე.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ არ დაადგინა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა. სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა მიზეზი ეჭვქვეშ დაეყენებინა ის საფუძვლები, თუ რატომ აწესრიგებდა ნორვეგიული კანონმდებლობა გადასახადების გადაუხდელობის სოციალურად მანეჟმენტს ინტეგრირებული ორმაგი (ადმინისტრაციული/სისხლისსამართლებრივი) პროცესით. ევროპული სასამართლო არც იმას

განიხილავდა, თუ რატომ გადაწყვიტა ნორვეგიის ხელისუფალმა ცალკე გამკლავებოდა თაღლითური ქმედების უფრო მძიმე და სოციალურად გასაკიცხ ასპექტს სისხლისსამართლებრივი პროცესის კონტექსტში და არა ჩვეულებრივი ადმინისტრაციული პროცესით. სასამართლომ შემდეგ დაადგინა, რომ ორმაგი სამართალწარმოებისა და განსხვავებული სასჯელების კომბინაცია მომჩინებლისთვის განჭვრეტადი იყო, რომელთაც თავიდანვე უნდა სცოდნოდათ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა და ასევე საგადასახადო ჯარიმების დაწესება შესაძლებელი იყო ან თუნდაც სავარაუდო, მათი საქმეების ფაქტებიდან გამომდინარე. დიდი პალატის დაკვირვებით, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობდა პარალელურად და იყო ურთიერთდაკავშირებული. ერთი პროცესით დადგენილ ფაქტებს ეყრდნობოდა მეორე და საერთო სასჯელის პროპორციულობასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის პროცესში დაკისრებული სასჯელი მხედველობაში იღებდა საგადასახადო ჯარიმას. შესაბამისად, დიდი პალატა კმაყოფილი იყო იმით, რომ მიუხედავად განსხვავებული პროცესების კონტექსტში ორი სხვადასხვა ორგანოს მიერ დაკისრებული განსხვავებული ჯარიმებისა, ამ პროცესებს შორის არსებობდა საკმარისად ახლო კავშირი, როგორც არსებითად ასევე დროში, რათა ჩათვლილიყო, რომ ისინი წარმოადგენდნენ ნორვეგიული კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების საერთო სქემის ნაწილს.

#### **იოჰანსენი და სხვები ისლანდიის წინააღმდეგ**

#### **Johannesson and Others v. Iceland**

მომჩინებები, ორი კერძო პირი და ერთი კომპანია, დავობდნენ, რომ ისინი ორჯერ გაასამართლეს ერთდაიგივე ქმედების გამო, საგადასახადო შეფასებისთვის არაზუსტი დეკლარაციების წარდგენისთვის: პირველ მომჩივანს დაუწესეს საგადასახადო დანამატი, ხოლო მეორე მომჩივნის მიმართ წარმართა შემდგომი სისხლის სამართლის სასამართლო და მსჯავრი დაედო დამამძიმებელ საგადასახადო დანაშაულებზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 ნაწილის დარღვევა ორ კერძო პირთან მიმართებით. კერძოდ, იმ საფუძვლებით, რომ სასამართლო საქმისწარმოებათა ორივე კომპლექტი იყო სისხლისსამართლებრივი ბუნების; ისინი ემყარებოდნენ ერთსა და იმავე ფაქტებს; და ეს პროცესები არ იყო საკმარისად ერთმანეთთან დაკავშირებული რათა ჩათვლილიყო, რომ სახელმწიფო ორგანოთა მიერ არ მოხდა წარმოებათა გაორმაგება. მართალია, კონვენციის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილი არ გამორიცხავს პარალელურ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმისწარმოებას ერთი სამართალდარღვევის მიმართ, თუმცა, ორ წარმოებას შორის უნდა იყოს საკმარისი არსებითი კავშირი და დროის სიახლოვე. სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში სამართალწარმოებათა ორ კომპლექტს შორის არ არსებობდა საკმარისად ახლო კავშირი. რაც შეეხება მომჩივანი კომპანიის საჩივარს, სასამართლომ იგი დაუშვებლად ცნო, ვინაიდან მომჩივან კომპანიას არ უჩვენებია, რომ სურდა სასამართლოს მიერ მისი საჩივრის განხილვის გავრძელება.

## მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6-ე მუხლი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება - დამოუკიდებელი სასამართლო):

“ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. (...)”.

დამოუკიდებლობა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

### რემლი საფრანგეთის წინააღმდეგ

#### Remli v. France

საქმე ეხებოდა ასიზების სასამართლოს მიერ აღუირელი წარმოშობის ფრანგი ბრალდებულის განცხადებაზე უარის თქმას. ბრალდებული ითხოვდა ფორმალური შენიშვნის მიღებას რასისტული კომენტარის შესახებ, რომელიც სავარაუდოდ გააკეთა ერთ-ერთმა მსაჯულმა სასამართლო სხდომის გარეთ და რომელიც ასახული იყოს მოწმის წერილობით ჩვენებაში. კერძოდ, მომჩივანი დავობდა, რომ მისი საქმე არ განხილულა მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6-ე მუხლი. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მე-6-ე მუხლი ყველა ეროვნულ სასამართლოს აკისრებდა ვალდებულებას შეემოწმებინა, შემადგენლობის მიხედვით, წარმოადგენდა თუ არა ის “მიუკერძოებელ სასამართლოს” როდესაც, როგორც მომჩივნის საქმეში, აღნიშნული საკითხი იყო სადავო იმ საფუძველზე, რომელიც ერთიანად არ ჩანდა აშკარად დაუსაბუთებლად. მოცემულ საქმეში, ასიზების სასამართლოს არ გაუკეთებია რაიმე ასეთი შემოწმება და ამგვარად მომჩივანს, საჭიროების შემთხვევაში, წაართვა კონვენციის მოთხოვნების საწინააღმდეგო სიტუაციის გამოსწორების შესაძლებლობა. ეს დასკვნა, იმ ნდობის გათვალისწინებით, რომელიც სასამართლოებმა უნდა შთააგონონ მათ იურისდიქციას დაქვემდებარებულ პირებს, საკმარისი იყო ევროპული სასამართლოსთვის, რომ დაედგინა მე-6-ე მუხლის დარღვევა.

### სტაფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

#### Stafford v. the United Kingdom

მომჩივანი, რომელსაც თავდაპირველად უვადო პატიმრობა მიესაჯა, პირობით ვადამდე გათავისუფლდა. ის დაბრუნდა საპატიმროში გაყალბების ბრალდებების გამო და მოგვიანებით სახელმწიფო მდივანმა გასცა ბრძანება თავდაპირველი უვადო პატიმრობის შესაბამისად მისი პატიმრობის გაგრძელების შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებათა დანაწილების ცნებამ მზარდი მნიშვნელობა შეიძინა სასამართლოს

პრეცედენტულ სამართალში. ამ შემთხვევაში მომჩივნის გათავისუფლების უფლებამოსილება ჰქონდა სახელმწიფო მდივანს და არა პირობით გათავისუფლების საბჭოს. მომჩივნის საქმეში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, კერძოდ, რომ დაირღვა კონვენციის მე-5§1 მუხლი (უფლება თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე), დაასკვნა რა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაკავების გადაწყვეტილების მიღების უფლება მომავალი არაძალადობრივი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის საფრთხის საფუძველზე, რაც არ უკავშირდებოდა თავდაპირველ მკველობაზე მსჯავრდებას არ შეესაბამებოდა კონვენციის სულისკვეთებას, ამ უკანასკნელის მიერ კანონის უზენაესობასა და თვითნებობისგან დაცვაზე ხაზგასმის პირობებში.

### **ლუკა რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **Luka v. Romania**

1999 წელს იმ კომპანიის მიერ მისი გათავისუფლების შემდეგ, რომელშიც ის მუშაობდა ერთ-ერთ მენეჯერად და IT განყოფილების უფროსად, მომჩივანმა შეიტანა სარჩელი, რომლითაც ითხოვდა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებას და ასევე კომპენსაციას ზიანისთვის. ეროვნულმა სასამართლოებმა ორივე საკითხში მომჩივნის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ ამას მოჰყვა დამატებით რამდენიმე ზიანის გამოთვლასა და გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება. მომჩივანი დავობდა, რომ სასამართლოები არ ყოფილან მიუკერძოებელნი და დამოუკიდებელნი, რადგან მსაჯულები (სასამართლო თანაშემწეები) განიხილავდნენ მის საქმეს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6§1 მუხლი და დაასკვნა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის არ ქონასა და მიკერძოებასთან დაკავშირებული მომჩივნის შეშფოთება ობიექტურად გამართლებული იყო. სასამართლომ გაიხსენა, კერძოდ, რომ იმისათვის, რათა დადგინდეს შეიძლება თუ არა სასამართლო მიჩნეული იყოს როგორც “დამოუკიდებელი”, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, მათ შორის, მისი წევრების დანიშვნის წესი და მათი თანამდებობაზე ყოფინის ვადა, გარე წნეხისგან დაცვის გარანტიები და ის საკითხი გამოიყურება თუ არა სასამართლო შემადგენლობა დამოუკიდებლად. მომჩივნის საქმეში, ევროპულმა სასამართლომ არ უარყო იმ სასამართლოების უპირატესობა, რომლებიც დაკომპლექტებულია პროფესიონალი და არაპროფესიონალი მოსამართლეებისგან იმ სფეროებში სადაც ამ უკანასკნელთა გამოცდილება აუცილებელია სპეციფიკური საკითხების განსაზღვრისთვის, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ამ შემთხვევაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ეს სისტემა, რომელიც არსებობდა კონვენციის წევრ რიგ სახელმწიფოებში, თავისთავად კონვენციას არ ეწინააღმდეგებოდა. თუმცა, “სასამართლო თანაშემწეთა” როლმა და ვალდებულებებმა, როგორც იყო მოცემული რუმინეთის კანონმდებლობაში შესაბამის დროს, ისინი გარე წნეხისგან დაუცველი გახადა, და ეროვნული კანონმდებლობა არ იძლეოდა მათ მიერ თავიანთი მოვალეობების დამოუკიდებლად შესრულებასთან დაკავშირებულ საკმარის გარანტიებს. სხვა საკითხთა შორის, თანაშემწეები არ იყვნენ უცვლელნი ან დაცულები მოვალეობების ნაადრევი შეწყვეტისგან, და მათ შეიძლებოდა სხვა იმ ორგანიზაციების მიერ დაკისრებული ფუნქციები და ქმედებები

განეხორციელებინათ, რომელთა სახელითაც ისინი აირჩნენ (დამსაქმებელთა ასოციაციები და პროფკავშირები).

## დამოუკიდებლობის კრიტერიუმები

კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო

### **ზანდი ავსტრიის წინააღმდეგ**

#### **Zand v. Austria**

მომჩივანი ერთ დროს მუშაობდა სახელოსნოში ოქრომჭედლად როდესაც მას უჩივლა თავისმა დამქირავებელმა გარკვეული ზიანის ანაზღაურებისთვის. მომჩივანი დავობდა, რომ შრომის სასამართლო, რომელიც მის საქმეს განიხილავდა, არ იყო კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია მომჩივნის საქმეში კონვენციის მე-6 § 1 მუხლის დარღვევას და დაასკვნა, რომ შრომის სასამართლო იყო დამოუკიდებელი სასამართლო. კომისიამ გაიხსენა, რომ ტერმინი “დამოუკიდებელი”, როგორც არის განმარტებული კომისიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, შედგება ორი ელემენტისგან, სახელდობრ სასამართლოთა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობისგან და მხარეთაგან დამოუკიდებლობისგან. მან ასევე აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ტერმინის “კანონის საფუძველზე” ობიექტი კონვენციის მე-6 § 1 მუხლში არის იმის უზრუნველყოფა, რომ “სასამართლო ორგანო დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე დამოკიდებული და რეგულირებულია პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე.

### **კლეინი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **Kleyn and Others v. the Netherlands**

მომჩივნებმა (ინდივიდი და კომპანიები, რომელთა სახლები ან ბიზნეს შენობები მდებარეობდა იმ ახალ სარკინიგზო გზაზე ან მის ახლოს რომელიც შენდებოდა და გადიოდა ნიდერლანდებზე როტერდამის ნავსადგურიდან გერმანიის საზღვრამდე) მონაწილეობა მიიღეს საქმისწარმოებაში, სადაც აპროტესტებდნენ რკინიგზის მარშრუტის ზუსტი განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას. აღნიშნული სამარშრუტო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაგეგმარების აქტში გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფო საბჭოს ადმინისტრაციული იურისდიქციის განყოფილება, რომელმაც დავასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, არ შეიძლება მიჩნეულიყო დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოდ, რადგან სახელმწიფო საბჭო ახორციელებდა როგორც საკონსულტაციო ფუნქციებს, კანონპროექტებზე საკონსულტაციო მოსაზრებების გაცემით, ისე სასამართლო ფუნქციებს, ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით საჩივრების გადაწყვეტის გზით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი, დაასკვნა რა, რომ მომჩივნების ვარაუდები ადმინისტრაციული იურისდიქციის განყოფილების მიკერძოებასა და დამოუკიდებლობის არ არსებობასთან დაკავშირებით არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ობიექტურად გამართლებულად. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა სახელმწიფო პოლიტიკურ ორგანოებსა და სასამართლოს შორის უფლებამოსილებათა დანაწილების ცნებამ მზარდი მნიშვნელობა შეიძინა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, არც მე-6 ან სხვა კონვენციის დებულება მოითხოვდა სახელმწიფოებისგან შესაბამისობაში ყოფილიყვნენ უფლებამოსილებათა ურთიერთქმედების დასაშვებ საზღვრებთან დაკავშირებულ რაიმე თეორიულ კონსტიტუციურ კონცეფციებთან. კითხვა ყოველთვის იმაში მდგომარეობდა იყო თუ არა მოცემულ საქმეში კონვენციის მოთხოვნები დაცული და ევროპული სასამართლოს წინაშე იდგა მხოლოდ ის კითხვა, მოცემული საქმის გარემოებებში ადმინისტრაციული იურისდიქციის განყოფილებას ჰქონდა თუ არა აუცილებელი დამოუკიდებლობის “გარეგნული მხარე” ან აუცილებელი “ობიექტური” მიუკერძოებლობა.

### **გუროვი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ**

#### **Gurov v. Republic of Moldova**

სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების შესახებ დავის შემდეგ მომჩივანმა წამოიწყო სამოქალაქო სამართალწარმოება ბრძანების გაცემის მოთხოვნით, რომელიც აიძულებდა სადაზღვევო კომპანიას გადაეხადა მისთვის პენსია. მომჩივანი დავობდა, რომ მას არ ჰქონია კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი განხილვის უფლება მის საქმეში ჩართული ერთ-ერთი მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი, განაცხადა რა, რომ მომჩივნის საქმე არ განხილულა კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მოლდოვას ხელისუფლებამ აღიარა, რომ შესაბამის დროს, მოსამართლეებს, რომელთა თანამდებობაზე ყოფნის ვადაც გასული იყო, უფლება ჰქონდათ გაეგრძელებინათ თავიანთი ფუნქციების განხორციელება განუსაზღვრელი ვადით, სანამ პრეზიდენტი გადაწყვეტდა მათი დანიშვნის საკითხს, და რომ არ არსებობდა აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობა. ამ პირობებში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ მოსამართლის მონაწილეობას მომჩივნის საქმის განხილვაში, რომლის თანამდებობაზე ყოფნის ვადაც გასული იყო, არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი. გარდა ამისა, აღნიშნული პრაქტიკა არ შეესაბამებოდა პრინციპს, რომ სასამართლოთა ორგანიზაცია დემოკრატიულ საზოგადოებაში არ უნდა იყოს დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციულ უფლებამოსილებაზე.

### **მაკტუფი და დამჯანოვიჩი ბოსნია და ჰერცეგოვინას წინააღმდეგ**

#### **Maktouf and Damjanović v. Bosnia and Herzegovina**

ორივე მომჩივანს ბოსნია-ჰერცეგოვინას სასამართლოს მიერ მსჯავრი დაედო 1992-1995 წლის ომის დროს სამოქალაქო პირების მიმართ ჩადენილი ომის დანაშაულების გამო. პირველი მომჩივანი დავობდა, რომ მას არ უსარგებლია დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მისი საქმის

სამართლიანი განხილვის უფლებით. მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი სასამართლო არ ყოფილა დამოუკიდებელი ამ დებულების მნიშვნელობის ფარგლებში, რადგან მისი წევრებიდან ორი პირი ბოსნია-ჰერცეგოვინას უმაღლესი წარმომადგენლობითი ოფისის მიერ იყო დანიშნული ორწლიანი განახლებადი ვადით.

ევროპულმა სასამართლომ პირველი მომჩივნის მიერ კონვენციის მე-1 მუხლით წარდგენილი საჩივარი აშკარა დაუსაბუთებლობის გამო დაუშვებლად გამოაცხადა და ვერ დაინახა მიზეზი კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა ბოსნია-ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება ამ საქმეში, იმის თაობაზე, რომ სასამართლო დამოუკიდებელი იყო. მან, კერძოდ დაადგინა, რომ არ არსებობდა მიზეზები ეჭვის ქვეშ დამდგარიყო სახელმწიფო სასამართლოს საერთაშორისო მოსამართლეების დამოუკიდებლობა ბოსნია-ჰერცეგოვინას პოლიტიკური ორგანოებისგან, საქმის მხარეთაგან და უმაღლესი წარმომადგენლობის ინსტიტუტისგან. საერთაშორისო მოსამართლეთა დანიშვნა სწორედ მოტივირებული იყო სახელმწიფო სასამართლოს ომის დანაშაულის პალატების დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის აღდგენის სურვილით. ამის გარდა, ფაქტი, რომ აღნიშნული მოსამართლეები მივლინებულნი იყვნენ მათი ქვეყნების პროფესიონალი მოსამართლეებისგან, წარმოადგენდა გარე წნეხისგან დაცვის დამატებით გარანტიას. მართალია, რომ მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადა იყო შედარებით მოკლე, მაგრამ ეს გასაგები იყო სახელმწიფო სასამართლოში საერთაშორისო წარმომადგენლობის დროებითი ხასიათისა და საერთაშორისო დანიშვნების მექანიზმის გათვალისწინებით.

### **გუდმუნდურ ანდრი ასტრაოსონი ისლანდიის წინააღმდეგ**

#### **Gudmundur Andri Ástráðsson v. Iceland**

საქმე ეხებოდა მომჩივნის ბრალდებას, რომ ახალი ისლანდიური სააპელაციო სასამართლო (Landsréttur), რომელმაც ძალაში დატოვა საგზაო წესების დარღვევასთან დაკავშირებული მისი მსჯავრდება, არ იყო “კანონის საფუძველზე” შექმნილი სასამართლო, მის საქმეში ჩართული ერთ-ერთი მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებული დარღვევების გამო.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-1 მუხლი და დაასკვნა, რომ მომჩივანს უარი ეთქვა “კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს” უფლებაზე, იმის გამო, რომ მის პროცესში მონაწილეობდა მოსამართლე, რომლის დანიშვნაც მძიმე დარღვევების გამო უსაფუძვლო იყო და რამაც უარყო აღნიშნული უფლების არსი. კერძოდ, დარღვევის დადგენის პოტენციური შედეგებისა და სასწორზე არსებული მნიშვნელოვანი ინტერესების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ “კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს” უფლება არ უნდა განმარტებულიყო ზედმეტად ფართოდ ისე, რომ სასამართლო დანიშვნის პროცედურაში არსებულ ნებისმიერ ხარვეზს ნახსენები უფლების დარღვევის საფრთხე შეექმნა. ამგვარად სასამართლომ ჩამოაყალიბა სამ საფეხურიანი ტესტი, რათა განესაზღვრა სასამართლო დანიშვნის პროცედურაში არსებული ხარვეზები იყო თუ არა ისეთი სიმძიმის, რომ გამოეწვია კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს უფლების დარღვევა. შემდეგ მან დაადგინა შემდეგი. გასული ათწლეულების განმავლობაში, ისლანდიაში სასამართლო დანიშვნების მარეგულირებელმა კანონმდებლობამ განიცადა რამდენიმე მნიშვნელოვანი



ცვლილება, რომელიც მიზნად ისახავდა დანიშვნის პროცესში სამთავრობო დისკრეციის შეზღუდვას და ამგვარად სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერებას. სამთავრობო უფლებამოსილებაზე კონტროლი დამატებით გაძლიერდა ახლადშექმნილ სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით, როდესაც პარლამენტს დაევალი იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი ყველა კანდიდატის დამტკიცება ამ ახალი სასამართლოს ლეგიტიმურობის გაძლიერებისთვის. თუმცა, როგორცაა დადგენილი ისლანდიის უზენაესი სასამართლოს მიერ, ეს სამართლებრივი ჩარჩო დაირღვა იუსტიციის მინისტრის მიერ, როდესაც ახალი სააპელაციო სასამართლოს ოთხი მოსამართლე დაინიშნა. თუმცა, მინისტრს, კანონის მიხედვით, ჰქონდა შეფასების კომისიის წინადადების უარყოფის უფლებამოსილება გარკვეული პირობების დაცვით, მან უგულებელყო ფუნდამენტური პროცედურული წესი, რომელიც ავალდებულებდა მას დაეფუძნებინა თავისი გადაწყვეტილება საკმარის გამოძიებასა და შეფასებაზე. ეს წესი იყო მნიშვნელოვანი გარანტია მინისტრის მიერ პოლიტიკური ან სხვა არასათანადო მოტივების საფუძველზე მოქმედების პრევენციისთვის, რაც ძირს გამოუთხრიდა სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ლეგიტიმურობას და მისი დარღვევა უდრიდა იმ დისკრეციული უფლებამოსილებების აღდგენას, რომლებიც წინათ ჰქონდა მინისტრის ოფისს სასამართლო დანიშვნების კონტექსტში, და ამგვარად ანიეტრალედა საკანონმდებლო რეფორმის მნიშვნელოვან მიღწევებსა და გარანტიებს. და ბოლოს, ევროპულმა სასამართლომ გაიხსენა, რომ მინისტრის მიერ განხორციელებული დარღვევისთვის არსებობდა დამატებითი სამართლებრივი გარანტიები, როგორებიცაა საპარლამენტო პროცედურა და ეროვნული სასამართლოების მიერ სასამართლო გადასინჯვის საბოლოოდ გარანტია, მაგრამ ყველა ეს გარანტია აღმოჩნდა არაეფექტური და მინისტრის მიერ შეფასების კომიტეტის შეფასებისგან გადახვევისთვის გამოყენებული დისკრეცია ხელშეუხებელი დარჩა.

### **ხოხჯი ალბანეთის წინააღმდეგ**

#### **Xhoxhaj v. Albania**

საქმე ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც გაათავისუფლეს თანამდებობიდან მის მიმართ დაწყებული სამართალწარმოების შედეგის შემდგომ. აღნიშნული სამართალწარმოება წარმოადგენდა ქვეყანაში პროკურორებისა და მოსამართლეების თანამდებობისთვის შესაბამისობის ხელახალი შეფასების საგამონაკლისო პროცესის ნაწილის, რომელიც სხვაგვარად ცნობილია, როგორც შემოწმების პროცესი. მომჩივანი დავობდა, მათ შორის, რომ შემოწმებელი ორგანოები არ იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები, კერძოდ, მის წევრებს არ გააჩნდათ აუცილებელი პროფესიონალიზმი და გამოცდილება და დაინიშნენ სასამართლო ხელისუფლების ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 § 1 მუხლის დარღვევას შემოწმებელი ორგანოების სავარაუდო მიკერძოებასა და დამოუკიდებლობის არ არსებობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საკმარისად ნათელი სამართლებრივი ბაზის გათვალისწინებით (ანუ კონსტიტუცია და შემოწმების აქტი), რომელიც ითვალისწინებდა დამოუკიდებელი საკვალიფიკაციო კომისიისა და სააპელაციო პალატის შექმნას, მათ ექსკლუზიურ იურისდიქციასა და კომპეტენციას წარემართათ მოსამართლეთა, პროკურორთა, სამართლებრივი მრჩეველებისა და თანაშემწეების, ისევე როგორც მომჩივნის

საქმეში მათი ფორმაციის გარდამავალი ხელახალი შეფასება, შემმოწმებელი ორგანოები შექმნილი და შედგენილი იყო კანონიერად და ამგვარად წარმოადგენდნენ “კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოებს”. ევროპულმა სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ დანიშნის შემდგომ, შემმოწმებელი ორგანოები მომჩივნის საქმის განხილვის დროს არ დაექვემდებარებიან ადმინისტრაციული ხელისუფლების რაიმე ზეწოლას. ის რომ ორგანოთა წევრები არ იყვნენ დაკომპლექტებული მომსახურე პროფესიონალ მოსამართლეთა კორპუსიდან შეესაბამებოდა შემოწმების პროცესის სულისკვეთებასა და მიზანს, კონკრეტულად მცდელობას თავიდან აცილებულიყო ყოველგვარი ინდივიდუალური ინტერესთა კონფლიქტი და უზრუნველყოფილი ყოფილიყო საზოგადოების ნდობა პროცესისადმი. მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადების ფიქსირებული ხანგრძლივობა გასაგები იყო შემოწმების პროცესის ექსტრაორდინალური ხასიათის გათვალისწინებით. სასამართლო ასევე დაკმაყოფილდა იმითაც, რომ ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფდა გარანტიებს წევრების უცვლელობისა და სათანადო ფუნქციონირებისთვის.

### **Xero Flor w Polsce sp. z o.o. პოლონეთის წინააღმდეგ**

### **Xero Flor w Polsce sp. z o.o. v. Poland**

საქმე შეეხებოდა მომჩივანი კომპანიის მიერ მისი საკუთრებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარმოებულ სამართალწარმოებას და მის საჩივარს იმ მოსამართლის საკონსტიტუციო სასამართლოში დანიშნის შესახებ, რომელმაც განიხილა მისი საქმე. მომჩივანმა კომპანიამ, კერძოდ, გაასაჩივრა ეროვნული სასამართლოების უარი გადაეცათ სამართლებრივი საკითხები საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. ის ასევე ამტკიცებდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ხუთკაციანი შემადგენლობა, რომელმაც განიხილა მისი საქმე, დაკომპლექტებული იყო კონსტიტუციის დარღვევით. კერძოდ, ერთი მოსამართლე აირჩა Sejm-ის მიერ (პარლამენტის ქვედა პალატა), მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი თანამდებობა უკვე დაკავებული იყო წინამორბედი Sejm-ის მიერ არჩეული სხვა მოსამართლის მიერ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი სამართლიან განხილვასთან დაკავშირებით და დაირღვა მე-6 § 1 მუხლი ასევე კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით. ევროპულმა სასამართლომ, კერძოდ, დაადგინა, რომ (მიუხედავად მომჩივანი კომპანიის მიერ საკითხის მუდმივი წამოწვევისა) ეროვნულმა სასამართლოებმა არ გასცეს პასუხი მის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივნის საქმეში გამოყენებული კანონი არ შეესაბამებოდა კონსტიტუციას და შედეგად დაარღვიეს კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულება დასაბუთებული გადაწყვეტილებების წარმოდგენის თაობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დამატებით განაცხადა, რომ მომჩივანი კომპანიის საქმეში მონაწილე ერთ-ერთი მოსამართლის დანიშნვასთან დაკავშირებული ხელისუფლების ორგანოთა მოქმედებები და ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების უგულებელყოფა ნიშნავდა, რომ პანელი, რომელმაც აღნიშნული საქმე განიხილა არ იყო “კანონის საფუძველზე შექმნილი”.

## **რეცკოვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ**

### **Reczkowicz v. Poland**

მომჩივანმა, ადვოკატმა, რომელსაც კლიენტის წარმომადგენლობის დროს რამდენიმე ინციდენტის გამო სამი წლით შეუჩერდა უფლებამოსილება, განაცხადა, რომ პოლონეთის უზენაესი სასამართლოს დისციპლინური კომიტეტი, რომელმაც გადაწყვიტა მისი საქმე, არ იყო “კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო” და არ ჰქონდა დამოუკიდებლობა და არ იყო მიუკერძოებელი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-1 მუხლი და დაასკვნა, რომ უზენაესი სასამართლოს დისციპლინური კომიტეტი, რომელმაც განიხილა მომჩივნის საქმე, არ იყო “კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო”. მან კერძოდ აღნიშნა, რომ დისციპლინურ კომიტეტში მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურაზე ზედმეტად მოახდინა გავლენა ადმინისტრაციულმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ. აღნიშნული უდრიდა ფუნდამენტურ დარღვევას, რომელმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელ პროცესზე და ხელყო დისციპლინური კომიტეტის ლეგიტიმურობა.

სტაბილური კანონმდებლობა

## **ზიელინსკი და პრადალი და გონზალეზი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ**

### **Zielinski and Pradal and Gonzalez and Others v. France**

მომჩივნები, რომლებიც ელზას-მოზელში (Alsace-Moselle) სოციალური დაცვის ორგანოებში მუშაობდნენ, დავობდნენ, რომ სახელმწიფოს ჩარევა სამართალწარმოებაში და მასზე გავლენის მოხდენა რეტროსპექტული კანონმდებლობის გზით, ეწინააღმდეგებოდა მხარეთა თანასწორობის პრინციპს და სამართალწარმოებას უსამართლოდ აქცევდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-1 მუხლი სამართლიანი განხილვის უფლებასთან დაკავშირებით. მან დაადასტურა, რომ თუმცა, პრინციპში, არ იყო გამორიცხული სამოქალაქო საქმეებში ახალი რეტროსპექტული დებულებების მიღება არსებული კანონმდებლობიდან წამოჭრილი უფლებების რეგულირებისთვის, კანონის უზენაესობის პრინციპი და კონვენციის მე-1 მუხლში გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს ცნება გამორიცხავდა კანონმდებლის ყოველგვარ ჩარევას მართლმსაჯულების განხორციელებაში დავის სამართლებრივ გადაწყვეტაზე გავლენის მოხდენის მიზნით, გარდა საერთო ინტერესის დამაჯერებელი საფუძვლების არსებობის შემთხვევისა.

საკანონმდებლო დამოუკიდებლობა

ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები

## **პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ**

### **Piersack v Belgium**

მომჩივანმა განაცხადა, რომ ასიზების სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც ის გაასამართლა ორმაგი მკვლელობისთვის და მიუსაჯა იძულებითი შრომა, ჩართული იყო მისი საქმის

გამოძიებაში როგორც პროკურორის მოადგილე. მომჩივანი დავობდა, რომ მისი საქმე არ განუხილია დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს.

ევროპულმა სასამართლო დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ იმ სასამართლოს მიუკერძოებლობა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ბრალდების არსებითი მხარე მომჩივნის საქმეში ეჭვს იწვევდა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა რომ, როდესაც ჩვეულებრივ მიუკერძოებლობა ნიშნავდა წინასწარი აზრის ან მიკერძოების არარსებობას, მისი არსებობა ან სხვა ასპექტი, მე-6 § 1 მუხლის მიხედვით, შეიძლება სხვადასხვაგვარად შემოწმებულიყო. ამ კონტექსტში ერთმანეთისგან შეიძლება განვასხვავოთ სუბიექტური მიდგომა, რაც ნიშნავს მოცემულ საქმეში მოცემული მოსამართლის პირადი რწმენის დადგენის მცდელობას და ობიექტური მიდგომა, რაც ნიშნავს იმ განსაზღვრას შემოგვთავაზა თუ არა მან საკმარისი გარანტიები რათა გამორიცხულიყო ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი ამ მხრივ. ევროპულმა სასამართლომ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმისთვის, რათა სასამართლოებმა საზოგადოებაში გააჩინონ მათ მიმართ ნდობა, რაც აუცილებელია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე შიდა საორგანიზაციო საკითხები. თუ პირი, მას შემდეგ რაც იკავდება თანამდებობას პროკურატურის დეპარტამენტში, რომლის ხასიათიდან გამომდინარე მოვალეობის შესრულებისას წარმოებაში ჰქონდა მოცემული საკითხი, შემდგომ იმავე საქმეში არის მოსამართლე, საზოგადოებას აქვს უფლება ივარაუდოს, რომ ის არ იძლევა მიუკერძოებლობის საკმარის გარანტიებს. აღნიშნული სიტუაცია იყო მოცემულ საქმეშიც.

### **ლანგბორგერი შვედეთის წინააღმდეგ**

#### **Langborger v. Sweden**

მომჩივანი დავობდა, რომ სარჩელი, რომელიც მან შეიტანა იჯარის ხელშეკრულებიდან პუნქტის ამოღების მიზნით, არ განიხილა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. აღნიშნული პუნქტი გულისხმობს, რომ ქირა დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო დასახელებული მესაკუთრის ასოციაციასა და დასახელებულ მოიჯარის ასოციაციას შორის მოლაპარაკებით.

სტრასბურგის სასამართლო შემოიფარგლა საბინაო და საიჯარო სასამართლოს ფარგლებში განხილვით (ეს უკანასკნელი, მომჩივნის საქმის გადაწყვეტისას, დაკომპლექტებული იყო ორი პროფესიონალი მოსამართლითა და ორი დამხმარე მოსამართლით და ისინი შესაბამისად ნომინირებულნი იყვნენ მესაკუთრეთა შვედური ფედერაციისა და მოიჯარეთა ეროვნული კავშირის მიერ და შემდეგ დანიშნულნი იყვნენ მთავრობის მიერ, რომელიც თავის მხრივ, იყო საბოლოო ეროვნული ორგანო რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საქმეში როგორც სამართლებრივი ასევე ფაქტობრივი საკითხი) და დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმისთვის, რომ დადგინდეს ორგანო შეიძლება თუ არა მიჩნეულ იქნეს დამოუკიდებლად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, *inter alia*, მისი წევრების დანიშვნის წესი და მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადა, გარე წნეხისგან დაცვის გარანტიების არსებობა და ის საკითხი გამოიყურება თუ არა ორგანო დამოუკიდებლად. რაც შეეხება მიუკერძოებლობის საკითხს, უნდა განვასხვავოთ სუბიექტური ტესტი, რომლითაც უნდა დადგინდეს მოცემულ საქმეში მოცემული მოსამართლის პერსონალური რწმენა და ობიექტური ტესტი, რომლის მიზანია დადგინდეს იძლეოდა თუ არა მოსამართლე საკმარის გარანტიებს

მიუკერძოებლობის მხრივ ყოველგვარი ლეგიტიმური ეჭვის გამოსარიცხად. რაც შეეხება დამხმარე მოსამართლეებს, ევროპულმა სასამართლომ რთულად მიიჩნია ამ საქმეში მიუკერძოებლობის საკითხის დამოუკიდებლობის საკითხისგან გამოყოფა. როდესაც ეს უკანასკნელნი პრინციპში მაღალ კვალიფიციურები ჩანდნენ და შეედლოთ მონაწილეობა მიეღოთ შესაკუთრეთა და მოიჯარეთა შორის დავებისა და ამ დავებში წამოჭრილი სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტაში, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მათი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა შეიძლება მაინც ეჭვის ქვეშ დადგეს კონკრეტულ საქმეში. მოცემულ საქმეში, მტკიცებულების არარსებობის პირობებში, არ არსებობდა აღნიშნულ მოსამართლეთა პერსონალური მიუკერძოებლობის ეჭვის ქვეშ დაყენების მიზეზი. რაც შეეხება მათ ობიექტურ მიუკერძოებლობასა და საკითხს გამოიყურებოდნენ თუ არა ისინი დამოუკიდებლად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისინი ნომინირებულნი იყვნენ და ახლო კავშირები ჰქონდათ ორ ასოციაციასთან, რომელთაც მოლაპარაკების პუნქტის ძალაში დარჩენის ინტერესი ჰქონდათ. როდესაც მომჩივანი ცდილობდა ამ პუნქტის იჯარის ხელშეკრულებიდან ამოშლას, მას შეიძლება ჰქონოდა ლეგიტიმური შიში, რომ დამხმარე მოსამართლეებს მისი საწინააღმდეგო საერთო ინტერესი ჰქონდათ და ამგვარად შიში, რომ მისი სარჩელის განხილვისას დაირღვეოდა საბინაო და საიჯარო სასამართლოთა შემადგენლობისთვის სხვა საქმეებში დამახასიათებელი ინტერესთა ბალანსი. ფაქტს, რომ საბინაო და საიჯარო სასამართლო მოიცავდა ორ პროფესიონალ მოსამართლეს, რომელთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ არ იდგა, მნიშვნელობა არ ჰქონდა ამ საკითხის გადაწყვეტისას.

### **მუსტაფა ტუნჩი და ფესირ ტუნჩი თურქეთის წინააღმდეგ**

#### **Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey**

წინამდებარე საქმე ეხებოდა ახალაგაზრდა კაცის სიკვდილს სამხედრო სამსახურის დროს, როდესაც ის მივლინებული იყო კერძო ნავთობის კომპანიის კუთვნილ ადგილზე, რომელსაც ეროვნული ჟანდარმერია უზრუნველყოფდა უსაფრთხოების მომსახურებით. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ გამოძიება, რომელსაც უნდა დაედგინა მათი ნათესავის სიკვდილის გარემოებები არ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) მოთხოვნებს.

ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია გაეკეთებინა განმარტება იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მიზნებისთვის გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი, კერძოდ იმასთან დაკავშირებით, საგამოძიებო ორგანოებმა ფართო გაგებით უნდა დააკმაყოფილონ თუ არა დამოუკიდებლობის იგივე კრიტერიუმები რაც კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარეობს. დასაწყისში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლიანი განხილვის მოთხოვნებმა შეიძლება ხელი შეუწყონ პროცედურული საკითხების განხილვას სხვა დებულებების მიხედვით, როგორცაა კონვენციის მე-2 ან მე-3 მუხლები, მაგრამ არ იყო აუცილებელი, რომ აღნიშნული გარანტიები ერთნაირი წესით შეფასებულიყო. მომჩივნის საქმეში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევას, დაასკვნა რა, რომ მოცემულ საქმეში წარმართული გამოძიება საკმარისად სრულყოფილი და დამოუკიდებელი იყო და რომ მომჩივნები მასში საკმარისად იყვნენ ჩართულნი რათა დაეცვათ საკუთარი ინტერესები და განხორციელებინათ თავიანთი უფლებები. რაც შეეხება სამხედრო სასამართლოს მიერ განხორციელებული

გადასინჯვის დამოუკიდებლობას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა რომ, რელევანტურ დროს ძალაში მყოფი რეგულაციების მხედველობაში მიღებით არსებობდა ფაქტორები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ სამხედრო სასამართლოს საკანონმდებლო დამოუკიდებლობას, რომელიც მოწვეული იყო, რათა განეხილა მომჩივნების საჩივარი პროკურატურის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, არ დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-2 მუხლის მიხედვით, ეს მოსაზრებები თავისთავად არ იყო საკმარისი რათა დაესკვნა, რომ გამოძიება არ იყო დამოუკიდებელი. მე-2 მუხლი არ მოითხოვდა აბსოლუტურ დამოუკიდებლობას და ამასთან, გამოძიების დამოუკიდებლობა უნდა შეფასებულიყო კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. იმის აღიარების პირობებში, რომ გამოძიებაში მონაწილე პირები არ ფლობდნენ სრულ საკანონმდებლო დამოუკიდებლობას, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიება იყო საკმარისად დამოუკიდებელი კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით.

გარედან მომდინარე გავლენის არ არსებობა

### **შრამეკი ავსტრიის წინააღმდეგ Sramek v. Austria**

მომჩივანმა, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქემ, გაასაჩივრა ტიროლის უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების შესახებ აქტის (Tyrol Real Property Transactions Act) შესაბამისად ჩატარებული საქმისწარმოება, რომლითაც მას როგორც უცხოელს უარი ეთქვა განსაზღვრული მიწის მიღებაზე, იმის საფუძველზე, რომ არსებობდა უცხოელების მიერ ქონებაზე საკუთრების მეტისმეტად გაზრდის საფრთხე. მომჩივანი, კერძოდ, ამტკიცებდა, რომ რეგიონალური უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების ორგანო, რომელმაც განიხილა მისი საქმე, არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო. ეს უკანასკნელი დაკომპლექტებული იყო, *inter alia*, სამი საჯარო მოხელით მიწის სახელმწიფო სერვისებიდან, რომელთა უფლებამოსილებასაც სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა წარმოადგენდა, მოხელეთაგან ერთ-ერთი კი იყო მომხსენებელი.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა, რომ სასამართლო ჩაითვალოს დამოუკიდებლად კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, შესაძლოა ასევე გარეგნულ მხარესაც ჰქონდეს მნიშვნელობა. მან დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ როდესაც, როგორც მოცემულ საქმეში, სასამართლოს ერთ-ერთი წევრი მისი მოვალეობებისა და სამსახურის ორგანიზაციის თვალსაზრისით, სუბორდინაციულ მდგომარეობაშია ერთ-ერთ მხარესთან, მომჩივნებს შეიძლება ჰქონდეთ ლეგიტიმური ეჭვი ამ პირის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. სასამართლოს ხაზგასმით, ასეთმა სიტუაციამ სერიოზულად დააზიანა ნდობა რომელსაც სასამართლოები უნდა იწვევდნენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების ჩაურევლობა სასამართლოებში მიმდინარე საქმეში

**კემპბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ  
Campbell and Fell v. the United Kingdom**

პირველი მომჩივანი, რომელიც პატიმრობაში იყო ფაქტობრივი გარემოებების დროს, ამტკიცებდა, *inter alia*, რომ ვიზიტორთა საბჭოში საქმის განხილვისას მას არ უსარგებლია სამართლიანი განხილვის უფლებით. საბჭომ მას მსჯავრი დასდო დისციპლინური ბრალდებების გამო, ეს უკანასკნელი კი არსებითად სისხლისსამართლებრივ ბრალდებებს უტოლდებოდა. მომჩივანი დავობდა, რომ საბჭო პატიმრების მიერ აღქმული არ იყო როგორც დამოუკიდებელი და პრაქტიკულად აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი პირველი მომჩივნის საჩივრებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ვიზიტორთა საბჭო არ ყოფილა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო. მან არ მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საბჭოს წევრების დანიშვნის ფაქტი, რომელიც თავისთავად პასუხისმგებელი იყო ციხეების ადმინისტრაციაზე უელსსა და ინგლისში, ადგენდა იმას, რომ ისინი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი არ იყვნენ. სხვაგვარად დადგენის შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ სასამართლოების ადმინისტრაციაზე პასუხისმგებელი მინისტრის მიერ ან მისი რჩევით დანიშნული მოსამართლეებიც არ იქნებოდნენ დამოუკიდებელი. ამასთან, თუმცა მართალი იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფისს შეიძლება საბჭოსთვის მისი ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო პრინციპები გადაეცა, მაგრამ საბჭო არ ექვემდებარებოდა სამინისტროს ინსტრუქციებს სამოსამართლო როლის განხორციელებისას. დამატებით, საბჭოს დამოუკიდებლობის განხილვისას, იმის მხედველობაში მიღებით, რომ მას ჰქონდა როგორც სამოსამართლო, ისე სახელმძღვანელო როლი, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პატიმრების შთაბეჭდილება, რომ საბჭო ახლო კავშირში იყო აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და ციხის ადმინისტრაციასთან, მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მნიშვნელოვან მაქსიმას, რომ “მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს: ის ასევე უნდა ჩანდეს, რომ განხორციელდა”. თუმცა, პატიმართა ასეთი მოსაზრებები, რაც ალბათ გარდაუვალი იყო საპატიმრო დაწესებულებაში, საკმარისი არ იყო “დამოუკიდებლობის” არარსებობის დასადგენად. მე-6 მუხლის მოთხოვნა არ იქნებოდა დაკმაყოფილებული თუ საბჭოსა და შესაბამისი ორგანოების ხშირი კონტაქტის გამო, პატიმრებს გონივრულად ექნებოდათ უფლება ეფიქრათ, რომ საბჭო აღნიშნულ ორგანოებზე იყო დამოკიდებული; თუმცა, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ კონტაქტების უბრალო ფაქტს რომლებიც ასევე პატიმრებთანაც არსებობდა, ასეთი შთაბეჭდილების გამართლება შეეძლო.

**ტონი კოსტადინოვი ბულგარეთის წინააღმდეგ  
Toni Kostadinov v. Bulgaria**

ეს საქმე ეხებოდა მომჩივნის წინასწარ პატიმრობას, რომელიც ეროვნული პოლიციის ყოფილი ოფიცერი იყო და რომელიც დააკავეს დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობის ეჭვის

საფუძველზე და მის მიმართ უდანაშაულობის პრინციპის დაცვას. მომჩივანი ამტკიცებდა რომ პრესკონფერენციაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებულმა გამონათქვამებმა, რომლებიც ცალსახად მომჩივნის როგორც მძარცველთა დაჯგუფების ყველაზე გავლენიან წევრად იდენტიფიცირებას ახდენდა, მის მიმართ დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6§2 მუხლი (უდანაშაულობის პრეზუმფცია) დაასკვნა რა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებულმა გამონათქვამებმა დაარღვია მომჩივნის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი. გაიხსენა რა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია იყო სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ელემენტი, სასამართლომ კერძოდ შენიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება დაარღვიოს არა მხოლოდ მოსამართლემ, არამედ სხვა საჯარო მოხელეებმაც: პარლამენტის სპიკერმა, პროკურორმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ან პოლიციის ოფიცრებმა. საქმის კონკრეტულ გარემოებებში და მისი, როგორც მოქმედი უმაღლესი სამთავრობო თანამდებობის პირის პოზიციის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვალდებული იყო მიეღო აუცილებელი წინდახედულობის ზომები, რათა თავიდან აეცილებინა ყოველგვარი დაბნეულობა ქმედების შესახებ მისი გამოთქმების ფარგლებსა და ოპერაციის შედეგებთან დაკავშირებით.

*დავის მხარეთა ჩაურევლობა*

### **ჰოლმი შვედეთის წინააღმდეგ**

#### **Holm v. Sweden**

მომჩივანი, რომელიც იყო ეკონომისტი და რომელიც, შესაბამის პერიოდში, მრეწველობის შვედური ფედერაციის მიერ იყო დაქირავებული დავობდა, რომ მის მიერ წიგნის ავტორისა და გამომცემლის წინააღმდეგ შეტანილი ცილისწამებასთან დაკავშირებული სარჩელი დამოუკიდებელსა და მიუკერძოებელ სასამართლოს არ გადაუწყვეტია, საქმის პოლიტიკური ხასიათის გამო და განსაკუთრებით იმის გამო, რომ რაიონულ სასამართლოში მსაჯულად მონაწილეობდა შვედური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ("SAP") ხუთი აქტიური წევრი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ რაიონული სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ეჭვს იწვევდა და მომჩივნის შემფოთება ამ მხრივ ობიექტურად გამართლებული იყო. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ფაქტ, რომ მოპასუხეებმა ისარგებლეს ტიპური ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გარანტიებით და მომჩივნისთვის, როგორც კერძო პროკურორისთვის იგი ხელმისაწვდომი არ იყო, როგორც ასეთი არ წარმოადგენდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობის ლეგიტიმურ მიზეზს. თუმცა, მოპასუხეთა და მსაჯულთა შორის რომელთა აცილების შესახებაც მომჩივანმა დააყენა შუამდგომლობა არსებობდა კავშირები, რომელთაც შეეძლოთ მსაჯულთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ეჭვების საფუძველი შეექმნათ (ერთ-ერთ მოპასუხეს, საგამომცემლო სახლს, არაპირდაპირ ფლობდა SAP-ი, და მეორე აღნიშნული კომპანიის მიერ იყო დასაქმებული და წარმოადგენდა



SAP-ის იდეოლოგიურ მრჩეველს). ამის გარდა, წიგნის სადავო პასაჟები აშკარად პოლიტიკური ხასიათის იყო და SAP-ისთვის მნიშვნელოვანი საკითხები წამოჭრა. ბოლოს, რადგან სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია, როგორც რაიონული სასამართლოსი, შეზღუდული იყო მსაჯულთა ვერდიქტის პირობებით, რაიონულ სასამართლოში დაშვებული შეცდომები არ შეიძლებოდა გამოსწორებულიყო სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებით.

### **ზალერი ავსტრიის წინააღმდეგ**

#### **Thaler v. Austria**

მომჩივანმა, რომელიც იყო ექიმი, ორი ცალკეული სამართალწარმოება წამოიწყო ექიმის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ტიროლის რეგიონალური ჯანმრთელობის დაზღვევის საბჭოს (Tyrol Regional Health Insurance Board) წინააღმდეგ. ის აცხადებდა, *inter alia*, რომ ექიმის ანაზღაურების ოდენობა, რომელიც განსაზღვრული იყო ტიროლის რეგიონალური ჯანმრთელობის დაზღვევის საბჭოსა და სოციალური დაზღვევის საბჭოთა ასოციაციებს შორის ზოგადი შეთანხმებით, ზედმეტად დაბალი იყო. მისი საქმე უარყო რეგიონალურმა სააპელაციო კომისიამ ხოლო დამატებითი საჩივარი, რომ აღნიშნული კომისია არ იყო დამოუკიდებელი, საკონსტიტუციო სასამართლომ. მომჩივანი აცხადებდა, რომ რეგიონალური სააპელაციო კომისია არ შეიძლება მიჩნეულ იყოს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოდ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ რეგიონალური სააპელაციო კომისიის შემფასებლები ნომინირებულნი იყვნენ და ახლო კავშირები ჰქონდათ იმ ორ ორგანოსთან, რომლებმაც შეადგინეს აღნიშნული ზოგადი შეთანხმება. სამართალწარმოების პირველ წყებაში, უბრალო ფაქტი, რომ აღნიშნულმა ორმა ორგანომ დანიშნა შემფასებლები რეგიონალურ სააპელაციო კომისიაში, თავისთავად საკმარისი იყო, რათა გამართლებულიყო მომჩივნის ეჭვები კომისიის მიკერძოებასა და დამოუკიდებლობის არქონასთან დაკავშირებით. სამართალწარმოების მეორე წყებაში, ის შემფასებლები, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ სოციალური დაზღვევის საბჭოების ასოციაციების მიერ, ასევე უმაღლეს თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ ტიროლის რეგიონალური დაზღვევის საბჭოში, რასაც უნდა დაემძიმებინა მომჩივნის ვარაუდები. რეგიონალური სააპელაციო საბჭოს მიკერძოება და დამოუკიდებლობის არქონა არც სააპელაციო ეტაპზე გამოსწორებულა; მისი გადაწყვეტილება არ ექვემდებარებოდა სასამართლო ორგანოს მიერ გადასინჯვას, ადმინისტრაციულ სასამართლოში საჩივრის წარდგენა გამორიცხული იყო კანონით და საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია შეზღუდული იყო კონსტიტუციურ სამართლებრივი საკითხებით.

### **ბეგი ს.პ.ა. იტალიის წინააღმდეგ**

#### **Beg S.p.a. v. Italy**

საქმე ეხებოდა არბიტრაჟის საშუალებით დავის გადაწყვეტას, რომელიც მოიცავდა ალბანეთში ელექტროენერჯის გამოძევაებისთვის დადებულ ჰიდროელექტრო ენერჯიასთან დაკავშირებულ შეთანხმებას, რომელშიც მონაწილეობდა მომჩივანი კომპანია და ENELPOWER-I - კომპანია, რომელიც გამოეყო ENEL-ს ყოფილ სახელმწიფო ენერჯო კომპანიას. კერძოდ, საქმე უკავშირდებოდა საარბიტრაჟო პანელის მიუკერძოებლობას, რადგან მისი ერთ-ერთი წევრი (N.I.) ENEL-ის საბჭოს წევრი იყო და მუშაობა ამ კომპანიის იურისტად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი, იმის გამო, რომ მოცემულ საქმეში საარბიტრაჟო პანელი მიკერძოებული იყო. მან კერძოდ, აღნიშნა, რომ N.I. არბიტრად მისი დანიშვნისას მოქმედებდა, როგორც ENEL-ის ადვოკატი, და რომ აღნიშნული კომპანია ფლობდა ENELPOWER-ის 100%-ს და იმ დროს მჭიდრო კავშირები ჰქონდა მასთან. იმ ფონზე, რომ N.I. წინათ ვიცე თავჯდომარე და ENEL-ის საბჭოს წევრი იყო, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი კომპანიის ეჭვები N.I.-ს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ობიექტურად გამართლებული იყო.

*გავლენის არ არსებობა სასამართლო სისტემის მხრიდან*

### **აგროკომპლექსი უკრაინის წინააღმდეგ Agrokompleks v. Ukraine**

წინამდებარე საქმე ეხებოდა, კერძო კომპანიის მიერ ინიცირებულ გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას უკრაინაში ყველაზე დიდი ნავთობის გადამამუშავებლის წინააღმდეგ, მისი დავალიანების აღდგენის მიზნით. მომჩივანი კომპანია, კერძოდ, დავობდა, რომ გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული სამართალწარმოება არ იყო სამართლიანი და ამტკიცებდა, რომ ეროვნული სასამართლოები არ იყვნენ დამოუკიდებლები ან მიუკერძოებლები სახელმწიფო წარმომადგენელთა საქმის შედეგისადმი ძლიერი ინტერესის გამო საქმის ირგვლივ არსებული ძლიერი პოლიტიკური ზეწოლის გათვალისწინებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი ეროვნული სასამართლოების მიკერძოებასა და დამოუკიდებლობის არარსებობასთან დაკავშირებით. მან კერძოდ, აღნიშნა, რომ როგორც დადასტურდა დოკუმენტური მტკიცებულებებით, რიგ შემთხვევებში, სასამართლო პროცესში ჩაერივნენ სხვადასხვა უკრაინელი ხელისუფლების წარმომადგენლები. ევროპულმა სასამართლომ ასევე გაიხსენა, რომ მან უკვე უმკაცრესად დაგმო არასასამართლო ორგანოების მიერ სასამართლო პროცესში ჩარევის მცდელობები და ისინი “დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს” ცნებასთან შეუსაბამოდ მიიჩნია. სიმართლეა, რომ რადგან სამართალწარმოება მოცემულ საქმეში ეხებოდა იმ დროს ქვეყნის ყველაზე დიდ ნავთობის გადამამუშავებელს და რომელშიც ძირითადი მოწილე სახელმწიფო იყო, ბუნებრივი იყო, რომ წარმოებამ სახელმწიფო წარმომადგენლების ყურადღება მიიპყრო. თუმცა, მიუღებელი იყო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავი არ შეიზღუდეს სასამართლო წარმოების პასიური მონიტორინგით და ამის ნაცვლად უხეშად ჩაერივნენ მასში. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს საქმის განხილვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, არ იყო სასამართლოთი შეზღუდული, არამედ ასევე გულისხმობდა სხვა სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებებს, რომ პატივი სცენ და დაემორჩილონ სასამართლოების გადაწყვეტილებებსა და განაჩენებს. სასამართლო დამოუკიდებლობა დამატებით მოითხოვდა, რომ ინდივიდუალური მოსამართლეები ყოფილიყვნენ დამოუკიდებლები არასათანადო ზეგავლენისგან, მათ შორის, სასამართლო სისტემისგანაც. ამგვარად, ფაქტი, რომ მოცემულ საქმეში, უმაღლესმა საარბიტრაჟო სასამართლომ პირდაპირი მითითებები მისცა თავის მოადგილეებს, რათა ხელახლა განეხილათ სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მან უარყო უკრაინაში ყველაზე დიდი

ნავთობის გადამამუშავებლის განცხადება ვალების რაოდენობის რევიზიასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა ეროვნული სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევას.

მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებული ობიექტური გარანტიები

*აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დანიშვნები ან გათავისუფლებები*

**ფილიპინი სან მარინოს წინააღმდეგ**

**Filippini v. San Marino**

მომჩივანი გაასამართლეს ცილისწამებისთვის და მიუსაჯეს ჯარიმა. ის აცხადებდა, რომ, სან-მარინოს მოსამართლეების პარლამენტის მიერ დანიშვნის ფაქტი, ნიშნავდა იმას, რომ მისი საქმე არ შეიძლებოდა განხილულიყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი აშკარა დაუსაბუთებლობის გამო დაუშვებლად გამოაცხადა და დაასკვნა, რომ პოლიტიკურ სიმპატიებს, რომლებმაც შეიძლება განსაზღვრული როლი ითამაშონ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში, არ შეეძლოთ თავისთავად საფუძველი შეექმნათ ლეგიტიმური ეჭვებისთვის მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლეების პარლამენტის მიერ არჩევის ფაქტი მათ დამოუკიდებლობაზე გავლენას არ ახდენდა, თუ მათი სტატუსიდან გამომდინარე ნათელი იყო, რომ ისინი არ ყოფილან რაიმე ზეწოლის ქვეშ და პარლამენტისგან არ მიუღიათ ინსტრუქციები და მოქმედებდნენ სრულად დამოუკიდებლად. სან-მარინოს კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით განსაზღვრავდა მოსამართლეთა სტატუსს და მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლეები პარლამენტის მიერ დანიშნენ არ ამართლებდა დასკვნას, რომ პარლამენტმა მოსამართლეებს გადასცა ინსტრუქციები მათი სამოსამართლო უფლებამოსილებების კონტექსტში. მოცემულ საქმეში, არ არსებობდა ობიექტური მიზეზი ეჭვისთვის, რომ საქმის განხილველმა მოსამართლეებმა არ იმოქმედეს მათი სამართლებრივი სტატუსის შესაბამისად. და ბოლოს, მომჩივანს არ უმტკიცებია, რომ აღნიშნულმა მოსამართლეებმა ინსტრუქციების შესაბამისად იმოქმედეს ან გამოამჟღავნეს მიკერძოება.

**კლარკე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**

**Clarke v. the United Kingdom**

საქმე ეხებოდა რაიონული და საოლქო მოსამართლეთა სავარაუდო მიკერძოებასა და დამოუკიდებლობის არქონას ლორდ კანცლერის დეპარტამენტის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებაში. მომჩივნის მიერ ადგილობრივი ხელისუფლებისა და სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მომჩივნის წინააღმდეგ იქნა გამოტანილი და ხარჯების გადახდაც მას დაეკისრა. მომჩივანს არ გადაუხდია სასამართლო ვალი და გამოცხადდა გადახდისუუნაროდ. შემდეგ, მომჩივანმა სარჩელი შეიტანა ლორდ კანცლერის დეპარტამენტის წინააღმდეგ იმ ფორმასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლოებმა მიაწოდეს მას თავდაპირველ საქმეში და რამაც მისი მტკიცებით შეცდომაში შეიყვანა.

ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი აშკარად დაუსაბუთებლობის მოტივით დაუშვებლად გამოაცხადა. მან აღნიშნა, რომ ცენტრალური კითხვა იყო იყვნენ თუ არა რაიონული და საოლქო მოსამართლეები, რომლებმაც მომჩივნის სარჩელი გადაწვიტეს პირველ და მეორე ინსტანციაში, დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები, როცა ისინი დაინიშნენ ლორდ კანცლერის მიერ. მოცემულ საქმეში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ მოსამართლეთა დანიშვნის წესი შესაბამისობაში იყო კონვენციის მოთხოვნებთან. გარდა ამისა, რადგან არ არსებობდა იერარქიული ან ორგანიზაციული დამოკიდებულება მოსამართლეთა და ლორდ კანცლერის დეპარტამენტს შორის, არ არსებობდა რაიმე გარედან მომდინარე ზეწოლის საფრთხის მიზეზი, რომელიც აიძულებდა მოსამართლეებს საქმეების კონკრეტული გზით გადაწყვეტას. ამასთან, რაც შეეხება სუბიექტურ მიუკერძოებლობის ტესტს, საქმეში არ არსებობდა პრეტენზია იმის შესახებ, რომ რომელიმე მოსამართლეს პერსონალური რწმენა ან მიკერძოება ახასიათებდა. ბოლოს, რაც შეეხება იმას იყო თუ არა ისეთი ელემენტები, რომელსაც შეიძლება დამოუკიდებლობის არარსებობის ობიექტური გარეგნული მხარე შეექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ლორდ კანცლერს შეეძლო რაიონული და საოლქო მოსამართლეთა მოხსნა, ნებისმიერი ასეთი მოხსნა ექვემდებარებოდა სასამართლო გადასინჯვას. ამასთან, არ ყოფილა საქმეები, რომლებშიც მოხსნის უფლებამოსილებამ ხელყო მიუკერძოებლობა, და ფაქტობრივად, პრაქტიკულად არ ყოფილა რაიონული და საოლქო მოსამართლეთა მოხსნის შემთხვევები როგორც ასეთი. ამდენად, მოცემულ საქმეში, ობიექტურ დამკვირვებელს არ ექნებოდა შემფოთების მიზეზი მოსამართლის შეცვლასთან დაკავშირებით.

### **საკილორ-ლორმინესი საფრანგეთის წინააღმდეგ Sacilor-Lormines v. France**

მოცემული საქმე ეხებოდა სახელმწიფო საბჭოში მიმდინარე სამართალწარმოების უსამართლობას, იმის გამო, რომ ამ ორგანოს წევრი, რომელიც მაშინ დანიშნული იყო ეკონომიკის, ფინანსთა და მრეწველობის სამინისტროს გენერალურ მდივნად, იყო იმ შემადგენლობაში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება მომჩივან კომპანიასა და აღნიშნულ სამინისტროს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6§1 მუხლი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებასთან მიმართებაში, იმის გამო, რომ მომჩივანი კომპანიის ეჭვები იმ სახელმწიფო საბჭოს ფორმაციასთან დაკავშირებით, რომელმაც გამოიტანა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, ობიექტურად დასაბუთებული იყო. სასამართლო იმ აზრზე იყო, რომ სადავო დანიშვნას შეეძლო სახელმწიფო საბჭოს მიუკერძოებლობაზე გაეჩინა ეჭვები, რადგან სამართალწარმოების დროს, ან გარკვეული დროით ადრეც, საქმის განმხილველი შემადგენლობის ერთ-ერთ წევრს ხელმძღვანელი პოზიციის დაკავება შესთავაზეს სწორედ იმ სამინისტროში, რომელიც მომჩივანი კომპანიის წინააღმდეგ გამოდიოდა რიგ მნიშვნელოვან დავებში.

*მოსამართლეთა თავისუფლება სამოსამართლო მოვალეობათა შესრულებისას*

### **პაბლა კი ფინეთის წინააღმდეგ**

#### **Pabla Ky v. Finland**

მომჩივანმა კომპანიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა რესტორანს, შეიტანა სარჩელი რესტორნის შენობის მფლობელის წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც გადაიხადა გაზრდილი ქირა რემონტის ხარჯის დასაფარად, რომელიც არ დასრულდა გეგმის მიხედვით. ის დავობდა, რომ მისი სამოქალაქო საქმის განმხილველი სააპელაციო სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რადგან ერთ-ერთი მოსამართლე იყო ფინეთის პარლამენტის წევრი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6§1 მუხლი და დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიკერძოებისა და დამოუკიდებლობის არქონასთან დაკავშირებული მომჩივნის ეჭვები, რომელიც გამოწვეული იყო მასში იმ ექსპერტი წევრის მონაწილეობისგან და რომელიც ამავდროულად პარლამენტის წევრი იყო, არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად გამართლებულად. ევროპულმა სასამართლომ კერძოდ, აღნიშნა, რომ არ არსებობდა რაიმე მითითება იმაზე, რომ მოსამართლე, რომელიც პარლამენტის წევრს წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოში მომჩივნის საქმის განხილვისას მიკერძოებული იყო რეალურად ან სუბიექტურად მომჩივნის წინააღმდეგ. ევროპული სასამართლო ასევე არ იყო დარწმუნებული, რომ უბრალო ფაქტი, რომ მოსამართლე იმ დროს როცა მომჩივნის საჩივარს განიხილავდა საკანონმდებლო ორგანოს წევრი იყო, საკმარისი იყო სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ეჭვების გასაჩინად. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი უფლებამოსილებათა გამიჯვნის თეორიას დაეყრდნო, ეს პრინციპი ზოგადად, არ ყოფილა გადამწყვეტი.

### **ზიამი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Thiam v. France**

საქმე ეხებოდა მომჩივნის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართალწარმოებას, რომლის მიმდინარეობისას საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა მოითხოვა მასში დაზარალებული მხარის სახით მონაწილეობა. კერძოდ, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ პროცესში პრეზიდენტის დაზარალებულის სახით ჩართვამ დაარღვია მისი უფლება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის საქმეში არ დარღვეულა კონვენციის მე-6§1 მუხლი და დაასკვნა, რომ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის სახით მომჩივნის წინააღმდეგ ჩართვას არ დაურღვევია ბალანსი მხარეთა უფლებებს შორის და საქმის წარმოებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოებაში იმ საჯარო ფიგურის მონაწილეობას, რომელმაც მოსამართლეთა კარიერულ განვითარებაში ინსტიტუციური როლი ითამაშა, შეეძლო ლეგიტიმური ეჭვი გამოეწვია ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. თუმცა, მას შემდეგ რაც გამოიკვლია მოსამართლეთა დანიშვნის წესი, მათი საკანონმდებლო მდგომარეობა და საქმის კონკრეტული გარემოებები, მან ვერ დაინახა მიზეზი, რათა დაესკვნა, რომ მომჩივნის საქმეში მონაწილე მოსამართლეები არ იყვნენ დამოუკიდებლები.

*მოსამართლის უფლებამოსილების უსაფრთხოება*

### **იბრაჰიმ გურკანი თურქეთის წინააღმდეგ**

#### **İbrahim Gürkan v. Turkey**

სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში, მომჩივანი, უფროსისადმი განზრახ დაუპირისპირებლობის გამო სისხლის სამართლის სამხედრო სასამართლომ გაასამართლა. ის ამტკიცებდა, რომ მისი საქმე არ განუხილია დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს, რადგან სასამართლო შემაღვენლობაში შედიოდა სამხედრო ოფიცერი სამართლებრივი გამოცდილების გარეშე და ორი სამხედრო მოსამართლე.

ევროპულმა სასამართლო დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი, რადგან დაასკვნა, რომ სამხედრო სასამართლო, რომელმაც მსჯავრი დასდო მომჩივანს, არ შეიძლება დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად ჩაითვალოს. აღნიშნა, რომ პროცესში დამხმარე მოსამართლეების მონაწილეობა, როგორც ასეთი, არ იყო კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, სასამართლომ არ ჩათვალა, რომ სამხედრო ოფიცრის სამართლებრივი კვალიფიკაციის ნაკლებობამ ხელი შეუშალა მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. თუმცა, აღნიშნული პირი იყო მოქმედი ოფიცერი, რომელიც რჩებოდა არმიის სამსახურში და ექვემდებარებოდა სამხედრო დისციპლინას. ის ასევე საქმის განმხილველ შემაღვენლობაში დაინიშნა იერარქიულად მისი უფროსების მიერ და არ სარგებლობდა იმავე კონსტიტუციური გარანტიებით როგორც დანარჩენი ორი სამხედრო მოსამართლე.

### **ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ**

#### **Baka v. Hungary**

ეს საქმე ეხებოდა მომჩივნის მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტას მის მიერ სამართლებრივი რეფორმების კრიტიკის შემდგომ და ფაქტს, რომ მას არ შეეძლო აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოში გაესაჩივრებინა. იგი იყო უნგრეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. მომჩივნის ექვსწლიანი თანამდებობაზე ყოფნის ვადა დასრულდა ჩვეულებრივი ვადის გავლის თარიღის დადგომამდე სამწელ-ნახევრით ადრე, ძირითადი კანონის ძალაში შესვლით (ახალი კონსტიტუცია), რომელიც ითვალისწინებდა უნგრეთში უმაღლესი სასამართლოს, Kúria-ს შექმნას, რომელიც უნდა ყოფილიყო უზენაესი სასამართლოს სამართალმემკვიდრე და ჩაენაცვლებინა იგი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ უნგრეთმა ხელყო მომჩივნის სასამართლოზე წვდომის უფლების არსებითი მხარე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მომჩივნის თანამდებობაზე ყოფნის ვადაზე ადრე შეწყვეტა არ გადასინჯულა ჩვეულებრივი სასამართლოს ან სხვა სასამართლო უფლებამოსილებების განმხორციელებელი ორგანოს მიერ და არც ღია იყო განხილვისთვის. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო გადასინჯვის არ არსებობა იმ კანონმდებლობიდან მომდინარეობდა, რომლის კანონის უზენაესობასთან შეთავსებადობაც საეჭვო იყო. ევროპულმა სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმ მზარდ მნიშვნელობას, რომელსაც საერთაშორისო და ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები, ისევე როგორც საერთაშორისო სასამართლოთა პრეცედენტული სამართალი და სხვა საერთაშორისო ორგანოთა პრაქტიკა ანიჭებდა პროცედურულ სამართლიანობას იმ

საქმეებში, რომლებიც ეხება მოსამართლეთა მოხსნას ან გათავისუფლებას, მათ შორის, იმ ორგანოს მიერ ჩარევას, რომელიც დამოუკიდებელი იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის შეწყვეტის ნებისმიერ გადაწყვეტილებასთან მიმართებით.

### **ბროდა და ბოჯარა პოლონეთის წინააღმდეგ**

#### **Broda and Bojara v. Poland**

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნების საჩივარს, რომლის მიხედვითაც მათ არ ჰქონდათ სამართლებრივი საშუალება, რათა გაესაჩივრებინათ იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა მათთვის როგორც კიელცეს (Kielce) რეგიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას. კერძოდ, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათი მოხსნა იყო უკანონო და თვითნებური და არ არსებობდა კონკრეტული სამართლებრივი საშუალება, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემდა გაესაჩივრებინათ აღნიშნული გადაწყვეტილება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი. იმის გამო, რომ მომჩივნების, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეს მოადგილეების უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ განხილულა ჩვეულებრივი სასამართლოს ან სხვა სასამართლო მოვალეობების განმახორციელები ორგანოს მიერ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია მომჩივნების სასამართლოზე წვდომის უფლების არსებითი მხარე. სასამართლომ ხაზი გაუსვა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დაცვისა და პროცედურული სამართლიანობის დაცვის მნიშვნელობას მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებულ საქმეებში. მან შენიშნა, რომ მომჩივნების გათავისუფლების მიმართ გამოყენებული ეროვნული კანონმდებლობა ნათლად არ განსაზღვრავდა პირობებს, რა დროსაც შეიძლებოდა სასამართლოს ხელმძღვანელების გათავისუფლება იმ პრინციპიდან გამონაკლისის სახით, რომლის მიხედვითაც მოსამართლის უფლებამოსილება დაცული უნდა იყოს მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადის განმავლობაში. ამასთან, ასეთ საკითხებთან დაკავშირებული უფლებამოსილებები კონცენტრირებული იყო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლის ხელში და სასამართლოს სისტემის ეროვნული საბჭო გამოთიშული იყო აღნიშნული პროცესიდან. ევროპულმა სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მოჩივნებისთვის ცნობილი არ გამხდარა სამთავრობო გადაწყვეტილებების მიზეზები. და ბოლოს, გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებები არ გადასინჯულა იუსტიციის სამინისტროსგან დამოუკიდებელი ორგანოს მიერ.

*მოსამართლეებს არ ეკისრებათ სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვარდა ბოროტი განზრახვისა ან სერიოზული დაუდევრობის შემთხვევებისა*

### **სერგეი ზუბარევი რუსეთის წინააღმდეგ**

#### **Sergey Zubarev v. Russia**

წინამდებარე საქმე ეხებოდა ეროვნული სასამართლოების მიერ, სამოსამართლო იმუნიტეტის საფუძვლებზე, მომჩივნის, ადვოკატის, მიერ მოსამართლის წინააღმდეგ შეტანილ ცილისწამებასთან დაკავშირებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმას. აღნიშნულმა

მოსამართლემ თხოვნით მიმართა ადვოკატთა ასოციაციას რათა მას მომჩივნის მიერ სამოქალაქო სამართალწარმოებაში განხორციელებული ქცევის გამო დაეწყო მის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოება, სახელდობრ მოსამართლე ამტკიცებდა, რომ მომჩივანმა გამოიწვია სამოქალაქო სამართალწარმოების გაჭიანურება საპატიო მიზეზის გარეშე დაუსწრებლობის გამო. მომჩივანი იყო ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნულ სამართალწარმოებაში. სასამართლოებმა შემდგომში უარი თქვეს მომჩივნის სარჩელის განსახილველად მიღებაზე, რადგან მოსამართლეს სამოქალაქო საქმის თავმჯდომარე მოსამართლის პროფესიული უფლებამოსილების განხორციელებისას პასუხისმგებლობისაგან იცავდა სასამართლო იმუნიტეტი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი, დაასკვნა, რა, რომ მათ მიერ სამოქალაქო წარმოების წარმართვის რეგულირებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის განხორციელებისას ეროვნულ ორგანოებს მომჩივნისთვის სასამართლოზე წვდომის უფლების შეზღუდვით არ გადაუჭარბებიათ შეფასების თავისუფალი ფარგლებისთვის და შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა პროპორციულობის გონივრული ურთიერთობა მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო იმუნიტეტსა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე ლეგიტიმურ მიზანს შორის. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო იმუნიტეტი იყო სამართლებრივი პრაქტიკა, რომელიც გარკვეული ფორმით კონვენციის ბევრ წევრ სახელმწიფოში არსებობდა. ის დაფუძნდა საზოგადოების სასარგებლოდ, რომლის ინტერესებშიც იყო, რომ მოსამართლეები ყოფილიყვნენ თავისუფლად, რათა თავიანთი ფუნქციები განხორციელებინათ დამოუკიდებლად და შედეგების შიშის გარეშე, ხოლო დავის მხარეებს სასამართლო შეცდომებისგან თავის დაცვა შეეძლოთ საჩივრების სააპელაციო სასამართლოში შეტანით პერსონალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სარჩელებისთვის მიმართვის გარეშე. შესაბამისად, მოცემულ საქმეში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პასუხისმგებლობისგან დაცვის იმუნიტეტს, რომელიც მინიჭებული ჰქონდა მოსამართლეს სამოქალაქო საქმეში თავმჯდომარედ ყოფნის პროფესიული უფლებამოსილებიდან გამომდინარე მის ქმედებებთან დაკავშირებით, შეიძლებოდა ჩათვლილიყო, რომ ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი, სახელდობრ მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესების დაცვა.

გარეგნული მხარის დოქტრინა

დამოუკიდებლობის შთაბეჭდილება

**ფინდლეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**

**Findlay v. The United Kingdom**

მომჩივანი, რომელიც მსახურობდა ჯარში, დავობდა, რომ სამხედრო სასამართლო, რომელმაც მას მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, ჩამოაქვეითა მცველის წოდებამდე და გაათავისუფლა ჯარიდან, არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, რადგან, *inter alia*, ყველა საქმის განსახილველად დანიშნული ოფიცერი პირდაპირ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა მომწვევ ოფიცერთან, რომელიც ასევე ბრალდების მხარის როლს ასრულებდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და კერძოდ, დაასკვნა, რომ იმის გამო, რომ მომწვევმა ოფიცერმა სამხედრო სასამართლოს ორგანიზაციაში



ცენტრალური როლი ითამაშა, მომჩივნის ეჭვები მისი საქმის განმხილველი სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ობიექტურად გამართლებული იყო. სტრასბურგის სასამართლომ, კერძოდ, აღნიშნა, რომ მომწვევემა ოფიცერმა ცენტრალური როლი შეასრულა მომჩივნის სიხლისსამართლებრივ დევნაში და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბრალდების მხარესთან, *inter alia*, მან გადაწყვიტა თუ რომელი ბრალდებები უნდა წაყენებულიყო, დანიშნა სამხედრო სასამართლოს წევრები და ბრალდებისა და დაცვის მხარის ოფიცრები და უზრუნველყო სხდომაზე მოწმეთა დასწრება. ამდენად, წამოიჭრა კითხვა იყვნენ თუ არა სამხედრო სასამართლოს წევრები საკმარისად დამოუკიდებლები მისგან და იძლეოდა თუ არა სასამართლოს ორგანიზაცია მიუკერძოებლობის ადეკვატურ გარანტიებს. ამ მხრივ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამხედრო სასამართლოს ყველა წევრი წარმოადგენდა სამხედრო პერსონალს, რომელიც წოდებით ექვემდებარებოდა მომწვევ ოფიცერს რომელსაც, როგორც დამადასტურებელ ოფიცერს, უფლება ჰქონდა შეეცვალა დაკისრებული სასჯელი.

### ინსალი თურქეთის წინააღმდეგ

#### **Incal v. Turkey**

მომჩივანმა, რომელსაც მსაჯური დაედო სიძულვილისა და მტრობის წამქეზებელი ბროშურის დამზადებაში მონაწილეობის მიღებისათვის, განაცხადა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოში (National Security Court) საქმის განხილვისას, მას არ უსარგებლია სამართლიანი სასამართლოს უფლებით, ამასთან მისი განცხადებით ეს სასამართლო არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოდ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ მომჩივანს შეიძლება ჰქონოდა ლეგიტიმური შიში, რადგან ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე სამხედრო მოსამართლე იყო, აღნიშნული სასამართლო შეიძლება არასათანადო მოსაზრებების გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, რომლებსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ საქმის ხასიათთან და ამიტომ, მომჩივანს ლეგიტიმური ეჭვის საფუძველი ჰქონდა ეროვნული უსაფრთხოების სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან მიმართებით. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით შეიძლებოდა ყოფილიყო ეჭვი, რადგან ის დაკომპლექტებული იყო არმიის ოფიცრებით, როდესაც მომჩივანი სამოქალაქო პირი იყო. სასამართლომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ მომჩივანი, სამოქალაქო პირი, უნდა წარმოადგენილიყო სასამართლოს წინაშე რომელიც, თუნდაც ნაწილობრივ, დაკომპლექტებული იყო სამხედრო ძალების წევრებისგან. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ მხრივ შეიძლება გარეგნულ მხარესაც განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონდეს. სასწორზე იდო ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები უნდა იწვევდნენ დემოკრატიულ საზოგადოებაში და უპირველეს ყოვლისა, რამდენადაც საქმე სისხლის სამართლის წარმოებას ეხება, ბრალდებულში. იმის გადაწყვეტისას არსებობს თუ არა ეჭვის ლეგიტიმური საფუძველი, რომ კონკრეტული სასამართლო არ არის დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი, ბრალდებულის თვალთახედვა მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტია ის, არის თუ არა მისი ეჭვები ობიექტურად გამართლებული.

თანმხვედრი სასამართლო ფუნქციები იმავე საქმეში

### **ეტლ და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ Ettl and Others v. Austria**

მოძინებები იყვნენ ფერმერები, რომელთა მიწაც იყო კონსოლიდაციასთან დაკავშირებული სამართალწარმოების საგანი. მათი თქმით, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, რომელთაც განიხილეს საქმე, და რომელთაგან თითოეული შედგებოდა სამი მოსამართლისა და ხუთი საჯარო მოხელისგან, არ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოებს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ პროვინციული და მიწის რეფორმის უმაღლესი საბჭოები, სადაც მოძინებმა გაასაჩივრეს მათი მიწის შესახებ რიგი კონსოლიდაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოებს წარმოადგენდნენ. მოსამართლე წევრთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, სადავო არ იყო. რაც შეეხება საჯარო მოხელეებს, მათი მონაწილეობა თავისთავად არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 § 1 მუხლს: კონსტიტუცია და შესაბამისი კანონმდებლობა ითვალისწინებდა დებულებებს მათი დამოუკიდებლობისთვის და უკრძალავდა საჯარო ხელისუფლებას მათთვის ინსტრუქციების მიცემას მათ სასამართლო მოვალეობებთან დაკავშირებით. ამის გარდა, მოძინებებს არ განუცხადებიათ, რომ საჯარო მოხელეებმა, რომლებმაც განიხილეს მათი საქმე, მიიღეს ინსტრუქციები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოები დამოუკიდებლები იყვნენ არა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, არამედ საქმის მხარეებისგანაც, სახელდობრ აღნიშნული მიწების მეპატრონეებისგან. ამ სიტუაციის გათვალისწინებით, არც იერარქიულ კავშირებს ჰქონდა მნიშვნელობა, რომლებიც სხვა კონტექსტებში არსებობდა იმავე განყოფილების საჯარო მოხელეებს შორის პროვინციული ან ფედერალური საჯარო სამსახურის ფარგლებში, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ. არც იმ საჯარო მოხელეების მონაწილეობას შეეძლო საბჭოების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე ეჭვების გაჩენა, რომლებიც აგრონომიაში, მეტყვევებაში და სოფლის მეურნეობაში გამოცდილების გამო მონაწილეობდნენ განხილვაში, ისინი ექსპერტები იყვნენ თავიანთ სფეროში, ასეთი ექსპერტები კი საჭიროა მიწის კონსოლიდაციასთან დაკავშირებულ საქმეებში, რაც ისეთი ღონისძიებაა, რომელიც დიდი სირთულის საკითხებს წამოჭრის.

### **მკონელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ McGonnell v. the United Kingdom**

სასოფლო-სამეურნეო მიწის შესანახ საწყობთან დაკავშირებული სამართალწარმოების მფარველებში, მოძინებანი დავობდა გერნსის სამეფო სასამართლოს მიკერძოებასა და დამოუკიდებლობის არარსებობასთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ამ უკანსკნელში მოსამართლედ წარმოდგენილი იყო სასამართლო აღმასრულებელი, რომელსაც დამატებით საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები ჰქონდა მინიჭებული გერნსში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი. მან შენიშნა, რომ, საქმეში სადავო არ ყოფილა სასამართლო აღმასრულებლის

რეალური მიკერძობა: საქმე შეეხებოდა იმ საკითხს, აღმასრულებელს ახსნათებდა თუ არა აუცილებელი დამოუკიდებლობის გარეგნული მხარე ან აუცილებელი ობიექტური მიუკერძოებლობა. ამ ტესტის საქმის მიმართ გამოყენებისას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აღმასრულებელი დასაწყისში პირადად, პირდაპირ იყო ჩართული საქმეში, რადგან ის ხელმძღვანელობდა სახელმწიფოთა შორის დისკუსიას, როდესაც შესაბამისი განვითარების გეგმა იქნა მიღებული. ის შემდეგ იყო სამეფო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც გადაწყვიტა მომჩივნის დაგეგმვასთან დაკავშირებული საჩივარი. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ფუნქციების ასეთმა აკუმულაციამ საფუძველი დაუდო ეჭვებს სამეფო სასამართლოში ყოფნისას აღმასრულებლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

### **მორელი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Morel v. France**

წინამდებარე საქმე ეხებოდა გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული წარმოების მოსამართლის როლს, პირველად რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ წარმოებაში და მოგვიანებით სალიკვიდაციო წარმოებაში, რომელიც მომჩივნის საკუთრებაში არსებულ კომპანიებს ეხებოდა. მომჩივანი კერძოდ, ამტკიცებდა, რომ გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ წარმოებაში მონაწილე მოსამართლე არ იყო მიუკერძოებელი კომერციულ სასამართლოში, რადგან გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული მოსამართლეები არა მხოლოდ ერეოდნენ იმ პერიოდში, როდესაც კომპანია სასამართლო რეორგანიზაციის ფაზაში დაკვირვების ქვეშ იყო, არამედ შემდგომ თავმჯდომარეობდნენ სალიკვიდაციო საქმის განმხილველ სასამართლოს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ მომჩივნის ეჭვები ობიექტურად გამართლებული არ იყო. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მოსამართლის მიერ წინასასამართლო გადაწყვეტილებების მიღების ფაქტი, თავისთავად, არ შეიძლება მისი მიკერძოების შესახებ ეჭვების გამამართლებლად მიჩნეულიყო. მნიშვნელობა ჰქონდა იმ ზომების ფარგლებსა და ხასიათს, რომლებიც მოსამართლემ სასამართლომდე მიიღო. ანალიტიკურად, მოსამართლის მიერ საქმის მასალების დეტალურ ცოდნას არ გამოუწვევია მისთვის რაიმე წინასწარი განწყობის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუშლიდა მის მიუკერძოებლობას საქმის არსებით მხარეზე გადაწყვეტილების მიღებისას. არც ხელმისაწვდომი ინფორმაციის წინასწარი ანალიზი ნიშნავდა, რომ საბოლოო ანალიზი წინასწარ იყო განსაზღვრული. მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ეს ანალიზი განხორციელებულიყო გადაწყვეტილების მიღებისას და ის დაფუძნებული ყოფილიყო წარდგენილ მტკიცებულებებზე და სასამართლო სხდომაზე მოსმენილ არგუმენტებზე. მომჩივნის საქმეში ევროპულმა სასამართლომ ვერ იპოვა ობიექტური გარემოებები, რათა დაეჯერებინა, რომ გადახდისუუნარობის საქმის მოსამართლის მოვალეობების ხასიათმა და ფარგლებმა, დაკვირვების პერიოდში (რომელიც გამიზნული იყო კომპანიების ყოველდღიური მართვის უზრუნველსაყოფად), საფუძველი შეუქმნა მიკერძოებას ცალკეულ საკითხზე, რომელიც კომერციულ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა დაკვირვების პერიოდის ბოლოს, კომპანიების მიერ ვაჭრობის გაგრძელების შესახებ მომჩივნის გეგმისა და სხდომაზე წარმოდგენილი ფინანსური გარანტიების სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებით.

## **ვეტსტეინი შვეიცარიის წინააღმდეგ Wettstein v. Switzerland**

მომჩივანი დავობდა იმ ადმინისტრაციული წარმოების ორი მოსამართლის (ადვოკატები, რომლებიც მოსამართლეები იყვნენ ნახევარ-განაკვეთზე) მიუკერძოებასთან დაკავშირებით, რომლის მხარეც თვითონ იყო. მომჩივნის წინააღმდეგ მიმდინარე ცალკეულ სამართალწამოებაში აღნიშნული მოსამართლეები ან პირდაპირ როგორც ადვოკატები ისე მონაწილეობდნენ ან მათი ოფისის პარტნიორის საშუალებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი მიუკერძოებელი სასამართლოს მოთხოვნასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ თუმცა მომჩივნის საქმესა და ცალკეულ სამართალწარმოებას შორის, რომელშიც აღნიშნული ორი ადვოკატი მონაწილეობდა როგორც სამართლებრივი წარმომადგენელი, არ არსებობდა მატერიალური კავშირი, ადგილი ჰქონდა დროში თანხვედრას, რადგან უკანასკნელი სამართალწარმოება კვლავ მიმდინარეობდა ფედერალურ სასამართლოში, როდესაც პირველი წარმოება დაიწყო და ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ნამდვილად ორი თვით ადრე დასრულდა. ამიტომ მომჩივნას შეიძლებოდა ჰქონოდა მიზეზი შემოფოტებისთვის, რომ აღნიშნული მოსამართლე გააგრძელებდა მის მოწინააღმდეგედ აღქმას და ამ სიტუაციას შეეძლო ლეგიტიმური ეჭვების გაჩენა, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლე არ უდგებოდა საქმეს აუცილებელი მიუკერძოებლობით. ფაქტი, რომ სხვა კოლეგა შემდგომ ნაკლებად რელევანტურ წარმოებაში მომჩივნის ოპონენტს წარმოადგენდა შეიძლებოდა ამ ეჭვების დამადასტურებელ მტკიცებულებად წარმოჩენილიყო.

## **ფაზლი ასლანერი თურქეთის წინააღმდეგ Fazli Aslaner v. Turkey**

ეს საქმე ეხებოდა ადმინისტრაციულ წარმოებას, რომელშიც თურქეთის უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეები ჩაერთვნენ ერთზე მეტ შემთხვევაში, შემდგომ კანონთან დაკავშირებული საჩივრების კონტექსტში. მომჩივანი დავობდა, რომ ზოგიერთი მოსამართლე, რომელიც იმ უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს კოლეგიაში იყო, რომელმაც განიხილა და გადაწყვიტა მისი საქმე ასევე გენერალურ ასამბლეაშიც იყო წარმოდგენილი. მომჩივანმა განაცხადა, რომ ეს მოსამართლეები არ შეიძლებოდნენ ყოფილიყვნენ მიუკერძოებლები, რადგან მათ უკვე გამოთქვეს თავიანთი აზრი საქმის არსებით მხარეზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში მომჩივნის ეჭვები გენერალური ასამბლეის შემადგენლობის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით შეიძლება ობიექტურად გამართლებულად ჩაითვალოს. მან კერძოდ, აღნიშნა, რომ განსაზღვრული მოსამართლეების მიერ თავიანთი აზრის ჩამოყალიბების ფაქტი საკმარისი არ იყო დასკვნისთვის, რომ ადმინისტრაციული განყოფილებების გენერალური ასამბლეის მიუკერძოებლობა ხელყოფილ იქნა. ანალოგიურად, მოცემულ საქმეში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ობიექტურ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული მოსამართლეთა რიცხვი ან (შედარებით მცირე) პროპორცია არ იყო გადაწყვეტი, და რომ რაოდენობით მოსაზრებებს არ ჰქონია გავლენა საქმის განხილვაზე, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა სერიოზული საფუძველი აღნიშნული სამი მოსამართლის პროცეში მონაწილეობის

აბსოლუტური აუცილებლობისთვის, ხმის უფლებით. გარდა ამისა, სამი მოსამართლიდან ერთ-ერთი, მისი როგორც უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარედ მოადგილის უფლებამოსილებიდან გამომდინარე იგი თავმჯდომარეობდა ადმინისტრაციულ განყოფილებათა ასამბლეას, და შესაბამისად ხელმძღვანელობდა დისკუსიებს მსჯელობას, რაც უდრიდა დამატებით გარემოებას, რომელიც ხელყოფდა მიუკერძოებლობის გარეგნულ მხარეს.

*განსაზღვრული უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოების ორმაგი ფუნქციები*

### **პროკოლა ლუქსემბურგის წინააღმდეგ**

#### **Procola v. Luxembourg**

მომჩივანი, რძის კომპანია, რომელიც დაფუძნებული იყო როგორც სასოფლო-სამეურნეო ასოციაცია, დავობდა, რომ სახელმწიფო საბჭოს იურიდიული კომიტეტი არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, იმ მოტივით, რომ კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება მინისტრთა ბრძანებების სასამართლო განხილვის თაობაზე რძის რაოდენობის დადგენის შესახებ, მანამდე გამოთქვეს მოსაზრება სადავო დებულებების კანონიერების შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი, დაასკვნა, რომ მომჩივანს ჰქონდა ლეგიტიმური საფუძვლები ეჭვისთვის, რომ იურიდიული კომიტეტის წევრები ვალდებულად თვლიდნენ თავს წინათ გამოთქმული აზრით ეხელმძღვანელათ, და რომ ეჭვი თავისთავად, როგორც სუსტად დასაბუთებულიც უნდა ყოფილიყო, საკმარისი იყო აღნიშნული სასამართლოს მიუკერძოებლობის შელახვისთვის. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო საბჭოს ოთხი წევრი იმავე საქმეში ახორციელებდა როგორც სასამართლო, ისე საკონსულტაციო ფუნქციებს. ლუქსემბურგის სახელმწიფო საბჭოს, როგორც ინსტიტუტის კონტექსტში, ფაქტი, რომ განსაზღვრული პირები წარმატებით ახორციელებდნენ ორი ტიპის ფუნქციებს ერთსა და იმავე გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, წარმოშობდა ეჭვს ინსტიტუტის სტრუქტურულ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

### **კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Kress v. France**

საქმე ეხებოდა მთავრობის კომისრის (commissaire du gouvernement) დასწრებას სახელმწიფო საბჭოს თათბირზე. მომჩივანი დავობდა, რომ მას არ ჰქონია საქმის სამართლიანი განხილვის უფლება ადმინისტრაციულ სასამართლოებში. ის კერძოდ, დავობდა, რომ მთავრობის კომისრის სასამართლოს შემადგენლობის თათბირზე ყოფნა (რომელიც ჩატარდა საიდუმლოდ და როდესაც მან წინაშე მან განაცხადა რომ მომჩივნის საჩივარი უარყოფილი უნდა ყოფილიყო) წარმოშობდა ეჭვს სასამართლოს მიუკერძოებლობის შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი მთავრობის კომისრის სასამართლო შემადგენლობის თათბირში მონაწილეობის გამო და დაასკვნა, რომ მიუხედავად მთავრობის კომისრის აღიარებული ობიექტურობისა და მიუხედავად მის მიერ ხმის არ მიცემისა, თათბირზე მონაწილეობას შეეძლო მისთვის მიეცა დამატებითი შესაძლებლობა მხარი დაეჭირა თავისი ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ გამოთქმული წინადადებებისთვის

თათბირის საიდუმლოების პირობებში. კერძო და, სასამართლომ კიდევ ერთხელ ყურადღება გაამახვილა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიმართ საზოგადოების გაზრდილ მგრძობიარობაზე და კვლავ მიუთითა გარეგნული მხარის მნიშვნელობაზე. მართალია, რომ როგორც უკანასკნელ ადამიანს რომელიც გაეცნო და შეისწავლა საქმე, მთავრობის კომისარს შეეძლო თათბირის დროს მოსამართლეთა დასმულ ნებისმიერ კითხვაზე ეპასუხა. თუმცა, ეს სასამართლოს შემადგენლობისთვის მიცემული წმინდა ტექნიკური დახმარება მოსარჩელის უფრო მნიშვნელოვანმა ინტერესმა გადაწონა, რომელსაც უნდა ჰქონოდა გარანტია, რომ მთავრობის კომისარს, თათბირზე მისი დასწრებისას, არ ექნებოდა შესაძლებლობა გავლენა მოეხდინა თათბირის შედეგზე. საფრანგეთის სისტემა იმ დროს ამ გარანტიას არ იძლეოდა.

## **UFC Que Choisir Côte d’Or საფრანგეთის წინააღმდეგ**

### **UFC Que Choisir Côte d’Or v. France**

მაღალსიჩქარიან სარკინიგზო ხაზთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას მომჩივანმა ასოციაციამ დაგმო სახელმწიფო საბჭოს (Conseil d’État) მიკერძოება და დამოუკიდებლობის არ არსებობა. კერძოდ, ის დავობდა უმაღლესი სასამართლოს მიკერძოების (სტრუქტურული) შესახებ, რადგან საბჭოს ჰქონდა როგორც საკონსულტაციო, ისე სასამართლო უფლებამოსილებები, და ასევე დავობდა “ორმაგი დანიშნის” პრინციპთან დაკავშირებით. ამგვარად სასამართლოს წევრები განიხილავდნენ იმ ადმინისტრაციულ აქტებს, რომლებზეც წინათ გამოთქმული ექნებოდათ მოსაზრება.

ევროპულმა სასამართლომ მომჩივანი ასოციაციის საჩივრები დაუშვებლად გამოაცხადა აშკარა დაუსაბუთებლობის გამო და დაასკვნა, რომ მისი საქმის განმხილველი სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გამოთქმული მისი ეჭვები არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად გამართლებულად. სასამართლოს შეხედულებით, საკითხი იდგა იმის შესახებ, სახელმწიფო საბჭო, მოცემული საქმის გარემოებებში ფლობდა თუ არა საჭირო დამოუკიდებლობის გარეგნულ მხარეს ან საჭირო ობიექტურ მიუკერძოებლობას, იმის გათვალისწინებით, რომ ეს საკითხები გამოკვლეული უნდა ყოფილიყო ერთად, რადგან დამოუკიდებლობისა და ობიექტური მიუკერძოებლობის კონცეფციები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა თავის პრეცედენტულ სამართალზე და უფრო კონკრეტულად Sacilor-Lormines v. France-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე (იხილეთ ზემოთ), რომელშიც ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფო საბჭოს ორგანული ახლო კავშირი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან არ იყო საკმარისი მისი დამოუკიდებლობის არარსებობის დადგენისთვის, და დაადგინა, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრების დანიშნისა და კარიერული განვითარების პროცედურა შესაბამისობაში იყო მე-6 § 1 მუხლის მოთხოვნებთან. პირველ რიგში, ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მისი გადასაწყვეტი არ იყო სახელმწიფო საბჭოს საკონსულტაციო უფლებამოსილებები შეესაბამებოდა თუ არა მის სასამართლო ფუნქციებს და დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს, რომლებსაც ისინი გულისხმობდა, და მეორე, რომ უფლებამოსილებათა დანაწილების პრინციპი “არ იყო გადაწყვეტი ზოგადად”. სასამართლოს გადასაწყვეტი იყო თითოეულ საქმეში უმაღლესი სასამართლოს მოსაზრება წარმოადგენდა თუ არა “გარკვეულ მიკერძოებას” განსახილველი გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც

“სასამართლო და საკონსულტაციო ფუნქციების თანმიმდევრული განხორციელების გამო გადაწყვეტილების ფორმირების ‘ობიექტურ’ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით იწვევდა ეჭვებს”. მოცემულ საქმეში, უკანასკნელ თვალსაზრისზე დაყრდნობით და მხარეთა შენიშვნების ფონზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველი დადგენილების გაუქმებასთან დაკავშირებული განცხადების განმხილველი შემადგენლობის არც ერთ წევრს წინათ მონაწილეობა არ მიუღია იმ შემადგენლობაში, რომელმაც აღნიშნულ ტექსტზე საკუთარი მოსაზრება გამოთქვა.

*პროკურორთა ადმინისტრაციული ან სასამართლო როლი*

### **ვასილესკუ რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **Vasilescu v. Romania**

საქმე ეხებოდა პოლიციის (მილიტია) მიერ უკანონოდ ამოღებული ძვირფასეულობის განგრობად შენახვას და მომჩივნის მიერ დამოუკიდებელ სასამართლოზე წვდომის შეუძლებლობას, რომელიც კომპეტენტური იქნებოდა, რომ გაეცა ბრძანება მათ დასაბრუნებლად. რუმინეთის მართლმსაჯულების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმის გამო, რომ მომჩივნის განცხადება რესტიტუციაზე უდრიდა სისხლის სამართლის საგამოძიებო ღონისძიების წინააღმდეგ საჩივარს, მისი გადაწყვეტის უფლებამოსილება მხოლოდ სახელმწიფო მრჩეველს ჰქონდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ სახელმწიფო მრჩეველი არ შეიძლებოდა კონვენციის კრიტერიუმების მიხედვით მიჩნეულიყო დამოუკიდებელ სასამართლოდ და ამიტომ მომჩივანს არ ჰქონდა სასამართლოზე წვდომა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მაშინაც კი როდესაც, როგორც მოცემულ საქმეში, ქვეყნის სახელმწიფო მრჩეველი ახორციელებდა სასამართლო ხასიათის უფლებამოსილებებს ის მოქმედებდა როგორც გენერალური პროკურორის დეპარტამენტის წევრი რომელიც, პირველ რიგში, ექვემდებარებოდა გენერალურ პროკურორს და შემდეგ იუსტიციის მინისტრს. გაიმეორა რა, რომ მხოლოდ ის ინსტიტუტი რომელსაც ჰქონდა სრული იურისდიქცია და აკმაყოფილებდა რიგ მოთხოვნებს, როგორცაა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და ასევე მხარეებისგან დამოუკიდებლობა, იმსახურებდა “სასამართლოს” სახელწოდებას მე-6 § 1 მუხლის გაგებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ არც სახელმწიფო მრჩეველი და არც გენერალური პროკურორი არ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს.

### **მედვედიევი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Medvedyev and Others v. France**

ამ საქმეში მომჩივნები, რომლებიც იყვნენ კამბოჯაში რეგისტრირებული სატვირთო გემის ეკიპაჟის წევრები, დააკავეს ღია ზღვაში მას შემდეგ რაც საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნარკოტიკების ტრეფიკინგის ეჭვის საფუძველზე გააჩერეს მათი ხომალდი. ისინი გამოძიებული მოსამართლის წინაშე წარდგინდნენ მათი გემის საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ. მომჩივნები დავობდნენ, რომ თავისუფლება შეეზღუდათ უკანონოდ და დიდი დრო დასჭირდა მათ წარდგენას მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 § 1 მუხლი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და არ დარღვეულა მე-5 § 3 მუხლი (უფლება დაუყოვნებლივ იქნეს წარდგენილი მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე). მან კერძოდ, აღნიშნა, რომ “სასამართლო მოხელე” უნდა იძლეოდეს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეთაგან დამოუკიდებლობის აუცილებელ გარანტიებს, რაც გამორიცხავს სისხლის სამართალწარმოებაში მის შემდგომ ჩარევას სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს სასარგებლოდ, და მას უნდა ჰქონდეს უფლებამოსიება გაათავისუფლოს პირი, მას შემდეგ რაც მოუსმენს მას და შეამოწმებს დაკავებისა და პატიმრობის კანონიერებასა და დასაბუთებულობას.

### **მოულინი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Moulin v. France**

მომჩივანი, ადვოკატი, ნარკოტიკების ტრეფიკინგის საქმეზე მიმდინარე სასამართლო გამოძიების საიდუმლოების დარღვევის ეჭვის საფუძველზე დააკავეს და მოათავსეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. პოლიციაში პატიმრობის შემდგომ ის წარუდგინეს მოადგილე პროკურორს, რომელმაც მისი საპატიმროში ყოფნის განკარგულება გასცა გამომძიებელი მოსამართლეებისთვის მისი შემდგომი გადაცემის მიზნით. ამ უკანასკნელმა წარუდგინა ბრალდებები და მომჩივანს თავისუფლებისა და პატიმრობის მოსამართლის მიერ წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. მომჩივანი დავობა, რომ ის დროზე არ წარადგინეს მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 § 3 მუხლი (უფლება დაუყოვნებლივ იქნეს წარდგენილი მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე). კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მოადგილე პროკურორები რომლებიც არ იყვნენ უცვლელები, იყვნენ სახელმწიფო სამინისტროს (სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები) წევრები, იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელიც თავისთავად მთავრობის წევრი იყო და მაშასადამე, აღმასრულებელი ხელისუფლების. იუსტიციის მინისტრსა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს შორის იერარქიული ურთიერთობა იმ დროს საფრანგეთში დებატების საგანი იყო და ევროპული სასამართლოს უფლებამოსილებაში არ შედიოდა დებატებში პოზიციის დაკავება, რაც ეროვნული ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებას წარმოადგენდა. ევროპულმა სასამართლომ, თავისი მიზნებისთვის, მიიჩნია, რომ პროკურორები საფრანგეთში, მათი სტატუსიდან გამომდინარე, არ აკმაყოფილებდნენ აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის მოთხოვნას რომელიც, როგორც მიუკერძოებლობა, “მოხელის” ავტონომიური ცნების ერთ-ერთი დამახასიათებელი გარანტია იყო. ამის გარდა, კანონი პროკურატურის ორგანოებს სისხლის სამართლის წარმოების სახელმწიფოს სახელით წარმართვის ვალდებულებას აკისრებდა. პროკურატურის ორგანოები თითოეულ პირველ ინსტანციაში და სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილნი იყვნენ ერთიანი ორგანოს სახით. აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და მხარეებისგან დამოუკიდებლობის აუცილებელი გარანტიები გამორიცხავდნენ მოხელის ჩარევას შემდგომ



სამართალწარმოებაში ბრალდებულის წინააღმდეგ. უმნიშვნელო იყო ის, რომ მოცემულ საქმეში მოადგილე პროკურორის და ორი გამომძიებელი მოსამართლის სამსახურის ადგილი განსხვავდებოდა, პროკურორი სხვა სასამართლო ოლქში მსახურობდა; წინა საქმეში, ფაქტი, რომ მოადგილე პროკურორმა, თავისუფლების აღკვეთის გახანგრძლივების შემდეგ, საქმე გადასცა სხვა ბრალდების ორგანოს, ევროპული სასამართლოს მიერ არ ჩაითვალა დამაჯერებელ არგუმენტად აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოადგილე პროკურორი, რომელიც სახელმწიფო სამინისტროს წარმომადგენელი იყო, არ იძლეოდა აუცილებელ დამოუკიდებლობის გარანტიებს, რათა მიჩნეულიყო მოსამართლედ ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელედ ამ დებულების მნიშვნელობით.

კონვენციის სხვა უფლებებთან კავშირი

მიუკერძოებლობის პრინციპი

### **დე კუბერი ბელგიის წინააღმდეგ De Cubber v. Belgium**

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის სასამართლო, რომელმაც ის გაასამართლა, არ იყო მიუკერძოებელი სასამართლო, რადგან ერთ-ერთ მოსამართლე იმავე საქმეში წინათ გამომძიებელი მოსამართლე იყო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ სისხლის სამართლის სასამართლოს მიუკერძოებლობა მომჩივნისთვის შეიძლება ეჭვის საგანი ყოფილიყო. თუმცა, სასამართლოს არ ჰქონდა მიზეზი წინასწარი გამოძიების წამმართველი სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანისთვის, მან აღიარა, რომ მისი საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში ყოფნა მომჩივნისთვის ლეგიტიმური ეჭვების საფუძველს უზრუნველყოფდა. მოცემულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ გაიხსენა, რომ მე-6 § 1 მუხლის შეზღუდული განმარტება, სახელდობრ სასამართლოების მიერ მიუკერძოებლობის ფუნდამენტური პრინციპის შესრულებასთან დაკავშირებით, არ იქნებოდა ამ აღნიშნული დებულების მიზნისა და ობიექტის შესაბამისი, იმ მნიშვნელოვანი ადგილის გათვალისწინებით, რომელიც სამართლიან სასამართლოს უკავია დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციის მნიშვნელობით.

### **Ramos Nunes de Carvalho e Sá პორტუგალიის წინააღმდეგ Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal**

წინამდებარე საქმე ეხებოდა მოსამართლის მიმართ დისციპლინურ წარმოებას, რომელიც დასრულდა სასამართლოს უმაღლესი საბჭოს (“CSM”) მიერ დისციპლინური სანქციების დაწესებით, და სააპელაციო წესით უზენაესი სასამართლოს მიერ წარმართულ განხილვას. კერძოდ, მომჩივანმა განაცხადა, რომ არსებობდა ობიექტური მიზეზები უზენაესი სასამართლოს სასამართლო პალატის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანისთვის. ის ამტკიცებდა, *inter alia*, რომ CSM-ის თავმჯდომარე ამავდროულად იყო უზენაესი სასამართლოს

თავმჯდომარე და ამ უკანასკნელი თანამდებობის ფარგლებში, ის ყოველ წელს ნიშნავდა *ad hoc* პალატის წევრებს, რომელიც განიხილავდა CSM-ის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ წარდგენილ საჩივრებს დისციპლინურ საქმეებში. ასეთ პირობებში, მომჩივნის განცხადებით, *ad hoc* პალატა არ იყო, და არ შეიძლებოდა გამოჩენილიყო საზოგადოების თვალში, როგორც CSM-ისგან დამოუკიდებელი ერთეული.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი იმ საჩივართან დაკავშირებით, რომელიც ამტკიცებდა უზენაესი სასამართლოს სასამართლო პალატის მიუკერძოებასა და დამოუკიდებლობის არარსებობას. მან კერძოდ, მიიჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ორმაგი როლი არ იყო ისეთი ხასიათის, რომ ეჭვის ქვეშ დაეყენებინა CSM-ის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ შეტანილი მომჩივნის საჩივრების განმხილველი სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა. ამის გარდა, საქმის ყველა კონკრეტული გარემოების მხედველობაში მიღებით და უზენაესი სასამართლოს სასამართლო პალატის გარე წნეხისგან დასაცავად გამიზნული გარანტიების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ეჭვები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ობიექტურად გამართლებულად და რომ CSM-ს დისციპლინური გადაწყვეტილებების გადასინჯვის არსებულ სისტემას, სახელდობრ სასამართლო პალატისთვის საჩივრით მიმართვას არ დაურღვევია კონვენციის მე-6 § 1 მუხლით გათვალისწინებული მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნა.

*სასამართლო სისტემის ეთიკა*

**ობერსშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (no. 1)**

**Oberschlick v. Austria (no. 1)**

მომჩივანი, ჟურნალისტი, დავობდა პოლიტიკოსის ცილისწამებისთვის მისი მსჯავრდების შესახებ. ის ამტკიცებდა, რომ სამართალწარმოებამ პირველ და მეორე ინსტანციაში, რომელიც დასრულდა მისი მსჯავრდებითა და სასჯელის შეფარდებით, დაარღვია მისი უფლება სამართლიან სასამართლოზე, და აცხადებდა, *inter alia*, რომ სააპელაციო სასამართლო, მისი საქმის სამართალწარმოების მეორე ეტაპზე განხილვისას, არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, რადგან მას თავმჯდომარეობდა იგივე მოსამართლე, რომელიც წარმოების პირველ ეტაპს და სხვა ორმა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემაც ასევე ორივე შემთხვევაში მიიღო მონაწილეობა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა ადგენდა, რომ სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ის მოსამართლე რომელმაც წინათ სამართალწარმოების პირველ ეტაპზე მიიღო იმავე საქმის განხილვაში მონაწილეობა, რაც მიუთითებს ეროვნული კანონმდებლობის ინტერესზე აღმოფხვრას ყველა ლეგიტიმური ეჭვი ამ სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამ წესის დაუმორჩილებლობა გულისხმობდა, რომ მომჩივნის საჩივარი განიხილა იმ სასამართლომ, რომლის მიუკერძოებლობაც ეჭვის ქვეშ აყენებდა ეროვნული კანონმდებლობა. მომჩივნის საქმეში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა,

რომ არა მხოლოდ თავმჯდომარე, არამედ სააპელაციო სასამართლოს სხვა ორი წევრიც უნდა ჩამოცილებოდა საქმეს *ex officio*.

### **დემიკოლი მალტას წინააღმდეგ**

#### **Demicoli v. Malta**

მომჩივანმა, რომელიც იყო პოლიტიკური სატირული გამოცემის რედაქტორი და რომელიც დაძაბავდა ცნეს წარმომადგენელთა პალატის პრივილეგიის ხელყოფისთვის პალატის წევრთა სავარაუდო ცილისწამებასთან დაკავშირებით, აცხადებდა, რომ პალატის წინაშე წარმართულ სამართალწარმოების დროს მას არ უსარგებლია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-1 მუხლი და დაასკვნა, რომ აღნიშნულ წარმოებაში საქმის განმხილველი ორგანოს მიუკერძოებლობა ჩანს, რომ საეჭვოა და მომჩივნის ვარაუდები ამასთან დაკავშირებით გამართლებული იყო. მან კერძოდ აღნიშნა, რომ პალატის ორი წევრი, რომელთა პარლამენტში ქცევაც გაკრიტიკებული იყო სადავო სტატიაში და რომლებმაც წამოჭრეს პრივილეგიის დარღვევის საკითხი პალატაში, მონაწილეობდა მომჩივნის წინააღმდეგ მიმდინარე მთლიან სამართალწამებაში, მათ შორის, ბრალის დადგენასა და (ერთის გარდა, რომელიც ამასობაში დაიღუპა) სასჯელის დაკისრებაში.

პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება

### **მ.დ.უ. იტალიის წინააღმდეგ**

#### **M.D.U. v. Italy**

საგადასახადო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, მომჩივანი, რომელიც ეკუთვნოდა პოლიტიკურ პარტიას, აცხადებდა, რომ საკასაციო სასამართლოს პალატა, რომელმაც გადაწყვიტა მისი საჩივარი, არ იყო მიუკერძოებელი სასამართლო პალატის შემადგენლობაში მყოფი მოსამართლეების პოლიტიკური მოსაზრებების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მის პოლიტიკურ შეხედულებებს.

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი აშკარა დაუსაბუთებლობის საფუძველით დაუშვებლად გამოაცხადა და დაასკვნა, რომ იმ სიტუაციას, რომლის შესახებაც დავობდა მომჩივანი, არ შეეძლო თავისთავად გაემართლებინა მომჩივნის საჩივარზე გადაწყვეტილების მიღები საკასაციო სასამართლოს პალატის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ეჭვები. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში მიკერძოებასთან დაკავშირებული ეჭვები დაფუძნებული იყო პალატის შემადგენლობაში მყოფი ორი მოსამართლის პოლიტიკურ მოსაზრებებზე. თუმცა, მართალია, რომ ამ ფაქტმა შეიძლება მომჩივნისთვის ეჭვები გააჩინოს, მაგრამ ის არ შეიძლება ობიექტურად დასაბუთებულად ჩაითვალოს. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსამართლის მომჩივნისგან განსხვავებულ პოლიტიკურ რწმენას არ შეეძლო ისეთი ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა, რომელიც გაამართლებდა აღნიშნული მოსამართლის საქმისგან ჩამოცილებას. მომჩივნის საქმეში არ არსებობდა ობიექტური საფუძველი ეჭვისთვის, რომ საქმეში ჩართულმა მოსამართლეებმა უგულებელყვეს დადებული

ფიცი, რომ მათ მიერ დაკავებული თანამდებობა ყველა სოციალურ ან პოლიტიკურ ვალდებულებაზე მაღლა იდგებოდა მნიშვნელობით.

### **ოზპინარი თურქეთის წინააღმდეგ**

#### **Özpinar v. Turkey**

მომჩივანი, რომელიც არის მოსამართლე მოსამართლე, თანამდებობიდან გაათავისუფლეს დისციპლინური გამოძიების შემდეგ სასამართლოს უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ეხებოდა მის სავარაუდო ახლო ურთიერთობებს რამდენიმე მამაკაცთან, მის გარეგნობას და მის ხშირ დაგვიანებას სამსახურში. მომჩივანი კერძოდ, ამტკიცებდა, რომ მისი გაათავისუფლება დაფუძნებული იყო მის პირად ცხოვრებაზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება) და დაასკვნა, რომ მომჩივნის პირად ცხოვრებაში ჩარევა არ ყოფილა იმ ლეგიტიმური მიზნის პროპორციული, რომელიც უკავშირდება მოსამართლეთა ვალდებულებას შეიზღუდონ თავი, იმისთვის, რომ შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და მათი გადაწყვეტილებების ავტორიტეტი. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლეთა ეთიკური ვალდებულებები შეიძლება შეიჭრას მოსამართლეთა პირად ცხოვრებაში, როდესაც მათმა ქცევამ ხელყო სასამართლო სისტემის სურათი ან რეპუტაცია. მომჩივნის საქმეში, მაშინაც კი თუ ქცევის ზოგიერთ ასპექტს შეიძლება გაემართლებინა მისი გაათავისუფლება, გამოძიებას არ დაუსაბუთებია ეს ბრალდებები და მხედველობაში მიიღო მომჩივნის ისეთი ქცევები, რომლებიც მის პროფესიულ აქტივობას არ უკავშირდებოდა. ამის გარდა, ის მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებაში სარგებლობდა მცირე გარანტიებით, როდესაც ნებისმიერ მოსამართლეს, რომელსაც პირად ან ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საფუძვლებით დაემუქრა გაათავისუფლება, უნდა ჰქონდეს თვითნებობისგან დაცვის გარანტიები, და კერძოდ შეჯიბრებითი პროცესის გარანტია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საზედამხედველო ორგანოს წინაშე. ასეთი გარანტიები უფრო მნიშვნელოვანი იყო მომჩივნის საქმეში, რადგან გაათავისუფლებით ის ავტომატურად კარგავდა სამართლის პრაქტიკის უფლებას. მომჩივანი საბჭოს წინაშე წარდგა მხოლოდ მაშინ, როდესაც გაასაჩივრა გაათავისუფლება და მას წინასწარ არ მიუღია ინსპექტორის მოხსენებები ან მოწმის ჩვენება.

### **ხოხაჯი ალბანეთის წინააღმდეგ**

#### **Xhoxhaj v. Albania**

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, რომელიც მასთან მიმართებაში დაწყებული წარმოების შედეგად გაათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, დავობდა, რომ ადგილი ჰქონდა მისი პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას მისი უკანონო და თვითნებური გაათავისუფლებისა და მისთვის დაკისრებული სასამართლო სისტემაში დასაქმების საპუდამო აკრძალვის გამო. აღნიშნული წარმოება თავისთავად წარმოადგენდა ქვეყანაში მოსამართლეთა და პროკურორთა თანამდებობასთან შესაბამისობის ხელახალი შეფასების საგამონაკლისო პროცესის ნაწილს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის საქმეში არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება). კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ თანამდებობიდან გათავისუფლება იყო პროპორციული და რომ სერიოზული ეთიკური დარღვევების საფუძველზე კანონიერი სასამართლო სისტემაში ხელახლა დასაქმების სამუდამო აკრძალვა შესაბამისობაში იყო სასამართლო თანამდებობის ღირსებისა და მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის მიზანთან და ამიტომ არ დაურღვევია მომჩივნის უფლებები მე-8 მუხლის მიხედვით.

რელიგიის თავისუფლება

### **პიტკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ Pitkevich v. Russia**

წინამდებარე საქმე ეხებოდა მოსამართლის, ცოცხალი რწმენის ეკლესიის წევრის (რომელიც ეკუთვნის რუსეთის ევანგელურ ქრისტიანულ ეკლესიათა კავშირს) თანამდებობიდან გათავისუფლებას, სავარაუდოდ, თავის რწმენაზე ოქცევის მიზნით, თანამდებობის გამოყენებისათვის. მომჩივანი, კერძოდ, აცხადებდა, რომ მას არასოდეს არ გამოუყენებია თანამდებობა ბოროტად მისი შეხედულებების არასათანადო გამოხატვის გზით, და რომ ის მის რელიგიურ და მორალურ პრინციპებს იყენებდა ლეგიტიმურად საქმის გადაწყვეტაში დახმარების მიზნით.

ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი აშკარა დაუსაბუთებლობის გამო დაუშვებლად გამოაცხადა და დაასკვნა, რომ მთლიანობაში, აშკარად ჩანდა, რომ მომჩივანმა დაარღვია მისი, როგორც მოსამართლის, საკანონმდებლო ვალდებულებები და საფრთხეში ჩააგდო მიუკერძოებლობის ის სურათი, რომელსაც მოსამართლე უნდა აჩვენებდეს საზოგადოებას. ამგვარად, ამ მხრივ გარკვეული შეფასების საზღვრის დაშვებით, ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი მიზეზები საკმარისი იყო ჩარევის გამართლებისთვის. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი თანამდებობიდან გათავისუფლდა სასამართლო ფუნქციების განხორციელების დროს თავისი რელიგიური რწმენის გამოხატვისთვის, რაც წარმოადგენდა მის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. თუმცა, აღნიშნული ღონისძიება გაწერილი იყო კანონით და განკუთვნილი იყო ლეგიტიმური მიზნების, კერძოდ, სხვათა უფლებებისა და სასამართლო ავტორიტეტის დაცვის, მისაღწევად. ამასთან, რაც შეეხება მოცემულ საქმეში, ჩარევის პროპორციულობას, საქმის მასალებიდან არაფერი არ მიუთითებდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არაკომპეტენტურები ან არაკეთილსინდისიერები იყვნენ ფაქტების დადგენისას. სახელმწიფო მოხელეთა და კერძო პირთა ჩვენებებისა და საჩივრების საფუძველზე, დადგინდა, რომ მომჩივანმა *inter alia*, აიყვანა იმავე რელიგიური რწმენის მქონე კოლეგები, სხდომის დროს ღიად ლოცულობდა და განსაზღვრულ სამართალწარმოების მხარეებს შეპირდა მათი საქმის მათთვის სასურველი შედეგით დასრულებას თუ ისინი შეუერთდებოდნენ მის რელიგიურ საზოგადოებას. აგრეთვე, ამ აქტივობებმა გამოიწვია საქმეთა გაჭიანურება და რიგი აცილებები მის წინააღმდეგ. ასეთი ქცევა არ შეესაბამებოდა სასამართლო თანამდებობის მოთხოვნებს და გამოიწვია აღნიშნული მოსამართლის თანამდებობიდან

გათავისუფლება. მისი გათავისუფლების საფუძვლები ექსკლუზიურად დაკავშირებული იყო მის ოფიციალურ აქტივობებთან და არა კერძო სივრცეში მისი აზრების გამოხატვასთან.

გამონათვის თავისუფლება

*მიუკერძოებლობა და გამონათვის თავისუფლება სასამართლოს წევრებისთვის*

**ალბაირაკი თურქეთის წინააღმდეგ**

**Albayrak v. Turkey**

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის წინააღმდეგ დისციპლინურ წარმოებას, იმის გამო, რომ მათ შორის, კითხულობდა PKK-ის (ქურთისტანის მუშათა პარტია, არალეგალური შეიარაღებული ორგანიზაცია) იურიდიულ გამოცემებს და უყურებდა PKK-ის კონტროლირებად სატელევიზიო არხს. მომჩივანი იყო მოსამართლე. მან უარყო ყველა ბრალდება და ამტკიცებდა, რომ სჯეროდა სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპების და მათ კეთილსინდისიერად ემსახურებოდა. კერძოდ, მომჩივანი დავობდა რომ მასზე დაკისრებულმა დისციპლინურმა სანქციამ ხელყო მისი გამონათვის თავისუფლება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამონათვის თავისუფლება). კერძოდ, მან დაასკვნა, რომ საქმის მასალებში არ არსებობდა რაიმე მითითება იმის შესახებ, რომ მომჩივნის ქცევა არ ყოფილა მიუკერძოებელი და რომ თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ფაქტს, რომ მომჩივანი თვალყურს ადევნებდა ან ცდილობდა მიედევნებინა PKK-სთან დაკავშირებულ მედიას. ამრიგად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის გამონათვის თავისუფლებაში ჩარევა არ ყოფილა დაფუძნებული საკმარის მიზეზებზე და არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

*თავდასხმებზე პასუხის გაცემისა და სასამართლო ხელისუფლების რეპუტაციის დაცვის უფლება*

**დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ**

**De Haes and Gijssels v. Belgium**

მოცემული საქმე ეხებოდა მომჩივნების, ორი ჟურნალისტის, მიმართ მაგისტრალური მოსამართლეების მიერ ცილისწამებასთან დაკავშირებით გამოტანილ განაჩენს. მომჩივნები დავობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებით დაირღვა მათი გამონათვის თავისუფლება და რომ მათ არ უსარგებლიათ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად განხილვის უფლებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამონათვის თავისუფლება), და დაასკვნა, რომ საქმის გარემოებების სერიოზულობისა და სასწორზე არსებული საკითხების სერიოზულობის გათვალისწინებით, მომჩივნების გამონათვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა სახეზე არ იყო, გარდა ერთ-ერთი მოსამართლის მამის წარსულზე გაკეთებული მინიშნების შემთხვევისა. სასამართლომ გაიმეორა, რომ პრესა არსებით როლს თამაშობდა დემოკრატიულ საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, მან არ უნდა გადაკვეთოს განსაზღვრული საზღვრები, განსაკუთრებით სხვათა უფლებებსა და რეპუტაციასთან

მიმართებით, თუმცა, პრესის ვალდებულებაა, რომ თავისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად, გაავრცელოს ინფორმაცია და იღებენ საჯარო ინტერესის ყველა საკითხზე, მათ შორის, სასამართლოს სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ევროპულმა სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ სასამართლოები, რომლებიც არიან მართლმსაჯულების გარანტორები და რომელთა როლი კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოში ფუნდამენტურია, უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით. შესაბამისად, ისინი დაცულები უნდა იყვნენ დესტრუქციული და დაუსაბუთებელი თავდასხმებისგან, განსაკუთრებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებს აქვთ თავშეკავების მოვალეობა, რაც გამორიცხავს მათ მიერ კრიტიკაზე პასუხის გაცემას. ამ და სხვა შემთხვევებში, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლების უფლებამოსილებაა განსაზღვრონ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევის საჭიროება. ის რაც მათ შეიძლება გააკეთონ ამასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს თქმით, არის ევროპული ზედამხედველობის საგანი, რომელიც მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ისე გადაწყვეტილებებს, მაშინაც კი თუ ისინი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ არის გამოტანილი. მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნების კომენტარები ეჭვგარეშედ სასტიკად კრიტიკული იყო, ისინი ამის მიუხედავად ჩანდნენ იმ აღშფოთებისა და აჟიოტაჟის პროპორციული, რომლებიც გამოწვეული იყო სტატიებში მოყვანილი საკითხებით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი და დაასკვნა, რომ მომჩივნების მიმართ ადგილი ჰქონდა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევას.

### **მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Morice v. France**

საქმე ეხებოდა მომჩივანი ადვოკატის მსჯავრდებას გაზეთის მიერ გამომძიებელი მოსამართლეების ცილისწამებაში თანამონაწილეობის გამო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) და დაასკვნა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ განაჩენის გამოტანა ცილისწამებაში თანამონაწილეობისთვის შეიძლება მის გამოხატვის თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევად ჩაითვალოს. სასამართლომ, კერძოდ, აღნიშნა, რომ მომჩივნის სადავო შენიშვნები წარმოადგენდა არა მძიმედ დამაზიანებელ და არსებითად დაუსაბუთებელ თავდასხმებს სასამართლოთა ქმედებებზე, არამედ სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საჯარო ინტერესის საკითხის შესახებ დებატების შემადგენელ, გამომძიებელი მოსამართლეებისკენ მიმართულ კრიტიკას და საქმის კონტექსტში იყო გამოხატული, რომელმაც მედიის დიდი ყურადღება მიიპყრო დასაწყისიდანვე. თუმცა, ეს შენიშვნები შეიძლება მკაცრად ჩაითვალოს, ისინი მიუხედავად ამისა წარმოადგენდნენ შეფასებით განსჯას საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლით. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი, დაასკვნა რა, რომ არსებობდა სერიოზული ეჭვები საკასაციო სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით და მომჩივნის ეჭვები ამასთან კავშირში შეიძლება, რომ ობიექტურად გამართლებულად ჩაითვალოს.

აუცილებელი შეზღუდვა

### **ბუსკემი იტალიის წინააღმდეგ**

#### **Buscemi v. Italy**

ეს საქმე ეხებოდა ახლგაზრდული სასამართლოს (Youth Court) განმეორებით უარებს მამისთვის ბავშვის მეურვეობის მინიჭებაზე. მომჩივანი, კერძოდ, დავობდა ახლგაზრდული სასამართლოს თავმჯდომარის მიუკერძოების შესახებ და იმ ზიანის შესახებ, რომელიც მიაღდა მის რეპუტაციასა და მის ოჯახს თავმჯდომარის მიერ პრესისთვის გაკეთებული განცხადებების შედეგად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6§1 მუხლი და დაასკვნა, რომ ახლგაზრდული სასამართლოს თავმჯდომარის საჯაროდ გაკეთებული განცხადებები ამართლებდა მომჩივნის ეჭვებს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუკერძოებლობის მოვალეობა სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ითხოვდა, რომ მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ თავშეკავება მათ წარმოებაში არსებულ საქმეებთან მიმართებაში, მათი პროვოცირების შემთხვევაშიც კი.

### **ლავენტსი ლატვიის წინააღმდეგ**

#### **Lavents v. Latvia**

მომჩივანი, ყოფილი ბიზნესმენი, დავობდა, რომ მის მიმართ არსებული სისხლისსამართლებრივი ბრალდებები განიხილა სასამართლომ, რომელსაც არ გააჩნდა მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის რაიმე გარანტია. კერძოდ, ეროვნულმა პრესამ გამოაქვეყნა საქმის განმხილველი რეგიონალური სასამართლო შემადგენლობის თავმჯდომარის განცხადებები, რომელიც გამოხატავდა მის მოსაზრებებს მისი აცილების შესახებ მომჩივნის რიგ მოთხოვნებზე და მომჩივნის ადვოკატის მიერ მომზადებული დაცვის საფუძვლებზე, რომლებიც მისი განცხადებით მისთვის გაუგებარი იყო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6§1 მუხლის დარღვევას და დაასკვნა, რომ მომჩივნის საქმის განმხილველი სასამართლო არ ყოფილა მიუკერძოებელი. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ პრესაში გამოქვეყნებულ მის განცხადებებში, საქმის განმხილველმა რეგიონალური სასამართლოს შემადგენლობის თავმჯდომარემ გააკრიტიკა მომჩივნის დაცვის საშუალებები. მან ასევე იწინასწარმეტყველა საქმის შედეგზე და უარყო სრული გამართლების შესაძლებლობა. მეტიც, თავმჯდომარემ გამოხატა გაკვირება მომჩივნის დაჟინებაზე, რომ არ იყო დამნაშავე არც ერთ ბრალდებაში და შესთავაზა მომჩივანს, რომ დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა. ევროპული სასამართლოს თვალში, ასეთი განცხადებები წარმოადგენდა არა უბრალოდ მომჩივნის საქმის ნეგატიურ შეფასებას, არამედ, ისინი საქმის შედეგის შესახებ გარკვეული პოზიციის დაკავებას უდრიდა, ბრალდებულის ბრალეულობის დადგენის აშკარა მხარდაჭერით. გარდა იმ მიზეზებისა, რომლებმაც აღნიშნულ მოსამართლეს თავისი მოსაზრებების ამ ფორმით გამოხატვისკენ უბიძგა, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მისი განცხადებები არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 § 1 მუხლის მოთხოვნებს და მომჩივანს ჰქონდა მყარი მიზეზები ეჭვისთვის, რომ მოსამართლე არ იყო მიუკერძოებელი.



## **პრევიტი იტალიის წინააღმდეგ**

### **Previti v. Italy**

ფართოდ განმარტებული საქმის კონტექსტში, რომელიც დაკავშირებული იყო ძირითადი ქიმიკატების ჯგუფის კორპორაციულ კონტროლთან, მომჩივანს ბრალი დაედო სასამართლოს მოსყიდვაში და მიესაჯა პატიმრობა. ის დავობდა მის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის პროცესზე და კერძოდ ამტკიცებდა, რომ ეროვნული სასამართლოები არ ყოფილან მიუკერძოებელი.

ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი აშკარა დაუსაბუთებლობის გამო დაუშვებლად გამოაცხადა. მან აღნიშნა, რომ მოსამართლეთა მიკერძოებულობა ან სხვა ასპექტები, გამოძიებისა და არსებითი განხილვის ეტაპზეც, მთლიანად ეროვნული სამართალწარმოებისას, წარმოადგენდა წინააღმდეგობის წყაროსა და მუდმივი საჯარო დებატების საგანს იტალიაში. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ მისი პროცესი მისი პოლიტიკაში ჩართულობის გამო დაბინძურებული იყო იდეოლოგიური მიკერძოებით. ის ამტკიცებდა, რომ იტალიის ეროვნული სამართლებრივი სისტემის მემარცხენე ელემენტები საჯაროდ დაუპირისპირდნენ იმ კანონპროექტს, რომელსაც სასარგებლო გავლენა ექნებოდა სასამართლოების წინაშე მის პოზიციაზე. ამასთან, საქმეში ჩართული ეროვნული სამართლებრივი სისტემის ზოგიერთი წევრი მემარცხენე ან რადიკალურ მემარცხენე აქტივისტსაც კი წარმოადგენდა და ხშირად ახდენდა მის მიმართ არაკეთილგანწყობის დემონსტრირებას. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თუმცა უკეთესი იქნებოდა ეროვნული სამართლებრივი სისტემის აღნიშნული წევრებისთვის, რომ მათ მიერ გაკეთებულ საჯარო კომენტარებში უფრო მეტად წინდახედულები ყოფილიყვნენ, არ არსებობდა მომჩივანთან დაკავშირებული მიკერძოების არსებობის მტკიცებულება. ანალოგიურად, არ არსებობდა მტკიცებულება, რომ მოსამართლეების იდეოლოგიურ მრწამსს მათ მიერ თანამდებობის დაკავებისას დადებულ მიუკერძოებლობის ფიცზე უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა.

## **ჩივინსკაიტე ლიეტუვას წინააღმდეგ**

### **Čivinskaitė v. Lithuania**

ეს საქმე ეხებოდა მომჩივნის, უფროსი პროკურორის, წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინურ სამართალწარმოებას ბავშვზე სავარაუდო სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული განმარტებული გამოძიებისას მოვალეობების სათანადოდ განუხორციელებლობის გამო. აღნიშნული წარმოების შედეგად ის დააქვეითეს. კერძოდ, მომჩივანმა განაცხადა, რომ მის მიმართ დისციპლინური წარმოება და ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები, მის საქმეში პილიტიკური და მედია ჩარევის გამო, არ ყოფილა სამართლიანი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი. მან ვერ იპოვა საფუძველი იმის დაჯერებისთვის, რომ ადმინისტრაციული სასამართლოების მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა სახელმწიფო მოხელეთა და პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებებით ან მედიის მიერ საქმის გაშუქებისას საფრთხეში აღმოჩნდა. ამასთან არც საქმეში არ ყოფილა ისეთი რამ, რაც დააეჭვებდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მთლიანი სამართალწარმოების სამართლიანობაზე ლიეტუვის სასამართლოებში.

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების დასაშვები შეზღუდვები

### მაესტრი იტალიის წინააღმდეგ

#### **Maestri v. Italy**

მომჩივანი, რომელიც იყო მოსამართლე, დავობდა, რომ სასამართლოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებამ მისთვის დისციპლინური სანქციის სახით საყვედურის დაკისრების შესახებ, იმის გამო, რომ 1981 წლიდან 1993 წლის მარტამდე მასონი იყო, დაარღვია მისი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა საკასაციო სასამართლომ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი (გაერთიანების თავისუფლება) და დაასკვნა, რომ მომჩივნის გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა არ ყოფილა წინასწარ განჭვრეტადი და ამგვარად არ ყოფილა კანონით გაწერილი. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა სასამართლოს თანამდებობის მასონთა წევრობასთან შეუთავსებლობის შესახებ ღირეპტივა სასამართლოს ეროვნულმა საბჭომ 1990 წელს მიიღო, საბჭოს წინაშე მიმდინარე დებატები ცდილობდა ჩამოეყალიბებინა პრობლემა, ვიდრე გადაეჭრა ის. გარდა ამისა, ღირეპტივის ფორმულირება არ ყოფილა საკმარისად ნათელი, რათა მომჩივანს, მიუხედავად მოსამართლეობისა, გაეანალიზებინა, რომ მასონური ლოჟის წევრობას შეიძლებოდა მისთვის სანქციების დაკისრება გამოეწვია. ამის გათვალისწინებით, არც წინასწარგანჭვრეტადობის პირობა ყოფილა დაკმაყოფილებული. ევროპული სასამართლოს შეფასება ბოლოს დადასტურდა იმ ფაქტით, რომ თვითონ სასამართლოს ეროვნულმა საბჭომ იგრძნო საჭიროება, რომ დაბრუნებოდა აღნიშნულ საკითხს 1993 წლის ივლისში და ნათლად დაედგინა, რომ სასამართლო ფუნქციები შეუთავსებელი იყო მასონთა ლოჟის წევრობასთან.

## ევროკავშირთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირი (EU) დღეის მდგომარეობით არ არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წევრი. შესაბამისად, მისი აქტები, როგორც ასეთი, არ შეიძლება გასაჩივრდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

თუმცა საკითხები, რომელიც უკავშირდება კავშირის სამართალს რეგულარულად განიხილება ევროპული სასამართლოს და ყოფილ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ დადგენილი პრინციპები

იმ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომელიც ორ ხელშეკრულებას თანმიმდევრულად აწერს ხელს

ჯერ კიდევ 1958 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ „თუ სახელმწიფო სახელშეკრულებო ვალდებულებებს იღებს და შემდგომ სხვა საერთაშორისო შეთანხმებას დებს, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მიერ პირველი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ის პასუხისმგებელი იქნება ადრე დადებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ფარგლებში ნებისმიერი დარღვევის გამო” (X v. Germany, საჩივარი ნო. 235/56, კომისიის გადაწყვეტილება 10 ივნისი 1958). ასე იყო განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული ვალდებულებები გათვალისწინებული იყო ისეთი ხელშეკრულებით, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც გავლენას ახდენდა „ევროპის საზოგადოებრივ წესრიგზე” (Austria v. Italy, no. 788/60, კომისიის გადაწყვეტილება 11 იანვარი 1961).

ევროპული თანამეგობრობის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების დაუშვებლობა

**საფრანგეთის შრომის დემოკრატიული კონფედერაცია ევროპული საზოგადოებების წინააღმდეგ, ალტერნატიულად: მათი წევრი სახელმწიფოები ა)ერთობლივად და ბ) ცალმხრივად**  
**Confédération Française Démocratique du Travail v. the European Communities, alternatively: their Member States a) jointly and b) severally**

ფრანგული პროფკავშირი დავობდა იმ ფაქტი შესახებ, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ ის არ წარადგინა ევროპული თანამეგობრობის საბჭოს მიერ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების (ECSC) უმაღლეს ორგანოსთან არსებულ საკონსულტაციო კომიტეტში დასანიშნ კანდიდატად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ ევროპული თანამეგობრობის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრები დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი, როგორც მიმართული იმ „პირის” წინააღმდეგ, რომელიც არ იყო კონვენციის მხარე.

ევროკავშირის სამართლის შესაბამისად, ეროვნული ღონისძიებების განხორციელების გამო სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივრის შეტანის შესაძლებლობა

### **ეტენ ტეტე საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Etienne Tête v. France**

ფრანგი პოლიტიკოსი დავობდა ევროპულ პარლამენტში საფრანგეთის წარმომადგენლების არჩევასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე, რომელსაც დისკრიმინაციულად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ აღნიშნული არღვევდა თავისუფალი არჩევნების უფლებას. მომჩივანი ამტკიცებდა, *inter alia*, რომ მას ამასთან დაკავშირებით არ ჰქონია სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება.

მომჩივნის საჩივრები უკავშირდებოდა კანონს, მიღებულს ისეთ სფეროსთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს ჰქონდა თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები. კომისიამ ხაზი გაუსვა, იმას, რომ ზოგადად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება არსებობდეს, რადგან მიუღებელია, რომ კონვენციის წევრ სახელმწიფოებს უფლებამოსილების გადაცემის გზით შეეძლოთ ამავდროულად, ჩვეულებრივ კონვენციით დაცული საკითხების, კონვენციაში გათვალისწინებული გარანტიების მოქმედების სფეროდან გამორიცხვა. მიუხედავად ამისა, კომისიამ საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა (აშკარად დაუსაბუთებელი) და მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში არ დგინდება კონვენციის No.1 ოქმის მე-3 მუხლის (თავისუფალი არჩევნების უფლება) დარღვევა ცალკე თუ კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთად.

ვარაუდი, რომ ევროპული თანამეგობრობა უზრუნველყოფს ფუნდამენტური უფლებების დაცვას კონვენციით გათვალისწინებულ ღონეზე

### **მ § კო. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ**

#### **M & Co. v. Federal Republic of Germany**

კომპანია დავობდა იმ ფაქტის შესახებ, რომ გერმანიამ აღასრულა ევროპული კომისიის მიერ (ანტიმონოპოლიური სამართალწარმოებისას) მასზე დაკისრებული და ევროპული გაერთიანების მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ძალაში დატოვებული ჯარიმა. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ დაირღვა მისი რამდენიმე უფლება, მათ შორის უდანაშაულობის პრეზუმფცია.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ ზოგადად შეიძლება გერმანიის პასუხისმგებლობა დადგეს იმ ქმედების გამო, რომელიც მან განახორციელა თანამეგობრობის სამართლის შესასრულების მიზნით (რომელთან მიმართებითაც მას არ ჰქონდა შეფასების თავისუფალი ფარგლები). თუმცა კომისიამ საჩივარი დაუშვებლად ცნო, იმის გამო, რომ ევროპული თანამეგობრობის სამართლებრივი სისტემა ფუნდამენტური უფლებების დაცვის ისეთ გარანტიას იძლეოდა, როგორსაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპები

საჩივრის წარდგენა იმ ეროვნული ღონისძიებების გამო, რომლის საფუძველზე სახელმწიფო ადასრულებს ევროპული თანამეგობრობის კანონმდებლობას

### **კანტონი საფრანგეთის წინააღმდეგ Cantoni v. France**

სუპერმაკეტის მენეჯერი დავობდა, რომ ფარმაცევტული პროდუქტის უკანონო გაყიდვის გამო მისი მსჯავრდება წინასწარგანჭვრეტადი არ იყო, რადგან „სამედიცინო პროდუქტის“ განმარტება საფრანგეთის კანონმდებლობაში არაზუსტი იყო და სიტყვა-სიტყვით ეფუძნებოდა ევროპული თანამეგობრობის დირექტივას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ბოლოს ნახსენები ფაქტი „სადავო დებულებას არ გამორიცხავდა კონვენციის მე-7 მუხლის (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) ფარგლებიდან“. მოპასუხე სახელმწიფოს ევროპული თანამეგობრობის სამართლის გამოყენებისას ფართო თავისუფლების შეფასების ფარგლები ჰქონდა და ამიტომ შეიძლებოდა კონვენციის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა დაკისრებოდა. არსებითად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-7 მუხლი.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმ ხელშეკრულებიდან მომდინარე შედეგებზე, რომლის მიღებაშიც ის ჩართული იყო

### **მეთიუ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ Matthews v. the United Kingdom**

გიბრალტარში მცხოვრები გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი თავისუფალი არჩევნების უფლება იმის გამო, რომ გაერთიანებულმა სამეფომ ევროპულ პარლამენტში ასარჩევად ჩატარებული არჩევნები გიბრალტარში არ დააორგანიზა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ გამორიცხავდა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის უფლებამოსილების გადაცემას იმ პირობით, რომ კონვენციით დაცული უფლებები ამ პირობებშიც იქნებოდა უზრუნველყოფილი. ამრიგად, მონაწილე სახელმწიფოების პასუხისმგებლობა არსებობას უფლებამოსილების ამგვარი გადაცემის შემდეგაც აგრძელებდა.

სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ როდესაც ევროპულ პარლამენტში წარმომადგენლების არჩევა გადაწყდა პირდაპირი საყოველთაო ხმის მიცემის უფლებით, დაზუსტებულ იქნა, რომ გაერთიანებული სამეფო მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში გამოიყენებდა შესაბამის დებულებებს (ამრიგად არა გიბრალტარში). მასტრიხტის ხელშეკრულებით ევროპული პარლამენტის უფლებამოსილებათა გაფართოებასთან ერთად, გაერთიანებულ სამეფოს უნდა შეეცვალა თავისი კანონმდებლობა ისე, რომ უზრუნველყო თავისუფალი არჩევნების უფლება (კონვენციის No. 1 ოქმის მე-3 მუხლი), რომელიც გამოიყენებოდა „საკანონმდებლო ორგანოს

არჩევასთან” მიმართებით-გიბრალტარში. გაერთიანებული სამეფო ნებაყოფლობით შეუერთდა მასტრიხტის ხელშეკრულებას. ამდენად, ამ ხელშეკრულების სხვა მხარეებთან ერთად, ის კონვენციის მიხედვით *ratione materiae* პასუხისმგებელი იყო მის შედეგებზე. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის No. 1 ოქმის მე-3 მუხლი (თავისუფალი არჩევნების უფლება).

### ექვივალენტური დაცვა

#### “ბოსფორიუს ავიანაზები” ირლანდიის წინააღმდეგ

#### “Bosphorus Airways” v. Ireland

მოძივანი კომპანიის მიერ იუგოსლავიური კომპანიისთვის იჯარით გაცემული საჰაერო ხომალდი 1993 წელს კომფისკაციას დაექვემდებარა ირლანდიის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ევროპული თანამეგობრობის რეგულაციის შესაბამისად, რაც იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ დაწესებული სანქციების აღსრულების მიზნით განხორციელდა.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ როდესაც სახელმწიფომ თავისი სუვერენული უფლებამოსილებები საერთაშორისო ორგანიზაციას გადასცა „ხელშეკრული სახელმწიფოების კონვენციური ვალდებულებებისგან სრულად გათავისუფლება იმ სფეროებში, რაც ამგვარი გადაცემით არის გათვალისწინებული არ მოვიდოდა შესაბამისობაში კონვენციის ობიექტთან და მის მიზანთან; კონვენციის გარანტიები შეიძლება სურვილისამებრ შეიზღუდოს ან გამოირიცხოს და ამგვარად უარყოფილი იქნეს მისი იმპერატიული ბუნება და შესუსტდეს მისი დაცვის გარანტიების პრაქტიკული და ეფექტიანი ხასიათი” (§154). თავდაპირველად სასამართლო დათანხმდა განეხილა საჩივრის არსებითი მხარე, რომელიც ეხებოდა ევროპული კავშირის სამართლის შესასრულებლად მიღებულ ზომებს, სადაც სახელმწიფოს არ ჰქონდა თავისუფალი შეფასების ფარგლები. სასამართლოს აზრით ირლანდიამ უბრალოდ შეასრულა ევროპული კავშირის წევრობიდან მომდინარე სამართლებრივი ვალდებულებები. გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო აუცილებელი შემოწმებულიყო, იყო თუ არა აღნიშნული ზომები დასახული მიზნების პროპორციული, იმის გათვალისწინებით, რომ „ევროპული კავშირის სამართლის მიერ ფუნდამენტური უფლებების დაცვა არის კონვენციის სისტემის „ექვივალენტური” (§ 165). შესაბამისად, „გაჩნდა პრეზუმფცია, რომ ირლანდიას არ დაურღვევია კონვენციის მოთხოვნები, როდესაც განახორციელა ევროპული კავშირის წევრობიდან მომდინარე სამართლებრივი ვალდებულებები” (§ 165).

#### პოვსე ავსტრიის წინააღმდეგ

#### Povse v. Austria

საქმე ეხებოდა ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან ბავშვის მეორე წევრ სახელმწიფოში დაბრუნებას. ბრუსელის II რეგულაციის მიხედვით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სასამართლომ შეიძლება საოჯახო სამართალწარმოების დასრულების შემდგომ, თხოვნით მიმართოს სხვა წევრი სახელმწიფოს სასამართლოს, რათა მან აღასრულოს ბავშვის დაბრუნება აღნიშნულ სახელმწიფოში. მოძივნები ავსტრიის მოქალაქეები იყვნენ, ხოლო მათ არასრულწლოვან შვილს ავსტრიისა და იტალიის მოქალაქეობა ჰქონდა. დედა, ბავშვთან ერთად,

მამის თანხმობის გარეშე საცხოვრებლად ავსტრიაში გადავიდა. ისინი დავობდნენ ავსტრიის სასამართლოების მიერ იტალიის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ ბრძანების გაცემას, რომელმაც ბავშვის მეურვეობა მხოლოდ მამას დაუწესა და ბრძანება გასცა ბავშვის მასთან დაბრუნების შესახებ. კონვენციის მე-8 მუხლზე (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დაყრდნობით მომჩივნები დავობდნენ, რომ ავსტრიის სასამართლოები შემოიფარგლნენ იტალიის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ ბრძანების გაცემით იმ არგუმენტის გამოკვლევის გარეშე, რომლის თანახმადაც ბავშვის იტალიაში დაბრუნება მისი ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა.

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად (აშკარად დაუსაბუთებელი) მიიჩნია, რადგან დაადგინა, რომ ავსტრიის სასამართლოებს ევროკავშირის სამართლიდან მომდინარე ვალდებულებების განხორციელების გარდა სხვა არაფერი განუხორციელებიათ. ბრუსელის II რეგულაციის თანახმად, ისინი ვალდებული იყვნენ პატივი ეცათ იტალიის სასამართლოს მიერ ბავშვის დაბრუნებასთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილების პირობებისთვის. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ავსტრიის სასამართლოები კონვენციის ვალდებულებების შესაბამისად მოქმედებდნენ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგი ფუნდამენტურ უფლებებს ისევე იცავდა, როგორც კონვენციის სისტემა. იტალიის სასამართლომ მოუსმინა მხარეებს და შეაფასა შეუქმნიდა თუ არა ბავშვის დაბრუნება მას საფრთხეს. ამასთან, ავსტრიის სასამართლოებმა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსგან მოითხოვეს წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანა, რომელმაც განიხილა რეგულაციის ფარგლები და დაადგინა, რომ დაბრუნების განკარგულების გამოტანიდან მომჩივნების სიტუაციის გარემოებების ნებისმიერი სავარაუდო ცვლილების შესახებ საკითხი უნდა გადაცემულიყო იტალიის სასამართლოებისთვის, რომლებიც უფლებამოსილები იყვნენ გადაეწყვიტათ ბრძანების აღსრულების შეჩერების შესახებ თხოვნა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ იტალიის სასამართლოებში მომჩივნების მიერ წარდგენილი სარჩელი წარუმატებელი იქნებოდა, მათ უფლება ექნებოდათ ევროპულ სასამართლოში შეეტანათ საჩივარი იტალიის წინააღმდეგ.

### **ავოტინს ლატვიის წინააღმდეგ**

#### **Avotiņš v. Latvia**

საქმე ეხებოდა 2004 წელს კვიპროსში ვალის დაფარვასთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილების ლატვიაში აღსრულებას. მომჩივანი დავობდა, რომ ლატვიის სასამართლოებმა კვიპროსის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ნებართვა გასცეს, აღნიშნული გადაწყვეტილება კი, მისი აზრით, უფლებების დარღვევით იყო გამოტანილი და ამდენად აშკარად უკანონო იყო. ლატვიის სასამართლოების წინაშე მომჩივანი აცხადებდა, რომ კვიპროსის სასამართლოს გადაწყვეტილების ლატვიაში ცნობამ და აღსრულებამ დაარღვია ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია, კერძოდ “ბრუსელის 1 რეგულაცია”.

ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა პოზიცია, რომ ფუნდამენტური უფლებების დაცვა არასაკმარისი იყო, იმგვარად რომ ხელყო ექვივალენტური დაცვის პრეზუმფცია და დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 § 1 მუხლი (საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება). სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს

ევროკავშირის სამართლის გამოყენებისას ეკისრებოდათ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული ვალდებულებები უნდა შეფასებულიყო ეკვივალენტური დაცვის პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია სასამართლოს მიერ “Bosphorus Airways” v. Ireland გადაწყვეტილებით (იხილეთ ზემოთ) და განვითარებულია Michaud v. France გადაწყვეტილებაში (იხილეთ ქვემოთ). სასამართლომ მოცემულ საქმეში დაადგინა, რომ მას შემდეგ რაც მომჩივნისთვის ცნობილი გახდა კვიპროსში გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ, თვითონ უნდა გაერკვია თუ რა სამართლებრივი დაცვის საშუალებები არსებობდა კვიპროსში. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს უნდა სცოდნოდა თუ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა მის მიერ ხელმოწერილი ვალის შესახებ დოკუმენტის აღიარებას. დოკუმენტი, რომელიც კვიპროსის კანონმდებლობის შესაბამისად რეგულირდებოდა შეეხებოდა მომჩივნის მიერ კვიპროსული კომპანიისგან ნასესხებ თანხას და შეიცავდა დებულებას, რომელიც კვიპროსის სასამართლოებს ანიჭებდა იურისდიქციას. შესაბამისად, მომჩივანს უნდა სცოდნოდა ის წესი, რომლის მიხედვითაც წარიმართებოდა შესაძლო სამართალწარმოება კვიპროსის სასამართლოებში. ამრიგად, მომჩივანმა თავისი უმოქმედობისა და არაგულმოდგინების შედეგად, დიდი წვლილი შეიტანა იმ სიტუაციის შექმნაში, რომელსაც თავად ასაჩივრებდა ევროპული სასამართლოს წინაშე და რომლის თავიდან აცილებაც შეეძლო.

დუბლინის რეგულაცია<sup>10</sup>

### **მ.ს.ს ბელგიის და საბერძნეთის წინააღმდეგ**

#### **M.S.S. v. Belgium and Greece**

მომჩივანი ავღანეთის მოქალაქეა, რომელიც საბერძნეთის გავლით შევიდა ევროკავშირში, მანამ სანამ ბელგიაში ჩავიდოდა, სადაც თავშესაფარი მოითხოვა. დუბლინი II რეგულაციის მიხედვით, ბელგიის უცხოელთა ოფისმა საბერძნეთის ხელისუფლებას მოსთხოვა განეხილა თავშესაფრის შესახებ განაცხადი. მომჩივანი დავობდა დაკავების და საბერძნეთში ცხოვრების პირობებზე. აცხადებდა, რომ საბერძნეთის კანონმდებლობის საფუძველზე, მას არ ჰქონდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აცხადებდა, რომ ბელგიამ საბერძნეთში არსებული თავშესაფრის ხარვეზიანი პროცედურების გამო საფრთხეში ჩააგდო და არ დაიცვა დაკავების და არასათანადო საცხოვრებელი პირობებისგან, რომელსაც თავშესაფრის მაძიებლები ექვემდებარებოდნენ აღნიშნულ ქვეყანაში. მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ მის საჩივრებთან დაკავშირებით ბელგიის კანონმდებლობაში არარსებობდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები.

მომჩივნის ბელგიიდან საბერძნეთში გადაყვანასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც მომჩივნის გაძევებასთან მიმართებით გაიცა ბრძანება, ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა სცოდნოდათ საბერძნეთში არსებული თავშესაფრის პროცედურის ნაკლოვანებების შესახებ. აღნიშნულის დადგენისას, სასამართლომ გაითვალისწინა

<sup>10</sup> „დუბლინის სისტემა“ მიზნად ისახავს განსაზღვროს, თუ რომელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა პასუხისმგებელი მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში შეტანილი თავშესაფრის განაცხადის განხილვაზე.



საერთაშორისო ორგანიზაციების და ორგანოების მიერ წარდგენილი ანგარიშები, რომლებიც ერთსა და იმავეს უთითებდნენ, საბერძნეთში დუბლინის სისტემის გამოყენებიდან გამომდინარე პრაქტიკული სიძნელების შესახებ, და ასევე ის, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა გააფრთხილა ბელგიის ხელისუფლება იქ არსებული სიტუაციის შესახებ. ბელგიამ გაძევების შესახებ ბრძანება გასცა მხოლოდ საბერძნეთის ხელისუფლების წარმომადგენლების ნაგულისხმევი თანხმობის საფუძველზე და განაგრძო აღნიშნული ღონისძიების აღსრულება საბერძნეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ რაიმე ინდივიდუალური გარანტიის მიცემის გარეშე, როდესაც მარტივად შეეძლო უარი ეთქვა გადაცემაზე. ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებს არ უნდა ეფიქრათ მარტივად, რომ მომჩივანს კონვენციის სტანდარტების დაცვით მოეპყრობოდნენ; არამედ მათ უნდა შეემოწმებინათ თუ როგორ იყენებდნენ საბერძნეთის ხელისუფლების წარმომადგენლები თავშესაფრის შესახებ კანონმდებლობას პრაქტიკაში, თუმცა ასე არ მოიქცენ. ამდენად, ბელგიამ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი (დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). ბელგიასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ასევე მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) დარღვევა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, რადგან მომჩივნის გაძევების ბრძანების მიმართ სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება არ არსებობდა.

საბერძნეთთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, რადგან საბერძნეთის ხელისუფლების მიერ მომჩივნის თავშესაფართან დაკავშირებული განცხადების განხილვისას არსებობდა ხარვეზები და საფრთხე რომლის წინაშეც მომჩივანი იდგა წარმოშობის ქვეყანაში პირდაპირ ან არაპირდაპირ დაბრუნებით, მისი განცხადების არსებითი მხარის სერიოზული გამოკვლევისა და სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე წვდომის გარეშე. საბერძნეთთან დაკავშირებით სასამართლომ დამატებით დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის (დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევა, საბერძნეთში მომჩივნის დაკავების და ცხოვრების პირობების გამო.

და ბოლოს, კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) მიხედვით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საბერძნეთი ვალდებული იყო, ყოველგვარი გაჭინანურების გარეშე გაეგრძელებინა მომჩივნის თავშესაფრის შესახებ თხოვნის განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად და თავი შეეკავებინა მომჩივნის დეპორტაციისგან განცხადების განხილვის დასრულებამდე.

### **ტარაქელი შვეიცარიის წინააღმდეგ**

#### **Tarakhel v. Switzerland**

მომჩივნები იყვნენ ავღანელები, რომლებსაც ხუთი შვილი ჰყავდათ. შვეიცარიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ დააკმაყოფილეს მათი განცხადება თავშესაფრის მიღებასთან დაკავშირებით და ბრძანება გასცეს მათი იტალიაში დეპორტაციის შესახებ, სადაც ისინი 2001 წლის ივლისს “EURODAC system”-ში დარეგისტრირდნენ. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ იტალიაში თუ დაბრუნდებოდნენ „ზრუნვასთან დაკავშირებული ინდივიდუალური გარანტიების არარსებობის პირობებში“, ისინი დაექვემდებარებოდნენ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რომელიც დაკავშირებული იყო იტალიაში თავშესაფრის მაძიებლების მიღების პროცედურებში „სისტემური ხარვეზების“ არსებობასთან. მათ ასევე განაცხადეს, რომ

შვეიცარიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ გაითვალისწინეს მათი პერსონალური გარემოებები და მხედველობაში არ მიიღეს მათი ოჯახური მდგომარეობა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევას ადგილი ექნებოდა მაშინ, თუ შვეიცარიის ხელისუფლების წარმომადგენლები მომჩივნებს გაავზავნიდნენ იტალიაში დუბლინის რეგულაციის მიხედვით, იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, პირველ რიგში, იმ ინდივიდუალური გარანტიების მიღების გარეშე, რომლის მიხედვითაც მომჩივნებზე იზრუნებდნენ ბავშვების ასაკის მხედველობაში მიღებით და ოჯახის წევრებს ერთმანეთს არ დააშორებდნენ. სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიაში არსებულ მიღების სისტემასთან დაკავშირებული მიმდინარე სიტუაციის გათვალისწინებით და დანიშნულების კონკრეტული ობიექტის შესახებ დეტალური და სანდო ინფორმაციის არ არსებობის პირობებში, შვეიცარიის ხელისუფლების წარმომადგენლები არ ფლობდნენ საკმარის გარანტიებს, რომ იტალიაში დაბრუნების შემთხვევაში, მომჩივნებზე პასუხისმგებლობას ბავშვების ასაკის მხედველობაში მიღებით აიღებდნენ. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნებს კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივართან მიმართებით სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები ჰქონდათ. შესაბამისად, სასამართლომ არ მიიღო მომჩივნების საჩივარი კონვენციის მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) და მე-3 მუხლთან ერთად, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

#### **ა.მ.ე. ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **A.M.E. v. the Netherlands**

მომჩივანი სომალელი თავშესაფრის მაძიებელი იყო, რომელიც დავობდა, რომ იტალიაში დაბრუნების გამო ცხოვრება არასათანადო პირობებში მოუწევდა. მეტიც, მას ემინოდა, რომ იტალიის ხელისუფლება პირდაპირ სომალიში გააძევებდა თავშესაფართან დაკავშირებული საქმის სათანადო განხილვის გარეშე.

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) მიხედვით წარდგენილი მომჩივნის საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა (აშკარად დაუსაბუთებელი) და დაასკვნა, რომ მომჩივანს არ დაუდასტურებია, რომ მისი სამომავლო შესაძლებლობები, იტალიაში დაბრუნების შემთხვევაში, მატერიალური, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური კუთხით, საკმარისად რეალური და იმწუთიერი უსიამოვნების საფრთხეს დაექვემდებარებოდა, რომელიც იმგვარი სიმძიმის იქნებოდა, რომ მე-3 მუხლის ფარგლებში მოქცეულიყო. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ Tarakhel v. Switzerland-ის (იხილეთ ზემოთ) საქმის მომჩივნისგან განსხვავებით, რომელიც ოჯახს წარმოადგენდა, ექვსი არასრულწლოვანი ბავშვით, აღნიშნული მომჩივანი შრომისუნარიანი ახალგაზრდა კაცი იყო, რომელზეც არავინ არ იყო დამოკიდებული და რომ თავშესაფრის მაძიებელთათვის იტალიაში არსებული მიმდინარე სიტუაცია შეუძლებელი იყო შედარებულიყო საბერძნეთში არსებულ სიტუაციას M.S.S. v. Belgium and Greece გადაწყვეტილების დროს (იხილეთ ზემოთ). ამგვარად, იტალიაში არსებული თავშესაფრის მიღების პროცედურების სტრუქტურა და იქ არსებული ზოგადი სიტუაცია თავისთავად, არ შეიძლება თავშესაფართა მაძიებლების ამ ქვეყანაში გაგზავნის დამაბრკოლებელი გარემოება იყოს.

დასაშვებობის კრიტერიუმები (კონვენციის 35-ე მუხლი)

### **კარუსიოტისი პორტუგალიის წინააღმდეგ**

#### **Karoussiotis v. Portugal**

წინამდებარე საქმეში, სხვა საკითხებთან ერთად, წამოჭრა დასაშვებობასთან დაკავშირებული ახალი სამართლებრივი საკითხი: ის ფაქტი, რომ მოპასუხე სახელმწიფოს წინააღმდეგ არსებული „სამართალდარღვევის სამართალწარმოება“ წინათ წარდგენილ იქნა ევროპულ კომისიაში, წარმოადგენდა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველს, იმ თვალსაზრისით, რომ ის „უკვე გადაეცა საერთაშორისო მოკვლევის ან გადაწყვეტის სხვა პროცედურას?“

თავის გადაწყვეტილებაში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საკითხს უარყოფითი პასუხი გასცა და საჩივარი დასაშვებად გამოაცხადა, თუმცა საჩივრის არსებით მხარესთან დაკავშირებით რაიმე სახის დარღვევა არ დაუდგენია.

*შიდასამართლებრივი საშუალებების ამოუწურაობა*

### **Laurus Invest Hungary Kft და Continental Holding Corporation და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ**

#### **Laurus Invest Hungary Kft and Continental Holding Corporation and Others v. Hungary**

საქმე ეხებოდა საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ უნგრეთში გასართობი და სხვა სათამაშო ცენტრების განვითარებისა და ფუნქციონირებაში ჩართული კომპანიებისთვის ლიცენზიების ჩამორთმევას. კომპანიები კონვენციის No. 1 ოქმის პირველ მუხლზე (საკუთრების დაცვა) დაყრდნობით, დავობდნენ, რომ ლიცენზიების ჩამორთმევა წარმოადგენდა მათ უფლებებში დაუსაბუთებელ ჩარევას და მოცემული ღონისძიების გასაჩივრებისთვის რაიმე სამართლებრივი გზის არარსებობა კონვენციის დამატებით დარღვევას წარმოადგენდა.

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა, რადგან მიიჩნია, რომ მომჩივნებს ამოწურული არ ჰქონდათ ეროვნული სამართლებრივი დაცვის საშუალებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგიერთ მომჩივან კომპანიას სახელმწიფოს წინააღმდეგ წარდგენილი ჰქონდა სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ და ითხოვდა კომპენსაციას კანონმდებლობის გამო ბიზნესის დაკარგვისთვის, რაც ევროკავშირის სამართლის სავარაუდო დარღვევას წარმოადგენდა. ბუდაპეშტის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა პროტენციური პრობლემა ევროკავშირის სამართლთან მიმართებით და მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს (CJEU) წინასწარი გადაწყვეტილების მიღების თხოვნით მიმართა. CJEU-ს გადაწყვეტილება მომჩივნების საქმეში, უნგრეთის სასამართლოებს უზრუნველყოფდა მათ წინაშე მიმდინარე საქმეში გამოსაყენებელ კრიტერიუმებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო სტანდარტით, რომლის მიხედვითაც სადავოდ გამხდარი შეზღუდვების დასაბუთება ევროკავშირის სამართლის ზოგადი პრინციპებისა და განსაკუთრებით ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტილაში გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის, მე-17 მუხლის (საკუთრების უფლება) ფონზე უნდა განმარტებულიყო. ამასთან, ეროვნულ სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოება უნდა მოიცავდეს მომჩივნების საჩივრებს პირველი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად. ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ

მიიჩნია, რომ ეროვნულ სასამართლოებში მიმდინარე საქმე მომჩინებს აძლედა წარმატების გონივრულ შესაძლებლობას, იმისათვის, რომ მათი მოთხოვნები არსებითად განხილულიყო და მიეღოთ ზიანის ანაზღაურება. რაც შეეხება დანარჩენ მომჩინებს, სასამართლომ ჩათვალა, რომ მათაც ჰქონდათ შესაძლებლობა, მსგავსი მოთხოვნით მიემართათ სასამართლოსთვის.

წინასწარი გადაწყვეტილება

**ულენს დე შუტენი და რეზაბეკი ბელგიის წინააღმდეგ**  
**Ullens de Schooten and Rezabek v. Belgium**

წინამდებარე საქმე ეხებოდა ბელგიის საკასაციო სასამართლოს და სახელმწიფო საბჭოს უარს ევროკავშირის სამართლის ინტერპრეტაციის საკითხებთან დაკავშირებით, წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მიემართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსათვის.

აღნიშნული სასამართლოების მიერ მითითებული საფუძვლების და მთლიანი სამართალწარმოების მხედველობაში მიღებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა მომჩინების სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი განხილვის უფლება კონვენციის მე-6 § 1 მუხლის შესაბამისად.

**რამერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ**  
**Ramaer and van Willigen v. the Netherlands**

საქმე ეხებოდა ევროკავშირის რეგულაციის Regulation (EEC) no. 1408/71-ის შედეგად ნიდერლანდების ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაში 2006 წლის 1 იანვარს დანერგილი ცვლილებების გავლენას ნიდერლანდების პენსიონერებზე, რომლებიც ნიდერლანდების გარეთ, ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებში ცხოვრობდნენ. მომჩინები, რომლებიც ნიდერლანდის მოქალაქეები იყვნენ და იღებდნენ ნიდერლანდების ხანდაზმულობის პენსიას და ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ ბელგიასა და ესპანეთში, აცხადებდნენ, რომ დაკარგეს უფლებები წინა ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით და იმ ქვეყნებში სადაც ცხოვრობდნენ უფლებები შეუმცირდათ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის უფლებამდე. გარდა ამისა, დავობდნენ იმ გავლენაზე, რაც კანონმა ჯანმრთელობის დაცვის დაზღვევის შესახებ მათზე მოახდინა, ნიდერლანდებში მცხოვრებლებთან შედარებით. ამასთან, მომჩინები ამტკიცებდნენ, რომ ნიდერლანდების ცენტრალურმა სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად, იმისათვის, რომ დაედგინა, იყო თუ არა კანონი ჯანმრთელობის დაცვის დაზღვევის შესახებ ევროკავშირის ხელშეკრულებასთან, განსაკუთრებით კი ევროკავშირის საბჭოს Regulation no. 1408/71-სთან შესაბამისობაში, რაც არ გამოორიცხავდა ნიდერლანდების რეზიდენტების და არარეზიდენტი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობის შესაძლებლობას, ამის მიუხედავად დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია გაუმართლებელ განსხვავებულ მოპყრობას რეზიდენტი და არარეზიდენტი მაცხოვრებლების მიმართ, ახალი კანონის ჯანმრთელობის დაცვის სადაზღვევო სისტემის საფუძველზე.

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა. მან დაადგინა, რომ ცენტრალურმა სააპელაციო სასამართლომ, უჩვეულოდ ხანგრძლივი და რთული

სამართალწარმოების შემდგომ, რომელშიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილებაც იყო მოხმობილი, მომჩივნების არგუმენტებს თავის გადაწყვეტილებებში უპასუხა, რომელიც შეიცავდა ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობის სიღრმისეულ დასაბუთებას, ჯანმრთელობის დაზღვევის კანონის შექმნის და დამზღვევლებთან მოლაპარაკებების ისტორიას, ამდენად არ ყოფილა თვითნებური. შედეგად, ევროპულმა სასამართლომ უარყო მომჩივნების საჩივარი კონვენციის მე-6 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) საფუძველზე, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. გარდა ამისა, სასამართლომ დაუშვებლად გამოაცხადა მომჩივნების საჩივრები კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა), 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) და მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა) საფუძველზე.

### **დაპბი იტალიის წინააღმდეგ**

#### **Dhahbi v. Italy**

საქმე ეხებოდა ტუნისელი წარმოშობის მქონე ემიგრანტი მუშაკის მიერ იტალიის ხელისუფლებისგან საოჯახო შემწეობის მიღების შეუძლებლობას ევროკავშირსა და ტუნისის შორის დადებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისად (Euro-Mediterranean Agreement). მომჩივანი დავობდა, რომ იტალიის საკასაციო სასამართლომ უგულებელყო მისი თხოვნა შეკითხვით მიემართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის. 1998 წლის კანონის საფუძველზე გადასახდელი შემწეობის მიღებიდან გამომდინარე, აცხადებდა, რომ დაექვემდებარა დისკრიმინაციას ეროვნების საფუძველზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, კონვენციის მე-6 § 1 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა და აღნიშნა, რომ იტალიის სასამართლოებმა არ შეასრულეს ვალდებულება დაესაბუთებინათ უარი შეკითხვით მიემართათ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის (CJEU), იმისათვის, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დაედგინა ევრო-ხმელთაშუა შეთანხმება აძლევდა თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლებას უარი ეთქვათ ტუნისელი მუშაკისთვის შემწეობის გადახდაზე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოები, რომელთა გადაწყვეტილებებიც ეროვნული სამართლის მიხედვით გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, ვალდებულნი იყვნენ გამოყენებადი სამართლის და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი გამონაკლისების საფუძველზე, გამოეტანათ დასაბუთებული უარი ევროკავშირის სამართლის ინტერპრეტაციის საკითხებზე შეკითხვით მიმართვასთან დაკავშირებით. მათ უნდა მიეთითებინათ მიზეზები, რომელთა საფუძველზეც მიიჩნევდნენ, რომ საკითხები არ იყო რელევანტური, რომ დებულება უკვე განმარტებული ჰქონდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, ან ევროკავშირის სამართლის სწორი გამოყენება იმდენად აშკარა იყო, რომ არ ტოვებდა გონივრულ ეჭვს.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ერთად. მიუთითა, რომ მომჩივნის ეროვნება მისთვის შემწეობის მიღების უფლების ჩამორთმევის ერთადერთი კრიტერიუმი იყო. ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ

მხოლოდ ძალიან წინადად მოსაზრებებს შეუძლიათ ექსკლუზიურად ეროვნების საფუძველზე განსხვავებული მოპყრობის გამართლება და მიუხედავად იტალიის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტთან დაკავშირებული მიზეზებისა, მომჩივანზე დაწესებული შეზღუდვები არ იყო პროპორციული.

### **ბაიდარი ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **Baydar v. the Netherlands**

მომჩივანი, რომელსაც 2011 წელს ჰერონის ტრანსპორტირების და ადამიანებით ვაჭრობისთვის დაედო მსჯავრი, დავობდა, რომ უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა მისი თხოვნის საფუძველზე, წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიემართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსათვის. ამასთან, აცხადებდა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არასაკმარისად იყო დასაბუთებული.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 § 1 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევას, რადგან დაჩქარებული სამართალწარმოების კონტექსტში, მე-6 § 1 მუხლის მიხედვით, დასაშვებია იყო საკაცაციო საჩივარი, რომლის საფუძველზეც პირი ითხოვდა წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიმართვის განხორციელებას, დაუშვებლად გამოცხადებულიყო ან დატოვებულიყო განუხილველად, მოკლე დასაბუთებით როდესაც საქმის გარემოებიდან გამომდინარე ნათელი იყო, რომ გადაწყვეტილება არ იყო თვითნებური ან სხვაგვარად აშკარად დაუსაბუთებელი.

### **სომორჯაი უნგრეთის წინააღმდეგ**

#### **Somorjai v. Hungary**

მოცემულ საქმეში უნგრეთის უზენაესმა სასამართლომ (Kúria) არ დაასაბუთა, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის (CJEU) საპენსიო დავაზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიმართვის თხოვნაზე, უარი. საქმე ასევე უკავშირდებოდა ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოების ხანგრძლივობას. კერძოდ, მომჩივანი დავობდა, რომ უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა სათანადო ანგარიში არ გაუწიეს ევროკავშირის სამართლის რელევანტურ დებულებებს, რომლებიც საბოლოო ინსტანციის ეროვნულ სასამართლოებს ავალდებულებდა დაესაბუთებინათ საქმეზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიმართვაზე უარი.

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი, რომელიც შეეხებოდა სავარაუდო დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის წინასწარი გადაწყვეტილების მიღების თხოვნით მიმართვასთან დაკავშირებით, დაუშვებლად გამოაცხადა, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად საქმის CJEU-სთვის გადაცემაზე უარი, ან მისი დაუსაბუთებლობა არ შეიძლება აღქმული ყოფილიყო როგორც თვითნებური. მომჩივანს საქმის CJEU-სთვის გადაცემა საქმისწარმოების შესაბამის ეტაპზე არ მოუთხოვია. გარდა ამისა, ეროვნული სასამართლოების აზრით, უნგრეთის საკანონმდებლო დებულებები და ევროკავშირის სამართალი არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 § 1

მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა, სამართალწარმოების ზედმეტად გაჭიანურების გამო.

### **ჰარიში გერმანიის წინააღმდეგ**

#### **Harisch v. Germany**

სამოქალაქო სამართალწარმოების დროს მომჩივანმა მოითხოვა საქმის ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის გადაცემა. ის დავობდა, რომ გერმანიის სასამართლოებმა უარი უთხრეს წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის საქმის გადაცემაზე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-6 § 1 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა რადგან მიიჩნია, რომ გერმანიის სასამართლოების უარი საქმეზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღების თხოვნაზე, იყო საკმარისად დასაბუთებული და არ იყო თვითნებური.

### **Repcevirág Szövetkezet უნგრეთის წინააღმდეგ**

#### **Repcevirág Szövetkezet v. Hungary**

საქმე ეხებოდა მომჩივანი კომპანიის საჩივარს იმის შესახებ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, კერძოდ Kúria-მ და საკონსტიტუციო სასამართლომ, შეკითხვით არ მიმართეს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-6 § 1 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ უნგრეთის სასამართლოების გადაწყვეტილებები არც თვითნებური ყოფილა და არც აშკარად დაუსაბუთებელი. მაგალითად, Kúria-მ აღნიშნა, რომ მომჩივან კომპანიას ევროკავშირის სამართალთან დაკავშირებულ საკითხებზე წინააღმდეგობა არ გამოუხატავს სამართალწარმოების საწყის ეტაპზე და არ შეეძლო ეს საკითხი მოგვიანებით, უზენაესი სასამართლოს წინაშე ზიანის ანაზღაურების ფარგლებში დაეყენებინა.

### **სანოფი პასტერი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Sanofi Pasteur v. France**

საქმე ეხებოდა მომჩივანი კომპანიისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას პირის, კერძოდ, სტაჟიორი მედიკოსის გამო, რომელიც აიცრა ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინით და შემდგომ დაავადდა სხვადასხვა სახის დაავადებით, კომპანიას დაეკისრა ზიანის ანაზღაურება სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. მომჩივანი დავობდა, რომ საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად არ განიხილა მისი თხოვნა ევროკავშირის დირექტივის Directive 85/374-ის მე-4 მუხლთან დაკავშირებით, წინასწარი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, რომლის თანახმად, მსხვერპლმა უნდა დაამტკიცოს ზიანის მიყენების ფაქტი, და მიზეზობრივი კავშირი მართლსააწინააღმდეგო ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 § 1 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა რადგან, მომჩივანი კომპანიისთვის ნათქვამი უარი მომხდარიყო წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ევროკავშირის მართლმსაჯულების

სასამართლოსთვის მიმართვა არ იყო დასაბუთებული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენცია არ იძლეოდა, როგორც ასეთი, რაიმე უფლებას, რომ ეროვნულ სასამართლოს საქმე წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გადაეცა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის. თუმცა მე-6 § 1 მუხლის შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოებს უნდა დაესაბუთებინათ გადაწყვეტილება წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსთვის მიმართვაზე უარის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთ უარს რელევანტური სამართალი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ითვალისწინებდა. სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა, რომ საქმის გარემოებები და ის, თუ რა საკითხი განიხილებოდა სამართალწარმოებაში, მოითხოვდა განსაკუთრებულად ნათელ განმარტებებს მომჩივნის მოთხოვნის წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით CJEU-თვის მიმართვაზე უარის შესახებ.

ევროპული დაკავების ორდერი

### **პიანესი იტალიისა და ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **Pianese v. Italy and the Netherlands**

მომჩივანი იტალიის მოქალაქე იყო, რომელიც დააკავეს ევროპული დაკავების ორდერის საფუძველზე და აცხადებდა, რომ თვითნებურად აღუკვეთეს თავისუფლება და რომ არ ჰქონია სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები კონვენციის მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) მიხედვით წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით.

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა კონვენციის 35-ე მუხლის (დასაშვებობის კრიტერიუმები) შესაბამისად, როგორც ვადის დარღვევით შეტანილი და აშკარად დაუსაბუთებელი.

### **პიროზი ბელგიის წინააღმდეგ**

#### **Pirozzi v. Belgium**

წინამდებარე საქმე ეხებოდა ევროპული დაკავების ორდერის საფუძველზე, ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მომჩივნის დაკავებას და იტალიის ხელისუფლებისთვის გადაცემას იმ მიზნით, რომ აღსრულებულიყო ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო გამოტანილი განაჩენით დაკისრებული 14 წლიანი თავისუფლების აღკვეთა. მომჩივანი დავობდა, რომ ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ის უკანონოდ დააკავეს. მომჩივანი აცხადებდა, რომ ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ის იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცეს ევროპული დაკავების ორდერის კანონიერების და მართებულობის შემოწმების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული, დაფუძნებული იყო მსჯავრდებულის დაუსწრებლად ჩატარებული პროცესის შედეგად გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 § 1 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-6 § 1 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) მუხლები. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მომჩივნის დაკავება, მისი დაპატიმრების და იტალიის



ხელისუფლებისათვის გადაცემის მიზნით, განხორციელდა კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბელგიის სასამართლოების მიერ ევროპული დაკავების ორდერის აღსრულება არ იყო ხარვეზიანი, რომ ექვივალენტური დაცვის პრეზუმფცია დარღვეულიყო და მომჩინის გადაცემა იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის არ მიუჩნევა რომ წარმოადგენდა მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმასთან გათანაბრებულ სასამართლო პროცესს.

### **რომეო კასტანო ბელგიის წინააღმდეგ**

#### **Romeo Castaño v. Belgium**

ამ საქმეში მომჩინებს დაერღვათ უფლება ეფექტიან გამოძიებაზე, რადგან ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ესპანეთის მიერ N.J.E.-ის მიმართ გამოცემული ევროპული დაკავების ორდერის აღსრულებაზე. აღნიშნულ პირს ბრალი ედებოდა მომჩინების მამისთვის ცეცხლსასროლი იარაღით სროლაში. ეს უკანასკნელი 1981 წელს მოკლა კომანდოს ქვედანაყოფმა, რომელთა მტკიცებით ტერორისტულ ორგანიზაცია ETA-ს ეკუთვნოდნენ. ბელგიის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ N.J.E.-ს ექსტრადიცია დაარღვევდა მის ფუნდამენტურ უფლებებს კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) საფუძველზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილი (ეფექტიანი გამოძიება). პირველ რიგში, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირის მიმართ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საფრთხე, რომლის გადაცემაც ხორციელდება, შეიძლება წარმოადგენდეს ევროპული დაკავების ორდერის აღსრულების და მოთხოვნით თანამშრომლობაზე უარი თქმის ლეგიტიმურ საფუძველს, თუმცა, აღნიშნა, რომ ასეთი რისკის არსებობის შესახებ დასკვნას საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი უნდა ჰქონოდა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბელგიის სასამართლოების მიერ პირის გადაცემის სამართალწარმოებაში განხორციელებული შემოწმება საკმარისად დასაბუთებული არ იყო, იმ საფუძველით რომელსაც ისინი ეყრდნობოდნენ N.J.E.-ის გადაცემაზე უარის თქმის დროს, მომჩინების ინტერესების საზიანოდ. ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებს არ უცდიათ N.J.E.-ის კონვენციური უფლებების დარღვევის რეალური და ინდივიდუალური საფრთხის ან ესპანეთში პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული სტრუქტურული ხარვეზების იდენტიფიცირება. თუმცა, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ დარღვევის დადგენა თავისთავად არ გულისხმობდა ბელგიის ვალდებულებას N.J.E. გადაეცა ესპანეთის ხელისუფლებისთვის. სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დაადგინა გადაცემაზე უარის თქმის არასაკმარისი ფაქტობრივი საფუძველების არსებობის გამო. აღნიშნული არ ათავისუფლებდა ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებს ვალდებულებისგან შემოწმებინათ რომ ესპანეთის ხელისუფლებისთვის გადაცემის შემთხვევაში, აღნიშნული პირის მიმართ კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის საფრთხე არ იარსებებდა.

**ბივოლარუ და მოლდოვანი საფრანგეთის წინააღმდეგ  
Bivolaru and Moldovan v. France**

საქმე ეხებოდა ევროპული დაკავების ორდერის საფუძველზე, საპატიმრო სასჯელების აღსრულების მიზნით, საფრანგეთის მიერ მომჩივნების გადაცემას რუმინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ევროპული დაკავების ორდერის საფუძველზე, რუმინეთის ხელისუფლებისთვის მათი გადაცემა კონვენციის საწინააღმდეგო მოპყრობის საფრთხის ქვეშ ამყოფებდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მეორე მომჩივნის საქმეში გამოიყენებოდა ექვივალენტური დაცვის პრეზუმფცია, რამდენადაც არსებობდა მისი გამოყენების ორი პირობა, სახელდობრ, არ არსებობდა ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლების მოქმედების ზღვრი და მოქმედებდა ევროკავშირის სამართლით განსაზღვრული საზედამხედველო მექანიზმი. ამგვარად, სასამართლომ მიზნად დაისახა იმის დადგენა, კონვენციის გარანტირებული უფლებების დაცვა მოცემულ საქმეში იყო თუ არა ამკარად ხარვეზიანი, რომ აღნიშნული პრეზუმფცია გაქარწყლებულიყო. ამ მიზნით, სასამართლო ცდილობდა განესაზღვრა არსებობდა თუ არა საკმარისად მყარი ფაქტობრივი საფუძველი, რომელიც ავალდებულებდა აღმასრულებელ სასამართლო ორგანოს დაედგინა, რომ ევროპული დაკავების ორდერის აღსრულება მომჩივნის მიმართ გამოიწვევდა კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) საწინააღმდეგო მოპყრობის რეალურ და ინდივიდუალურ საფრთხეს, რუმინეთში მისი პატიმრობის პირობების გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ მეორე მომჩივანმა წარმოადგინა მტკიცებულება სავარაუდო საფრთხის შესახებ, რომელიც დასაბუთებული იყო, იმისათვის, რომ აღმასრულებელ სასამართლო ორგანოს მომთხოვნი სახელმწიფოსგან მოეთხოვა დამატებითი ინფორმაცია და გარანტიები რუმინეთში მომჩივნის სამომავლო პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა, რამდენადაც გამოჩნდა, რომ აღმასრულებელმა სასამართლო ორგანოებმა, მათი დისკრეციული უფლებამოსილებების განხორციელებისას, მიღებული ინფორმაციიდან არ გამოიტანეს სათანადო დასკვნები, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია საკმარისად მყარ ფაქტობრივ საფუძველს შეიცავდა განსახილველი ევროპული დაკავების ორდერის აღსრულებლობისთვის.

პირველი მომჩივნის საქმეში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომლის საფუძველზეც არ მომხდარა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიმართვა იმ ევროპული დაკავების ორდერის აღსრულების შედეგებზე, რომელიც უკავშირდებოდა წევრი სახელმწიფოს მიერ იმ მესამე სახელმწიფოს მოქალაქისთვის ლტოლვის სტატუსის მინიჭებას, რომელიც შემდგომ გახდა წევრი სახელმწიფო, წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნაზე უარის თქმას, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო განსაზღვრულ ფუნდამენტურ უფლებებზე ზედამხედველობის შესაბამისი საერთაშორისო მექანიზმის სრული მოცულობით გამოყენების გარეშე. თანაბარი დაცვის პრეზუმფცია რელევანტური არ იყო. პირველი მომჩივნის საჩივართან დაკავშირებით არსებობდა ორი ასპექტი: პირველი ეხებოდა ლტოლვილის სტატუსს, ხოლო მეორე პატიმრობის პირობებს რუმინეთში. აღმასრულებელ სასამართლო ორგანოში არსებულ საქმეში ან მომჩივნის მიერ ევროპულ სასამართლოში წარდგენილ მკიცებულებებში არაფერი იყო ისეთი რაც

წარმოაჩენდა, რომ მომჩივანი გადაცემის შემთხვევაში რუმინეთში კვლავ რელიგიური დევნის საფრთხის წინაშე დადგებოდა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღმასრულებელ სასამართლო ორგანოს, მომჩივნის ინდივიდუალური სიტუაციის სრული და ღრმა მოკვლევის შემდგომ, რომელმაც აჩვენა, რომ მან მხედველობაში მიიღო მომჩივნის ლტოლვილის სტატუსი, საკმარისად მყარი ფაქტობრივი საფუძველი არ ჰქონდა, იმისათვის რომ დაედგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის რეალური საფრთხე და ამ საფუძველით უარი ეთქვა ევროპული დაკავების ორდერის აღსრულებაზე. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მომჩივნის მიერ აღმასრულებელი სასამართლო ორგანოში წარდგენილი რუმინეთის ციხეებში პატიმრობის პირობების აღწერა, იმ მოთხოვნის გასამყარებლად, რომ არ აღსრულებულიყო ევროპული დაკავების ორდერი, არ იყო საკმარისად დეტალური ან დასაბუთებული, რათა რუმინეთის ხელისუფლებისთვის გადაცემის შემთხვევაში მის მიმართ მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური საფრთხის პრიმა ფაცე მტკიცებულება ყოფილიყო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, აღმასრულებელი სასამართლო ორგანო არ იყო ვალდებული, რუმინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან დამატებითი ინფორმაცია მოეთხოვა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო სახეზე მყარი ფაქტობრივი საფუძველი, რათა აღმასრულებელ სასამართლო ორგანოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის რეალური საფრთხის არსებობა დაედგინა და ამ საფუძველებზე უარი ეთქვა ევროპული დაკავების ორდერის აღსრულებაზე.

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობების კონფიდენციალურობა

### **მიშოდი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Michaud v. France**

საქმე ეხებოდა ფრანგი ადვოკატების ვალდებულებას, მათი კლიენტების სავარაუდო ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ „ექვების“ არსებობის შემთხვევაში გაეკეთებინათ შესაბამისი შეტყობინება. სხვა საკითხებთან ერთად, მომჩივანმა განაცხადა, რომ აღნიშნული ვალდებულება, რომელიც ევროპული დირექტივების იმპლემენტაციიდან მომდინარეობდა, ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-8 მუხლს (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება), რომელიც იცავს ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობების კონფიდენციალურობას.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია რომ საჭირო იყო ამ საკითხის გადაწყვეტა, რადგან ამ საქმეში „ექვივალენტური დაცვის პრეზუმფცია“ რელევანტური არ იყო. სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. ხაზი გაუსვა ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობების კონფიდენციალურობის და პროფესიული პრივილეგიის მნიშვნელობას, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ „ექვების“ შესახებ შეტყობინების ვალდებულება დანაშაულისა და უწყესრიგობის პრევენციის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ემსახურებოდა, რადგან ფულის გათეთრების და მასთან დაკავშირებული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად იყო გამიზნული, და აუცილებელი იყო ამ მიზნის მისაღწევად. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ „ექვების“ შესახებ შეტყობინების ვალდებულება, ისე როგორც ხორციელდებოდა საფრანგეთში,

არაპროპორციულად არ ერეოდა პროფესიულ პრივილეგიაში, რადგან ადვოკატებზე აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდებოდა დავის მონაწილე მხარეთა დაცვის დროს და კანონმდებლობამ პროფესიული პრივილეგიის დაცვისთვის შემოიღო ფილტრი, რითაც უზრუნველყოდა, რომ ადვოკატებს თავიანთი შეტყობინება პირდაპირ სახელმწიფო ორგანოებისთვის კი არ გადაეცათ, არამედ ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტისთვის.

გამონატვის თავისუფლება და ელექტრონული ვაჭრობა

### **დელფი ას ესტონეთის წინააღმდეგ**

#### **Delfi AS v. Estonia**

ეს იყო პირველი საქმე, რომელზეც უნდა ემსჯელა სასამართლოს და განეხილა საჩივარი ახალი ამბების ინტერნეტ პორტალზე მომხარებლების მიერ გაკეთებულ კომენტარებზე პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით. ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაიზიარეს პორტალის არგუმენტი, რომ ელექტრონული ვაჭრობის შესახებ ევროკავშირის დირექტივის EU Directive 2000/31/EC-ის შესაბამისად, მისი როგორც საინფორმაციო საზოგადოებრივი მომსახურების მიმწოდებლის და მონაცემების შემნახველის როლი იყო ტექნიკური, პასიური და ნეიტრალური, და მიიჩნია, რომ პორტალი ახორციელებდა კონტროლს კომენტარების გამოქვეყნებაზე.

ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის (გამონატვის თავისუფლება) დარღვევა რადგან მიიჩნია, რომ ესტონეთის სასამართლოების მიერ მომჩივანი კომპანიის პასუხისმგებლობის დადგენა პორტალის გამონატვის თავისუფლების დასაბუთებულ და პროპორციულ შეზღუდვას წარმოადგენდა. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ეროვნული სამართლის გამოყენების და განმარტების საკითხების გადაწყვეტა ეროვნული სასამართლოების უფლებამოსილების ფარგლებში ექცეოდა. ამდენად, სასამართლომ არ განიხილა საკითხი ევროკავშირის სამართლის მიხედვით და ყურადღება გაამახვილა მხოლოდ იმაზე, იყო თუ არა უზენაესი სასამართლოს მიერ მომჩივანი კომპანიის სიტუაციასთან მიმართებით ეროვნული სამართლის გამოყენება წინასწარგანჭვრეტადი.

გარემო

### **O’Sullivan McCarthy Mussel Development Ltd ირლანდიის წინააღმდეგ**

#### **O’Sullivan McCarthy Mussel Development Ltd v. Ireland**

მომჩივანი კომპანია თევზაობს მკვახე მიდიებზე (მიდიის თესლი), შემდგომ კულტივაციას უკეთებს მათ და ყიდის მას შემდეგ, რაც განვითარდებიან, აღნიშნული პროცესი ორი წელი გრძელდება. საქმე ეხებოდა კომპანიის საჩივარს იმის შესახებ, რომ ირლანდიის ხელისუფლებამ მას ფინანსური ზარალი მიაყენა ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის იმპლემენტაციის საფუძველზე<sup>11</sup>.

<sup>11</sup> ირლანდიის მთავრობამ 2008 წელს დროებით აკრძალა მიდიის თესლზე თევზაობა ნავსადგურში, სადაც კომპანია ფუნქციონირებდა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის იუსტიციის სასამართლომ დაადგინა, რომ ირლანდიამ ვერ

ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ გარემოს დაცვა და მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურებოდა. როგორც კომერციული საქმიანობის განმახორციელებელს, აღნიშნულ კომპანიას უნდა სცოდნოდა, რომ ევროკავშირის წესებთან შესაბამისობის საჭიროება მაღალი ალბათობით მის ბიზნესზე იქონიებდა გავლენას. მთლიანობაში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კომპანიას ირლანდიის ხელისუფლების მოქმედებების შედეგად არაპროპორციული ტვირთი არ დაწოლია და რომ ირლანდიამ უზრუნველყო სამართლიანი ბალანსის დამყარება საზოგადოების საერთო ინტერესებსა და ინდივიდუალური უფლებების დაცვას შორის. ამდენად, კომპანიის საკუთრების უფლებების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლი (საქმის სამართლიანი განხილვა გონივრულ ვადაში).

### **პოპ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **Pop and Others v. Romania**

მომჩივნები, რომლებსაც ევროკავშირში შექმნილი ჰქონდათ სამი მეორადი მანქანა დავობდნენ, რომ მათ მოსთხოვეს გადაეხადათ გარემოს დაბინძურების გადასახადი იმისთვის, რომ აღნიშნული ავტომობილები რუმინეთში დაერეგისტრირებინათ, იმ საგანგებო განკარგულების (OUG no. 50/2008) შესაბამისად, რომელიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ევროკავშირის სამართალთან შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული.

ევროპულმა სასამართლომ საჩივრები შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამოუწურველობის გამო დაუშვებლად გამოაცხადა. ორი მომჩივნის საქმეში, სასამართლომ აღნიშნა, რომ 2017 წლის 7 აგვისტოდან მოქმედი სხვა საგანგებო განკარგულებით (OUG no. 52/2017) განსაზღვრული სამართლებრივი საშუალება მათ დაბინძურების გადასახადის და შესაბამისი პროცენტის ანაზღაურების შესაძლებლობას აძლევდა. ის ასევე ადგენდა ნათელ და წინასწარგანჭვრეტად პროცედურულ წესებს, სავალდებულო ვადებითა და ეფექტიანი სასამართლო განხილვის შესაძლებლობით. ამგვარად, აღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვის საშუალება ქმედით სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენდა კონვენციის 35-ე მუხლის (დასაშვებობის კრიტერიუმები) მიზნებისთვის. რაც შეეხება მესამე მომჩივანს, მან აღიარა, რომ ეროვნულ დონეზე მოთხოვნილი პროცენტის დაბრუნებისთვის არაფერი მოუმოქმედებია (გარემოს დაბინძურების გადასახადი და ზოგიერთი პროცენტი ანაზღაურდა ეროვნული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ) და არ წარმოუდგენია არგუმენტი, რომლითაც დაადასტურებდა, რომ ასეთი მიდგომა არაეფექტიანი იქნებოდა.

---

შეასრულა თავისი ვალდებულებები ევროკავშირის ორი გარემოსდაცვითი დირექტივით. მრივად, კომპანიას 2010 წელს არ ჰქონდა მწიფე მიღები გასაყიდად, რამაც გამოიწვია მოგების დაკარგვა.

თარჯიმნის და თარგმნის უფლება სისხლის სამართლის პროცესში

### **ვიზირდა სლოვენის წინააღმდეგ**

#### **Vizgirda v. Slovenia**

საქმე ეხებოდა მომჩივნის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჰქონდა საქმის სამართლიანი განხილვის უფლება ძარცვაში ბრალდების შემდეგ, რადგან მას არ ესმოდა თარგმანი რუსულ ენაზე. მომჩივნის მშობლიური ენა ლიეტუვეური იყო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1 და 3 პარაგრაფების დარღვევა (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება/ბრალდების დაუყოვნებლივ გაცნობის უფლება/თარჯიმნის ყოლის უფლება) და მიიჩნია, რომ მთლიანობაში, მომჩივნის მიერ თარგმნის სახით მიღებულ დახმარებას, სასამართლო პროცესში აქტიური მონაწილეობის საშუალება მისთვის არ მიუცია, ამიტომ პროცესი არასამართლიანი იყო. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებულები იყვნენ დაედგინათ ესმოდა თუ არა მომჩივანს რუსული, სანამ თარგმნის მიზნებისთვის რუსული ენის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა თარგმნის უფლებასთან დაკავშირებულ ევროკავშირის 2010/64 დირექტივით გაწერილ სტანდარტებზე.

საკრედიტო ხელშეკრულებები და მომხმარებლის დაცვა

### **ანტონოპულუ საბერძნეთის წინააღმდეგ**

#### **Antonopoulou v. Greece**

მომჩივანმა აიღო ქონებრივი სესხი შვეიცარიულ ფრანკებში, რათა ესარგებლა ხელსაყრელი და სტაბილური გაცვლითი კურსით. საკრედიტო ხელშეკრულების პუნქტი ითვალისწინებდა, რომ სესხი უნდა დაფარულიყო თანხის გადახდის და არა ხელშეკრულების დადების დროს არსებული გაცვლითი კურსის საფუძველზე. შეწყვიტა რა საქმიანობა ჯანმრთელობის მიზეზების გამო, მომჩივანი ცდილობდა დაეფარა კრედიტი, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ევროსთან მიმართებით შვეიცარიული ფრანკის ღირებულის ზრდამ თითქმის 60%-ით გაზარდა სესხის ოდენობა. მომჩივანმა უშედეგოდ წამოიწყო სამართალწარმოება ეროვნულ სასამართლოებში, სადაც ამტკიცებდა, რომ განსახილველი პუნქტი უსამართლო იყო. ის დავობდა, რომ ბანკისთვის უნდა გადაეხადა თანხა ევროში, რომელიც ბევრად აჭარბებდა მის მიერ შვეიცარიულ ფრანკებში სესხად აღებული თანხის ოდენობას.

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი აშკარად დაუსაბუთებლობის გამო დაუშვებლად გამოაცხადა. მიიჩნია, რომ საბერძნეთის მიერ დადგენილი სამართლებრივი ჩარჩო მომჩივანს კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით (საკუთრების დაცვა) გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმით უზრუნველყოფდა. კერძოდ, მომჩივნის მიერ არჩეულ სამართლებრივი დაცვის საშუალებასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა თავისი არგუმენტები კომპეტენტური სასამართლოების წინაშე და სხდომის სრული შემადგენლობით ჩამტარებელი საკასაციო სასამართლოსგან მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამასთან, საკასაციო სასამართლომ

ეროვნული კანონმდებლობა განმარტა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს რელევანტური პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

## მშობლის უფლებები

მშობლის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე საჩივრების აღძვრა ძირითადად ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), რომლის თანახმად:

*“1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.*

*2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.”*

იმისათვის, რომ დადგინდეს იყო თუ არა საჭირო ხელისუფლების მხრიდან ჩარევა მომჩივნების პირად და ოჯახურ ცხოვრებაში დემოკრატიულ საზოგადოებაში და დამყარებული იყო თუ არა სამართლიანი ბალანსი სხვადასხვა ინტერესებს შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს იყო თუ არა ჩარევა კანონის შესაბამისი, ეწეოდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს და მიზნებს და იყო თუ არა დასახული მიზნის (მიზნების) პროპორციული.

შვილად აყვანა

### ფრეტე საფრანგეთის წინააღმდეგ

#### **Fretté v. France**

მომჩივნის ვარაუდით გადაწყვეტილება შვილად აყვანის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შესახებ წარმოადგენდა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებურ ჩარევას, ვინაიდან გადაწყვეტილება ეყრდნობოდა ცრურწმენებს მის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით. ამასთან იგი აცხადებდა, რომ არ ყოფილა დაბარებული საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს მიერ გამართულ სხდომაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან ერთად (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება). სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ლეგიტიმურად და გონივრულად ჰქონდა უფლება მიეჩნია, რომ შვილად აყვანის უფლება, რომელსაც ეყრდნობოდა მომჩივანი, შეზღუდული იყო გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებით, მიუხედავად მომჩივნის ლეგიტიმური სურვილის და მისი პირადი არჩევანის ეჭვქვეშ დაყენებისა. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა, რადგან მომჩივანს შეეზღუდა საქმის სამართლიანი განხილვის უფლება შეჯიბრობითობის საფუძველზე.



### **ვაგნერი და ჯ.მ.ვ.ლ. ლუქსემბურგის წინააღმდეგ**

#### **Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg**

საქმე ეხებოდა პერუში მიღებულ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების ლუქსემბურგში აღსრულებას. ლუქსემბურგის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს განცხადება, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებდა მარტოხელა ქალის მიერ შვილად აყვანის შესაძლებლობას.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, ვინაიდან ლუქსემბურგის სასამართლოებმა დაუშვეს შეცდომა, როდესაც არ ცნეს ოჯახური კავშირი, რომელიც შეიქმნა პერუში შვილად აყვანის საფუძველზე. სასამართლომ ასევე დაადგინა მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-8 მუხლთან ერთად, ვინაიდან ბავშვი (და დედაც) დაზარალდა ლუქსემბურგელი დაუქორწინებელი დედის მიერ შვილად აყვანას დაქვემდებარებული პირის სტატუსის გამო, რომლის ოჯახური კავშირები დაეფუძნა უცხოურ კანონმდებლობას და რომელიც არ იქნა ცნობილი ლუქსემბურგში.

### **ე.ბ. საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **E.B. v. France**

მომჩივანი დავობდა, რომ შვილად აყვანის განცხადების განხილვის ყველა ეტაპზე დაქვემდებარა დისკრიმინაციულ მოპყრობას, რომელიც ემყარებოდა მის სექსუალურ ორიენტაციას. აცხადებდა, რომ განხორციელდა ჩარევა მისი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება). ადგილობრივმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, შემდეგ კი სასამართლოებმა, რომლებმაც განიხილეს მომჩივნის საჩივარი, დააფუძნეს თავიანთი გადაწყვეტილება მის განცხადებაზე შვილად აყვანის ნებართვაზე უარის შესახებ, უმეტესად, მომჩივნის ოჯახში მამის ფიგურის არარსებობის გამო, რაც არ იყო ლეგიტიმური მიზეზი.

### **მორეტი და ბენედეტი იტალიის წინააღმდეგ**

#### **Moretti and Benedetti v. Italy**

მომჩივნები დაქორწინებულები იყვნენ. 2004 წლის მაისში სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალდაბადებული ბავშვი დროებით გადავიდა წყვილის მზრუნველობის ქვეშ. მოგვიანებით მათ მოისურვეს ბავშვის შვილად აყვანა, თუმცა 2005 წლის დეკემბერში ბავშვისთვის შერჩეულ იქნა სხვა ოჯახი. მომჩივნები დავობდნენ, რომ შესაბამისი მატერიალური და პროცესუალური ნორმები არასწორად იქნა გამოყენებული შვილად აყვანის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. სასამართლო უფლებამოსილი არ იყო ეროვნული სასამართლოების მოსაზრებები, რომლებმაც ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებები კეთილსინდისიერად განახორციელეს ჩაენაცვლებინა საკუთარი მოსაზრებებით. თუმცა პროცესში გამოვლენილმა ხარვეზებმა პირდაპირი გავლენა იქონია მომჩივნების ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაზე და ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო აღნიშნული უფლების ეფექტიანი დაცვა. მომჩივანთა მოთხოვნა შვილად აყვანის შესახებ არ ყოფილა განხილული

ბავშვის გასაშვილებლად გამოცხადებამდე და განცხადება არ იქნა დაკმაყოფილებული ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე.

### **შვიზგებელი შვეიცარიის წინააღმდეგ**

#### **Schwizgebel v. Switzerland**

მოძივანი დავობდა, რომ შვეიცარიის ხელისუფლებამ მას შვილად აყვანის უფლება ასაკის გამო არ მისცა (ბოლო განცხადების წარდგენის დროს ის 47 წლის იყო). სხვა გარემოებებთან ერთად, იგი ამტკიცებდა, რომ დაექვემდებარა დისკრიმინაციას მისი ასაკის მსგავს ქალებთან შედარებით, რომლებსაც ამ ასაკში შეეძლოთ ბავშვის გაჩენა.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ერთად და მიიჩნია, რომ მოძივანის მიმართ განსხვავებული მოპყრობა არ იყო დისკრიმინაციული. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ შვეიცარიის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება შეჯიბრობითობის საფუძველზე მიიღო, მოძივანს შეეძლო საკუთარი არგუმენტების წარდგენა, რაც ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო. ამასთან, მათ გაითვალისწინეს არა მხოლოდ გასაშვილებელი ბავშვის საუკეთესო ინტერესები, არამედ უკვე გაშვილებული ბავშვების ინტერესები. მეტიც, ფედერალურმა სასამართლომ მშვილებელსა და ბავშვს შორის ასაკობრივი განსხვავების კრიტერიუმში გარემო ფაქტორების გათვალისწინებით მოქნილად გამოიყენა. გადაწყვეტილებაში მოყვანილი სხვა არგუმენტები, ე.ი. არგუმენტები, რომლებიც არ იყო ასაკთან დაკავშირებული არ იყო დაუსაბუთებელი ან თვითნებური.

### **ნეგრეპონტის-გიანისისი საბერძნეთის წინააღმდეგ**

#### **Negreptis-Giannisis v. Greece**

წინამდებარე საქმე ეხებოდა საბერძნეთის ხელისუფლების უარს ელიარებინა შეერთებულ შტატებში მიღებული შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე ბერს ეძლეოდა თავისი ძმისშვილის (მოძივანი) შვილად აყვანის უფლება.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა და მიიჩნია, რომ უარი შვილად აყვანის გადაწყვეტილების აღსრულებაზე არ პასუხობდა რაიმე მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას და არ იყო დასახული მიზნის პროპორციული. სასამართლომ ასევე დაადგინა მე-8 და მე-14 მუხლების (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლივად დარღვევა, ვინაიდან მიიჩნია, რომ მოძივანის, როგორც გასაშვილებელი ბავშვის მიმართ განსხვავებული მოპყრობა ბიოლოგიურ ბავშვთან შედარებით დისკრიმინაციული იყო, რადგან არ ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა, იმ გარემოებების გამო, რომელსაც საბერძნეთის საკასაციო სასამართლო დაეყრდნო შვილად აყვანის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დროს. ამასთან, დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა), დარღვევა, ვინაიდან საბერძნეთის სასამართლოებმა მოძივანს ჩამოართვეს მემკვიდრის სტატუსი.

## გასი და დუბოისი საფრანგეთის წინააღმდეგ

### Gas and Dubois v. France

მოცემული საქმე ეხებოდა თანაცხოვრებაში მყოფ ორ ქალს, რომელთაგან ერთ-ერთს უარი ეთქვა მეორე ქალის ბავშვის შვილად აყვანაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას მე-8 მუხლთან ერთად (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) რადგან არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომლის საფუძველზე დადასტურდებოდა მომჩივანთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა სექსუალური ორიენტაციის გამო. განსხვავებული სქესის წყვილებს მათ მსგავსად ეზღუდებოდათ ამგვარი შვილად აყვანის უფლება.

## ჰაროუდი საფრანგეთის წინააღმდეგ

### Harroudj v. France

მოცემული საქმე ეხებოდა საფრანგეთის მოქალაქისთვის აღჭირელი გოგონას შვილად აყვანის თხოვნის დაუკმაყოფილებლობას, მაშინ როდესაც ბავშვი უკვე იმყოფებოდა მისი მზრუნველობის ქვეშ მეურვეობის ისლამურ-სამართლებრივი ფორმის „კაფალა“<sup>12</sup> საფუძველზე.

სასამართლომ დაადგინდა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება). მან მიიჩნია, რომ სამართლიანი ბალანსი სწორად იყო გავლენის საზოგადოებრივ ინტერესსა და მომჩივნის ინტერესებს შორის. ხელისუფლება შეეცადა კულტურული პლურალიზმის მხედველობაში მიღებით, კაფალას ფარგლებში ბავშვების ინტეგრაცია იმგვარად განეხორციელებინა, რომ იმთავითვე არ მომხდარიყო კავშირის გაწყვეტა წარმოშობის ქვეყანასთან.

## X და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ

### X and Others v. Austria

მოცემული საქმე ეხებოდა სტაბილურ ჰომოსექსუალურ ურთიერთობაში მყოფი ორი ქალის საჩივარს, რომლებსაც ავსტრიის სასამართლოებმა არ დაუკმაყოფილეს განცხადება ერთ-ერთი მათგანის ბავშვის მეორის მიერ შვილად აყვანასთან დაკავშირებით, ისე რომ არ მომხდარიყო ბავშვის მიერ მშობელ დედასთან სამართლებრივი კავშირის გაწყვეტა (მეორე-მშობლის მიერ შვილად აყვანა). მომჩივნებმა განაცხადეს, რომ არ არსებობდა გონივრული და ობიექტური გამართლება იმისა, რომ ჰეტეროსექსუალი წყვილის შემთხვევაში, ერთ-ერთ მათგანს შეუძლია მეორის ბავშვის შვილად აყვანა, მიუხედავად იმისა, დაქორწინებულები არიან თუ არა ისინი, ხოლო ჰომოსექსუალი წყვილის შემთხვევაში ასეთი შვილად აყვანა აკრძალულია.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ერთობლიობაში, მომჩივნების მიმართ განსხვავებული მოპყრობის გამო, განსხვავებული სქესის მქონე დაუქორწინებელ წყვილთან შედარებით, რომელთაგან ერთ-ერთს სურს მეორე პარტნიორის

<sup>12</sup> ისლამურ სამართალში აკრძალულია შვილად აყვანა, რომელიც ქმნის ბიოლოგიური კავშირების მსგავს ოჯახურ კავშირებს. ამის ნაცვლად ისლამური სამართალი არეგულირებს მეურვეობის ფორმას, რომელსაც „კაფალა“ ეწოდება. მუსლიმურ სახელმწიფოებში, თურქეთის, ინდონეზიის და ტუნისის გარდა, კაფალა განმარტებულია, როგორც ბავშვის მიმართ ნებაყოფლობითი მზრუნველობა, ზრუნვა მის კეთილდღეობასა და განათლებაზე.

ბავშვის შვილად აყვანა. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთად, როდესაც განმცხადებლები თავიანთ მდგომარეობას ადარებდნენ დაქორწინებული წყვილის მდგომარეობას, სადაც ერთ-ერთ მეუღლეს სურდა მეორე მეუღლის ბავშვის შვილად აყვანა. სასამართლომ დაადგინა, რომ განსხვავებული მოპყრობა მომჩივანსა და დაუქორწინებელ პეტეროსექსუალ წყვილს შორის, სადაც ერთ-ერთ პარტნიორს მეორის ბავშვის შვილად აყვანა სურდა, დამყარებული იყო პირველი და მესამე მომჩივნების სექსუალურ ორიენტაციაზე. დამაჯერებელი მიზეზები არ ყოფილა წარმოჩენილი, იმის გასამყარებლად, რომ ამგვარი განსხვავებული მოპყრობა აუცილებელი იყო ოჯახის ან ბავშვის ინტერესების დასაცავად. ამავდროულად, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კონვენცია არ ავალდებულებს სახელმწიფოებს მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანის უფლება გაავრცელონ დაუქორწინებელ წყვილზეც. ამასთანავე, აღნიშნული საქმე უნდა განვასხვავოთ საქმისგან *გასი და ღუბუა საფრანგეთის წინააღმდეგ* (იხილეთ ზემოთ), რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია დაუქორწინებელ განსხვავებული სქესის მქონე წყვილსა და ერთნაირი სქესის მქონე წყვილს შორის განსხვავებულ მოპყრობას სექსუალური ნიშნით რადგან, საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანა არ არის ნებადართული დაუქორწინებელი წყვილისათვის, მიუხედავად იმისა წყვილი ჰომოსექსუალია თუ პეტეროსექსუალი.

### **აგეიევი რუსეთის წინააღმდეგ**

#### **Ageyevy v Russia**

მოცემული საქმე შეეხებოდა დაქორწინებული წყვილის საჩივარს, რომლებსაც ჩამოართვეს და გაუუქმეს ბავშვების შვილად აყვანის გადაწყვეტილება მას შემდეგ, რაც მათი ვაჟიშვილი სახლში დაიწვა და გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში სამკურნალოდ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა შემდეგი გარემოებების გამო: მომჩივანებისთვის ბავშვების შვილად აყვანის გადაწყვეტილების გაუქმებიდან გამომდინარე; მომჩივნებს არ მისცემიათ შესაძლებლობა გაესაჩივრობინათ ხელისუფლების გადაწყვეტილება შვილებთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით 2009 წლის 31 მარტიდან 2010 წლის 3 ივნისამდე; ამასთან, არ ჰქონიათ იმ საავადმყოფოს თანამშრომელთა ქმედებების გასაჩივრების შესაძლებლობა, სადაც მათი შვილად აყვანილი ვაჟი მკურნალობდა; რუსეთის ხელისუფლებამ არ გამოიძია მომჩივანთა ვაჟის შვილად აყვანის სტატუსის, როგორც კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ფაქტი; და რუსულმა სასამართლოებმა ვერ დაიცვეს მეორე მომჩივნის რეპუტაცია ცილისწამების საქმეში გამომცემლობის წინააღმდეგ. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი მაშინ როდესაც ბავშვები განაცალკევეს მომჩივნებისგან.

## **ჩბიჰი ლოუდოუდი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ**

### **Chbihi Loudoudi and others v. Belgium**

მოცემული საქმე შეეხებოდა მომჩივნების მიერ მაროკოელი დისშვილის, რომელიც მათი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა „კაფალას“<sup>13</sup> მეშვეობით შვილად აყვანის პროცედურას ბელგიაში. კერძოდ, მომჩივნები დავობდნენ, რომ ბელგიის ხელისუფლების ორგანოების უარი კაფალას ფარგლებში მათი დისშვილის შვილად აყვანასთან დაკავშირებით, ზიანს აყენებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მას ბინადრობის გაურკვეველი სტატუსით ტოვებდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) შვილად აყვანაზე უარის თქმის ნაწილში, ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ბავშვის ბინადრობის სტატუსთან მიმართებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ შვილად აყვანაზე უარის საფუძველი კანონის შესაბამისი იყო, რომელიც ჰააგის 1993 წლის 29 მაისს მიღებული „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ კონვენციას ეფუძნებოდა და მიზნად ისახავდა იმის უზრუნველყოფას, რომ საერთაშორისო შვილად აყვანა განხორციელებულიყო ბავშვის საუკეთესო ინტერესების და ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის შესაბამისად. ბელგიის ხელისუფლებამ ლეგიტიმურად მიიჩნია, რომ მაროკოსა და ბელგიაში მარტოხელა მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით უარის თქმა სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამებოდა (ე.ი. კანონიერ მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობა ბიოლოგიურ მშობლებთან). ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენცია არ იძლევა კონკრეტული ბინადრობის სტატუსის მოპოვების გარანტიას. სასამართლომ მიიჩნია, რომ გოგონასთვის ერთადერთი დაბრკოლება სასკოლო მოვლაში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობა იყო. ფაქტი, რომ ბავშვს არ ჰქონდა ბინადრობის ნებართვა 2010 წლის მაისსა და 2011 წლის თებერვალს შორის პერიოდში, არ იყო საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ ბელგიისთვის მოეთხოვათ მისთვის ქვეყანაში შეუზღუდავი ყოფნის უფლების მინიჭება, მისი პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით.

## **გოზიუმი თურქეთის წინააღმდეგ**

### **Gözüüm v. Turkey**

მოცემული საქმე ეხებოდა მომჩივნის, მარტოხელა მშვილებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, შვილად აყვანილი ბავშვის პირად საბუთებში ბიოლოგიური დედის სახელის ნაცვლად მომჩივნის სახელის მითითებასთან დაკავშირებით. მომჩივანი აცხადებდა, რომ იმ პერიოდში მოქმედი სამოქალაქო სამართლის წესების საფუძველზე დაირღვა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, ვინაიდან იმ პერიოდში მოქმედი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები არ იყო შესაბამისობაში მე-8 მუხლის საფუძველზე მომდინარე ვალდებულებებთან. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მარტოხელა მშობლის მიერ შვილად აყვანის საკითხთან

---

<sup>13</sup> იხილეთ ზედა სქოლიო.

დაკავშირებით, თურქეთის სამოქალაქო სამართალში ვაკუუმი არსებობდა, რადგან მომჩივნის მიერ მოთხოვნის წარდგენის მომენტში არ არსებობდა მარეგულირებელი ჩარჩო, რომლის საფუძველზე მარტოხელა მშვილელის სახელი ბიოლოგიური მშობლის სახელის ნაცვლად დაფიქსირდებოდა. ამ მდგომარეობამ მომჩივანი ვაჟიშვილთან ერთად გაურკვევლობაში ამყოფა.

### ა. ჰ. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

#### A.H. and others against Russia

მოცემული საჩივარი 45-მა ამერიკელმა შეიტანა, საკუთარი და 27 რუსი ბავშვის სახელით. 2012 წლის ბოლოს, ამერიკელი მომჩივნები ბავშვების შვილად აყვანის პროცედურის ფინალურ ეტაპზე იყვნენ. ბევრ ბავშვს სპეციალური სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა. მას შემდეგ, რაც რუსეთში მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავდა რუსების შვილად აყვანას აშშ-ის მოქალაქეების მიერ<sup>14</sup>, ყველა ეს პროცედურა მოულოდნელად შეჩერდა. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ვინაიდან პროცედურები უკვე ბოლო ეტაპზე იყო, კავშირი უფროსებსა და ბავშვებს შორის უკვე ჩამოყალიბებული იყო. ისინი დავობდნენ, რომ აკრძალვა არღვევდა მათი ოჯახური ცხოვრების უფლებას, იყო დისკრიმინაციული და წარმოადგენდა ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობას (ვინაიდან ბავშვებს ხელი ეშვებოდათ აშშ-ში სპეციალური სამედიცინო დახმარების მიღებაში).

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ერთად, რადგან შვილად აყვანის აკრძალვა იყო დისკრიმინაციული მომავალ მშობლებთან მიმართებით.<sup>15</sup> კერძოდ, იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთმა ხელი შეუშალა აშშ-ის მოქალაქებს რუსი ბავშვების შვილად აყვანაში მომავალი მშობლების ეროვნების გამო. ასევე იმიტომ, რომ ამგვარი აკრძალვა არ იყო პროპორციული რუსეთის მთავრობის მიერ დასახულ მიზნებთან რადგან იყო რეტროაქტიული, განურჩეველი და გამოიყენებოდა მიუხედავად საქმის მდგომარეობისა და ინდივიდუალური გარემოებებისა. სასამართლომ დაუშვებლად ცნო მომჩივანთა საჩივარი, იმასთან დაკავშირებით, რომ აკრძალვის შედეგად ბავშვები დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას, რადგან მიიჩნია, რომ რუსეთში ბავშვებს ჰქონდათ სამედიცინო მკურნალობის მიღების შესაძლებლობა.

<sup>14</sup> ფედერალური კანონი no.272-FZ, ასევე ცნობილი როგორც, „მაგნიტსკის კანონი“ ან “დიმა იაკოვლევის კანონი”.

<sup>15</sup> თუმცა ერთი საჩივარი სასამართლომ გააუქმა, ვინაიდან მომჩივნებმა საჩივრები გამოითხოვეს. ასევე, სასამართლომ ერთ-ერთი საჩივარი დაუშვებლად ცნო, რამდენადაც იგი წარმოდგენილი იყო ორი ამერიკელი მომჩივნის მიერ ნაშვილები შვილის სახელით. ეს იმიტომ, რომ ხსენებული შვილი არ წარმოადგენდა შვილად აყვანის პროცესის მონაწილეს მხარეს და შესაბამისად მისი მხრიდან შეუძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ კონვენციის სავარაუდო დარღვევის მსხვერპლი იყო.

## **ო.ლ.გ. საფრანგეთის წინააღმდეგ**

### **O.L.G. v. France**

მოცემულ საქმეში მომჩივანს უარი ეთქვა სავიზო განცხადებაზე, რომლის საფუძველზეც მას სურდა შვილად აყვანილი ბავშვის კოლტიუარიდან საფრანგეთში წაყვანა. ამდენად, მომჩივანს ხელი ეშლებოდა ბავშვთან ერთად საფრანგეთის ტერიტორიაზე ცხოვრებაში.

სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა ამოწურული დაცვის ყველა შიდასამართლებრივი საშუალება და შესაბამისად მისი საჩივარი დაუშვებელი იყო. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნების საჩივართან დაკავშირებული სამართალწარმოება, ვიზის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, მიმდინარეობდა ადმინისტრაციულ სასამართლოში. მან ასევე აღნიშნა, რომ მომჩივანს საფრანგეთის უზენაეს სასამართლოში უნდა გაესაჩივრებინა 2016 წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილება, ბავშვისთვის დროებითი სამეზავრო დოკუმენტის მოპოვების გადაუდებელი განცხადების თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მიერ შეტანილი ყველა სხვა გადაუდებელი საჩივრები უკავშირდებოდა ვიზის გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების შეჩერებას და არა დროებითი სამეზავრო დოკუმენტის გაცემას. აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალებები საკმარისი არ იყო კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევის გამოსასწორებლად.

დაბადების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა

## **ოდიევრე საფრანგეთის წინააღმდეგ**

### **Odièvre v. France**

მომჩივანი დაბადებისთანავე მიატოვა ბიოლოგიურმა დედამ და დატოვა ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოების დეპარტამენტში. დედამ მოითხოვა, რომ საიდუმლოდ შეენახათ მისი ვინაობა. მომჩივანი თავდაპირველად გადაიყვანეს სახელმწიფო ზრუნვაში და შემდეგ გააშვილეს. მოგვიანებით მან სცადა თავისი ბიოლოგიური მშობლების და ძმების ვინაობის გაგება. მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან იგი დაიბადა სპეციალური პროცედურების ფარგლებში, რომლის საფუძველზეც დედას შეეძლო საკუთარი ვინაობა ანონიმურად დაეტოვებინა. მომჩივანი დავობდა, რომ მას არ შეეძლო თავისი ბიოლოგიური ოჯახის შესახებ ინფორმაციის მიღება და შესაბამისად ეს მას ზიანს აყენებდა, რადგან ვერ ახერხებდა საკუთარი ცხოვრების ისტორიის აღდგენას. მან ასევე განაცხადა, რომ საფრანგეთში კონფიდენციალურობის შესახებ მოქმედი წესები იყო დისკრიმინაციული დაბადების ნიშნით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვის დაბადება, კონკრეტულად კი ის გარემოებები, რომელშიც ის დაიბადა, წარმოადგენდა ბავშვის და შემდგომში ზრდასრული ადამიანის პირადი ცხოვრების შემადგენელ ნაწილს, რომელიც დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით. მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადგინდა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება), კერძოდ, იმაზე დაყრდნობით, რომ მომჩივანს მიეცა წვდომა დედისა და ბიოლოგიური ოჯახის შესახებ არაიდენტიფიცირებად ინფორმაციაზე, რაც მას საშუალებას აძლევდა გამოეკვლია წარმომავლობა და ამავე დროს, უზრუნველყოფდა მესამე მხარის ინტერესების დაცვასაც. ამასთან, 2002 წელს მიღებული უახლესი კანონის საფუძველზე,

შესაძლებელი გახდა კონფიდენციალურობის მოთხოვნაზე უარის თქმა და ბიოლოგიური წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მოძიება. ამ კანონის მეშვეობით მომჩივანს შეეძლო მოეთხოვა დედის ვინაობის გამჟღავნება ამ უკანასკნელის თანხმობით, იმისათვის, რომ დედის პირადი მონაცემების დაცვის და მომჩივნის ლეგიტიმური მოთხოვნა სამართლიანად შეფერებულყო. ამდენად, საფრანგეთის კანონმდებლობა შეეცადა ბალანსის დამყარებას და დაპირისპირებულ ინტერესებს შორის საკმარისი პროპორციის უზრუნველყოფას. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აღვლილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას კონვენციის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, მომჩივანი არ განიცდიდა დისკრიმინაციას ფილიაციასთან დაკავშირებით, რადგან მას ოჯახური კავშირები ჰქონდა მშვილბლებთან და შესაბამისად, სამომავლო ინტერესი მათ ქონებასა და საკუთრებაზე. მეტიც, მომჩივნის სიტუაცია ბიოლოგიურ დედასთან მიმართებაში ვერ იქნება იმ ბავშვების სიტუაციის მსგავსი, რომელთაც რეალურად ჰქონდათ დამყარებული ოჯახური კავშირები ბიოლოგიურ დედასთან.

### **გოდელი იტალიის წინააღმდეგ**

#### **Godelli v. Italy**

მოცემული საქმე შეეხებოდა ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას და დედისგან მიტოვებული პირის მიერ საკუთარ ბიოლოგიურ ოჯახზე არაიდენტიფიცირებადი ინფორმაციის მიღების შეუძლებლობას. მომჩივნის განცხადებით, მას სერიოზული ზიანი მიაღდა იმის გამო, რომ არ იცოდა თავისი პირადი ისტორია, არ შეეძლო წინაპრების მოძიება ისე, რომ დაცული ყოფილიყო მესამე მხარის ინტერესები.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ არ დამყარებულა სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ ინტერესებს შორის, ვინაიდან იტალიის კანონმდებლობა ისეთ საქმეებში სადაც დედას არ ჰქონდა საკუთარი ვინაობის გამხელის სურვილი, დაბადებისას ოფიციალურად არ აღიარებულ და შემდგომში შვილად აყვანილ ბავშვს არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ მოეთხოვა არაიდენტიფიცირებადი ინფორმაცია საკუთარ წარმომავლობაზე ან მოეთხოვა დედის ვინაობის გამხელა ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.

ახალშობილი ბავშვის საავადმყოფოდან გაუჩინარება

### **ზორიკა ჯოვანოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ**

#### **Zorica Jovanović v. Serbia**

საქმე შეეხებოდა 1983 წელს მომჩივნის ახალშობილი ჯანმრთელი ვაჟის სავარაუდო გარდაცვალებას სახელმწიფო საავადმყოფოში. მას საკუთარი ვაჟის სხეულის ნახვის უფლებაც კი არ მისცეს და შესაბამისად ეჭვი გაუჩნდა, რომ ბავშვი სავარაუდოდ ცოცხალი და არაკანონიერად გაშვილებული იყო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოებში სადაც ახალშობილები ილუპებოდნენ პროცედურა გაუმჯობესებული იყო და



პარლამენტს მომზადებული ჰქონდა ანგარიშები გაუჩინარებული ჩვილების საქმეების გამოსადიებლად, მაინც არაფერი გაკეთებულა იმ ზიანის გამოსასწორებლად, რაც მშობლებს და მომჩივანს წარსულში მიაღვათ. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი დაექვემდებარა ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების განგრძობად დარღვევას, რადგან სერბეთი მას არ აძლევდა სანდო ინფორმაციას, იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა მის ვაჟიშვილს. სხვა პოტენციური მომჩივნების მნიშვნელოვანი რაოდენობის მხედველობაში მიღებით, კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) თანახმად, სასამართლომ დაადგინა, რომ სერბეთს უნდა მიეღო ზომები, რათა გაეცათ სარწმუნო და სანდო ინფორმაცია, იმასთან დაკავშირებით, თუ რა დაემართა თითოეულ გაუჩინარებულ ბავშვს და უზრუნველყოთ მშობლები ადეკვატური კომპენსაციით.

ფილიაცია

### **მარკქსი ბელგიის წინააღმდეგ**

#### **Marckx v. Belgium**

მოცემულ საქმეში, გაუთხოვარი ბელგიელი დედა დავობდა, რომ ის და მისი შვილი ვერ სარგებლობდნენ ქორწინებაში მყოფი დედების და მათი შვილების მსგავსი უფლებებით. სხვა საკითხებთან ერთად, მომჩივანს უნდა ეცნო თავისი შვილი (ან სასამართლო პროცესი წამოეწყო) მათი კავშირის (ფილიაციის) დადასტურების მიზნით (დაქორწინებულ დედებს შეეძლოთ გამოეყენებინათ დაბადების მოწმობა). ცნობის საფუძველზე მას შეეზღუდა შვილისთვის ქონების დატოვების შესაძლებლობა. ბავშვს, დედის ოჯახს, ბებიას და დეიდას შორის არ ჩამოყალიბებულა სამართლებრივი კავშირი. იმისათვის, რომ ბავშვს ჰქონოდა კანონიერი შვილის მსგავსი უფლებები, დედა უნდა დაქორწინებულიყო და შემდეგ ეშვილებინა თავისი გოგონა (ან მონაწილეობა მიეღო ლეგიტიმაციის პროცესში).

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. ამასთან, ორივე მომჩივანთან მიმართებით დაადგინა მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-8 მუხლთან ერთად შემდეგი გარემოებების გამო: დელობრივი კუთვნილების დადგენის, დედის ოჯახთან სამართლებრივი კავშირის არარსებობის, მისი მემკვიდრეობის უფლებების და დედის თავისუფლების, აირჩიოს როგორ განკარგოს საკუთარი ქონება. გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ბელგიის პარლამენტში განიხილებოდა კანონპროექტი დაქორწინებული და დაუქორწინებელი მშობლების შვილებს შორის არსებული განსხვავებული მიდგომის აღმოსაფხვრელად.

### **რასმუსენი დანიის წინააღმდეგ**

#### **Rasmussen v. Denmark**

მოცემულ საქმეში მომჩივანს ცოლთან დაშორების შემდეგ არ შეეძლო მამობის დადგენის ფაქტის გასაჩივრება, რადგან 1960 წლის კანონი დროში ზღუდავდა მამის უფლებას გაესაჩივრებინა ქორწინების პერიოდში დაბადებული ბავშვის მამობის დადგენის საკითხი, თუმცა ბავშვის დედას ნებისმიერ დროს ჰქონდა გასაჩივრების უფლება.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-8 მუხლები (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), ვინაიდან ამ საკითხთან დაკავშირებული განსხვავებული მოპყრობა მეუღლეებს შორის განპირობებული იყო იმ მოსაზრებით, რომ ცოლისთვის ფილიაციის დროში შეზღუდვა ნაკლებად იყო საჭირო ქმართან შედარებით. დედის ინტერესები ძირითადად ემთხვეოდა ბავშვის ინტერესებს და შესაბამისად, მას უფრო ხშირად უწესდებოდა მეურვეობა განქორწინების ან მეუღლესთან დაშორების შემთხვევაში. 1982 წელს დანიის პარლამენტმა შეცვალა მოქმედი ნორმები რადგან მიიჩნია, რომ 1960 წლის აქტი აღარ შეესაბამებოდა საზოგადოებაში განვითარებულ მოვლენებს. შედეგად, ვერ დავასკვნით, რომ ის რის საფუძველზეც 22 წლის წინ ფასდებოდა სიტუაცია გაუმართლებელი მდიგომა იყო.

### **კრონი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ**

#### **Kroon and Others v. the Netherlands**

მოცემულ საქმეში ხელისუფლებამ უარი თქვა მომჩივნის შვილის მამად მისი პარტნიორის აღიარებაზე. მომჩივანს საკუთარ მეუღლესთან რამდენიმე წლის მანძილზე არანაირი კონტაქტი არ ჰქონია, თუმცა განქორწინების პროცედურა ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ დასრულდა, შესაბამისად, ბავშვი დაარეგისტრირეს როგორც მისი მეუღლის შვილი.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, იმაზე მითითებით, რომ ცნება „ოჯახური ცხოვრება“ არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინებაზე დაფუძნებული ურთიერთობებით და შესაძლებელია მოიცავდეს სხვა „ოჯახურ კავშირებსაც“. როდესაც დადგინდება ბავშვთან ოჯახური კავშირის არსებობა, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ამ კავშირის განვითარება და შექმნას სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ბავშვის ოჯახში ინტეგრაციას დაბადების მომენტიდან ან ნებისმიერ ხელსაყრელ დროს, რაც შეიძლება მალე.

### **X, Y და Z დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (no. 21830/93)**

#### **X, Y and Z v. the United Kingdom (no. 21830/93)**

პირველი მომჩივანი, X, ტრანსსექსუალი, რომელიც თავდაპირველად ქალი იყო და შემდეგ კაცი გახდა, ცხოვრობდა მეორე მომჩივან ქალთან Y-სთან ერთად სტაბილურ და მუდმივ ურთიერთობაში. მესამე მომჩივანი Z, ღონორის დახმარებით, ხელოვნური განაყოფიერების გზით შეეძინა მეორე მომჩივანს. მომჩივნები დავობდნენ, რომ X არ აღიარეს Z-ს მამად და მათი განცხადებით აღნიშნული შემთხვევა დისკრიმინაცია იყო.

სასამართლომ მომჩივანთა შორის არსებული დე ფაქტო ოჯახური კავშირების გათვალისწინებით, დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ვრცელდებოდა მოცემულ საქმეზე. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას: გამომდინარე იქედან, რომ ტრანსსექსუალობამ წარმოშვა რთული სამეცნიერო, იურიდიული, მორალური და სოციალური საკითხები, რომელთა მიმართ არ არსებობდა მსგავსი მიდგომები ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის. სასამართლოს აზრით, ამ კონტექსტში, მე-8 მუხლი არ შეიძლება

მოპასუხე სახელმწიფოს ავალდებულებდეს ოფიციალურად აღიაროს ბავშვის მამად პირი, რომელიც არ არის მისი ბიოლოგიური მამა. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა ოფიციალურად არ ცნობს ურთიერთობას X-სა და Z-ს შორის არ შეიძლება გულისხმობდეს, იმას რომ ვერ მოხერხდა ოჯახური ცხოვრების დაცულობის უზრუნველყოფა.

### **მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ**

#### **Mikulić v. Croatia**

მოცემულ საქმეში ქორწინების გარეშე დაბადებულმა ბავშვმა დედასთან ერთად, აღძრა სარჩელი მამის წინააღმდეგ. მომჩივანი დავობდა, რომ ხორვატიის კანონმდებლობა არ ავალდებულებდა მამაკაცებს, რომელთა წინააღმდეგ საჩივრები იყო წარდგენილი, დამორჩილებოდნენ სასამართლოს ბრძანებებს და გაეკეთებინათ დნმ-ის ტესტი. ამასთან, მომჩივანი აცხადებდა, რომ ის ფაქტი, რომ ეროვნული სასამართლოები მოკლებულები იყვნენ განეხილათ მისი საჩივარი, მას საკუთარი ვინაობის დადგენის შესაძლებლობას ართმევდა. მეტიც, დავობდა პროცედურის ხანგრძლივობაზე და პროცესის დაჩქარების ეფექტური საშუალების არარსებობაზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მამობის დადგენის შესახებ განცხადების განხილვის დროს, ეროვნულ სასამართლოს ევალეზობდა ბავშვის ძირითადი ინტერესების გათვალისწინება. მოცემულ საქმეში დადგინდა, რომ შესაბამისი პროცედურებით ვერ იქნა დამყარებული სამართლიანი ბალანსი მომჩივნის უფლებას, დაედგინა საკუთარი ვინაობა რაიმე სახის გაჭიანურების გარეშე სავარაუდო მამის უფლებას შორის, არ გაეკეთებინა დნმ-ის ტესტი. შესაბამისად, სასამართლოს არაეფექტიანობამ მომჩივანი ხანგრძლივად დატოვა გაურკვევლობაში საკუთარ ვინაობასთან დაკავშირებით. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის (გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) დარღვევა.

### **მიჯი მალტას წინააღმდეგ**

#### **Mizzi v. Malta**

მომჩივნის მეუღლე 1996 წელს დაფეხმძიმდა. მომდევნო წელს წყვილი ერთმანეთს დაშორდა. მალტას კანონმდებლობის თანახმად, მომჩივანი ავტომატურად აღიარეს იმ პერიოდში დაბადებული ბავშვის მამად და დაარეგისტრირეს როგორც მისი ბიოლოგიური მშობელი. მოგვიანებით დნმ-ის ტესტის საფუძველზე, მომჩივანი არ აღმოჩნდა ბავშვის ბიოლოგიური მამა. მან სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძველზე სცადა მამობის აღიარების გაუქმება, თუმცა წარუმატებლად. აცხადებდა, რომ მას შეეზღუდა სასამართლოზე ხელმისაწვდომობა და უტყუარი ვარაუდი იმისა, რომ ის ბავშვის მამა იყო უთანაბრდებოდა მისი პირად და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას. ამასთან, აცხადებდა, რომ დაექვემდებარა დისკრიმინაციას, რადგან მამობის დადგენის საქმეებში სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ არ ყოფილა გამოყენებული მსგავსი მკაცრი პირობები და შეზღუდვები.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა, რადგან მომჩივანმა პრაქტიკულად ვერ შეეძლო მამობაზე უარის

თქმა ბავშვის დაბადებიდან დღემდე, რითაც დაერღვა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, იმის გათვალისწინებით, რომ ვერ დამყარდა სამართლიანი ბალანსი ოჯახური ურთიერთობების სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვის საერთო ინტერესსა და მომჩივნის უფლებას შორის გადაეხედათ მამობის საკითხისათვის მტკიცებულების გათვალისწინებით. და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-6 და მე-8 მუხლებთან ერთად: იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის მიმართ გამოყენებულ იქნა ისეთი ვადები, რომლებიც არ ვრცელდებოდა სხვა „დაინტერესებულ მხარეებზე“. სასამართლომ დაადგინა, რომ ვადების მკაცრმა გამოყენებამ, მალტას საკონსტიტუციო სასამართლოს უართან ერთად დაეშვა გამონაკლისი, მომჩივანს შეუზღუდა მე-6 და მე-8 მუხლებით გარანტირებული უფლებები, რომლითაც სარგებლობდნენ სხვა დაინტერესებული მხარეები.

### **ჩავდაროვი ბულგარეთის წინააღმდეგ Chavdarov v. Bulgaria**

მოცემულ საქმეში მამაკაცს არ მიეცა მამობის დადგენის უფლება სამ ბავშვთან მიმართებით, რომლებიც მას ქორწინებაში მყოფ ქალთან თანაცხოვრების დროს შეეძინა.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), რადგან არ დარღვეულა სამართლიანი ბალანსი საზოგადოების ინტერესსა და დაინტერესებულ პირთა ინტერესებს შორის. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლება არ იყო პასუხისმგებელი მომჩივნის უმოქმედობაზე, ესარგებლა ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობებით იმისათვის, რომ დაედგინა მამობრივი კავშირი შვილებთან ან დაედგინა ამ კავშირის არარსებობით გამოწვეული პრაქტიკული უარყოფითი მხარეები. ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა ბავშვის ლეგიტიმური ინტერესების პატივისცემას.

### **კრუშკოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ Krušković v. Croatia**

მომჩივანი დავობდა, რომ მას არ მიეცა უფლება დარეგისტრირებულიყო საკუთარი, ქორწინების გარეშე დაბადებული ბიოლოგიური შვილის, მამად. მომჩივანს აწუხებდა პიროვნული დარღვევები რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ნარკოტიკებზე დამოკიდებული. ფსიქიატრის რეკომენდაციის საფუძველზე, მას ქმედუნარიანობა ჩამორთმეული ჰქონდა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, ვინაიდან, მომჩივნის განცხადების იგნორირებით, რომ ის იყო ბავშვის ბიოლოგიური მამა, ხორვატიის სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება დაეცვა მომჩივნის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. კერძოდ, მან აღნიშნა რომ ორწლიანხვედრის განმავლობაში იმ მომენტიდან როდესაც მან განცხადება წარადგინა სააგენტოში და დაიწყო საქმისწარმოება ეროვნული სასამართლოების წინაშე მამობის დადგენის მიზნით, იგი პრაქტიკულად აღმოჩნდა სამართლებრივ ვაკუუმში. მოთხოვნის განიხილვაზე უარი უთხრეს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზის მითითების გარეშე.

სასამართლომ არ გაიზიარა, რომ ქმედებები განხორციელდა მამის ინტერესს, რომელსაც ჰქონდა სურვილი დაედგინა სიმართლე მისი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო და ბავშვის ინტერესს შორის, მიეღო ინფორმაცია მის იდენტობასთან დაკავშირებით.

### **არენსი გერმანიის წინააღმდეგ და კაუცორი გერმანიის წინააღმდეგ**

#### **Ahrens v. Germany and Kautzor v. Germany**

მოცემულ საქმეებში გერმანიის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს ორი მამაკაცის უფლება, გაესაჩივრებინათ სხვა მამაკაცის მამობა პირველი მომჩივნის ბიოლოგიურ ქალიშვილზე ხოლო მეორე შემთხვევაში, არ დააკმაყოფილეს უფლება გასაჩივრებულიყო მეორე მამაკაცის მამობა სავარაუდო ბიოლოგიურ ბავშვზე.

ორივე საქმეში სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილებები, არ დაეკმაყოფილებინათ მომჩივანთა მოთხოვნა მამობის კანონიერად დადგენის შესახებ, წარმოადგენდა მომჩივნების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას. ამავე დროს, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, კონვენციის მე-8 მუხლის გაგებთ, არ წარმოადგენდა მათი ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩარევას, რადგან ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის ახლო ურთიერთობებს მომჩივნებსა და ბავშვებს შორის. სასამართლომ, ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში და მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება რომლის საფუძველზეც უპირატესობა მიენიჭა ბავშვის კანონიერ მშობლებთან და არა ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობას, რამდენადაც ეს გადაწყვეტილება ეხებოდა იურიდიულ სტატუსს, ექცეოდა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში.

### **ოსტასი რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **Ostace v. Romania**

მოცემულ საქმეში მომჩივანს სურდა სასამართლოს ხელმეორედ განეხილა საქმე რომლის საფუძველზეც მას მოპოვებული ჰქონდა ბავშვზე მამობის უფლება, ხოლო სასამართლოს გარეშე ექსპერტიზა საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. აღნიშნულ მოთხოვნაზე მას უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ სასამართლოში საქმისწარმოების დაწყების დროს ეს დოკუმენტი არ არსებობდა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. კერძოდ, მიიჩნია, რომ მომჩივანს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე არ ჰქონდა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მზად იყო გაეთვალისწინებინა, რომ გასაჩივრების დაუშვებლობა განპირობებული იყო საზოგადოების უსაფრთხოების ლეგიტიმური ინტერესით, ოჯახური ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფისა და ბავშვის ინტერესების დაცვით, სასამართლომ ჩამოუყალიბდა შეხედულება, რომ მამობის დადგენის საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნის დაუშვებლად ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მხარეს სურდა ბავშვის წარმომავლობის შესახებ სიმართლის დადგენა, ხელისუფლებამ ერთმანეთთან დაპირისპირებულ ინტერესებს შორის ვერ დაამყარა სამართლიანი ბალანსი.

**მენესონი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ და ლაბასი საფრანგეთის წინააღმდეგ**  
**Mennesson and Others v. France and Labassee v. France**

მოცემული საქმე შეეხებოდა მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობის სამართლებრივი აღიარების დაკმაყოფილებაზე უარს, რომელიც ლეგალურად შეიქმნა აშშ-ში, სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და წყვილებს შორის, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი მკურნალობა. კერძოდ, მომჩივნები დავობდნენ, რომ ბავშვის ინტერესების საზიანოდ საფრანგეთში არ მოხდა საზღვარგარეთ კანონიერად დამყარებული ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის აღიარება.

ორივე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), რომელიც შეეხებოდა მომჩივნის უფლებას დაცული ყოფილიყო მისი ოჯახური ცხოვრება. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ბავშვების მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება. სასამართლომ დაასკვნა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ, რომ აშშ-ში ბავშვები ცნეს მენესონებისა და ლაბასების შვილებად, საფრანგეთის კანონმდებლობით მათ უარი ეთქვათ ამ სტატუსზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ წინააღმდეგობამ ბავშვებს ხელი შეუშალა ფრანგულ საზოგადოებაში თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ პრეცედენტული სამართალი სრულიად გამორიცხავდა სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას საზღვარგარეთ კანონიერი სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვებსა და მათ ბიოლოგიურ მამას შორის. აღნიშნულმა გადაწყვეტებამ სახელმწიფოთა მიერ თავისუფალი შეფასების ფარგლებს, სურაგაციასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით.

**დ. და სხვები ბელგიის წინააღმდეგ**  
**D. and Others v. Belgium**

მოცემულ საქმეში ბელგიის ხელისუფლებამ უარი განაცხადა უკრაინაში სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვისთვის ქვეყანაში შესვლის ნებართვის გაცემაზე იმისათვის, რომ მას ბელგიის ორ მოქალაქესთან ერთად ეცხოვრა. მომჩივნები ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-3 მუხლს (წამების აკრძალვა) და მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).

საჩივრის შეტანის შემდეგ, საქმეში განვითარებული მოვლენების მხედველობაში მიღებით, კერძოდ, ბელგიაში ჩასვლის უფლების მინიჭების შემდეგ, ბავშვი ცხოვრობდა მომჩივნებთან ერთად. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის ეს ნაწილი გადაწყვეტილი იყო და მომჩივნების საჩივარი, რომელიც შეეხებოდა ბელგიის მთავრობის მიერ ბავშვისთვის სამეზავრო დოკუმენტის გაცემაზე უარს, ამოიღო განსახილველი საკითხების სიიდან. სასამართლომ ასევე დაუშვებლად ცნო საჩივრის დანარჩენი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ უარი განაცხადა დაედასტურებინა მომჩივნების ბავშვთან ოჯახური ცხოვრების უფლება, სანამ მომჩივნებმა არ წარადგინეს საკმარისი მტკიცებულებები, რასაც შედეგად მოჰყვა ბავშვის მომჩივნებთან ხანგრძლივი განშორება და გაუთანაბრდა მათ ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას, აღნიშნულის მიუხედავად, ბელგია მოქმედებდა თავისი ფართო დისკრეციით (თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებით) გადაწყვეტა აღნიშნული საკითხი. სასამართლომ

ასევე მიიჩნია, რომ მომჩივნებისგან მოშორებით ყოფნის პერიოდში ბავშვი არ დაქვემდებარება ისეთ მოპყრობას, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს.

### **მანდეთი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Mandet v. France**

მოცემული საქმე შეეხებოდა დედის მეუღლის მიერ ბავშვის მამობის აღიარების გაუქმებას, ბიოლოგიური მამის მოთხოვნის საფუძველზე. მომჩივნები - დედა, მისი მეუღლე და ბავშვი - დავობდნენ, მამობის აღიარების და ბავშვის კანონიერ შვილად ცნობის გაუქმებას. კერძოდ, მათ მიიჩნიეს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით გატარებული ზომები არაპროპორციული იყო, მათ აღნიშნეს, რომ რამდენიმე წლიანი კანონიერი ურთიერთობა მშობელსა და შვილს შორის ისევე როგორც ბავშვის ემოციური სტაბილურობა, უნდა შენარჩუნებულიყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება). კერძოდ, აღნიშნა, რომ საფრანგეთის სასამართლოების გადაწყვეტილებებში განხილული იყო ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამ მიდგომით, ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი დედის მეუღლეს აღიქვამდა საკუთარ მამად, მისი ინტერესი იყო სცოდნოდა სიმართლე საკუთარი წარმომავლობის შესახებ. ამ გადაწყვეტილებებით არ მომხდარა ბიოლოგიური მამის ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება ბავშვის ინტერესებთან შედარებით, არამედ დადგინდა, რომ ბავშვის ინტერესები და ბიოლოგიური მამის ინტერესები ნაწილობრივ ემთხვეოდა ერთმანეთს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დედისათვის მშობლის პასუხისმგებლობის დაკისრებით, საფრანგეთის სასამართლოების გადაწყვეტილებებს ბავშვისთვის ხელი არ შეუშლიათ გაეგრძელებინა ცხოვრება მანდეტების ოჯახში, მისი სურვილის შესაბამისად.

### **ლ.დ. და ფ.კ. ბულგარეთის წინააღმდეგ**

#### **L.D. and P.K. v. Bulgaria**

მოცემულ საქმეში მომჩივნები აცხადებდნენ, რომ იყვნენ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მშობლები. მათ სურდათ გაესარჩინებინათ სხვა ორი მამაკაცის მამობის აღიარება და მოეპოვებინათ მამობის უფლება ბავშვებზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მომჩივანთა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება, ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობით შეუძლებელი იყო ბავშვზე მამობის დადგენა, მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა მამაკაცებს უკვე აღიარებული ყავდათ ბავშვები საკუთარ შვილებათ ყოველგვარი განსაკუთრებული გარემოების გარეშე და სხვადასხვა პირის (ბავშვი, დედა, კანონიერი მამა და მამაკაცი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბავშვის ბიოლოგიური მამა იყო) ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

## მიფსუდი მალტის წინააღმდეგ

### **Mifsud v. Malta**

მომჩივანი<sup>16</sup> დავობდა, რომ მას სასამართლოს ბრძანებით დაევალა ღმ-ის ტექსტის გაკეთება მამობის აღიარების სადავო საქმის ფარგლებში.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას, ვინაიდან ეროვნულმა სასამართლოებმა დაამყარეს სამართლიანი ბალანსი მომჩივნის უფლებებსა და იმ ქალის უფლებებს შორის, რომელიც ცდილობდა დაედგინა, რომ მომჩივანი მამამისი იყო. კერძოდ, პირველი ინსტანციის და საკონსტიტუციო იურისდიქციის მქონე სასამართლოებმა განიხილეს მომჩივნის უარყოფითი პოზიცია ღმ-ის ტექსტის გაკეთებასთან დაკავშირებით, თუმცა არ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა და აიძულეს აღნიშნული პროცედურის ჩატარება.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ (მოთხოვნის ნომერი: 16-2018-001) მოითხოვა საკონსულტაციო დასკვნა ეროვნულ კანონმდებლობაში საზღვარგარეთ გესტაციური სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის და მომავალი დედის ურთიერთობის სამართლებრივი აღიარების შესახებ.

**საკონსულტაციო დასკვნა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ მოთხოვნილი მშობლისა და შვილის კანონიერი ურთიერთობის აღიარებასთან დაკავშირებით უცხოეთში გესტაციური სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვსა და სავარაუდო დედას შორის (მოთხოვნა № P16-2018-001)**

### **10 აპრილი 2019 (დიდი პალატა)**

მოცემული საქმე შეეხებოდა საზღვარგარეთ გესტაციური სუროგაციით დაბადებული ბავშვის და მომავალი დედის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებას ეროვნულ კანონმდებლობაში. მომავალი დედა საზღვარგარეთ გაცემულ დაბადების მოწმობაში მითითებული იყო როგორც „კანონიერი დედა“. ბავშვი მესამე მხარის დონორის კვერცხუჯრედის გამოყენების საფუძველზე ჩაისახა, სამართლებრივი ურთიერთობა მომავალ მამასთან აღიარებული იყო ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე.

სასამართლომ დაადგინა რომ სახელმწიფოები არ არიან ვალდებული დაარეგისტრირონ საზღვარგარეთ გესტაციური სუროგაციით დაბადებული ბავშვის მონაცემები დაბადების მოწმობაში იმისათვის, რომ მშობელსა და შვილს შორის დამყარდეს კანონიერი ურთიერთობა, რადგან შვილად აყვანა შეიძლება ასევე მივიჩნიოთ ამგვარი ურთიერთობის აღიარების საშუალებად. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთ სიტუაციაში, როდესაც ბავშვი საზღვარგარეთ გესტაციური სუროგაციის შეთანხმების შედეგად დაიბადა და მისი ჩასახვა განხორციელდა სავარაუდო მამის და დონორის გამეტოგენეზის გამოყენებით. იქ სადაც ბავშვისა და სავარაუდო მამის სამართლებრივი ურთიერთობა აღიარებულია ეროვნულ კანონმდებლობაში,

<sup>16</sup> მომჩივანი გარდაიცვალა 2017 წლის დეკემბერში, საჩივარი შეიტანა მისმა ქვრივმა.



1. ბავშვის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებიდან მომდინარეობს ვალდებულება, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ უზრუნველყოს მშობლის, ვინც საზღვარგარეთ გაცემული დაბადების მოწმობის საფუძველზე „კანონიერ დედა“ იქნა მითითებული და შვილს შორის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება

2. ბავშვის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება არ მოითხოვს, რომ ამგვარი აღიარება განხორციელდეს დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების მოწმობაში საზღვარგარეთ სამართლებრივად დადასტურებული დაბადების დეტალების ასახვის საფუძველზე. შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა საშუალება, როგორცაა ბავშვის შვილად აყვანა მომავალი დედის მიერ.

### **C და E საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **C and E v. France**

მოცემულ საქმეში საფრანგეთის ხელისუფლებამ უარი თქვა საფრანგეთის დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მოწმობებში საზღვარგარეთ გესტაციური სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ყველა დეტალის ასახვაზე, ბავშვი ჩასახული იყო მამის და ღონორის გამეტოგენეზის გამოყენებით, დაბადების მოწმობაში მომავალი დედა მითითებული იყო როგორც „კანონიერი დედა“.

სასამართლომ ორი საჩივარი დაუშვებლად ცნო ამკარად დაუსაბუთებლობის გამო. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთის ხელისუფლების უარი არ ყოფილა არაპროპორციული, რადგან ეროვნული კანონმდებლობით არსებობდა შესაძლებლობა მომჩივნის შვილებსა და მომავალ დედას შორის მომხდარიყო სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება, ბავშვის შვილად აყვანის საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღების საშუალო დრო სრული შვილად აყვანის შემთხვევაში 4.1 თვე იყო, ხოლო 4.7 თვე გამარტივებული შვილად აყვანის შემთხვევაში.

### **D საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **D v. France**

მოცემულ საქმეში საფრანგეთის ხელისუფლებამ უარი განაცხადა საფრანგეთის დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მოწმობებში აესახა იმ ბავშვის დაბადების მოწმობაში მითითებული მონაცემები, რომელიც საზღვარგარეთ გესტაციური სუროგაციის გზით დაიბადა იმდენად, რამდენადაც დაბადების მოწმობაში მომავალი დედა მითითებული იყო როგორც ბავშვის დედა, ვინც ასევე იყო ბავშვის გენეტიკური მშობელი. ბავშვი, საქმეში მესამე მომჩივანი 2012 წელს დაიბადა უკრაინაში. არასრულწლოვნის კიევში გაცემულ დაბადების მოწმობაში პირველი მომჩივანი ასახული იყო როგორც ბავშვის დედა, ხოლო მეორე მომჩივანი როგორც ბავშვის მამა, იმ პირის ხსენების გარეშე ვისაც არასრულწლოვანი შეეძინა. პირველი მომჩივნები, ცოლქმარი და ბავშვი დავობდნენ, რომ დაირღვა ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება და რომ ბავშვი დაექვემდებარა დისკრიმინაციას „დაბადების“ ნიშნით.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), რადგან საფრანგეთი მოცემულ საქმეში არ გასცდენია შეფასების ზღვარს, როდესაც მესამე მომჩივანს არ დაუკმაყოფილა მოთხოვნა უკრაინული დაბადების

მოწმობის დეტალების ფრანგულ დაბადების რეესტრში (რამდენადაც იგი პირველ მომჩივანს ასახელებდა ბავშვის დედად) ასახვაზე. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან განსხვავებულ მოპყრობას, რომელზეც მომჩივნები დავობდნენ ბავშვებსა და მათ ბიოლოგიურ დედას შორის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების საშუალებებთან დაკავშირებით, ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება. თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ მან აღრე უკვე გამოითანა გადაწყვეტილება ბავშვსა და სავარაუდო მამას შორის კანონიერი ურთიერთობის თაობაზე, სადაც ეს უკანასკნელი იყო ბიოლოგიური მამა (ზემოთ იხილეთ გადაწყვეტილება *Mennesson* და *LabaSSee*). სასამართლომ პრეცედენტული სამართლის თანახმად, გენეტიკური კავშირის არსებობა არ ნიშნავს, იმას რომ ბავშვის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება მოითხოვს მამასთან სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას, უცხო ქვეყნის დაბადების მოწმობის დეტალების ჩაწერის გზით. წინამდებარე საქმის გარემოებებში სასამართლომ ვერ დაინახა რაიმე საფუძველი, რომ მიეღო განსხვავებული გადაწყვეტილება მომავალ დედასთან, რომელიც ბავშვის ბიოლოგიური დედა იყო, სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებასთან დაკავშირებით. სასამართლომ ასევე მიუთითა თავის საკონსულტაციო დასკვნაზე no. 16-2018-001 (იხილეთ ზემოთ), რომ შეილად აყვანას ჰქონდა უცხო ქვეყნის დაბადების დეტალების რეგისტრაციის მსგავსი ეფექტი, როდესაც საქმე ეხება ბავშვსა და მომავალ დედას შორის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებას.

### **კოჩევი ბულგარეთის წინააღმდეგ**

#### **Koychev v. Bulgaria**

მოცემულ საქმეში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ის იყო ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის ბიოლოგიური მამა და დავობდა, რომ მას უარი ეთქვა მამობის აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან ბავშვის მამად უკვე იყო აღიარებული სხვა პირი, კერძოდ, დედის ახალი მეუღლე.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანთან მიმართებაში დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება). კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მომჩივანი უშედეგოდ ცდილობდა ბავშვის მამად აღიარების მოპოვებას, მამობის აღიარების შესახებ ნოტარიულად დამოწმებული განცხადების წარდგენით, რამდენიმე სასამართლო პროცესის დაწყებით და პროკურატურასთან და სოციალური დაცვის სამსახურებთან ურთიერთობის წამოწყებით. სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში იმსჯელეს იმ მიზეზებზე რომლებიც, მათი აზრით, ამართლებდნენ მომჩივნისთვის ბავშვის მამად აღიარებაზე უარის თქმას, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა აღნიშნული გადაწყვეტილებები, სათანადოდ ვერ იცავდა მომჩივნის ინტერესებს, არ იძლეოდა ფაქტების დეტალური შესწავლის შესაძლებლობას ან დაპირისპირებული ინტერესების ბალანსირების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს საკითხებზე სახელმწიფოს აქვს თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები, მომჩივნის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება არ ყოფილა დაცული.

### **ვალდის ფჯოლნისდოტირი და სხვები ისლანდიის წინააღმდეგ**

#### **Valdís Fjölvisdóttir and Others v. Iceland**

მოცემულ საქმეში პირველ ორ და მესამე მომჩივანს უარი ეთქვათ მშობლის უფლების აღიარებაზე იმ ბავშვთან მიმართებით, რომელიც სუროგაციის გზით შეეძინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პირველი და მეორე მომჩივნები იყვნენ მესამე მომჩივნის მომავალი მშობლები, თუმცა არც ერთ მათგანს ბავშვთან არ ჰქონია ბიოლოგიური კავშირი. ისლანდიაში, სადაც სუროგაცია არალეგალურია, ისინი არ აღიარეს ბავშვის მშობლებად. მომჩივნები დავობდნენ, რომ ხელისუფლების უარი, რომ დაერიგისტრირებინათ პირველი ორი მომჩივანი მესამე მომჩივნის მშობლებად, უთანაბრებდა მათ უფლებებში ჩარევას.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებს შორის არ არსებობდა ბიოლოგიური კავშირი, მათ შორის მაინც არსებობდა „ოჯახური ცხოვრება“. სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილებას რომლითაც პირველი ორი მომჩივანი არ ცნეს მესამე მომჩივნის მშობლებად, ჰქონდა საკმარისი საფუძველი ეროვნულ სამართალში და იმ ძალისხმევის მხედველობაში მიღებით რაც ხელისუფლებამ გასწია ამ „ოჯახური ცხოვრების“ შენარჩუნებისთვის, მიიჩნია, რომ ისლანდია წინამდებარე საქმეში მოქმედებდა დისკრეციის ფარგლებში.

მშობლის უფლებამოსილება, ბავშვზე მეურვეობა და ურთიერთობის უფლებით სარგებლობა

### **ჰოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ**

#### **Hoffmann v. Austria**

მოცემული საქმეში მომჩივანს ჩამოერთვა მშობლის უფლებები (მას შემდეგ, რაც განქორწინდა იმ კაცთან რომლისგანაც ორი შვილი ჰყავდა) იმ მიზეზით, რომ მომჩივანი იეპოვას მოწმე იყო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (დისკრიმინაციის აკრძალვა), რადგან მშობლის უფლების ჩამორთმევა ეფუძნებოდა რელიგიური მოსაზრებებიდან მომდინარე განსხვავებას.

### **სალგუეირო და სილვა მოუტა პორტუგალიის წინააღმდეგ**

#### **Salgueiro da Silva Mouta v. Portugal**

მომჩივანს – ჰომოსექსუალი, რომელიც სხვა მამაკაცთან ერთად ცხოვრობდა – ყოფილმა მეუღლემ ხელი შეუშალა ქალიშვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობაში, რითაც დაარღვია განქორწინებისას მიღწეული შეთანხმება. მომჩივანი დავობდა, რომ განხორციელდა ჩარევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური პატივისცემის უფლებაში და მიუთითებდა დისკრიმინაციაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-14 მუხლს. ამასთან,

ამტკიცებდა, რომ სააპელაციო სასამართლო მას მე-8 მუხლის საწინააღმდეგოდ აიძულებდა ქალიშვილის მონახულების დროს დაეძალა თავისი ჰომოსექსუალობა.

სასამართლომ დაადგინა, კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ერთობლიობაში. პორტუგალიის სასამართლოების გადაწყვეტილება ძირითადად ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ მოძივანი ჰომოსექსუალი იყო და რომ „ბავშვი უნდა ცხოვრობდეს ტრადიციულ პორტუგალიურ ოჯახში“. კონვენციის საფუძველზე მიუღებელია განსხვავება, რომელიც ეფუძნება სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს.

### **პალაუ-მარტინეზი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Palau-Martinez v. France**

მოძივანმა, იეჰოვას მოწმემ, განაცხადა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება საფუძველზე რომელის თანახმად მის ორ შვილს მამასთან ერთად უნდა ეცხოვრა, წარმოადგენდა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას და დისკრიმინაციული იყო.

გამოყენებულ საშუალებებსა და მიზანს შორის გონივრული პროპორციულობის არარსებობის გამო, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება). სასამართლომ მიიჩნია, რომ როდესაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვებს მამასთან ერთად უნდა ეცხოვრათ, ისინი უკვე ცხოვრობდნენ დედასთან თითქმის სამ წელიწად-ნახევარის განმავლობაში. გარდა ამისა, იმ პირობების შესწავლისას, რომელშიც მოძივანმა და მისმა ყოფილმა მეუღლემ აღზარდეს ბავშვები, სააპელაციო სასამართლო განსხვავებულად მოეპყრო მშობლებს მოძივანის რელიგიიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პრინციპების სიმკაცრის გათვალისწინებით, რომელსაც სავარაუდოდ რელიგია ითვალისწინებდა. სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მხოლოდ ზოგადი მოსაზრებების საფუძველზე, დედასთან ბავშვების საცხოვრებელ პირობებსა და მათ რეალურ ინტერესებს შორის კავშირის დადგენის გარეშე. მიუხედავად მისი რელევანტურობისა ეს მსჯელობა არ იქნა საკმარისად მიჩნეული.

### **ზაუნეგერი გერმანიის წინააღმდეგ**

#### **Zaunegger v. Germany**

მოძივანი, რომლის შვილი ქორწინების გარეშე დაიბადა, დავობდა, რომ განქორწინებული მამებისა და დედებისგან განსხვავებით, გერმანიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მისთვის ერთობლივი მეურვეობის დაწესების შესაძლებლობას დედის თანხმობის გარეშე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), რადგან მიიჩნია, რომ არ არსებობდა გონივრული პროპორციულობა დედისთვის ერთპიროვნული მეურვეობის დაწესების სასამართლო განხილვის გამორიცხვასა და დასახულ მიზანს, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, შორის. სასამართლოს თანახმად, შეიძლება არსებობდეს საფუძველიანი მიზეზები ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთან მიმართებით მამის მშობლის უფლებების შეზღუდვისთვის, მაგალითად,

თუ მშობლებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა საფრთხეს უქმნის ბავშვის კეთილდღეობას. ეს მოსაზრებები არ მიესადაგება წინამდებარე საქმეს ვინაიდან მომჩივანი რეგულარულად აგრძელებდა ბავშვზე ზრუნვას.

### **პ.ვ. ესპანეთის წინააღმდეგ**

#### **P.V. v. Spain**

მოცემული საქმე შეეხება ტრანსექსუალს, რომელსაც სქესის შეცვლამდე, 1998 წელს გაჟი შეეძინა. წყვილი 2002 წელს დაშორდა. მომჩივანს სასამართლომ დაუწესა შეზღუდვა შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით იმის გამო, რომ მიიჩნია, რომ მას ჰქონდა ემოციური არასტაბილურობა სქესის შეცვლის შემდეგ რასაც შეიძლებოდა 6 წლის ბავშვისთვის ზიანის მიყენების რისკი გამოეწვია.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (დისკრიმინაციის აკრძალვა). სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის შეზღუდვა არ იყო განპირობებული მომჩივნის მიმართ დისკრიმინაციით, ტრანსექსუალიზმის საფუძველზე. ესპანეთის სასამართლოებმა გადაწყვეტილება შეზღუდვის დაწესებასთან დაკავშირებით, მომჩივნის დროებითი ემოციური არასტაბილურობის გათვალისწინებით მიიღეს, რაც ბავშვის კეთილდღეობის დაცვით იყო განპირობებული. მათ მიიღეს ზომები, რომელიც საშუალებას მისცემდა ბავშვს ეტაპობრივად შეჩვეოდა მამის სქესის ცვლილებას.

### **ანაიო გერმანიის წინააღმდეგ**

#### **Anayo v. Germany**

მოცემულ საქმეში გერმანიის სასამართლოებმა მომჩივანს არ დაუკმაყოფილეს თხოვნა თავისი ბიოლოგიური ტყუპი შვილების მონახულების შესახებ, რომელთანაც მას არასდროს უცხოვრია.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ არ იმსჯელა საკითხზე, იქნებოდა თუ არა ტყუპებსა და მომჩივანს შორის ურთიერთობა ბავშვების საუკეთესო ინტერესი.

### **შნეიდერი გერმანიის წინააღმდეგ**

#### **Schneider v. Germany**

მოცემულ საქმეში გერმანიის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მომჩივნის თხოვნა თავის არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით. მომჩივნის თქმით ბავშვი მისი ბიოლოგიური შვილი იყო ხოლო მისი კანონიერი მამა დედაზე იყო დაქორწინებული.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვერ გაიზიარებდა მოსაზრებას, რომ არ არსებობდა „ოჯახური ცხოვრება“. მართალია ვერ დადგინდა, რომ მომჩივანი ნამდვილად იყო ბავშვის ბიოლოგიური მამა და რომ მათ შორის არასდროს ყოფილა ახლო პირადი

ურთიერთობები, თუმცა საკითხი ეხებოდა ჰქონდა თუ არა მომჩივანს ბავშვთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის უფლება ან მასზე ინფორმაციის მიღების უფლება, მიუხედავად „ოჯახური ცხოვრების“ არსებობისა. აღნიშნული უკავშირდებოდა მომჩივნის ვინაობას და შესაბამისად მის „პირად ცხოვრებას“.

#### **დიამანტე და პელიჩონი სან მარინოს წინააღმდეგ**

##### **Diamante and Pelliccioni v. San Marino**

მოცემულ საქმეში მშობლის უფლებამოსილება და ბავშვზე მეურვეობის უფლება დაუწესდათ იტალიელ დედას და სან-მარინოს მოქალაქე მამას. მომჩივნებმა, დედამ და შვილმა გაასაჩივრეს გადაწყვეტილება რომელიც საფუძველზეც ბავშვი სან-მარინოში უნდა დაბრუნებულიყო, იმისათვის, რომ იქ მამასთან ერთად ეცხოვრა და ესწავლა ადგილობრივ სკოლაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას. ზოგადად, ეროვნულმა სასამართლოებმა სამართალწარმოება სათანადო გულმოდგინებით აწარმოეს; გამოყენებული ღონისძიება მისდევდა ბავშვის და მშობლების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს; ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ისევე როგორც ოჯახის მდგომარეობა მხედველობაში იყო მიღებული.

#### **ლიუბენოვა ბულგარეთის წინააღმდეგ**

##### **Lyubenova v. Bulgaria**

მოცემული საქმე ეხებოდა დედის მეურვეობის უფლებას, რომელმაც ბავშვი თავის დედამთილ-მამამთილს დროებით მიანდო. მომჩივანს ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაუკმაყოფილეს თხოვნა ბავშვის დაბრუნების შესახებ. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებამ არ გაატარა საჭირო ღონისძიებები არასრულწლოვან შვილთან გაერთიანების (დაბრუნების) ხელშეწყობის მიზნით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, მიიჩნია, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო პოზიტიური ვალდებულების განხორციელება კერძოდ, ვერ უზრუნველყო აუცილებელი ზომების მიღება მომჩივნის და მისი შვილის ოჯახური ცხოვრების დასაცავად.

#### **ჯენგიზ კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ**

##### **Cengiz Kılıç v. Turkey**

მოცემულ საქმეში, განქორწინების პროცესის განმავლობაში, მომჩივანს არ ჰქონდა შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. ის დავობდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ მიიღო აუცილებელი ზომები, იმისათვის, რომ მას შეენარჩუნებინა ურთიერთობა შვილთან ასევე ხელისუფლებამ არ აღმოფხვრა ურთიერთობის უფლებასთან დაკავშირებული დაბრკოლებები მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, რომლის საფუძველზეც მას მინიჭებული ჰქონდა აღნიშნული უფლება. ამასთან, დავობდა განქორწინების პროცესის ხანგრძლივობას და ეფექტიანი საშუალებების არარსებობას, რომელიც მას საქმის გონივრულ ვადაში განხილვის შესაძლებლობას მისცემდა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთის ხელისუფლებას არ გაუტარებია ყველა ის პრაქტიკული ღონისძიება რაც შეიძლება მისგან გონივრულად მოსალოდნელი ყოფილიყო და შესაბამისად არ შეუსრულებია მე-8 მუხლით ნაკისრი ვალდებულებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სამართლებრივი სისტემა არ ითვალისწინებდა სამოქალაქო მედიაციას, რომლის არსებობაც სასურველი იქნებოდა როგორც საშუალება რომელიც ხელს შეუწყობდა ყველა დაინტერესებულ პირს შორის თანამშრომლობას. ამასთან დაკავშირებით მიუთითა ევროპის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე No.R(98) 1 საოჯახო მედიაციის<sup>17</sup> შესახებ სადაც ნათქვამია, რომ საოჯახო მედიაციას შეუძლია გააუმჯობესოს კომუნიკაცია ოჯახის წევრებს შორის, შეამციროს კონფლიქტი დაპირისპირებულ მხარეებს შორის, ხელი შეუწყოს დავის მეგობრულ გადაწყვეტას, უზრუნველოს კონტაქტის უწყვეტობა მშობლებსა და შვილებს შორის და შეამციროს განქორწინების ეკონომიკური ხარჯები მხარეებისთვის და სახელმწიფოსთვის. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის (გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევას და მიიჩნია, იმის გათვალისწინებით, თუ რა საკითხი განიხილებოდა სამართალწარმოების განმავლობაში კერძოდ, მშობლების განქორწინება და აღნიშნულის გავლენა მომჩივნის მიერ შვილთან ურთიერთობაზე, სამართალწარმოების ხანგრძლივობა არ შეიძლება გონივრულად მიჩნეულიყო. ის ფაქტი, რომ თურქეთის სამართლებრივი სისტემა არ აძლევდა მხარეებს საქმისწარმოების ხანგრძლივობის გასაჩივრების უფლებას, სასამართლომ მიიჩნია მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) დარღვევად კონვენციის 6 § 1 მუხლთან ერთობლიობაში.

### **კოპფი და ლიბერდა ავსტრიის წინააღმდეგ**

#### **Kopf and Liberda v. Austria**

1997 წლის დეკემბრიდან 2001 წლის ოქტომბრამდე დაქორწინებული მომჩივნები იყვნენ 1995 წელს დაბადებული ბიჭის აღმზრდელი მშობლები. მას შემდეგ, რაც ბიოლოგიურმა დედამ ბავშვზე მეურვეობის უფლება აღიდგინა, მომჩივნებს აეკრძალათ არასრულწლოვანთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის და მისი მონახულების უფლება. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ სამ წელიწად-ნახევარიანი სამართალწარმოების შედეგად ავსტრიის სასამართლოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ მათთვის ბავშვთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის მინიჭება აღარ შედიოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებში.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა და მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის სასამართლოებმა გადაწყვეტილების მიღებისას სამართლიანი ბალანსი დაამყარეს ბავშვისა და აღმზრდელი მშობლების დაპირისპირებულ ინტერესებს შორის, მათ საკმარისად სწრაფად არ

<sup>17</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (98) წევრი ქვეყნებისათვის საოჯახო მედიაციის შესახებ, რომელიც მინისტრთა კომიტეტმა მიიღო 1998 წლის 21 იანვარს, მინისტრთა მოადგილეების 616-ე შეხვედრაზე.

განიხილეს მომჩივნების მოთხოვნა ყოფილი აღსაზრდელის მონახულების უფლებასთან დაკავშირებით.

### **სანტოს ნუნესი პორტუგალიის წინააღმდეგ**

#### **Santos Nunes v. Portugal**

მომჩივანი დავობდა, რომ პორტუგალიის ხელისუფლების უმოქმედობის, გულმოდგინების ნაკლებობის და საქმის გაჭიანურების გამო, არ მომხდარა იმ გადაწყვეტილების აღსრულება რომლის საფუძველზეც მას შვილზე მეურვეობის უფლება ჰქონდა დაწესებული. დედამ შვილი მზრუნველობაში გადასცა წყვილს, რომლებმაც უარი თქვეს მისთვის ბავშვის უკან დაბრუნებაზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. კერძოდ, დაადგინა, რომ ამ საქმეში ხელისუფლების წინაშე არსებობდა უჩვეულო სიტუაცია, რომელიც სცილდებოდა ბიოლოგიურ მშობლებს შორის ან სახელმწიფოსთან დავას, აღნიშნული არ ათავისუფლებდა სახელმწიფოს გაეწია ძალისხმევა მომჩივნისთვის ბავშვზე მეურვეობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად.

### **ვოინიტი უნგრეთის წინააღმდეგ**

#### **Vojnity v. Hungary**

მოცემულ საქმეში არასრულწლოვნის მამას ჩამოერთვა ბავშვთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის უფლება იმ მოტივით რომ მისი რელიგიური მრწამსი საზიანო იყო შვილის აღზრდისთვის. კერძოდ, მომჩივანი დავობდა, რომ ბავშვთან ურთიერთობის უფლების შეზღუდვა ეფუძნებოდა მის რელიგიურ მრწამსს და ადგილი ჰქონდა მის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებსაც ბავშვთან ურთიერთობის უფლება ჰქონდათ განქორწინების შემდეგ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ერთად. სასამართლომ მიიჩნია, რომ უნგრეთის სასამართლოებმა ვერ შეძლეს იმის დადგენა, რომ მამასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა შედიოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებში, რომლის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების თვალსაზრისით. შესაბამისად, არ არსებობდა რაიმე საგამონაკლისო გარემოება რაც გაამართლებდა ამგვარი რადიკალური ღონისძიების გამოყენებას, როგორცაა ყველგვარი სახის კონტაქტისა და ოჯახური ცხოვრების გაწყვეტა მომჩივანსა და მის ვაჟს შორის.

### **კუპინგერი (No2) გერმანიის წინააღმდეგ**

#### **Kuppinger (no. 2) v. Germany**

მოცემულ საქმეში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამა დავობდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურები, რომლის საფუძველზეც მას ბავშვთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის უფლება მიენიჭა იყო ხანგრძლივი და არაეფექტიანი.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა 2010 წლის განჩინების აღუსრულებლობის გამო, რომლის



საფუძველზეც მომჩივანს შვილის ნახვის უფლება მიენიჭა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გერმანიის ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეფექტიანი ღონისძიებების გატარება მოცემული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ მომხდარა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა 2010 წლის ურთიერთობის უფლებით სარგებლობის შესახებ ბრძანების აღსრულებასთან მიმართებით და ურთიერთობის უფლებით სარგებლობის წესების განხილვის პროცედურებთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების უფლება) დარღვევა კონვენციის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, კერძოდ, მიიჩნია, რომ მომჩივანს გერმანული სამართლის მიხედვით არ ჰქონდა გაჭიანურებული სამართალწარმოების წინააღმდეგ ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა, რომელიც ფულადი ანაზღაურების მიღების და შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის პროცედურების დაჩქარების შესაძლებლობას მისცემდა.

### **ნაზარენკო რუსეთის წინააღმდეგ**

#### **Nazarenko v. Russia**

მოცემულ საქმეში მომჩივანს შეეზღუდა შვილთან ერთად ცხოვრების უფლება. მას მშობლის უფლება მას შემდეგ ჩამოართვეს, რაც ცნობილი გახდა, რომ ის არ იყო ბავშვის ბიოლოგიური მამა. მომჩივანი დავობდა, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევით მას შეეზღუდა შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის და ბავშვის ინტერესების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო ოჯახური კავშირის შენარჩუნება მომჩივანსა და ბავშვს შორის, რომელთაც ჩამოუყალიბდათ ახლო ემოციური კავშირი, რადგან სწამდათ რომ მამა-შვილი იყვნენ. მომჩივნის სრული და ავტომატური განდევნა ბავშვის ცხოვრებიდან, მას შემდეგ, რაც მას ჩამოერთვა მშობლის უფლება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების გარეშე - ეროვნული სამართლის მოუქნელობის შედეგად - უთანაბრდებოდა მომჩივნის ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევას. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაადგინონ არის თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესი პირთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობა, მიუხედავად იმისა არის თუ არა ესა თუ ის პირი მასთან ბიოლოგიურად დაკავშირებული.

### **ბონდავალი იტალიის წინააღმდეგ**

#### **Bondavalli v. Italy**

მოცემულ საქმეში მომჩივანმა ვერ შეძლო შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობა, რადგან სკანდინავოს სოციალურმა სამსახურმა მასთან დაკავშირებით უარყოფითი დასკვნა მოამზადა. აღნიშნულ სამსახურთან ბავშვის დედას პროფესიული კავშირები ჰქონდა. მომჩივანი დავობდა, რომ სოციალურ სამსახურებს ფართო ავტონომია ჰქონდათ ბოლონის არასრულწლოვანთა სასამართლოს გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის მიმართულებით. ამასთან, მომჩივანმა გააკრიტიკა სასამართლო, რადგან ის რეგულარულ ზედამხედველობას არ უწევდა სოციალური სამსახურების მუშაობას.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, იმაზე მითითებით, რომ იტალიის ხელისუფლებას არ გაუტარებია შესაბამისი და ეფექტიანი ღონისძიებები მომჩივნის შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მიერ წარდგენილი რამდენიმე განცხადების და მის მიერ გაკეთებული შეფასებების მიუხედავად, რომლის თანახმად მას არ ჰქონდა ფსიქოლოგიური პრობლემები, ეროვნულმა სასამართლოებმა მაინც გააგრძელეს სკანდინოს სოციალური სამსახურისთვის მომჩივნის შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის ზედამხედველობის უფლებამოსილების მინიჭება. ამასთან, მომჩივნის უფლებების დაცვის და მისი ინტერესების მხედველობაში მისაღებად, ეროვნულ სასამართლოებს არ გაუტარებიათ საჭირო ღონისძიებები. იმის გათვალისწინებით, რომ დროის გასვლამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ბავშვის და მამის ურთიერთობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლება ვალდებული იყო ბავშვის საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებით, ხელშეწყობა და დროულად განეხილა მომჩივნის შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის საკითხი.

#### **კოჩეროვი და სერგეევა რუსეთის წინააღმდეგ**

#### **Kocherov and Sergeeva v. Russia**

მოცემულ საქმეში მომჩივნები - მამა და შვილი დავობდნენ პირველი მომჩივნისთვის მშობლის უფლების შეზღუდვას მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ რუსეთის სასამართლოების მიერ პირველი მომჩივნისთვის მშობლის უფლებების შეზღუდვა არ ეფუძნებოდა საკმარის მიზეზებს მომჩივნის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევის გასამართლებლად, რაც ასევე იყო არაპროპორციული ლეგიტიმურ მისაღწევ მიზანთან მიმართებით.

#### **კაცპერ ნოვაკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ**

#### **Kacper Nowakowski v. Poland**

მოცემული საქმე შეეხება ყრუ-მუნჯი და სმენა დაქვეითებული მამის შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობას. მომჩივანს არ დაუკმაყოფილეს მოთხოვნა შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის შესახებ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა და მიიჩნია, რომ მშობლებს შორის არსებული დაპირისპირების მხედველობაში მიღებით, პოლონეთის სასამართლოებისთვის გადაწყვეტილების მიღება ბავშვთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით ადვილი არ იქნებოდა, თუმცა მათ უნდა გაეტარებინათ ღონისძიებები მხარეთა დაპირისპირებული ინტერესების შეჯერების მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის ინტერესები უპირატესი იქნებოდა. ეროვნულმა სასამართლოებმა არ გამოიყენეს ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობა, ხელი შეეწყობთ მომჩივნისთვის შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობაში. ამასთან, მათ არ განახორციელეს ისეთი ღონისძიებები, რაც მეტად იქნებოდა ადაპტირებული მომჩივნის

შეზღუდულ შესაძლებლობებთან. მაგალითად, იმ ექსპერტების დასკვნის მიღება, რომლებიც ერკვევიან სმენა დაქვეითებული ადამიანების პრობლემებში. მართლაც, სასამართლოები დაეყრდნენ ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას, რომელშიც საუბარი იყო მამის შვილთან კომუნიკაციის ბარიერზე, თუმცა არაფერი გაკეთებულა ამ დაბრკოლების აღმოფხვრის მიზნით.

### **მ.კ. საბერძნეთის წინააღმდეგ**

#### **M.K. v. Greece**

მოცემულ საქმეში მომჩივანს, ორი შვილის დედას, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დაუწესდა მეურვეობის უფლება ბავშვზე (A), არ შეეძლო ამ უფლებით სარგებლობა. ის საფრანგეთში ცხოვრობდა, ხოლო მისი ყოფილი მეუღლე საბერძნეთში, მათ ორ შვილთან ერთად. მომჩივანი დავობდა, რომ საბერძნეთის ხელისუფლებამ არ ცნო საფრანგეთის სასამართლოების მიერ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება მეურვეობის უფლების დაწესებასთან დაკავშირებით. ამასთან, მომჩივანი აცხადებდა, რომ ხელისუფლებამ ხელი არ შეუწყო ბავშვის საფრანგეთში დაბრუნებას და არ გაატარა ღონისძიებები წარდგენილი საჩივრების შესაბამისად, რომ მისმა ყოფილმა მეუღლემ ბავშვი გაიტაცა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას, რადგან მიიჩნია, რომ საბერძნეთის ხელისუფლებამ ყველა შესაბამისი ზომები გაატარა მე-8 მუხლიდან მომდინარე პოზიტიური ვალდებულებების შესრულების მიზნით. მათ მხედველობაში მიიღეს ოჯახში არსებული მდგომარეობა, მის გარშემო არსებული ცვლილებები და ორივე ბავშვის, განსაკუთრებით კი (A)-ს ინტერესები. A-მ, რომელიც იმ პერიოდში 13 წლის იყო, საბერძნეთის ხელისუფლების წარმომადგენლების წინაშე გამოხატა მამასთან და ძმასთან დარჩენის სურვილი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვის სურვილი, რომელსაც ჰქონდა გააზრების უნარი, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ნებისმიერი სასამართლო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოების დროს. ბავშვის უფლება მოუსმინონ საოჯახო დავის ფარგლებში და მიეცეს მასში მონაწილეობის უფლება, გათვალისწინებული იყო სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. კერძოდ, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციის მე-13 მუხლი ითვალისწინებს ხელისუფლების ორგანოების უფლებას, უარი თქვან ბავშვის დაბრუნებაზე, თუ ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება დაბრუნებას და მიაღწია შესაბამის ასაკს და მოწიფულობას, როდესაც მიზანშეწონილია მისი მოსაზრებების გათვალისწინება.

### **ბონაუდი და ლეკოკი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Bonnaud and Lecoq v. France**

მოცემულ საქმეში მომჩივნებს, ორ თანაცხოვრებაში მყოფ ქალბატონს, სურდათ სამედიცინო რეპროდუქციის შედეგად დაბადებულ ბავშვებზე მშობლის უფლების ერთობლივად განხორციელება. მომჩივნები აცხადებენ, რომ უარი თითოეულ მათგანზე მომხდარიყო მშობლის უფლების დელეგირება ეფუძნებოდა მათ სექსუალურ ორიენტაციას და წარმოადგენდა უფლებაში გაუმართლებელ და არაპროპორციულ ჩარევას.

სასამართლომ გადაწყვიტა მომჩივნების მდგომარეობა შეეფასებინა მათ დაშორებამდე და დაშორების შემდეგ, 2012 წლის დასაწყისში. მომჩივნების დაშორებამდე არსებული სიტუაციის შეფასებისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო სააპელაციო სასამართლოს შეფასება (რომელიც შემდგომში ძალაში დატოვა საკასაციო სასამართლომ), რომლის საფუძველზეც ორივე მომჩივნის მიერ მშობლის უფლების ერთობლივად განხორციელებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები ვერ კმაყოფილდებოდა, არ გამოვლენილა განსხვავებული მოპყრობა მათი სექსუალური ორიენტაციიდან გამომდინარე. შესაბამისად, სასამართლომ როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია. რაც შეეხება მომჩივნების მდგომარეობას მათი დაშორების შემდეგ, სასამართლომ უარი თქვა ამ ნაწილის განხილვაზე, რადგან ნაადრევად მიიჩნია.

### **ანტკოვიაკი პოლონეთის წინააღმდეგ**

#### **Antkowiak v. Poland**

მოცემულ საქმეში არსებობდა მეურვეობის შესახებ დავა მომავალ მშობლებსა და ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებს შორის. მომჩივნებს სურდათ შვილად აეყვანათ ბავშვი, რომლის დედამ ფეხმძიმობისას გამოხატა თანხმობა გაეშვილებინა თავისი შვილი. თუმცა, მოგვიანებით, მას შემდეგ რაც ბავშვი დაიბადა მან აზრი შეიცვალა. დაბადების შემდეგ, 2011 წლიდან ბავშვი იმყოფებოდა მომჩივანი წყვილის მზრუნველობის ქვეშ. სასამართლოს წინაშე, მომჩივნები დავობდნენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მიიღეს გადაწყვეტილება ბავშვებს დაეტოვებინათ მომჩივნები და საცხოვრებლად განთავსებულიყვნენ ბიოლოგიურ მშობლებთან.

სასამართლომ საჩივარი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი დაუშვებლად მიიჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მხედველობაში მიიღო ის ემოციური ზიანი რაც მომჩივან წყვილს სასამართლოს გადაწყვეტილებით მიადგა დაადინა, რომ ეროვნული სასამართლოები მუდმივად ბავშვის საუკეთესო ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ. კერძოდ, ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება არ იყო დაგვიანებული და რომ ეს ერთადერთი საშუალება იყო არსებული დავის გრძელვადიან პერსპექტივაში გადასაჭრელად, მომავალში ემოციური დაძაბულობის აღმოსაფხვრელად. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში მიიღეს ყველა მონაწილე მხარის მოსაზრება, ისევე როგორც ექსპერტების განსხვავებული დასკვნები და ჩვენებები, ამგვარად სამართლიანი ბალანსი დაამყარეს დაპირისპირებულ რთულ და სენსიტიურ ინტერესებს შორის.

### **რ. ი. და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **R.I. and Others v. Romania**

მოცემულ საქმეში ქალმა (პირველი მომჩივანი), რომელსაც დაუწესდა მეურვეობა თავის ორ შვილზე, ვერ შეძლო გადაწყვეტიების აღსრულება, რადგან ბავშვები მამასთან აგრძელებდნენ ცხოვრებას. პირველი მომჩივანი დავობდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს მეურვეობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება და არასრულწლოვნის დაცვა მამის მხრიდან გამომდინარე ფსიქოლოგიურ ძალადობისგან.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ მხედველობაში მიიღო ხელისუფლების

ორგანოების რთული მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო მამის, და ბავშვების წინააღმდეგობით (სავარაუდოდ, მამის გავლენით), სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არ იმოქმედეს გონივრულად და დროულად მეურვეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად. ხელისუფლების ორგანოებმა ყურადღება არ გაამახვილეს დაშორების შემდეგ, მომჩივნის შვილთან ურთიერთობის გაწვევტაზე ან მამის მანიპულაციურ ხასიათზე. შესაბამისად, მთლიანობაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ მომხდარა მომჩივნების უფლებების ეფექტიანი დაცვა.

### **ზელიხა მაგომადოვა რუსეთის წინააღმდეგ**

#### **Zelikhha Magomadova v. Russia**

მოცემულ საქმეში ქვრივს ნათესავებმა არ მისცეს თავის ექვს არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. მომჩივანს ასევე ჩამოერთვა მშობლის უფლებები. 2010 წელს, მაზლმა მომჩივანი იძულებით დააშორა შვილებს. მას შემდეგ ბავშვები მომჩივნის მეუღლის ოჯახში ცხოვრობენ და მას არ აძლევდნენ შვილებთან ურთიერთობის უფლებას. მაზლმა მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის მიზნით, სამჯერ წამოიწყო სასამართლო დავა. რომელიც 2013 წელს მას შემდეგ დაკმაყოფილდა, რაც ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს იმ პირველი ორი გადაწყვეტილების აღსრულება, რომლის საფუძველზეც ბავშვების საცხოვრებელი ადგილი დედასთან განისაზღვრა და მომჩივანთან მიენიჭა ბავშვებთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ მომჩივნისთვის მშობლის უფლებების ჩამორთმევა თვითნებური და უკიდურესად არაპროპორციული იყო, და რომ კონვენციით დაცულ ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებაში ამგვარი თვითნებური ჩარევა არ უნდა ხდებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც ეფუძნება კანონის უზენაესობას. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მდგომარეობასთან დაკავშირებით ხელისუფლება არა მარტო უმოქმედო იყო, არამედ პასუხისმგებლობა დააკისრა და საბოლოოდ მშობლის უფლება ჩამოართვა მას, მაშინ როდესაც კარგად იცოდა, რომ მომჩივანს სურდა საკუთარ შვილებთან ურთიერთობა და მათზე ზრუნვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების მსჯელობა, რომ მომჩივანი არ ცდილობდა საკუთარ შვილებთან ურთიერთობას და არ ეხმარებოდა მათ ფინანსურად, იყო არაგონივრული და უკიდურესად თვითნებურად იქნა მიჩნეული.

### **სტანკუნაიტე ლიეტუვას წინააღმდეგ**

#### **Stankūnaitė v. Lithuania**

მოცემულ საქმეში მომჩივანს აღძრული ჰქონდა საჩივარი ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებით და იმ ფაქტთან მიმართებით, რომ მას არასრულწლოვანი არ უბრუნებოდა მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის გამოძიება (ყოფილი პარტნიორი ბრალს დებდა ბავშვზე სექსუალური შევიწროვებაში თანამონაწილეობას) უკვე შეწყვეტილი იყო. ამასთან, დავობდა, მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ბავშვის დაბრუნების დაყოვნებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას რადგან მიიჩნია, რომ ლიეტუვას ხელისუფლება მოქმედებდა სათანადო გულმოდგინებით: პირველ რიგში, ისინი უნდა დალოდებოდნენ მომჩივნის გამართლებას ბავშვის მიმართ სავარაუდო სექსუალურ შევიწროებაში თანამონაწილეობის ბრალდებაში. მას შემდეგ, რაც ეს ბრალდება არ დადასტურდა, სასამართლოებმა იმსჯელეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გარშემო და მიიღეს გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მომჩივანთან დაბრუნების შესახებ. ხელისუფლება წააწყდა წინააღმდეგობას ოჯახის სხვა წევრების მხრიდან, როდესაც ბავშვის გადაცემის საჭიროება დადგა დღის წესრიგში, თუმცა მათ საბოლოოდ წარმატებით განახორციელეს ყველა აუცილებელი ღონისძიება იმისათვის, რომ გამკლავებოდნენ ამ ექსტრემალურად რთულ ვითარებას.

### **ლუზი იტალიის წინააღმდეგ**

#### **Luzi v. Italy**

მომჩივანი დავობდა, რომ დაირღვა მისი ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, რადგან მიუხედავად რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილების არსებობისა, მას 8 წლის განმავლობაში შეზღუდული ჰქონდა თავის არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ დედის წინააღმდეგობის ფონზე, რომელიც 8 წლის განმავლობაში გრძელდებოდა იტალიის ხელისუფლებას არ განუხორციელებია მოქმედებები მომჩივნის შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, რის გამოც დაარღვია მისი ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.

### **სინტა რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **Cînta v. Romania**

მოცემულ საქმეში მომჩივანს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეზღუდული ჰქონდა შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. ის დავობდა, რომ არასრულწლოვანთან ურთიერთობისთვის დადგენილი ჰქონდა შეზღუდული დრო და გარემოებები. აცხადებდა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, რადგან მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლის საფუძველზეც მომჩივანს ნაწილობრივ შეეზღუდა შვილთან ურთიერთობის უფლება ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ მას ფსიქიკური დაავადება ჰქონდა. სასამართლოების გადაწყვეტილებით მომჩივანს ბავშვთან ურთიერთობა შეეძლო კვირაში მხოლოდ ორჯერ, განცალკევებით მცხოვრები მეუღლის თანდასწრებით, რომელთანაც ცხოვრობდა არასრულწლოვანი. სასამართლოებმა ვერ შეაფასეს, რატომ იყო მომჩივნის ფსიქიკური ჯანმრთელობა მისთვის შვილთან ურთიერთობის უფლების შეზღუდვის მიზეზი,

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, რომ მას არ შეეძლო საკუთარ შვილზე ზრუნვა. სასამართლომ ასევე არ შეაფასა ბრალდებები, რომ ბავშვი მომჩივნის მზრუნველობის ქვეშ უსაფრთხოდ არ იქნებოდა, არც ურთიერთობის ალტერნატიული ფორმები შეუფასებია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის ფსიქიკური ავადმყოფობა, იმთავითვე ვერ გაამართლებდა მის მიმართ სხვა მშობლებისაგან განსხვავებულ მოპყრობას, რომლებსაც ასევე სურდათ შვილებთან ურთიერთობა. მომჩივანს არასრულწლოვანთან ურთიერთობის უფლება მას შემდეგ შეეზღუდა, რაც სასამართლოებმა მის მიმართ განსხვავებული მიდგომა იქონიეს ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო, რისთვისაც მათ არ უხელმძღვანელებიათ მნიშვნელოვანი და საკმარისი მიზეზებით. მოცემულ საქმეში მომჩივანმა წარმოადგინა დისკრიმინაციის პრიმა ფაციე შემთხვევა, რისი უარყოფაც მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეძლო.

### **Y.I. რუსეთის წინააღმდეგ**

#### **Y.I. v. Russia**

მოცემულ საქმეში მომჩივანს ნარკოდამოკიდებულების გამო ჩამოართვეს მშობლის უფლება თავის სამ არასრულწლოვან შვილზე. რუსეთის ფედერაციის საოჯახო სამართლის შესაბამისად, ნარკოდამოკიდებულება მშობლის უფლების ჩამორთმევის და ბავშვთან ყოველგვარი ურთიერთობის შეზღუდვის საფუძველია.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ვერ წარმოაჩინა წარმოადგენდა თუ არა მომჩივნისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ყველაზე მისაღებ ვერსიას და რომ აღნიშნული ღონისძიება არ იყო პროპორციული. სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისად ვერ დაასაბუთეს ასეთი მკაცრი ზომების მიღების საჭიროება მაშინ, როდესაც ეროვნული სამართლის საფუძველზე არსებობდა პრობლემის მოგვარების სხვა ნაკლებად რადიკალური ზომა. ამასთან, ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს ის ფაქტი, რომ მომჩივანს არ ჰქონია ბავშვების უგულვებელყოფის ისტორია, დაწყებული ჰქონდა რეაბილიტაცია და არ ჰქონია მიღებული მხარდაჭერა ან გაფრთხილება ნარკოდამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

### **ჰონერი საფრანგეთის წინააღმდეგ**

#### **Honner v. France**

მოცემულ საქმეში მომჩივანს უარი ეთქვა იმ ბავშვთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობაზე, რომელიც მის პარტნიორს მასთან თანაცხოვრების პერიოდში რეპროდუქციული მედიცინის დახმარებით ბელგიაში შეეძინა. მომჩივანი ბავშვს აღრეული ასაკიდან ზრდიდა. ის დავობდა, რომ ბავშვთან ურთიერთობის უფლების შეზღუდვით დაირღვა მისი ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას, რადგან მიიჩნია, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ მომჩივნის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა ბავშვის საუკეთესო ინტერესების

საფუძველზე და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილებით სახელმწიფოს არ დაურღვევია პოზიტიური ვალდებულება მომჩივნის ოჯახური ცხოვრების უფლების ეფექტიანად დაცვის შესახებ.

#### **ა.ი. იტალიის წინააღმდეგ**

##### **A.I. v. Italy**

მოცემულ საქმეში მომჩივანი იყო ნიგერიელი ლტოლვილი, ორი შვილის დედა და ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით აეკრძალა ბავშვებთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობა, იმ პერიოდში როდესაც არასრულწლოვნების გაშვილების სამართალწარმოება სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ სამართალწარმოების ფარგლებში, სადაც არასრულწლოვნებთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობა განიხილებოდა არასაკმარისი მნიშვნელობა მიენიჭა მომჩივნის და ბავშვების ოჯახურ ცხოვრებას. სამართალწარმოება არ მიმდინარეობდა უფლებაში ჩარევის სერიოზულობის და ინტერესების დაცვის პროპორციული გარანტიებით. სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ, როგორც სპეციალიზებულმა სასამართლომ, რომელიც შედგება ორი პროფესიონალი და ორი დამხმარე მოსამართლისგან, არ გაითვალისწინა ექსპერტის დასკვნები რომლებიც რეკომენდაციას უწევდნენ ბავშვსა და მომჩივანს შორის ოჯახური კავშირის შენარჩუნებას ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. საქმეში არსებული ინტერესების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებს სამართალწარმოების განმავლობაში უფრო დეტალურად უნდა შეეფასებინათ მომჩივნის დაუცველ მდგომარეობაში ყოფნა.

#### **აბდი იბრაჰიმი ნორვეგიის წინააღმდეგ**

##### **Abdi Ibrahim v. Norway**

მოცემულ საქმეში ნორვეგიის ხელისუფლებამ მიიღო დედის სურვილის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება ბავშვის აღმზრდელ მშობლებზე გაშვილებასთან დაკავშირებით. არასრულწლოვნის დედა, სომალის მოქალაქე, რომელიც საცხოვრებლად ნორვეგიაში გადავიდა, არ ითხოვდა ბავშვის დაბრუნებას, რადგან ის დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა აღმზრდელ მშობლებთან. მას სურდა ბავშვს შეენარჩუნებინა კულტურული და რელიგიური ფესვები. ამასთან, დავობდა მშობლის უფლების ჩამორთმევას და არასრულწლოვნის გაშვილების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას.

დიდმა პალატამ გადაწყვიტა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ფარგლებში განეხილა მომჩივნის სურვილი არასრულწლოვანი გაზრდილიყო მუსლიმური რწმენის შესაბამისად, როგორც განიმარტება და გამოიყენება კონვენციის მე-9 მუხლთან (რელიგიის თავისუფლება) ერთობლიობაში. მოცემულ საქმეში დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ბავშვზე მზრუნველობის ქვეშ მოთავსების გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღო სხვადასხვა ინტერესები, მათ შორის, შეესაბამებოდა თუ არა მიმღები ოჯახი დედის კულტურულ და რელიგიურ წარმომავლობას. თუმცა, დედა-შვილს შორის შეძგომი



ურთიერთობა შეზღუდული იყო და ბავშვის გაშვილებით დასრულდა, რა დროსაც არ მომხდარა დედის ინტერესის გათვალისწინება, შეენარჩუნებინა არასრულწლოვანთან გარკვეული რელიგიური და კულტურული კავშირები. მართლაც, არსებობდა გარკვეული ხარვეზები ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებულ პროცესებში, სადაც არ ყოფილა მხედველობაში მიღებული დედის და ბავშვის ერთობლივი ინტერესები შეენარჩუნებინათ ერთმანეთთან ურთიერთობა.

### **პლაზი შვეიცარიის წინააღმდეგ და როტი შვეიცარიის წინააღმდეგ**

#### **Plazzi v. Switzerland and Roth v. Switzerland**

ორივე საქმე უკავშირდება მომჩივნების ეროვნულ სასამართლოში ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ორგანოს (APEA) მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. პირველი მომჩივნის საქმეში APEA-მ ბავშვის მეურვეობის უფლება დედას დაუწესა და გასცა ნებართვა ბავშვის საზღვარგარეთ ცხოვრებასთან დაკავშირებით. ამასთან, დაადგინა, რომ გასაჩივრება არ გამოიწვევდა მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას. მეორე მომჩივნის საქმეში APEA-მ მიიღო გადაწყვეტილება ბავშვის საზღვარგარეთ დედასთან ცხოვრებასთან დაკავშირებით, რომელსაც ჰქონდა მეურვეობის უპირატესი უფლება, თუმცა მშობლის უფლებებით ასევე სარგებლობდა მომჩივანი. ამასთან, დაადგინა, რომ გასაჩივრება არ გამოიწვევდა მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას. დედის და ბავშვის გამგზავრების შემდეგ, შვეიცარიის სასამართლოებმა უარი თქვეს მომჩივნის სარჩელების განხილვაზე და APEA-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებაზე, იმ საფუძველზე, რომ ბავშვების საცხოვრებელი ადგილის საზღვარგარეთ განსაზღვრით, განხორციელდა მიმღები ქვეყნისთვის საერთაშორისო იურისდიქციის გადაცემა.

ორივე საქმეზე სასამართლომ დაადგინა, კონვენციის 6 § 1 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა და აღნიშნა, რომ ბავშვების საზღვარგარეთ წასვლამდე, მომჩივნებს არ მიუძღრათავთ ეროვნული სასამართლოებისთვის, ადმინისტრაციული ორგანო „APEA“-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არსებითი ნაწილის გასაჩივრების და მოქმედების შეჩერების მიზნით. წინამდებარე საქმეებში სასამართლომ დაადგინდა, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა, რადგან APEA-ს გადაწყვეტილებით მომჩივნების საჩივრებს არ მოჰყვა შემაჩერებელი შედეგი და გამოიწვია ბავშვების საზღვარგარეთ გამგზავრება, რამაც ასევე განაპირობა შვეიცარიის სასამართლოების მიერ ბავშვების მიმღები ქვეყნებისთვის საერთაშორისო იურისდიქციის გადაცემა. ამგვარი შეზღუდვა იყო არაპროპორციული დედის და მომჩივნის ბავშვების ინტერესების დაცვის მიზანთან მიმართებაში, სადავო პროცედურის მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით.

ბავშვების სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ განთავსება

### **კივანი ირლანდიის წინააღმდეგ**

#### **Keegan v. Ireland**

მომჩივანი დავობდა, რომ მისი შვილი მოათავსეს გასაშვილებელ ბავშვთა რიგში მისი თანხმობის გარეშე და რომ მას ეროვნულმა კანონმდებლობამ არ მისცა ბავშვებზე მეურვეობის უფლების მოპოვების შესაძლებლობა. ამასთან, ამტკიცებდა, რომ არ ჰქონია სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა გაშვილების კომისიაში მიმდინარე პროცედურების გასაჩივრების მიზნით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან წინამდებარე საქმეში ირლანდიის კანონმდებლობის საფუძველზე, ბავშვის გასაშვილებლად განთავსება მოხდა მალევე, მომჩივნის თანხმობის გარეშე ისე, რომ მან არაფერი იცოდა ამის შესახებ. ამგვარმა დამოკიდებულებამ არა მხოლოდ გაართულა მომჩივნის ბავშვთან ურთიერთობა, არამედ სათავე დაუდო ისეთ პროცესს, რაც გამოუსწორებელი აღმოჩნდა და შესაბამისად, მომჩივანი არახელსაყრელ მდგომარეობაში ამყოფა ბავშვის მომავალ მშვილბელებთან შედარებით. ირლანდიის მთავრობას არ წარმოუდგენია მიზეზები რაც რელევანტური იქნებოდა მომჩივნის შვილის კეთილდღეობისთვის, იმ პრინციპების ირგვლივ რასაც ითვალისწინებს ოჯახური ურთიერთობების პატივისცემა. შესაბამისად, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ მომჩივნის ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლომ დაადგინა, კონვენციის 6 § 1 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა, რადგან მომჩივანს არ ჰქონდა უფლებები ირლანდიის კანონმდებლობის საფუძველზე იმისათვის, რომ გაესაჩივრებინა განთავსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გაშვილების კომისიის ან სასამართლოს წინაშე. მისი ერთადერთი შესაძლებლობა, რომ ხელი შეეშალა თავისი შვილის გაშვილების პროცესისთვის, იყო მეურვეობის შესახებ დავის დაწყება. მას შემდეგ რაც დასრულდა ეს პროცესები, სასწორი ბავშვის კეთილდღეობის საკითხების ირგვლივ გარდაუვლად გადაიწია მომავალი შვილად ამყვანი პირების მხარეს.

### **თ.პ. და კ.მ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**

#### **T.P. and K.M. v. United Kingdom**

მოცემულ საქმეში 4 წლის გოგონა განთავსდა ადგილობრივი ორგანოების მზრუნველობის ქვეშ. ბავშვი აცხადებდა, რომ მასზე სექსუალურად იძალადეს. ხელისუფლების ორგანოებმა ჩათვალეს, რომ დედას არ ჰქონდა ბავშვის დაცვის შესაძლებლობა. დედა და გოგონა აცხადებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ სასამართლოსთვის მიმართვის ან სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალების გამოყენების შესაძლებლობა იმისათვის, რომ გაესაჩივრებინათ ამგვარი განთავსების საჭიროება, რამაც მათი დაშორება განაპირობა.

სასამართლომ დაადგინა, კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან დედას ჩამოერთვა შვილზე ზრუნვის საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ მომხდარა კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა, რადგან მომჩივნებს არ ჰქონიათ შეზღუდული უფლება მოთხოვნა დაუდევრობით მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ადგილობრივი ორგანოს წინაშე წარედგინათ. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) დარღვევა, რადგან მომჩივნებს არ მიეცათ თავიანთ განცხადებებზე, რომ დაირღვა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება დაცვის შეაძლებლობა. შედეგად, არ ჰქონდათ ზიანის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა.

### **კუთზნერი გერმანიის წინააღმდეგ**

#### **Kutzner v. Germany**

დაქორწინებული მომჩივნები დავობდნენ, რომ მათთვის მშობლის უფლების ჩამორთმევით და ბავშვების მინდობით აღზრდაში განთავსებით, იმ საფუძველით, რომ მშობლებს არ ჰქონდათ ბავშვების აღზრდის ინტელექტუალური შესაძლებლობა, დაირღვა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ მართალია ეროვნული ხელისუფლების ორგანოების და სასამართლოების მიერ მითითებული მიზეზები რელევანტური იყო, აღნიშნული არ იყო საკმარისი მომჩივნის ოჯახური ცხოვრების უფლებაში სერიოზული ჩარევის გასამართლებლად.

### **კ.ა. ფინეთის წინააღმდეგ**

#### **K.A. v. Finland**

მომჩივანი (რომელიც მეუღლესთან ერთად ექვმიტანილი იყო შვილების სექსუალურ ძალადობასა და ინცესტში) დავობდა ბავშვების სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მოთავსებასთან, გადაწყვეტილების მიღების პროცედურასთან და მასზე სახელმწიფო მზრუნველობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა მომჩივნის ოჯახის გაერთიანების მიზნით საკმარისი ზომების მიუღებლობის გამო. ამასთან, მიიჩნია, რომ ბავშვების სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ გადაყვანით და მომჩივნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობით არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

### **ვალოვა და ვალა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ**

#### **Wallová and Walla v. the Czech Republic**

მომჩივნები დავობდნენ, რომ ისინი სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებულ ხუთ შვილს, მხოლოდ იმის გამო დააშორეს, რომ გაუჭირდათ დიდი ოჯახისთვის შესაბამისი საცხოვრებლის მოძიება. ამასთან, აცხადებდნენ, რომ ჩეხეთის ხელისუფლების მხრიდან დახმარება არ მიუღიათ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ მომჩივნის ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების შესახებ ბრძანება მხოლოდ იმის გამო გამოიცა, რომ ოჯახი იმ ხნად არაადეკვატური საცხოვრებლით იყო უზურუნველყოფილი. სოციალური კეთილდღეობის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, ეროვნულ სოციალურ სამსახურებს ჰქონდათ მომჩივნის საცხოვრებელი პირობების და ჰიგიენის მდგომარეობის მონიტორინგის უფლებამოსილება. ამასთან, მათ ჰქონდათ უფლება მიეცათ რჩევა მომჩივნებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ოჯახის წევრების განცალკევება მხოლოდ მატერიალური პრობლემების გამო იყო მეტისმეტად მკაცრი ღონისძიება.

## კეარნსი საფრანგეთის წინააღმდეგ

### **Kearns v. France**

მოცემულ საქმეში მომჩივანი ვადის დარღვევით ითხოვდა თავისი ანონიმურად დარეგისტრირებული შვილის დაბრუნებას. ირლანდიაში დაქორწინებულმა და მცხოვრებმა მომჩივანმა, ქორწინების გარეშე საფრანგეთში გააჩინა გოგონა. ის დავობდა, რომ ორთვიანი ვადა, რომლის ფარგლებშიც მას შეეძლო ბავშვის უკან დაბრუნება იყო საკმაოდ მცირე პერიოდი. ამასთან, აცხადებდა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ არ გადადგა საჭირო ღონისძიებები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ დარწმუნებულყო, მომჩივანს ზუსტად ესმოდა რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის ქმედებებს. მეტიც, ამტკიცებდა, რომ მას არ გაუწიეს თარჯიმანის მომსახურება, იმისათვის, რომ მიეღო ინფორმაცია ყველა შესაბამისი პროცედურა და ვადები.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება). რაც შეეხება თანხმობაზე უარის თქმას, სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდი იყო ბალანსის დამყარების, პროპორციულობის უზრუნველყოფის მცდელობა დაპირისპირებულ ინტერესებს შორის. იმ დროს მომჩივანი 36 წლის იყო და მშობიარობის შემდგომ დედამისის მონაწილეობით ორი ხანგრძლივი ინტერვიუ გაიარა სოციალურ სამსახურთან. სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ მომჩივანს საკმარისი და დეტალური ინფორმაცია მიაწოდა, გაუწია მას თარჯიმანის დახმარებაც, რაც კანონით არ მოეთხოვებოდა და უზრუნველყო, რომ მომჩივანი მაქსიმალურად ყოფილიყო ინფორმირებული გაკეთებული არჩევანის შედეგების შესახებ. ამდენად, ყველა აუცილებელი ღონისძიება იქნა გადადგმული, იმაში დასარწმუნებლად, რომ მომჩივანმა გაიგო თავისი ქმედებების ზუსტი შედეგები. საფრანგეთის სახელმწიფოს არ დაურღვევია კონვენციის მე-8 მუხლით ნაკისრი პოზიტიური ვალდებულებები.

## რ.კ. და ა.კ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

### **R.K. and A.K. v. the United Kingdom**

1998 წლის ივლისში დაბადებული მომჩივნის ქალიშვილი, 1998 წლის სექტემბერში გადაიყვანეს საავადმყოფოში ბარდაყის ძვლის მოტეხილობით. ექიმებმა დაასკვნეს, რომ დაზიანებები შემთხვევით მიყენებული არ ყოფილა და მოთავსებულ იქნა დეიდის მზრუნველობის ქვეშ. მორიგი ტრამვის შემდეგ, ბავშვს დაუსვეს მტვრევადი ძვლის დაავადების (osteogenesis imperfecta) დიაგნოზი. მცირეწლოვანი სახლში 1999 წლის აპრილში დაბრუნდა. მომჩივნები დავობდნენ, რომ მათი ქალიშვილი არასწორი სამედიცინო დიაგნოზის გამო განთავსდა დროებითი მზრუნველობის ქვეშ.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას, რადგან მიიჩნია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდა შესაბამისი და საკმარისი მიზეზები დამცავი ზომების მიღების მიზნით, რომლებიც მოცემულ ვითარებაში ბავშვის დაცვის მიზნის პროპორციული იყო. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება), რადგან მიიჩნია, რომ მომჩივნებს უნდა ჰქონოდათ საშუალება

ადგილობრივი ხელისუფლებისგან, მათ მიერ გატარებული ღონისძიებების გამო, მოეთხოვათ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც არ იყო ხელმისაწვდომი შესაბამის დროს.

### **სავინი უკრაინის წინააღმდეგ**

#### **Saviny v. Ukraine**

მოცემულ საქმეში ბავშვები მოათავსეს სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ იმ მიზეზით, რომ მათმა მშობლებმა, რომლებიც ბავშვობიდან უსინათლოები იყვნენ, ვერ მოახერხეს სათანადო ზრუნვითა და საცხოვრებელი პირობებით არასრულწლოვნების უზრუნველყოფა. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ დასკვნას, რომ მოძივნების ფინანსური სახსრების და პიროვნული თვისებების ნაკლებობა საფრთხეს უქმნიდა ბავშვების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მორალურ აღზრდას.

სასამართლომ დაადგინა, მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან ადეკვატურად არ მიიჩნია ის მტკიცებულებები, რომლებზეც ხელისუფლებამ გადაწყვეტილება დააფუძნა, რომ ბავშვების საცხოვრებელი პირობები მართლაც საშიში იყო მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ეროვნულმა სასამართლოებმა მხოლოდ ის სირთულეები გამოიკვლიეს, რომელთა აღმოფხვრა შეიძლებოდა მიზანმიმართული ფინანსური და სოციალური დახმარების, კონსულტაციების მეშვეობით და სიღრმისეულად არ გაანალიზეს, თუ რამდენად იყო მოძივნების უუნარობა ეზრუნათ შვილებზე მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

### **Y.C. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**

#### **Y.C. v. the United Kingdom**

მოცემული საქმე ეხებოდა ბავშვთა დაცვის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს. მოძივნის 2001 წელს დაბადებული ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რადგან არსებობდა გარკვეული გარემოებები მოძივნის მიერ არასრულწლოვნის მამასთან ურთიერთობის გამო. მოძივანი დავობდა, რომ სასამართლოს არ შეუფასებია მისი, როგორც მარტონხელა მზრუნველის როლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას, რადგან მიიჩნია, რომ გაშვილების შესახებ გადაწყვეტილება არ გასცდენია სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებს და გადაწყვეტილების საფუძველი რელევანტური და საკმარისი იყო. ამასთან, მოძივანს მიეცა ყველა შესაძლებლობა წარედგინა თავისი პოზიცია და სრულად იყო ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გაითვალისწინეს სხვადასხვა რელევანტური ფაქტორები და დეტალურად მიუთითეს სოციალური მუშაკის, მეურვისა და ფსიქოლოგის მოხსენებებსა და ზეპირ ჩვენებებზე, რომლებმაც დაადგინეს სადავო საკითხები.

### **კ.ა.ბ. ესპანეთის წინააღმდეგ**

#### **K.A.B. v. Spain**

მოცემულ საქმეში მამის წინააღმდეგობის მიუხედავად მოხდა ბავშვის გაშვილება, მას შემდეგ, რაც დედის დეპორტაციის შემდეგ არასრულწლოვანი მიტოვებულად გამოცხადდა. მომჩივანი დავობდა, რომ მას შეეზღუდა შვილთან ყოველგვარი კონტაქტის შესაძლებლობა და რომ არც ის და არც ბავშვის დედა არ იყვნენ ინფორმირებულები არასრულწლოვნის გაშვილებასთან დაკავშირებით. ამასთან, აცხადებდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა რეაგირება არ მოახდინეს ბავშვის დედის დეპორტაციაზე და არ მისცეს მომჩივანს შესაძლებლობა დაემტკიცებინა მამობის ფაქტი.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. კერძოდ, დაადგინა, რომ დროის გასვლამ - ხელისუფლების უმოქმედობის შედეგად -, ბავშვის დედის დეპორტაციამ აუცილებელი წინასწარი შემოწმების გარეშე მომჩივნის დაუხმარებლად, როდესაც მისი სოციალური და ფინანსური მდგომარეობა ადრეულ ეტაპზე ყველაზე მყიფე იყო, სასამართლოს მიერ ბავშვის მიტოვებაზე რაიმე სახეა პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად და იმის დადგენამ, რომ მომჩივანმა დაკარგა ინტერესი შვილის კეთილდღეობის მიმართ, გადაწყვეტი წვლილი შეიტანა მამა-შვილს შორის გაერთიანების შესაძლებლობის აღკვეთაში. ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს განსაკუთრებით სწრაფად მოქმედება და არ გადაუდგამთ შესაბამისი და საკმარისი ღონისძიებები მომჩივნის შვილთან ყოფნის უზრუნველსაყოფად.

### **პონტესი პორტუგალიის წინააღმდეგ**

#### **Pontes v. Portugal**

მომჩივნები დავობდნენ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება დარღვევასთან დაკავშირებით, რადგან გადაწყვეტილების საფუძველზე მათი ერთ-ერთი შვილი გააშვილეს, მათ კი მშობლის უფლებები ჩამოართვეს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ორჯერ დარღვევა, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებას არ მიუღია ზომები, რომელიც საშუალებას მისცემდა მომჩივნებს ესარგებლათ შვილთან რეგულარული კონტაქტით. ამასთან, ბავშვის შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება არ ეფუძნებოდა რელევანტურ ან საკმარის მიზეზებს.

### **ა.კ. და ლ. ხორვატიის წინააღმდეგ**

#### **A.K. AND L. v. CROATIA**

მოცემულ საქმეში მსუბუქი გონებრივი შეზღუდულობის მქონე დედას ჩამოერთვა მშობლის უფლებები. მომჩივნის შვილი გააშვილეს მისთვის შეუტყობინებლად, მისი თანხმობის და გაშვილების პროცესში მონაწილეობის გარეშე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან მიიჩნია, რომ მომჩივნისთვის გაშვილების პროცედურების შეუტყობინებლობით, ეროვნულმა ხელისუფლებამ მას შეუზღუდა მშობლის

უფლებების აღდგენის შესაძლებლობა, მანამ სანამ კავშირი მამასა და შვილს შორის საბოლოოდ გაწყდებოდა ბავშვის გაშვილების შემდეგ.

## **ბ. (no.2) რუმინეთის წინააღმდეგ**

### **B. (no.2) v. Romania**

მოცემულ საქმეში ბავშვის დედა მოათავსეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, რის გამოც მისი ორი არასრულწლოვანი შვილი განთავსდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, როგორც მომჩივნის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების, ისე არასრულწლოვანი ბავშვების სახელმწიფო მზრუნვის ქვეშ განთავსების ნაწილში. სასამართლომ აღნიშნა, რომ რუმინეთში არსებობდა ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების არასათანადო დაკავების არაერთი პრეცედენტი, ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, რომელიც პაციენტების უფლებების სასარგებლოდ განხორციელდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის სამედიცინო ისტორიიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ დაიცვა შესაბამისი პროცედურა. გარდა ამისა, სპეციალური დაცვის, განსაკუთრებით ადვოკატის ან მეურვის ოფიციალურად დანიშვნის არარსებობამ, გამოიწვია მომჩივნის უფლების შეზღუდვა, მიეღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი შვილების სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მოთავსებასთან დაკავშირებით.

## **რ.მ.ს. ესპანეთის წინააღმდეგ**

### **R.M.S. v. Spain**

მოცემულ საქმეში ბავშვი მინდობით აღზრდის მიზნით განთავსდა ოჯახში დედის ფინანსური მდგომარეობის გამო და ისე, რომ მხედველობაში არ ყოფილა მიღებული სიტუაციის შემდგომი ცვლილებები. მომჩივანი დავობდა შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ გასწია ადეკვატური და ეფექტიანი ძალისხმევა მომჩივნის შვილთან ერთად ცხოვრების უფლების უზრუნველსაყოფად და ამით დაარღვია მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.

## **ჯო იტალიის წინააღმდეგ**

### **Zhou v. Italy**

2004 წლის ოქტომბერში მომჩივანი, ჩინეთის მოქალაქე, თავის 1 თვის შვილთან ერთად მოათავსეს სპეციალურ საცხოვრებელ დაწესებულებაში. სოციალურ სამსახურთან შეთანხმებით, ბავშვი დღის განმავლობაში მიმღებ ოჯახში ცხოვრობდა. სამი თვის შემდეგ ოჯახი მზად აღარ იყო ბავშვის მისაღებად. მომჩივანმა გადაწყვიტა შვილი მეზობელი წყვილისთვის მიენდო, სანამ ის სამსახურში იქნებოდა. სოციალურმა სამსახურებმა, რომლებმაც არ დააკმაყოფილეს მისი ეს გადაწყვეტილება, აცნობეს ბავშვთა სასამართლოს პროკურორს მომჩივნის მდგომარეობის შესახებ. 2007 წლის ბოლოს პროკურორმა სასამართლოს სთხოვა ბავშვის გაშვილების

პროცესის დაწყება, ვინაიდან დედას არ შეეძლო მისი მოვლა-პატრონობა. მომჩივანი დავობდა, რომ ბავშვი მიძღვნილი იქნა ოჯახში გაშვილების მიზნით განთავსდა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა რადგან მიიჩნია, რომ იტალიის ხელისუფლებამ არ შეასრულა თავისი ვალდებულებები ოჯახური კავშირების გაწვევებამდე და არ გასწია შესაბამისი ან საკმარისი ძალისხმევა მომჩივნის უფლების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, ეცხოვრა საკუთარ შილთან ერთად. კერძოდ, სათანადოდ არ განხილულა უმთავრესი საჭიროება, შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულიყო ოჯახური კავშირები დაუცველ მდგომარეობაში მყოფ მომჩივანსა და ბავშვს შორის, სასამართლო ხელისუფლებამ მხოლოდ შეაფასა სირთულეები, რაც შეიძლებოდა გადალახულიყო სოციალური დაცვის სამსახურების მიზნობრივი მხარდაჭერით. მომჩივანს არ ჰქონდა შესაძლებლობა აღედგინა ურთიერთობა შვილთან: სინამდვილეში, ექსპერტებმა არ გამოიკვლიეს მომჩივნის შესაძლებლობების გაუმჯობესების რეალური გარემოებები, ეზრუნა თავის შვილზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, იტალიის მთავრობას არ წარმოუდგენია დამაჯერებელი არგუმენტები, რომელიც გაამართლებდა მომჩივანსა და ბავშვს შორის კავშირის გაწყვეტის საჭიროებას.

#### **ი.ს. გერმანიის წინააღმდეგ**

#### **I.S. v. Germany**

მომჩივანი დავობდა, რომ შეზღუდული ჰქონდა ურთიერთობის უფლება და არ ჰქონდა ინფორმაცია თავისი ბიოლოგიური შვილების შესახებ, რომლებიც შვილად სხვა წყვილმა აიყვანა. მან აღნიშნა, რომ გერმანიის სასამართლოების გადაწყვეტილებებმა შვილებთან კონტაქტისა და ინფორმაციის შესახებ, დაარღვია მისი უფლებები, კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლებები (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება). მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას დაპირდნენ „ნახევრად ღია“ შვილად აყვანას, რაც შესაძლებლობას მისცემდა ჰქონოდა კონტაქტი და მიეღო ინფორმაცია ბავშვების შესახებ, რომელიც არ იქნა დაცული.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) რადგან მიიჩნია, რომ შვილად აყვანაზე თანხმობით, მომჩივანმა შეგნებულად დათმო ყველა უფლება თავის ბიოლოგიურ შვილებთან დაკავშირებით. შეთანხმებები მის უფლებასთან დაკავშირებით, რეგულარულად მიეღო ინფორმაცია მათ შესახებ, პრაქტიკულად, ეფუძნებოდა მშვილებლების მიერ აღნიშნულზე თანხმობის გამოცხადებას. გერმანიის სასამართლოების გადაწყვეტილება, ბავშვების ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭებით, მათი ინტერესების სასარგებლოდ განვითარებულიყვნენ მათ მშვილებელ ოჯახში, დედის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან შედარებით, პროპორციულად იქნა მიჩნეული.



## თ. ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ

### T. v. the Czech Republic

მოცემულ საქმეში მამა ცდილობდა მოეპოვებინა თავისი მიდნობით აღმზრდელ ოჯახში მცხოვრებ შვილთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის და მასთან ერთად ცხოვრების უფლება. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მომჩივნის პიროვნება სერიოზულ და გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიდა შვილთან ერთად ცხოვრების უფლების მოპოვებას. მომჩივანი დავობდა გოგონას სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მოთავსების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და სახელმწიფოს უმოქმედობაზე შეესრულებინა თავისი ვალდებულება და შეეტანა წვლილი მათი ოჯახური კავშირების შენარჩუნებაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. თუმცა, მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა სახელმწიფოს უმოქმედობის გამო, წვლილი შეეტანა მომჩივანსა და ბავშვს შორის ოჯახური კავშირების შენარჩუნებაში.

## სოარეს დე მელი პორტუგალიის წინააღმდეგ

### Soares de Melo v. Portugal

მოცემულ საქმეში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მომჩივნის შვიდი შვილის გაშვილების შესახებ, რომელთაგან ოთხი აღსრულდა. მომჩივანი დავობდა საოჯახო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას და მისთვის ბავშვებთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობის შეზღუდვას. ამასთან დაკავშირებით მომჩივანმა განაცხადა, რომ შეიტანა სხვადასხვა განცხადება და დასძინა, რომ სასამართლოებმა თავიანთი გადაწყვეტილებები დააფუძნეს იმ ფაქტს, რომ ის არ ასრულებდა ოჯახურ ვალდებულებებს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულმა ზომებმა, მომჩივნის შვილების გაშვილების მიზნით, ვერ დაამყარეს სამართლიანი ბალანსი საფრთხის წინაშე არსებულ ინტერესებს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს ჩამოერთვა მშობლის უფლებები და ყოველგვარი კონტაქტი შვილებთან; მისი უარი სტერილიზაციაზე იყო ამ გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი საფუძველი; მომჩივანს ეფექტიანად არ მიუღია მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში განთავსება არ იყო ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი ან აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა რაიმე ძალადობრივი ქმედება. ამასთან, არ ყოფილა მხედველობაში მიღებული ძლიერი სულიერი კავშირი და სოციალური სამსახურების მიერ მომჩივნის მატერიალური პრობლემები აღმოუფხვრელად იქნა დატოვებული, ვინაიდან დედას უწევდა დიდი რაოდენობის ბავშვის აღზრდა თითქმის დაუხმარებლად. მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებას უნდა განეხილა მდგომარეობა, იმისათვის, რომ მიეღო შესაბამისი ზომები ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე და გადაეწყვიტა, რომ დროებითი ზომები, რომლებიც

მითითებულია პორტუგალიის მთავრობისთვის სასამართლოს რეგლამენტის 39-ე (დროებითი ზომები<sup>18</sup>) წესით ძალაში რჩება მანამ, სანამ გადაწყვეტილება საბოლოო გახდება.

### **პარადიზო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ**

#### **Paradiso and Campanelli v. Italy**

მოცემულ საქმეში რუს ქალსა და იტალიელ წყვილს (მომჩინებები) შორის გესტაციური სუროგაციის კონტრაქტის საფუძველზე დაბადებული ბავშვი მოთავსდა სახელმწიფო ზრუნვაში. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მათ არ ჰქონდათ ბავშვთან ბიოლოგიური კავშირი. მომჩინებები დავობდნენ, მათთვის ბავშვის ჩამორთმევასა და იტალიის ხელისუფლების უართან დაკავშირებით, რომ ეღიარებინა საზღვარგარეთ დამყარებული მშობლის და შვილის ურთიერთობები დაბადების მოწმობის რეგისტრაციის გზით.

დიდმა პალატამ, შვიდი ხმით ექვსის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ მომჩინებების საქმეში ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვების დაცულობის უფლება) დარღვევას. ბავშვსა და მომჩინებებს შორის რაიმე ბიოლოგიური კავშირის არარსებობის, ბავშვთან ხანმოკლე ურთიერთობის და სამართლებრივი თვალსაზრისით, მათ შორის, კავშირების ბუნდოვანების გათვალისწინებით, მიუხედავად ემოციური კავშირის ხარისხისა, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მომჩინებებსა და ბავშვს შორის არ არსებობდა ოჯახური ცხოვრება. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ღონისძიებები ექცეოდა მომჩინებთა პირადი ცხოვრების ფარგლებში. დიდმა პალატამ ასევე მიიჩნია, რომ სადავო ღონისძიებები გამოყენებულ იქნა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად - არეულობის თავიდან აცილება და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით, მან ლეგიტიმურად მიიჩნია იტალიის ხელისუფლების სურვილი ეცნო სახელმწიფოს ექსკლუზიური კომპეტენცია მშობლისა და ბავშვის კანონიერ ურთიერთობაზე - და ეს მხოლოდ ბიოლოგიური კავშირის ან კანონიერი გაშვილების საქმეში - ბავშვების დასაცავად. დიდი პალატა ასევე დაეთანხმა იტალიის სასამართლოების დასკვნას, კერძოდ, რომ ბავშვი არ უნდა დატანჯულიყო განშორებით გამოწვეული მძიმე ან გამოუსწორებელი ზიანით და შესაბამისად, იტალიურმა სასამართლოებმა ამის გათვალისწინებით დაამყარეს სამართლიანი ბალანსი საფრთხის წინაშე არსებულ სხვადასხვა ინტერესებს შორის, იმავდროულად დარჩნენ ხელმისაწვდომი მოქმედების თავისუფლების სივრცეში (თავისუფალი შეფასების ფარგლები).

### **ბარნეა და კალდარარუ იტალიის წინააღმდეგ**

#### **Barnea and Calderaru v. Italy**

მოცემულ საქმეში 28 თვის გოგონა გაშვილების მიზნით 7 წლის მანძილზე ჩამოაშორეს თავის ბიოლოგიურ ოჯახს. მომჩინების ოჯახი დავობდა იტალიის ხელისუფლების მიერ ბავშვის მათგან განცალკევებას, სოციალური სერვისების მიერ 2012 წლის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობას (რომლის საფუძველზეც განისაზღვრა პროგრამის შემუშავება მომჩინებების ოჯახის შვილთან ეტაპობრივად თანაცხოვრების მიზნით),

---

<sup>18</sup> ეს არის სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად მიღებული სასამართლოს წინაშე არსებული პროცედურების ნაწილი, მხარის ან სხვა დაინტერესებული პირის მოთხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით მხარეთა ინტერესებისათვის ან სამართალწარმოების სათანადოდ წარმართვის მიზნით.

ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსებას და ბავშვსა და ბიოლოგიური ოჯახის წევრებს შორის შეხვედრების ეტაპობრივად შემცირებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, რადგან იტალიის ხელისუფლებამ ვერ შეძლო შესაფერისი და ეფექტიანი ზომების მიღება მომჩივანთა უფლების დასაცავად, ეცხოვრათ საკუთარ შვილთან ერთად 2009 წლის ივნისიდან 2016 წლის ნოემბრამდე. სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ მოყვანილი არგუმენტები ბავშვის ოჯახში დაბრუნებაზე უარის თქმის და გასაშვილებლად მომზადებაზე არ შედიოდა იმ „ძალიან გამონაკლის“ შემთხვევებში, რაც გაამართლებდა მომჩივნებთან ბავშვის ოჯახური კავშირების გაწყვეტას. სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის ხელისუფლებამ არასწორად შეასრულა სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას. ამდენად, დროის გასვლა - სოციალური სერვისების უმოქმედობა ოჯახის გაერთიანების პროგრამაში - და სასამართლოების მიერ ბავშვის დროებითი განთავსების მიზნით ვადის განხანგრძლივების საფუძვლები გადამწყვეტი ფაქტორი იყო მომჩივნების ბავშვთან გაერთიანების ხელშესაშლელად, რაც 2012 უნდა მომხდარიყო.

#### **აკიმი რუმინეთის წინააღმდეგ**

#### **Achim v. Romania**

მოცემულ საქმეში მომჩივნების 7 წლის ვაჟი განთავსდა სახელმწიფო მზრუნველობაში იმ მიზეზით, რომ წყვილი ვერ ასრულებდა მშობლის მოვალეობებს. მომჩივნები დავობდნენ ბავშვების სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ განთავსებას, რაც მათ გაუმართლებლად მიაჩნდათ. ამასთან, აცხადებდნენ, რომ სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა ბავშვების მათთვის დაბრუნებაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას რადგან მიიჩნია, რომ ბავშვების დროებით მზრუნველობის ქვეშ მოთავსება იყო გამართლებული საკმარისი და რელევანტური მიზეზებით და რომ ხელისუფლება ცდილობდა დაეცვა არასრულწლოვნების ინტერესები, მომჩივნების უფლებებსა და ბავშვთა უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის დამყარებით. მოცემულ საქმეში ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა არა მხოლოდ ოჯახის მატერიალურ შეუძლებლობას არამედ მშობლების მხრიდან ბავშვების ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო და სოციალური განვითარების უგულვებელყოფას; ხელისუფლებამ იქონია კონსტრუქციული დამოკიდებულება და მშობლებს ურჩია თუ რა ქმედებები უნდა განეხორციელებინათ საკუთარი ფინანსური სიტუაციისა და მშობლის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად. ბავშვების სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ განთავსება იყო დროებითი ღონისძიება და ხელისუფლებამ მიიღო აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ ხელი შეეწყო ბავშვების მშობლებთან დაბრუნებისთვის, მას შემდეგ, რაც მომჩივნების მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა.

## **ტლაპაკი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ და ვეტჯენი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ Tlapak and Others v. Germany and Wetjen and Others v. Germany**

საქმეები შეეხებოდა მშობლის უფლებამოსილების ნაწილობრივ გაუქმებას და ბავარიის ორ თემში მცხოვრები თორმეტი ტომის ეკლესიის (Zwölf Stämme) ბავშვების მზრუნველობის ქვეშ გადაყვანას. 2012 წელს პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეკლესიის წევრები საკუთარ შვილებს ხელკეტის გამოყენებით სჯიდნენ. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა ერთ-ერთ დასახლებაში ფარული კამერით გადაღებული ვიდეო კადრებით. პრესის ცნობებზე დაყრდნობით და ეკლესიის ყოფილი წევრების განცხადებებით, ამ დასახლებებში მცხოვრები ბავშვები სასამართლოს ბრძანებით 2013 წლის სექტემბერში მოათავსეს სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ. სასამართლოს წინაშე სამართალწარმოება წამოიწყო თორმეტი ტომის ეკლესიის წევრების ოთხმა ოჯახმა. ისინი დავობდნენ გერმანიის სასამართლოების მიერ მათთვის მშობლის უფლებების ნაწილობრივ ჩამორთმევას და ოჯახების გაყოფას.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას, რადგან მიიჩნია, რომ გერმანიის სასამართლოებმა, სამართლიან და გონივრულ პროცესში, სადაც მათ თითოეული ბავშვის საქმე ინდივიდუალურად შეისწავლეს, დაამყარეს სამართლიანი ბალანსი მშობელთა ინტერესებსა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შორის. სასამართლო დაეთანხმა გერმანიის სასამართლოებს, რომ ბავშვთა სისტემატიური და რეგულარული დასჯის რისკი ამართლებდა მშობლებისთვის მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევას და ბავშვების სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ განთავსებას. მათი გადაწყვეტილება ემყარებოდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის რისკის არსებობას, რაც აბსოლუტურად აკრძალულია კონვენციით. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ გერმანიის სასამართლოებმა დეტალურად დაასაბუთეს, თუ რატომ არ ჰქონდათ სხვა არჩევანი ბავშვების დასაცავად. კერძოდ, პროცესის მანძილზე მშობლებს კვლავ სჯეროდათ რომ ფიზიკური დასჯა მისაღები იყო და ისინი რომც დათანხმდებოდნენ რომ ადგილი აღარ ექნებოდა ასეთ მოპყრობას, მაინც არ არსებობდა იმის გარანტია, რომ იგივე არ განხორციელდებოდა თემის სხვა წევრების მიერ.

## **ვუნდერლიხი გერმანიის წინააღმდეგ Wunderlich v. Germany**

მოცემული საქმე შეეხებოდა მშობლის ზოგიერთი უფლების ჩამორთმევას და ოთხი ბავშვის ოჯახისგან განცალკევებას 3 კვირით, რადგან მომჩივნები უარს აცხადებდნენ ბავშვების სკოლაში გაგზავნაზე. გერმანიის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მშობლებს ნაწილობრივ ჩამოერთვათ მშობლის უფლება, რომელიც გადაეცა ახალგაზრდობის ოფისს. მომჩივნები დავობდნენ ბავშვებთან იძულებით დამორებასა და სამი კვირის განმავლობაში მათ ბავშვთა სახლში განთავსებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას, რადგან მიიჩნია, რომ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად მათი სკოლაში დასწრება, რომელსაც არ ახორციელებდნენ მშობლები, იყო საკმარისი და რელევანტური მიზეზი მშობლის უფლების ნაწილობრივ ჩამორთმევის გასამართლებლად. სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების

ორგანობმა მართებულად მიიჩნის, რომ ბავშვები იზოლირებულები იყვნენ, არ ჰქონდათ ოჯახის წევრების გარდა ვინმესთან კონტაქტი და რომ არსებობდა მათთვის ფიზიკური ზიანის მიყენების საფრთხე. სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვების მშობლებისგან დაშორება არ გაგრძელებულა იმაზე დიდხანს ვიდრე ეს საჭირო იყო მათი საუკეთესო ინტერესებისთვის. სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა „რელევანტური და საკმარისი“ მიზეზები მოძიებებისთვის მშობლის უფლებამოსილების ნაწილობრივ ჩამოსართმევად და ბავშვების საკუთარი ოჯახიდან დროებით გასაყვანად.

### **ვ.დ. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ**

#### **V.D. and Others v. Russia**

მოცემული საქმე შეეხება ბავშვს, რომელსაც აღმზრდელი დედა - პირველი მომჩივანი ცხრა წლის მანძილზე უვლიდა და რომელიც შემდეგ დაუბრუნდა ბიოლოგიურ მშობლებს. პირველი მომჩივანი და მისი სხვა შვილები დავობდნენ, რომ რუსეთის სასამართლოების გადაწყვეტილებებით ბავშვები დაუბრუნდნენ მშობლებს, პირველ მომჩივანს შეუჩერდა მეურვეობის უფლება და აეკრძალა ბავშვთან ყოველგვარი კავშირი.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას რადგან მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებით აღმზრდელ დედას ჩამოაშორეს ბავშვი და დაუბრუნეს ბიოლოგიურ მშობლებს, თუმცა სასამართლომ დაადგინა, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა იმ გადაწყვეტილებით, რომლითაც მიმღებ ოჯახს აეკრძალა ყოველგვარი კონტაქტი ბავშვთან. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ბავშვის ბიოლოგიური მშობლებისათვის დაბრუნების გადაწყვეტილების მიღებისას, შეაფასეს ყველა აუცილებელი გარემოება, მაგალითად, თავსდებოდა თუ არა აღნიშნული ღონისძიება მის საუკეთესო ინტერესებთან. თუმცა, სასამართლოებმა შეზღუდეს ყოველგვარი შემდგომი კომუნიკაცია ბავშვსა და აღმზრდელ ოჯახს შორის, რომელთაც უკვე მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამყარებული. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება კონტაქტის უფლებაზე ეფუძნებოდა მხოლოდ რუსეთის კანონმდებლობას, რომელიც ხისტი იყო და არ ითვალისწინებდა სხვადასხვა ოჯახურ გარემოებებს. შესაბამისად, სასამართლოებმა რელევანტურად არ შეაფასეს საქმის ინდივიდუალური გარემოებები.

### **ჰადადი ესპანეთის წინააღმდეგ**

#### **Haddad v. Spain**

მომჩივნის სამი შვილი, მათ შორის, მისი წლინახევრის გოგონა, დედის თხოვნით, მოათავსეს მადრიდის რეზიდენტულ ცენტრში და მიტოვებულად აღიარეს. ბავშვები მოგვიანებით გადაიყვანეს მურსიაში. მომჩივანს არ აცნობეს მათი გადაყვანის შესახებ, ვინაიდან მის წინააღმდეგ, ცოლის საჩივრის საფუძველზე, მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმისწარმოება ოჯახური ძალადობისათვის, მომჩივანს აკრძალული ჰქონდა შვილებთან კონტაქტი და მათთან მიახლოება. საბოლოოდ, იგი გაამართლეს. მას შემდეგ, რაც მეურვეობა დაიბრუნა თავის ორ ვაჟზე, მომჩივანი ცდილობდა მეურვეობის უფლება ასევე დაებრუნებინა თავის არასრულწლოვან გოგონაზე. მოცემულ საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ მისი გამართლების და დროებითი შემაკავებელი ორდერების გაუქმების შემდეგ ბავშვთა დაცვის

დეპარტამენტმა არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები, იმისათვის, რომ აღედგინა კონტაქტი თავის გოგონასთან.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა, ვინაიდან ესპანეთის ხელისუფლებას არ გაუწევია სათანადო ან საკმარისი ძალისხმევა მომჩივნის უფლების, ეცხოვრა თავის გოგონასთან და ძმებთან ერთად, პატივისცემის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს უნდა განეხილათ, ნაკლებად რადიკალური ზომები ვიდრე არასრულწლოვანი გოგონას მინდობით აღზრდაა და უნდა მიეღოთ მხედველობაში მოთხოვნები არასრულწლოვანი გოგონასთან კონტაქტის აღდგენის შესახებ, სულ მცირე, მას შემდეგ რაც მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმისწარმოება შეწყდა.

### **სტრენდ ლობენი და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ**

#### **Strand Lobben and Others v. Norway**

მოცემული საქმე შეეხება ნორვეგიის ხელისუფლების გადაწყვეტილებას დედისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის და მიძღები ოჯახისთვის ბავშვის შვილად აყვანის შესახებ ნებართვის გაცემას. მომჩივნები - დედა და ვაჟი - დავობდნენ, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით, დედას ჩამოერთვა მშობლის უფლება და მიძღები ოჯახს მიეცა ბიჭის შვილად აყვანის ნებართვა.

დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა ორივე მომჩივანთან მიმართებით რადგან მიიჩნია, რომ ნორვეგიის ხელისუფლების ქმედებების მთავარი მიზეზი იყო დედის მიერ შვილზე სათანადოდ ზრუნვის განხორციელების შეუძლებლობა, ბავშვის განსაკუთრებული საჭიროებების მხედველობაში მიღებით. თუმცა, აღნიშნული მოსაზრებები ეფუძნებოდა შეზღუდულ მტკიცებულებებს, რადგან ბავშვის მინდობით აღსაზრდელად მიბარების შემდეგ, დედა-შვილს შორის კონტაქტი შეზღუდული იყო ხოლო ფსიქოლოგების დასკვნები მოძველებული. გარდა ამისა, მოსაზრებები ბავშვის დაუცველობაზე არ შეიცავდა რაიმე ანალიზს და ახსნას, იმის შესახებ თუ რას გულისხმობდა მისი დაუცველობა, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი მზრუნველობაში მოათავსეს სამი კვირის ასაკიდან. საბოლოო ჯამში, წინამდებარე საქმეში ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს არ უცდიათ ბავშვის და მისი ბიოლოგიური ოჯახის ინტერესების დაბალანსება ასევე არ უცდიათ დედის პირად ცხოვრებაში განვითარებული მოვლენების მხედველობაში მიღება, კონკრეტულად იმ ფაქტის, რომ მომჩივანი იმავდროულად იყო დაქორწინებული და ჰყავდა მეორე შვილი.

### **კ.ო. და ვ.მ. ნორვეგიის წინააღმდეგ**

#### **K.O. and V.M. v. Norway**

მოცემული საქმე შეეხებოდა 2015 წელს დაბადებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში მომჩივნის ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებას და მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის შეზღუდულ უფლებას. ოჯახი საბოლოოდ 2018 წელს გაერთიანდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევას გოგონას მზრუნველობაში

განთავსებასთან დაკავშირებით. ამასთან, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა შვილთან კონტაქტის შეზღუდვის ნაწილში, რომელიც ოთხჯერ შეიზღუდა, შემდეგ კი ექვსჯერ წელიწადში. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ სიღრმისეული კვლევა ჩაატარა მზრუნველობასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურა გაატარა მომჩივნის ინტერესის სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფად. სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება კონტაქტის უფლებებთან დაკავშირებით, პროცესის ადრეულ ეტაპზე, ეფუძნებოდა იმ ვარაუდს, რომ ოჯახი არ გაერთიანდებოდა რადგან მიიჩნიეს, რომ მინდობით აღზრდა გრძელვადიანი იქნებოდა. ასევე, ხელისუფლებამ ვერ განმარტა თუ რატომ იყო მშობლების ხშირად ნახვა ბავშვის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგო, მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტების დროს არსებობდა დადებითი უკუკავშირი ოჯახთან ურთიერთობასთან მიმართებით.

### **დ.მ. და ნ. იტალიის წინააღმდეგ**

#### **D.M. and N. v. Italy**

მოცემული საქმე ეხებოდა კუბის მოქალაქის ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების სავარაუდო დარღვევას, რომელიც მოქმედებდა თავისი შვილის (დაბადებული 2012 წელს) სახელით, ამ უკანასკნელის შემდგომი გაშვილების გამო. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მოყვანილი არგუმენტები ბავშვის გაშვილების გამო არ შეესაბამებოდა ოჯახური კავშირის გაწვევისთვის საჭირო „სრულიად გამონაკლის გარემოებებს“. მათ განაცხადეს, რომ იტალიის ხელისუფლებამ ვერ შეასრულა სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განსაზღვრული პოზიტიური ვალდებულებები და რომ მათ არ განუხორციელებიათ ყველა ის ღონისძიება, რაც გონივრულად მოსალოდნელი იყო ოჯახური კავშირის შესანარჩუნებლად და სამართლიანი ბალანსის დასამყარებლად კონკურენტულ ინტერესებს შორის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთი მათგანზე არ მომზადებულა ფსიქოლოგიური დასკვნა.

სასამართლომ დაადგინა, კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა. რადგან მიიჩნია, რომ ეროვნული ხელისუფლების თავისუფალი შეფასების ფარგლების მიუხედავად, მომჩივნის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა არ იყო ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. ამასთან, მიიჩნია, რომ ჩარევის სერიოზულობის და დაპირისპირებული ინტერესების გათვალისწინებით, სადავო პროცედურას არ ახლდა დაცვის პროპორციული გარანტიები.

ის ფაქტი, რომ ბავშვს შეეძლო ესარგებლა აღზრდისთვის მეტად ხელსაყრელ გარემოში გადაყვანით, თავისთავად არ ამართლებდა ბიოლოგიური მშობლებისგან განცალკევებას. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სანამ გოგონას გაშვილების პროცედურა დაიწყებოდა, სასურველი იქნებოდა სასამართლოს ექსპერტისთვის დაევალებინათ დედის შესაძლებლობების, ბავშვის ფსიქოლოგიური და განვითარების საჭიროებების ისევე როგორც მათი დედის მხრიდან დაკმაყოფილების საექსპერტო დასკვნის მომზადება.

სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მოყვანილი არგუმენტები არასაკმარისი იყო. მეტიც, აღნიშნა, რომ არგუმენტი არ ყოფილა მოყვანილი

(გარდა იმ დროისა, რაც დედას სჭირდებოდა მშობლის უფლებამოსილებების აღსადგენად), იმის ასახსნელად რეალურად როგორ შეიძლება ისეთი რადიკალური ზომა, როგორც გაშვილებაა, შედიოდეს ბავშვის ინტერესებში. და ბოლოს, კონვენციის 46-ე მუხლის (სავალდებულო ძალა და განაჩენის აღსრულება) გათვალისწინებით, სასამართლომ მოუწოდა ხელისუფლებას სასწრაფოდ გადაეხედათ ორი მომჩივნის მდგომარეობისთვის ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით და ხელი შეეწყოთ მათ შორის კომუნიკაციის განხორციელებისთვის ბავშვის მდგომარეობისა და მისი საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებით.

#### **ა.ლ. და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ და ი.მ. და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ**

#### **A.L. and Others v. Norway and E.M. and Others v. Norway**

პირველი საქმე ეხებოდა მომჩივან ბავშვზე ნორვეგიის ხელისუფლების მიერ გამოცემულ მზრუნველობის განხორციელების შესახებ ბრძანებას და მშობლების მიერ ბავშვთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობაზე დაწესებულ შეზღუდვებს, მშობლების მზრუნველობის ქვეშ ბავშვის უსაფრთხოების გარშემო შეკითხვების არსებობიდან გამომდინარე. მეორე საქმე ეხებოდა ნორვეგიის ხელისუფლების მიერ ორი მომჩივანი ბავშვის მიმართ მზრუნველობის გაუქმებაზე უარის თქმას, პირველი მომჩივნისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ ბრძანებას და უარს მისთვის უფლებების მინიჭებაზე. ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ ეჭვი ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შესახებ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა რადგან მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მზრუნველობის შესახებ ბრძანება კარგად იყო დასაბუთებული, ეროვნულმა სასამართლოებმა ფაქტობრივად გადაწყვიტეს, რომ ბავშვი მინდობით აღზრდის პროგრამის გამოყენებით უნდა გაზრდილიყო, ალტერნატივების განხილვის ან მხარეების შერიგების მიმართულებით მუშაობის გარეშე. თუმცა, მეორე საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი რადგან მიიჩნია, რომ ეროვნული სამართალწარმოება განხორციელდა კონვენციის შესაბამისად, ადეკვატური მსჯელობითა და ინდივიდუალური გადაწყვეტილებებით. ამასთან, აღნიშნა საშიშროების სერიოზულობა იმ ბავშვებისთვის, რომლებმაც ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ შეატყობინეს.



